საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ
მეცნიერებათა სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტი

К 13739
2

სეით იაშვილი

მასალები თბილისის ქართული გიმნაზიის ისტორიისათვის (1879—1923 წ.წ.)



ინსტიტუტის გამომცემლობა
19 თბილისი 56

373(47.922)(09)

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ
მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი

სეით იაშვილი

მასალები თბილისის ქართული გიმნაზიის ისტორიისათვის (1879—1923 წწ.)

К 13789/2

(მეორე შესწორებული გამოცემა)

ინსტიტუტის გამომცემლობა
თბილისი
1956

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ავტორისაგან 3
2. I—თბილისის სათავადაზნაურო სკოლის დაარსება 5
3. II—თბილისის ქართული პროგიმნაზიის ორგანიზაცია 18
4. III—თბილისის ქართული გიმნაზია 1899—1904 წ. წ 36
5. IV—თბილისის ქართული გიმნაზიის რეორგანიზაციის საკითხი 47
6. V—გიმნაზიის აკლება და შიო ჩიტაძის ვერაგულად მოკვლა 84
7. VI—თბილისის ქართული გიმნაზიის მართვა-გამგებლობა 101
8. დ ა მ ა ტ ე ბ ა—ზოგიერთი ცნობა თბილისის ქართული გიმნაზიის პედაგოგიური შემადგენლობისა და მოსწავლეების შესახებ 140

ავტორისაგან

კერძო ინიციატივით დაარსებულმა თბილისის ქართულმა გიმნაზიამ თვალსაჩინო როლი შეასრულა ქართველი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში ცარიზმის ბატონობის პერიოდში და ქვეყანას მისცა მრავალი გამოჩენილი მოღვაწე.

მოწინავე, პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებლები, რომლებიც გიმნაზიაში მუშაობდნენ, ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობაში ნერგავდნენ პროგრესულ იდეებს, აღვივებდნენ პატრიოტულ გრძნობებს, ნერგავდნენ მოსწავლეებში სწავლისადმი და შრომისადმი სიყვარულს.

ამ სასწავლებლის ისტორია, სამწუხაროდ, დღემდე შესწავლილი არაა. ეს მდგომარეობა ერთგვარ ხარვეზს ქმნის საქართველოში სწავლა-აღზრდის ისტორიის მეცნიერულ დამუშავებაში.

წინამდებარე „მასალებს თბილისის ქართული გიმნაზიის ისტორიისათვის" არა აქვს სრულყოფილად დამუშავებული „ნარკვევების" პრეტენზია.

ამ „მასალების" დანიშნულებაა ერთგვარად შეავსოს აღნიშნული ხარვეზი და, რამდენადაც შესაძლებელია, აღადგინოს და თავი მოუყაროს თბილისის ქართული გიმნაზიის შესახებ არსებულ მასალებს.

ავტორი საჭიროდ თვლის აღნიშნოს, რომ საარქივო მასალების დიდი ნაწილი ამ სასწავლებლის შესახებ დაღუპულია 1906 წელს, როცა შავრაზმელების მიერ მოკლული იქნა გიმნაზიის დირექტორი შ. ჩიტაძე და განადგურებული იქნა გიმნაზიის არქივი და კანცელარია.

ამ მდგომარეობამ დიდად შეგვიშალა ხელი უფრო სრულად წარმოგვედგინა გიმნაზიის ისტორიის „მასალები". ნაწილობრივ ამ ხარვეზს ავსებს იმდროინდელი ქართული პერიოდული პრესა და კერძო პირთა მოგონებანი, რომელიც ჩვენ შევაგროვეთ და დავამუშავეთ, აგრეთვე, თვით ჩვენი ხანგრძლივი პედაგოგიური მუშაობა (1902—1923 წ. წ.) ამ სასწავლებელში. მიუხედავად იმისა, რომ ეს „მასალები" არ არის სრული, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ იგი ერთგვარ წვლილს შეიტანს თბილისის ქართული გიმნაზიის ისტორიის დამუშავების საქმეში.

I. თბილისის სათავადაზნაურო სკოლის დაარსება

1

თვითმპყრობელობის რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ საქართველოში განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო 80-ანი წლების დასაწყისიდან. ქართველი მშრომელი ხალხის ჩაგვრისათვის ცარიზმი ფართოდ იყენებდა სკოლასაც. ცარიზმი ავიწროებდა, ზოგჯერ კი პირდაპირ აუქმებდა ადგილობრივ სკოლას, თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს იმისათვის, რომ ნასები სიბნელეში ჰყოლოდა. 1881 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა კ. პ. ი ა ნ ო ვ ს კ ი მ დაწყებით სკოლებში გაატარა თავისი ცნობილი სასწავლო გეგმა, რითაც დაიწყო ქართული ენის ჯერ შევიწროება, ხოლო შემდეგ მისი სრულიად განდევნა სკოლებიდან.

თუმცა მაშინდელ თბილისის გუბერნიაში მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ, მაგრამ ქართველი მოსწავლენი სახელმწიფო სასწავლებლებში გაცილებით ნაკლები იყვნენ, ვიდრე სხვა ერების მოსწავლენი. ამის მიზეზი კი ის გარემოება იყო, რომ ქართველობა, გლეხებიცა და გაღატაკებული და დაკნინებული თავადაზნაურობაც, მეტწილად სოფლად ცხოვრობდა, სადაც მას არავითარი შესაძლებლობა რა მოეპოვებოდა იმისათვის, რომ თავისი შვილები მოემზადებინა და სახელმწიფო სასწავლებლებში მიეღებინებინა. აქ საჭირო იყო საზოგადოებრივი დახმარება, და სწორედ ასეთი დამხმარე საზოგადოების დაარსება აკისრა გიორგი რომანის-ძე ე რ ი ს თ ა ვ ს.

გიორგი რომანის-ძე ერისთავი იყო გენერალი, ატენის ხეობის მფლობელი, ხალხი მას „დიდ კნიაზს“ ეძახდა. გიორგის დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი როგორც რუსეთში, ისე საქართველოში.

გ. რ. ერისთავს შეუდგენია „საზოგადოება“, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი ქვეყნის ღარიბ ხალხს, რომ შვილებმა რიგი-

ანი სწავლა და განათლება მიიღო სახაზინო სასწავლებლებშ. გ. ერისთავს კრებისთვის განუმარტავს: „ვინ არ იცის, რომ ამ საგანზე ჩვენი გულგრილობა ჩვენი თავის სიკვდილია. ნუთუ ეგ არ მოუღებს ბოლოს თვით ხალხსაც. ნუ თუ ეგ არ მოიწევენ ჩვენს თავზედა რისხვასა და წყევას ჩვენი შთამომავლობისას“.

ამ გიორგი ერისთავის შესახებ ილია ჭავჭავაძე შემდეგს წერდა:

„ჩვენს გაჭირვებას წამალი მოუპოვა... უჩუმრად, ხმაამოუღებლივ, უშფოთვარად შესდგა ამ ბოლო ხანს ერთი ფრიად სასარგებლო საზოგადოება — იგია „ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება“, შედგენილი გ ი ო რ გ ი რ ო მ ა ნ ი ს-ძ ე ერ ი ს თ ა ვ ი ს მეცადინეობით. — რასაც თვითონ არ ვიმოქმედებთო, სხვისაგან ბევრს ნურას ველოდებითო; რასაც თვითეული ცალკე ვერ შევძლებთო, ამას საზოგადებრივად, ერთად ადვილად შევძლებთო—აი ორი ნაყოფიერი აზრი ამ მეცადინეობის დედა-ბოძად მიღებული“ („ივერია“, 1878 წ.).

„ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებას“ აურჩევია გამგე კომიტეტი (თავმჯდომარე გ. რ. ერისთავი, ამხანაგი კ. ქ. მამაცაშვილი, წევრები: ვ. გ. თულაშვილი, ნ. ზ. ცხვედაძე, ი. ს. გოგებაშვილი, ლ. ი. მაღალაშვილი, დ. გ. ერისთავი და ნ. პ. ქანანოვი), რომელსაც შეუდგენია სათანადო წესდება. კავკასიის მეფისნაცვალს წესდება 1880 წ. მარტში დაუმტკიცებია. აქვე მოგვყავს „საზოგადოების“ წესდება.

წესდება

„ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოებისა“

§ 1.

„საზოგადოება“ მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სწავლაგანათლების მიღებაში ღარიბ მოწაფეებს, უმთავრესად ამ „საზოგადოების“ წევრების შვილებს.

ამ მიზნის მისაღწევად „საზოგადოება“ აარსებს თავის სასწავლებლებს კავკასიის სასწავლო ოლქის მიერ კერძო სასწავლებლებისათვის დადგენილ წესების საფუძველზე და უწევს დახმარებას მატერიალური სახსრებით სხვა სასწავლებლების ნიჭიერ მოწაფეთ.

§ 2.

„საზოგადოების“ ქონება შესდგება: ა) საზოგადოების წევრების სავალდებულო გადასახადებისაგან; ბ) შემოწირულებათაგან; გ) იმ თანხებიდან, რომელთაც ყოველწლიურად გადაურიცხავს საზოგადოებას თბილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკი და დ) იმ შემოსავლიდან, რომელიც გროვდება „საზოგადოების“ მიერ გამართულ საჯარო ლექციებიდან, კონცერტებიდან, წარმოდგენებიდან და სხვ.

§ 3.

„საზოგადოება“ შესდგება ორივე სქესის ნამდვილი და საპატიო წევრებიდან. წევრების რიცხვი განსაზღვრული არ არის.

§ 4.

ნამდვილი წევრის სახელწოდება მიენიჭება ყველა იმ პირს, რომელიც „საზოგადოების“ კასაში ყოველწლიურად შეიტანს არა ნაკლებ სამი მანეთისა და ყოველ იმ პირს, რომელიც ითვლება თბილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელად, სანამ ეს ბანკი სწირავს ფულს საზოგადოების სასარგებლოდ. ის პირი, რომელიც წლის განმავლობაში საწევრო ფულს არ შემოიტანს, ჰკარგავს წევრობის სახელწოდებას.

§ 5.

საპატიო წევრის სახელწოდება საზოგადო კრების დადგენილებით ენიჭება იმ პირთ, ვინც ხელს შეუწყობს „საზოგადოების“ მიზნების განხორციელებას ან საკმაოდ დიდი შემოწირულებით არა ნაკლებ 500 მანეთისა, ან განსაკუთრებული თავისი მოღვაწეობით.

§ 6.

„საზოგადოების“ საქმეებს განაგებს როგორც ნამდვილ, ისე საპატიო წევრთაგან შემდგარი საზოგადო კრება და გამგე კომიტეტი.

§ 7.

საზოგადო კრებები შეიძლება იყოს ჩვეულებრივი და საგანგებო. ჩვეულებრივი მოიწვევა ყოველწლიურად, არა უგვიანეს 1 მარტისა „საზოგადოების“ გასული წლის მოქმედების განსახილველად და საშუალებათა გასარკვევად, რომელნიც საუკეთესოდ შეუწყო-

ბენ ხელს „საზოგადოების“ მიზნების მისაღწევად მომავალში, ამ წესდების შეცვლის ან წესდებაში დამატებების შეტანის მიზნით, აგრეთვე წესდებაში ნაჩვენებ სხვა საქმეთა გამო. საგანგებო კრებები ინიშნება საჭიროების მიხედვით ან გამგე კომიტეტის განკარგულებით ან საზოგადოების 25 წევრის კომიტეტში წერილობითი განცხადების შეტანით ასეთი კრების მოწვევის საჭიროების შესახებ. ჩვეულებრივი, ისე როგორც საგანგებო კრების მოწვევის შესახებ ცხადდება ადგილობრივ გაზეთებში ერთი თვით ადრე კრების დაწყებამდე იმ კითხვების აღნიშვნით, რომლებიც კრების მსჯელობის საგანს შეადგენენ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. საზოგადო კრება ჩაითვლება კანონიერად, თუ კრებას დაესწრო „საზოგადოების“ არა ნაკლებ 25 წევრისა, ხოლო თუ დანიშნულ დღეს 25 წევრზე ნაკლები გამოცხადდა, მაშინ კრება მეორედ ინიშნება, რომელიც მოწვეული იქნება პირველი არ შემდგარი კრების ორი კვირის შემდეგ და ჩაითვლება კანონიერად, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი წევრი დაესწრო კრებას; მხოლოდ ამ კრებაზე განიხილება ის საქმეები, რომლებიც დანიშნული იყვნენ პირველ კრებაზე.

2. საზოგადო კრებაზე წარდგენილ საკითხებს წინდაწინ იხილავს გამგე კომიტეტი. საზოგადოების წევრებს უფლება ეძლევათ გამგე კომიტეტის მეშვეობით ჩვეულებრივი კრების მოწვევამდე ერთი თვით ადრე შეიტანონ წერილობითი განცხადებები. საკითხების განხილვის წესი და სხვა ამ საკითხების შესახებ კითხვები განისაზღვრება კრების თავმჯდომარის მიერ.

3. წლიური ანგარიში საზოგადო კრების მიერ დამტკიცების შემდეგ იბეჭდება ერთერთს ადგილობრივ გაზეთში. საზოგადო კრების მიერ დამტკიცებული ანგარიშის ასლი ეგზავნება თბილისის გუბერნატორს. ყოველი დადგენილება საზოგადო კრებისა შეტანილი უნდა იქნეს ოქმში და ამ ოქმს ხელს უნდა აწერდნენ თავმჯდომარე და გამგე კომიტეტის წევრები.

§ 8.

საზოგადო კრებაზე საქმეები წყდება დამსწრე წევრების ხმის უბრალო უმეტესობით, ხმების თანასწორად გაყოფისას თავმჯდომარის აზრს ენიჭება უპირატესობა.

§ 9.

გამგე კომიტეტი 7 წევრისაგან შესდგება: თავმჯდომარისა, მისი ამხანაგისა, მდივნისა, ხაზინადარისა და სამი წევრისაგან. თავმჯდომარესა და მის ამხანაგს ირჩევს საზოგადო კრება, ხოლო მდივანსა და ხაზინადარს თვით კომიტეტი თავისი წევრებიდან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. გამგე კომიტეტის თავმჯდომარე თავმჯდომარეობს საზოგადო კრებაზე.

2. როცა თავმჯდომარე არ ესწრება კომიტეტის კრებას, მაშინ მის მოგვირობას ეწევა მისი ამხანაგი, ხოლო როცა ეს უკანასკნელიც არ ესწრება კრებას, მაშინ თავმჯდომარეობს კომიტეტის უფროსი წევრი.

§ 10.

გამგე კომიტეტის წევრებს საზოგადო კრება ოთხი წლის ვადით ირჩევს.

§ 11.

კომიტეტის ყველა წევრები „საზოგადოების" საქმეს უსასყიდლოდ ემსახურებიან.

§ 12.

კომიტეტში, ისევე როგორც საზოგადო კრებაზედაც, საქმეები ხმის უბრალო უმრავლესობით წყდება. კომიტეტის გადაწყვეტილების სრულყოფისათვის საჭიროა მისი შვიდი წევრიდან არა ნაკლებ ოთხი წევრის დასწრება. საკითხების განხილვის წესის განსაზღვრა ევალება თავმჯომარეს, როგორც კომიტეტში, ისე საზოგადო კრებაზე.

§ 13.

კომიტეტის სხდომებს საჭიროების მიხედვით კომიტეტის თავმჯდომარე იწვევს.

§ 14.

გამგე კომიტეტის, როგორც „საზოგადოების" აღმასრულებელი ორგანოს მოვალეობას შეადგენს: 1) ზრუნვა „საზოგადოების" მატერიალური სახსრების გადიდებისათვის და საზოგადოდ გამოძებნა ისეთი საშუალებებისა, რომლებიც საუკეთესოდ შეუწყობენ ხელს თავის მიზნის მიღწევისათვის; 2) თვალყურის დევნება საწევრო გადასახადების წესიერად შემოსვლისათვის; 3) განხილვა როგორც იმ ბავშვების საჭიროებათა, რომელნიც შემოდიან იმ სა-

სწავლებლებში, რომელნიც ეკუთვნიან საზოგადოებას, ისე იმ ბავშვებისათვისაც, რომელნიც სხვა სასწავლებელში სწავლობენ და თხოულობენ მატერიალურ დახმარებას; 4) ურთიერთობის დამყარება კომიტეტის თავმჯდომარის მეშვეობით დაწესებულებებთან და პირებთან „საზოგადოების“ საქმეების გამო; 5) შედგენა წლიური ანგარიშებისა, როგორც „საზოგადოების“ სალაროს შესახებ, ისე იმ სკოლების სალაროების შესახებ, რომელნიც „საზოგადოებას“ ექვემდებარებიან, აგრეთვე ფულის შემოსავალისა და გასავალის შესახებ საანგარიშო წლის განმავლობაში; 6) წარდგენა საზოგადო კრებისათვის თავის მოსაზრებათა „საზოგადოების“ საქმეთა გამო; 7) მოწვევა საგანგებო საზოგადო კრებებისა; 8) წარმართვა სასწავლო და სამეურნეო საქმეებისა იმ სკოლებში, რომელთაც საზოგადოება ინახავს; შედგენა მათთვის ინსტრუქციებისა; ახლო მეთვალყურეობა სკოლებზე იმ ფარგლებში, რომელნიც ნაჩვენები არიან კავკასიის სასწავლო ოლქის მიერ კერძო სასწავლებლების შესახებ; არჩევა სასწავლო პერსონალისა სასწავლო მმართველობის თანხმობით.

§ 15.

„საზოგადოების“ თავისუფალი თანხები უნდა ინახებოდეს ქ. თბილისის ერთერთს საკრედიტო დაწესებულებაში მიმდინარე ანგარიშზე. საანგარიშო წიგნაკი უნდა ინახებოდეს ხაზინადართან, ხოლო ჩეკები — თავმჯდომარესთან.

§ 16.

„საზოგადოებას“ თავისი ბეჭედი აქვს.

§ 17.

„საზოგადოებას“ უფლება ეძლევა შეიძინოს სრულ საკუთრებად უძრავი ქონება „საზოგადოების“ საჭიროებისათვის.

§ 18.

იმ შემთხვევაში, როცა „საზოგადოება“ საზოგადო კრების დადგენილების თანახმად თავის მოქმედებას შეწყვეტს, ყველა განკარგულებაში არსებული ნაღდი თანხები და აგრეთვე ის ფული, რაც მისი ქონების გაყიდვის შემდეგ დარჩება, უნდა გადაეცეს თბილ. გუბერნიის თავად-აზნაურობას თბილისის გუბერნიის მი-

წათმომქმედთა და მიწისმფლობელთა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ნამდვილს ხელს აწერენ:

კომიტეტის თავმჯდომარე გენერალ-ლეიტენანტი კ. მამაცაშვილი[1]

იაკობ გოგებაშვილი[2]

წევრები: ნიკ. ცხვედაძე[3]

თედ. ჟორდანია[4]

ვახტანგ თულაშვილი[5].

---

[1] კონსტანტინე კრისტეფორეს-ძე მამაცაშვილი—გენერალი, საზოგადო მოღვაწე; დაიბადა 1814 წელს.

[2] იაკობ სვიმონის-ძე გოგებაშვილი—გამოჩენილი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე (1840—1912 წწ.).

[3] ნ. ცხვედაძე—პედაგოგი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე (1845—1911 წწ.)

[4] თედო ჟორდანია—სიძველეთა მკვლევარი (1854—1916 წწ).

[5] ვ. თულაშვილი—საზოგადო მოღვაწე (1842—1909 წწ.).

ზემოთ მოყვანილი წესდების საფუძველზე „საზოგადოების“ გამგე კომიტეტს გაუხსნია სკოლა პანსიონით, რომელსაც ოფიციალურად მოქმედება 1879 წლის 6 თებერვალს დაუწყია. ამ ამბავს ჟურნალი „ივერია“ (1879, № 1) ასეთ სიტყვებს უძღვნის:

„ახლად დაარსებულმა „ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებამ“ განიზრახა გამართვა თბილისში ისეთი სასწავლებლისა, სადაც მოზარდ ქართველებს მიეცემათ საშუალება პირველდაწყებითი განათლება თავის დედაენის შემწეობით მიიღონ. ეს განზრახვა ახლა სისრულეში მოყავს „საზოგადოების“ გამგებელ კომიტეტს, რომელმაც უკვე დაიქირავა კუკიაში მშვენიერი სასკოლო სახლი, მოიპოვა სკოლისათვის ყველა საჭირო ნივთეულობა და ხსნის სკოლას თებერვლის პირველ რიცხვებში.

ჩვენ საფუძველი გვაქვს ვსთქვათ, რომ ეს სკოლა ხვალ, თუ ზეგ, ამ მოკლე ხანში შეიქნება სათავედ, საიდანაც, ალმოცენდება ერთი კარგი კერძო გიმნაზია ქართველებისა“

დიდი ილია „ივერიის“ 1879 წლის მიმოხილვაში თანაგრძნობითა და ქებით იხსენიებს „ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოებას“ და მის სკოლას. იგი წერს: „არსებობს ჩვენში სკოლა, ჯერჯერობით მოსამზადებელი, რომელიც უნდა გახდეს საშუალო სასწავლებლად და მით შეავსოს საქმე, რომლისათვისაც ხელის მოკიდებას აპირობს ახლად დაარსებული „საზოგადოება“. ეს საშუალო სასწავლებელი, ჩვენი საკუთარი, — ქართული სასწავლებელი, — შეიქნება ჩვენი ხალხისთვის სახსარი უფრო მომეტებულის სწავლისა და განათლების შესაძენად; ეს სასწავლებელი გამოგვიზრდის ჩვენ საკუთარს, ქართველ ინტელიგენციას, ე. ი. იმგვარ პირთ, რომელნიც არიან დედაბოძნი ყოველის ხალხის განვითარებისა და წარმატებისა“[1].

გაზეთი „დროება“ (1879 წ. თებერვალი) კიდევ ასე შეგებებია ახალ სკოლას: „გუშინ აკურთხეს ჩვენს ქალაქში „ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების“ სკოლა.

დიდძალი საზოგადოება დასწრო ამ კურთხევაზე; ყველას დიდი

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. XI, 1927, გვ. 27.

ამაყოფილება და სიამოვნება ეტყობათ ამ ქართული სკოლის გახსნის გამო.

სულითა და გულით ვინატრით ამ ახლად დაბადებულ პირველი ქართული სკოლის წარმატებასა და დღეგრძელობას. ვინატრით რომ ის გადაქცეულიყოს გიმნაზიად და იმაში კურსშესრულებულ ყმაწვილ-კაცობას ნამდვილი ქართველის გული შერჩენოდეს და მამულიშვილობა არ დავიწყებოდეს".

თვით რედაქტორი გაზეთ „დროებისა" სერგეი მესხი[1] ამ სიტყვებით შეეგება სკოლის გახსნას: „ადრე ჩვენი შვილების სწავლა უთაურად მიდიოდა. ახლა იმედი გვაქვს რამდენიმე ათი ყმაწვილი მაინც ამ სკოლის წყალობით სწორეთ ისეთს პირველ-დაწყებითს სწავლას მიიღებენ, როგორსაც ნამდვილი პედაგოგია მოითხოვს. ყველაზე პირველად ის მაინც იქნება, რომ ქართველი ყმაწვილები თავის გასაგებ ენაზე დაიწყებენ სწავლას, სხვა არა იყოს რა, ეცოდინებათ მაინც, თუ რას ეუბნება იმას მასწავლებელი, რაზე ელაპარაკება და რა საგანს უხსნის — ესეც დიდი ბედნიერებაა.

მაგრამ ყველაზე უფრო ჩვენ იმიტომ გვიხარიან ამ სკოლის გახსნა, რომ იმედი გვაქვს იმაში ისადგურებს ნამდვილი ქართული სული, ქართული ხასიათი; იქ არ დაავიწყდებათ ყმაწვილებს, რომ ისინი საქართველოს შვილნი არიან, რომ ისინი შემდეგში თავის ქვეყანას უნდა ემსახურონ, რომ საქართველოს ხალხისათვის იზრდებიან ისინი. რა კეთილს ნაყოფს მოიტანს ამგვარი ხასიათის სკოლა — ეს ცხადია... ამბობენ, სკოლის დამაარსებელთ იმედი აქვთ, რომ ეს სკოლა თანდათან გაზარდონ, გაადიდონ, თანდათან უმატონ იმას კლასები ისე, რომ რამდენიმე წლის შემდეგ გიმნაზიად გადააკეთონ. თუ ეს იმედი შესრულდა, რაღა თქმა უნდა, ქართველი საზოგადოება ძლიერ და ძლიერ მოხარული უნდა იქნეს" („დროება", 1879 წ., № 31).

ამ ახალ გახსნილი სათავადაზნაურო სკოლის პირველი გამგე, რომელსაც ინსპექტორი ეწოდებოდა, შიო შიუკაშვილი იყო, ხოლო პირველი განყოფილების მასწავლებელი ოლღა გურამიშვილი, შემდეგში ნიკო ნიკოლაძის მეუღლე.

„ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება" თბილისის სათავად-აზნაურო სკოლას ინახავდა „საზოგადოების" წევრების საველდებულო გადასახადით (წელიწადში 3 მანეთი), შემოწირულებებით, იმ თანხებით, რომელთაც ყოველწლიურად გადაურიცხავდა „საზოგადოებას" თბილისის საადგილმამულო ბანკი, აგრეთვე იმ შემოსავლით, რომელიც გროვ-

[1] სერგეი მესხი—ცნობილი პუბლიცისტი, ჟურნალისტი (1844 – 1883 წწ.).

დებოდა „საზოგადოების“ მიერ გამართულ კონცერტებზე, წარმოდგენებზე და სხვ...

„საზოგადოების“ წესდების თანახმად, სკოლის როგორც სამეურნეო, ისე სასწავლო ნაწილი ჩაბარებული ჰქონდა „ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებას“, რომლის აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენდა საზოგადო კრებაზე არჩეული, შვიდი წევრისაგან შემდგარი გ ა მ გ ე კ ო მ ი ტ ე ტ ი.

1879 წლის 10 მაისს გამგე კომიტეტს „ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების“ კრებისათვის უკვე მოუხსენებია სკოლის ანგარიში მისი წარსული ოთხი თვის მოქმედების შესახებ.

ამ ანგარიშს გაზეთი „დროება“ ვრცელ წერილს უძღვნის და წერს:

„ამ ანგარიშიდან აღმოჩნდა, რომ გამგე კომიტეტმა „საზოგადოების“ მიზნის უკეთეს მისაწვენელად საჭიროდ დაინახა მოსამზადებელი სკოლის გახსნა, სადაც ქართველთა შვილები მიიღებენ პირველდაწყებით სწავლას და მოემზადებიან სხვადასხვა სასწავლებელში შესასვლელათ. სკოლაში უნდა იყოს ოთხი განყოფილება, წლიური კურსით თვითეულში. სასწავლო საგნები არიან: საღმრთო სჯული, ქართული ენა, რუსული ენა, არითმეტიკა, გეოგრაფია, დაკვირვებითი სწავლა, ხატვა, გალობა და გიმნასტიკა.

ცხარე ბაასი ასტეხა ანგარიშის იმ ადგილმა, სადაც მოხსენებული იყო, რომ სწავლა პირველსავე სამ წელიწადს უნდა იყოს ქართულ ენაზე და მეოთხე წელიწადს რუსულს ენაზე. ილია ჭავჭავაძე ამტკიცებდა, რომ სწავლა მეოთხე წელსაც ქართულს ენაზედ უნდა გაგრძელდესო და რუსული ენა მთელი კურსის განმავლობაში იყოს ცალკე საგანი და არა სწავლის საშუალება. ამასთან იმასაც უმატებდა, რომ ოთხი წლის განმავლობაში მასწავლებლები რუსულს ენას კარგად შეასწავლიან ბავშვებსაო, თუ იგინი იქნებიან მხნენი და მარჯვენიო.

ამავე აზრს ესარჩლებოდნენ გ. წერეთელი[1] და ივ. მაჩაბელი[2]. ნ. ცხვედაძე არ ეთანხმებოდა, ამათ; იგი ამტკიცებდა, რომ მართალია, მეტად სასურველი და სანატრელი საქმეა ქართული ენის შეუწყვეტელი ხმარება სკოლაში, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება დაუბრკოლებლივ ასრულდეს, როდესაც ჩვენ თვითონ გვექნება

[1] გიორგი ექვთიმეს-ძე წერეთელი—ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე (1842—1900 წწ.).

[2] ივანე გიორგის-ძე მაჩაბელი—ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, შეკსპირის პიესების მთარგმნელი (1854—1898 წწ.).

საკუთარი გიმნაზია. ახლა კი ამ აზრის ასრულება სკოლის მიზანს წინ გადაეღობებაო. ჩვენი სკოლის მოწაფეთ უნდა დაიპირონ ეგზამენია სხვადასხვა საშუალო სასწავლებელში შესასვლელად და ამ სასწავლებლებში ისეთი ყურადღებაა მიქცეული რუსულ ენაზედ და ისეთს წმინდა რუსულს ითხოვენო, რომ ჩვენი მოწაფეები გამარჯვებით კონკურენციას ვერ გაუწევენ სხვაგან მომზადებულ ყმაწვილებსა, თუ ერთ წელიწადს მაინც არ ივარჯიშებენ რუსულ ენაზედ სწავლის გადაცემაში და არ შეისწავლიან მტკიცეთ საგნის ენასა, მათი ტერმინოლოგიით.

ორივე მხარე მტკიცედ იდგა თავის ჰაზრზედ და კრებაც ჩიხში მოექცა. ამ დროს ითხოვა ნება სიტყვისა კომიტეტის წევრმა უფ. იაკ. გოგებაშვილმა და სთქვა: „ეს ბაასი იმიტომ ატყდა, რომ ანგარიშში დაწვრილებით არ არის განმარტებული ეს საგანი. ის პირნი, რომელნიც წინააღმდეგი არიან რუსულ ენაზე სწავლებისა მეოთხე განყოფილებაში, უსათუოდ ფიქრობენ: პირველ სამ წელიწადს სამ ნაწილს ყველა საგნებისას ქართულად გაივლიან მოწაფენნო და მეოთხე წელიწადს მეოთხე ნაგლეჯს რუსულადაო და მაშასადამე მთელი საგნების სწავლება ქართულს ენაზედ არ დამყარდებაო. ეს ასე არ გახლავთ: ის საგნები (არითმეტიკა, საღმრთო სჯული), რომლებშიაც ეგზამენია უნდა დაიპირონ ჩვენმა მოწაფეებმა, პირველ სამ წელიწადს უნდა გაათავონ სრულიად, თავითბოლომდის ქართულ ენაზედ და მეოთხე წელიწადს რუსულ ენაზედ. მხოლოდ უნდა გაიმეორონ ყველა ის, რაც უსწავლიათ ქართულად. იმ საგნებს კი (გეოგრაფია, ბაგალითად), რომლების ცოდნა არ მოეთხოვება ჩვენ მოწაფეთა ეგზამენიის დროსა, ჩვენი მოწაფენი ისწავლიან ქართულად არა მარტო სამ წელიწადს, არამედ მეოთხესაცა. ამგვარი დაწყობილება იცავს ყველა საგნების ინტერესსა და არც ერთი მხრით დანაკლისი არ არის. ეს დაწესებულება კომიტეტმა თავდაპირველადვე მიიღო და სისრულეში მოიყვანს, როცა შკოლა თავის კალაპოტში ჩავარდება და გაიხსნება ოთხივე განყოფილება“ (გაზ. „დროება“, 1879 წ. ივნისი).

კომიტეტის ამგვარი გადაწყვეტილება კრებამ სავსებით მოიწონა.

1880—1881 სასწავლო წელს სკოლაში 81 მოწაფე ირიცხებოდა, აქედან —30 პანსიონერი, დანარჩენი კი გარედან მოსიარულე. 81 მოწაფიდან 68 თავად-აზნაური იყო, დანარჩენი 13— სხვა წოდებისა. გვარ-ტომობით ყველანი ქართველები ყოფილან, გარდა სამი რუსისა, რომელთაც ქართული კარგად სცოდნიათ. 1880 წლის საზოგადო კრებაზე კომიტეტის წევრებად სამი ახალი წევრი აურჩევიათ: თე-

ლო ჟორდანია, ვ. ს. მიქელაძე და ნ. ნიკოლაძე, დანარჩენი წევრები იყვნენ: ნ. ცხვედაძე, ნ. ქანანოვი, ვ. თულაშვილი და ვ. თუმანიშვილი. თავჯდომარედ კ. მამაცაშვილი და მოადგილედ ი. გოგებაშვილი ერთხმად უკენჭოდ აურჩევიათ.

სკოლის გამგედ, ინსპექტორად გამგე კომიტეტს ი. გ. მაჩაბელი აურჩევია. ამ არჩევანს ჩვენს ინტელიგენციაში თურმე უკმაყოფილება გამოუწვევია, რადგან ივ. მაჩაბელი უცხოეთიდან ახლად დაბრუნებული და სულ სხვა საქმისათვის მომზადებული, როგორც პედაგოგი სრულიად გამოუცდელი ყოფილა. მაშინ როდესაც მისი მეტოქე ალ. ჭიჭინაძე უკვე გამოცდილი და სახელმოხვეჭილი პედაგოგი ყოფილა... კიდევაც ივ. მაჩაბელს ამ მისთვის შეუფერებელ საქმისათვის მალე დაუნებებია თავი. თავისი განცდები და კომიტეტის ზოგიერთი წევრის უხეში და უგნური ჩარევა სკოლის მართვა გამგეობაში ივ. მაჩაბელს აღწერილი აქვს. ვ. გ. მაჩაბლისადმი მიწერილ წერილში. (იხ. გაზეთ „სახალხო განათლება", 1948 წ., № 28).

„საზოგადოების" 1882 წლის ანგარიშის მიხედვით („დროება", 1882, № 107), სათავადაზნაურო სკოლაში 140 მოწაფე ირიცხებოდა, აქედან პანსიონერი—63, გარედან მოსიარულე —77. ამ 77 მოწაფიდან სწავლის ფულისაგან განთავისუფლებული იყო 67. რუსული ენის სწავლება მეორე წლიდან იწყებოდა. სკოლის მოწაფეები დაუბრკოლებლივ მიუღიათ სხვადასხვა საშუალო სასწავლებლების პირველ კლასში.

უნდა ითქვას, რომ საქართველოში ამ ერთადერთ ეროვნულ სასწავლებელს ილია ჭავჭავაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ამიტომაც მის ცხოვრებაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა სიტყვითა და კალმით. ილია ჭავჭავაძე ხშირად მოდიოდა გიმნაზიაში, ესწრებოდა გაკვეთილებს, აკვირდებოდა პანსიონერების ყოფა-ცხოვრებას და სახლშიაც კი პატიჟობდა მათ.

აი როგორი შენიშვნაა დაბეჭდილი 1882 წლის გაზ. „დროების" მე-2 ნომერში ამ სასწავლებლისადმი ილიას დამოკიდებულების შესახებ:

„შაბათს მაისის 29-ს იყო უკანასკნელი ეგზამენი თბილისის საათავადაზნაურო სკოლაში. სკოლის კომიტეტის წევრთა გარდა, ამ დღეს ეგზამენს დაესწრენ ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ორბელიანი, ლ.მაღალაშვილი, ზ. ბარათაშვილი და სხვ. დამსწრენი კმაყოფილებით ისმენდნენ მოსწავლეთა სიტყვა-პასუხს და მათგან თავისი ცოდნის გამოჩენას.

ეგზამენების შემდეგ მათ დახედეს ბავშვებს, როდესაც ესენი სადილსა სჭამდნენ... აქ ერთს გარემოებას მიაქციეს ყურადღება —

ღვინის უქონლობას სუფარზე.— ძალიან კარგი იქნებაო, ბრძანა ალექსანდრე ორბელიანმა, რომ ამ ბავშვებს ღვინო ჩვენ უგზავნოთ ხოლმე...

— აი, ბატონებო, შევგროვდეთ ერთი! თხუთმეტიოდე კაცი,



R 13789/2

ივანე მაჩაბელი

სთქვა ილიამ, და დავაწესოთ, რომ თვითეულმა ჩვენგანმა წელიწადში ოროლი კოკა ღვინო[1] და თხუთმეტ-თხუთმეტი კოდი[2] პური შეაწიოს ხოლმე ამ სკოლას.

ამ წინადადებაზე ყველა იქ მყოფთ ერთხმად თანხმობა გამოაცხადეს... იქ არ მყოფნიც, რომელთაც სწავლისათვის გული ერჩო-

---

[1] კოკა—ღვინის საწყაოა, კოკაში თორმეტი თუნგია, თუნგში 6 ჩარეკა (ლიტრა). კოკა=72 ჩარეკას (ლიტრა).

[2] შუა ქართლში კოდი უდრიდა 4 ფუთს, ზემო ქართლში (ხაშურისა და ქარელის რაიონები)—5 ფუთს, შიგნით კახეთში—3 ფუთს. 4—ფუთიან კოდში 8 ჩანაბია.

დათ კმაყოფილებით იკისრებდნენ პატარა საზოგადოების წევრობას და მით თავის ერთად-ერთ სკოლას დიდს შემწეობას აღმოუჩენდნენ.

ეჭვი არ არის, რომ აქ მოხსენებული საქმედ გადაიქცევა: საკმაოა



ნიკო ლომოური

ზემოთ დასახელებული პირები გავიხსენოთ, რომ ყოველივე იქვნეულობა ამ სიტყვების განხორციელებაში გაიფანტოს".

ეს შენიშვნა, ვფიქრობ, ეკუთვნის ნ ი კ ო ლ ო მ ო უ რ ს, რომელიც 1882 წელს სათავადაზნაურო სკოლის გამგე იყო.

II. თბილისის ქართული პროგიმნაზიის ორგანიზაცია

1884 — 1885 სასწავლო წლიდან სკოლასთან გაიხსნა პირველი პროგიმნაზიური კლასი და ამ პროგიმნაზიური კლასების გახსნა დასრულდა 1890 წელს. ასე რომ, 1890 წლიდან თბილისის კერძო სა-

თავადაზნაურო სკოლა უკვე პროგიმნაზიის სახით არსებობს. მეხუთე გიმნაზიური კლასი უსახსრობის გამო 1896 წლამდე ვერ გაიხსნა, ამიტომ 1890 წლიდან 1896 წლამდე, სანამ ქართულ გიმნაზიაში მეხუთე კლასი გაიხსნებოდა, პროგიმნაზიის მაშინდელს გამგეს



ალ. ჭიჭინაძე

ალ. ჭიჭინაძეს პროგიმნაზიის კურსდამთავრებული მოსწავლეები ზაფხულში მანგლისში მიჰყავდათ და იქ პროგიმნაზიის მასწავლებლები განსაკუთრებით ამზადებდნენ მათ, რომ აგვისტოში სახელმწიფო გიმნაზიაში წარმატებით ჩაებარებინათ მე-5 კლასში მისაღები გამოცდები.

1887 წელს ილია ჭავჭავაძესთან მიიყვანეს პატარა სვანი — ივანე ნიჟარაძე, ხოლო ილიამ ნიჟარაძე ქართულ პროგიმნაზიაში გამოგზავნა აღსაზრდელად. როცა ნიჟარაძემ ჩვენი პროგიმნაზია გაათავა, შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის ეკათა მესამე გიმნა-

ზიაში, ხოლო ბინა, ჭამა-სმა, ჩაცმა-დახურვა ისევ ქართულ სასწავლებელში ჰქონდა და ასე იყო გიმნაზიის დამთავრებამდე; შემდეგ ქართულმა გიმნაზიამ სტიპენდია დაუნიშნა და პეტერბურგში, ახლანდელ ლენინგრადში, დაამთავრებინა ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. იგი დოცენტი იყო, ლათინურ და ბერძნულ ენას ასწავლიდა სახელმწიფო უნივერსიტეტში. „საზოგადოების“ ხარჯზე გიმნაზიაში სხვადასხვა დროს იზრდებოდნენ აპარლებიც.

„1886 წელს გაზაფხულზე ჩვენი გიმნაზიის შენობაში „წ. კ. გ. საზოგადოების“ კრებები იმართებოდა. ამ კრებებს ესწრებოდა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე. გიმნაზიის გამგეს ალ. ჭიჭინაძეს ვთხოვეთ პანსიონერებმა — ეჩვენებია ჩვენთვის ილია... პატარა ხნის შემდეგ პანსიონში შემოვიდნენ ილია ჭავჭავაძე და ალ. ჭიჭინაძე. ილია მოგვესალმა, გვითხრა მოკლე სიტყვა და ბოლოს მისს სახლში სადილად დაგვპატიჟა... დანიშნულ დღეს გამგისა და აღმზრდელის თანხლებით ვეწვიეთ ილიას“ (დამსახურებული ექიმის ნ. ჯანდიერის მოგონებიდან).

ილია ჭავჭავაძე დიდ ინტერესს იჩენდა გიმნაზიაში სწავლების დაყენების მიმართაც. ის არაერთხელ დასწრებია გაკვეთილებს და თავისი მოსაზრებები გამოუთქვამს სწავლების მნიშვნელოვან საკითხებზე. ასე, მაგალითად, 1896 წელს ის ივანე მაჩაბელთან ერთად დაესწრო არისტო ქუთათელაძის გაკვეთილს.

პროგიმნაზიის ტიპის გამოკვეთა

„ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების“ კრებებზე დღიდან სკოლის დაარსებისა, თითქმის ყოველწლივ წამოიჭრებოდა ხოლმე საკითხი, თუ რა ტიპის სკოლა უფრო შეეფერებოდა „ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების“ მოთხოვნილებებს.

1888 წელს გამგე კომიტეტში ნ. ზ. ცხვედაძემ წარადგინა სამეურნეო სასწავლებლის ორი პროექტი. 1893 წელს „საზოგადოებაში“ აღიძრა სათავადაზნაურო პროგიმნაზიის სრულ გიმნაზიად გადაკეთების საკითხი, მაგრამ დადებითად ვერ გადაიჭრა. გამგე კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე კ. ქ. მამაცაშვილი არაერთხელ აყენებდა საკითხს სასწავლო უწყების წინაშე, რომ ქართულ პროგიმნაზიას მინიჭებოდა სახელმწიფო სასწავლებლის უფლებები, მაგრამ ყოველთვის უარი მიუღია.

1893 წელს „საზოგადოების“ მორიგ კრებაზე აირჩიეს 15 პირისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც უნდა წარმოედგინა მოხსენება პროგიმნაზიის ტიპის შესახებ. კომისიაში არჩეული იყვნენ: ნ. ი. ნიკოლაძე[1], ი. ს. გოგებაშვილი, დ. ა. გურამიშვილი, ნ. ვ. ორბელიანი, მ. ა. გრუზინსკი, ა. ი. ბაქრაძე, ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, პ. ი. ყიფიანი, პ. გ. ნაკაშიძე, ა. ს. ფირალოვი, დ. ი. მუსხელოვი, ი. ა. გამყრელიძე, გ. დ. ქურელი, ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ი. ს. ჯაბადარი.

ამ კომისიის წევრები მაშინდელი ქართული მოწინავე საზოგადოების თვალსაჩინო მოღვაწეები იყვნენ, და ეს გარემოება ადასტურებს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველობა ამ სასწავლებელს.

კომისიის წევრი პ. გ. ნაკაშიძე არ დაეთანხმა უმრავლესობის აზრს და კომისიაში თავისი კერძო აზრი წარადგინა. ჩვენი ფიქრით, პ. ნაკაშიძის კერძო აზრი იმ დროისათვის საყურადღებოა, ამიტომ მოგვყავს ის.

„სათავად-აზნაურო სკოლის ტიპის გამომმეშვებელ
კომისიის წევრის პეტრე გიორგის-ძის ნაკაშიძის[2]

გ ა ნ ც ხ ა დ ებ ა

კომისიის მიერ გადასაჭრელი საკითხი იმის შესახებ, თუ რა ტიპის სკოლა უფრო უპასუხებს ჩვენი თავად-აზნაურობის საჭიროებებს, უკვე საბოლოოთაა გადაწყვეტილი იმ მიმართულებით, რომ ამჟამად არსებული სკოლა მიჩნეულია როგორც ყველაზე უფრო დამაკმაყოფილებელი ჩვენი მოთხოვნილებებისა განათლების დარგში. ამიტომაც ხსენებულ შეკრებილობაში შესვლა წინადადებით, რომ ჩვენთან მოწყობილი იქნეს აგრეთვე სხვა ტიპის სკოლაც, სახელდობრ სასოფლო-სამეურნეო, ჩემი აზრით არ შედის კომისიის მოვალეობათა და უფლებამოსილებათა ფარგლებში.

მაგრამ ამ წმინდა ფორმალური მხარის გარეშე, არსებობს მეორე უფრო არსებითი მიზეზიც, რომ არ აღიძრას ჩვენში ჯერჯერობით სასოფლო-სამეურნეო სკოლის მოწყობის საკითხი, რომელსაც სრულიად არა აქვს გადაუდებელი აუცილებლობის ხასიათი.

ჩვენი ქვეყნის მიმართ გრონომიული განათლების საკითხის შესახებ მსჯელობისას ჩვეულებრივ მხედველობის გარეშე რჩება

[1] ნ. ი. ნიკოლაძე—ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე (1842—1928 წწ.).

[2] პ. გ. ნაკაშიძე (1838—1895 წწ.)—საზოგადო მოღვაწე, რომელსაც ილია ჭავჭავაძემ უძღვნა „ქართველის დედა“ და „დიმიტრი თავდადებული“.

ხოლმე საქმის ერთი საყურადღებო მხარე, სახელდობრ: ამ განათლების გამოყენება ჩვენი სოფლის მეურნეობის პირობებში. ჩვენი ეკონომიური ვითარების საკალალო მდგომარეობა, რომელსაც ჩვეულებრივ იყენებენ ხოლმე, როგორც დამამტკიცებელ საბუთს ჩვენში აგრონომიული ცოდნის გავრცელების აუცილებლობისა, წარმოადგენს კიდევაც მთავარ დაბრკოლებას ამ ცოდნის ცხოვრებაში გამოყენებისათვის. მეცნიერული მიწათმოქმედება ანუ სოფლის მეურნეობის წარმართვა აგრონომიის საფუძველზე, უეჭველად მოითხოვს განსაზღვრულ ხარჯებს, რომლებიც ხელმიუწვდომელია დღეს, როგორც რაიმე კაპიტალის მარაგის უქონლობის გამო, ისე იმდენადვე სხვა მრავალი ჩვენი ცხოვრების არახელსაყრელი ეკონომიური პირობების წყალობით. მეცნიერება ევლინება მაშველად მიწათმოქმედებას მხოლოდ მისი ამოცანების გართულებისას, რომელნიც ჩვეულებრივ წარმოიშობიან მოსახლეობის გარკვეული სიმჭიდროვის, მიწის მცირე ნაკვეთიანობის, ბაზრების მრავალფეროვანების, სოფლის მეურნეობის პროდუქციებზე გაძლიერებული მოთხოვნილების დროს და საზოგადოდ კეთილდღეობის და ცივილიზაციის გარკვეულ საფეხურებზე; ასეთ პირობებში მიწათმოქმედების გაუმჯობესებული წესებით წარმართვა მოგებით აანაზღაურებს გაწეულ ხარჯებს.

ჩვენში კი მიწათმოქმედება იმყოფება თითქმის პრიმიტიულ მდგომარეობაში, მასზე გაწეული ხარჯები საზარალოა და ზოგჯერ კიდევაც გამანადგურებელი. მთელი ჩვენი უბედურება იქიდან კი არ წარმოდგება, რომ ჩვენ სკოლები არა გვაქვს, არამედ საქმის იმ ვითარებით, რომლის ძალითაც ჩვენი მოხმარების ყოველი საგანი, დაწყებული უბრალო პერანგითა და ლურსმანით და გათავებული ძვირფასი ქსოვილებითა და ისტრუმენტებით, იძულებული ვართ გამოვიწეროთ ზღვებისა და ოკეანეების გადაღმიდან. გარდა ამ საგნების ადგილზე ღირებულებისა ჩვენ მათში ვუხდით ჩვენ ვაჭრებს კიდევ უზარმაზარ მძიმე გადასახადს, საკომისიო და სხვა ზედნადების ხარჯების სახით, რომელთა გადახდაზე ყოველწლიურად მიდის მთელი ჩვენი შრომის ხელფასი, რის წყალობითაც ასე ძლიერად ფერხდება ჩვენს ქვეყანაში კაპიტალების დაგროვება, რაც თავის მხრივ იწვევს ჩვენი ეკონომიური ცხოვრების სრულ დაკნინებას.

კეთილდღეობის განვითარებისაკენ მიმავალი გზა ერთია: იგი ზუსტადაა განსაზღვრული ევროპელი ხალხის ათასწლიური კულტურული ცხოვრებით და წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყანაში საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობის მუდმივ და ყოველდღიურ განვითარებასა და გავრცელებას.

ზემოთმოყვანილ მოსაზრებათა საფუძველზე, მე არ შემიძლიან

დავეთანხმო კომისიის უმრავლესობის აზრს სასოფლო-სამეურნეო სკოლის მნიშვნელობის და ჩვენთვის აუცილებლობის შესახებ და ვთვლი მის მოწყობას ყოველ შემთხვევაში ნაადრევად.

ამასთან მაქვს პატივი ვაცნობო კომისიას, რომ შერყეული ჯანმრთელობის გამო საშუალება არა მაქვს დავესწრო მის სხდომებს.

თავ. პ. გ. ნ ა კ ა შ ი ძ ე.

თბილისი, 1895 წ. მაისი".

1895 წელს იაკობ გოგებაშვილს ამავე კომისიაში შეუტანია კერძო აზრი, სადაც მოითხოვდა, რომ სკოლაში კლასიკური კლასების პარალელურად გახსნილიყო რეალური კლასებიც და, ამრიგად, სკოლას ორნაირი—კლასიკურ-რეალური ხასიათი ჰქონოდა.

ყველა ეს მასალა გამგე კომიტეტს თავის კრებაზე განუხილავს და მორიგ საზოგადო კრებაზე თავისი მოსაზრება წარუდგენია.

„დაგროვილ მასალაში გამოთქმულ აზრების მიხედვით ჩანს, რომ, თუ გვსურს საზოგადოების დახმარებით ქართველებს გაეხსნათ სწავლის გზა, უნდა ვიქონიოთ საკუთარი სასწავლებელი. ეს აზრი ყველასაგან იყო აღიარებული კრებაზე. მაგრამ საგანმა, თუ რა ტიპის სასწავლებელი უფრო საჭიროა ჩვენთვის და რამდენ კლასიანი უნდა იყოს ეს სასწავლებელი, გამოიწვია ხუთადასხვა მოსაზრება. ყველა ეს მოსაზრებანი შეიძლება ხუთად გაიყოს.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ს ა ზ რ ე ბ ა. კლასიკურ გიმნაზიებს უპირატესობა აქვთ მინიჭებული მთავრობისაგან. აქ კურსშესრულებულთ უფრო ფართო გზა აქვთ დათმობილი. ამათ შეუძლიანთ შევიდნენ ყოველსავე მაღალ სასწავლებლებში და ესევე არ შეიძლება ითქვას რეალურ სასწავლებლებში კურსშესრულებულებზე. ეს დიდი გარემოებაა. რამდენადაც სწავლის მეტი გზა ექნებათ ჩვენს მოსწავლე ყმაწვილებს, იმდენი კარგია, რადგანაც ჩვენი სამშობლო საჭიროებს მომქმედ პირთ არა მარტო ერთ ასპარეზზედ, არამედ ცხოვრების ყოველ ასპარეზზედ; რამდენად საჭიროა აგრონომიის და ექიმობის მცოდნე კაცი, იმდენად საჭიროა კარგი და განვითარებული მოხელე. ყველა ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ტფილისში სამი კლასიკური გიმნაზიაა და მინამ ჩვენს სასწავლებელს ექნება მოსამზადებელი ხასიათი, პრაქტიკული მოსაზრება მოითხოვს, რომ კლასიკურს ნიადაგზე იდგეს იგი, რადგანაც ამ შემთხვევაში უფრო ბევრის ყმაწვილების მიცემა შეიძლება სახელმწიფო სასწავლებლებში, რომლებითაც უთუოდ უნდა ვსარგებლობდეთ. ყველა ამის მიხედვით უნდა შევინახოთ ჯერაობით ის სასწავლებელი, რომელიც ეხლა

გვაქვს, და, თუ შეძლება გვექნება, ამ სასწავლებელთან გავხსნათ რეალური კლასებიც.

მ ე ო რ ე მ ო ს ა ზ რ ე ბ ა. ჩვენის ქვეყნის სიმდიდრე, ჩვენი დედამიწის ნოყიერება, აგრეთვე ჩვენი ცხოვრების გარემობა.— ყველა ეს მოწმობს, რომ ჩვენთვის უფრო შესაფერია სამეურნეო სასწავლებელი. ჩვენის მიწა-წყლისათვის დაღვარეს სისხლი ჩვენმა წინაპრებმა: ამ მიწა-წყალმა შეგვინახა ჩვენ აქამომდენ და ამან უნდა დაგვიფაროს მომავალშიაც. მხოლოდ ამჟამად მიწა-წყალს სხვანაირი მოვლა უნდა, სხვანაირი შემოშავება.—ძველი ხვნა და თესვა, ძველებურად ღვინის დაყენება, ერთის სიტყვით მამა-პაპურად მიწის შემოშავება წინ ვერ წაგვწევს. ეხლა სხვა დროა, სხვას მოითხოვს ჩვენი აწინდელი ცხოვრება. თუ ეხლავე არ შევუდექით ხალხში გონივრულ მეურნეობის გავრცელებას, ჩვენი ხალხი, გლეხი თუ თავადი, კეთილდღეობის სფერაში ფეხს ვერ მოიკიდებს, უფრო და უფრო ჩავარდება სიღარიბეში და ეს დაბოლოვდება იმით, რომ ჩვენ მამა-პაპათა ნაანდერძი მიწა-წყალი ხელიდან გამოგვეცლება. ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენს საკუთარ სასწავლებელს ჰქონდეს სამეურნეო ხასიათი და ამ ღონისძიებით შეიძლება მოვფინოთ ხალხში ჭეშმარიტი ცოდნანი შესახებ მეურნეობისა.

მ ე ს ა მ ე მ ო ს ა ზ რ ე ბ ა. აწინდელი სათავად-აზნაურო პროგიმნაზიის ნაკლულევანება იმაში მდგომარეობს, რომ არ არის დამთავრებული, და ამისათვის სხვის ხელში შემაცქერელია. რომ სასწავლებელი რიგიანად წავიდეს, რომ სასწავლებელს ბევრი შეგირდები ჰყავდეს, საკმაო არ არის კიდევ, რომ ბავშვებს კარგად ასწავლიდნენ. კარგის სწავლის გარდა სასწავლებელი უნდა აძლევდეს თავის მოწაფეებს დამთავრებულს სწავლას ანუ კლასიკურს, ანუ რეალურს, ანუ სამეურნეოს. ამისათვის აწინდელი ქართული პროგიმნაზია უნდა გადაკეთდეს რვა კლასიან სასწავლებლად და მიეცეს სრულიად არაკისზედ დამოკიდებული ხასიათი.

მ ე ო თ ხ ე მ ო ს ა ზ რ ე ბ ა. სახლის ბურჯი არის ქალი, იმაზეა დამოკიდებული სახლის წესი და ავკარგიანობა. თუ ქალი განათლებულია, მომზადებულია ცხოვრებასთან საბრძოლველად, მაშინ იგი შვილებსაც კარგ გზაზედ აყენებს და უნერგავს მათ გულში სწავლის სიყვარულს. მოზარდ ყმაწვილების ბედი ქალზეა დამოკიდებული. ამბობენ, რომ სახელმწიფო სასწავლებლებში ქართველები ცოტანი არიანო. ეს სრულიად მართალია და მართალია იმისთვის, რომ ქართველთა დედათა შორის ძლიერ ცოტა პირთ შეუძლიანთ მოამზადონ თავიანთი შვილები ისე, რომ მათ შეეძლოთ სახელმწიფო სასწავლებელში შესვლა და რიგიანად იქ სწავლა. აი

ამის მიხედვით უმჯობესი იქნება იმ ფულით, რა ფულსაც ეხლა ვხარჯავთ ქართულ პროგიმნაზიაზე, დავაფუძნოთ დედათა სასწავლებელი, რომლის შემწეობითაც შეგვეძლება ვიყოლიოთ მომავალში მრავალი გონიერი და განათლებული დედა.

მ ე ხ უ თ ე მ ო ს ა ზ რ ე ბ ა. გარემოებანი და საჭიროებანი ჩვენის საზოგადოებისა ცხადად გვიჩვენებენ, რომ უნდა ვიქონიოთ კლასიკური პროგიმნაზია. ამ გვარს სასწავლებელს სხვა ტიპის სასწავლებლის წინაშე დიდი უპირატესობა აქვს: 1) ამის შუამავლობით ყმაწვილების უფრო მომეტებულს ნაწილს ეძლევა გზა სახელმწიფო სასწავლებლებში შესასვლელად, მინამ სხვა ტიპის სასწავლებლის შუამავლობით. 2) თუ სახელმწიფო კლასიკურ გიმნაზიაში ჩვენი სკოლიდან გადასულებმა კურსი გაათავეს, იმათ ადვილად შეუძლიანთ შევიდნენ ყოველგვარ მაღალ სასწავლებელში; ესევე, რასაკვირველია, არ ითქმის რეალურს სასწავლებელში კურსშესრულებულზედ, 3) ყველა ამას გარდა ოთხკლასიანი პროგიმნაზია შეიძლება ადვილად შეიქმნეს სათაურად რომელიმე სპეციალურის სკოლისა. თუმცა ეს ასეა, მაგრამ წინადვე უნდა ვიცოდეთ, რომ, რაც უნდა ბევრი ვეცადოთ, რაც უნდა კარგი პირობები შემოვარტყათ გარშემო ჩვენს სასწავლებელს, მაინც ძნელი მოსახერხებელია, ძნელი მოსალოდნელია, რომ ყველა ჩვენს სასწავლებელში კურსგათავებული შევიდეს სახელმწიფო სასწავლებელში. ყოველთვინ რამდენიმე ყმაწვილი დარჩება სასწავლებლის გარეშე. ამათი რიცხვი ხშირად მეტი იქნება, ვინემ იმ ყმაწვილების რიცხვი, რომელნიც მოახერხებენ, სახელმწიფო სასწავლებელში შესვლას. ამის მოწმეა ჩვენის პროგიმნაზიის ისტორია. მომეტებული ნაწილი ჩვენს პროგიმნაზიაში კურსშესრულებულისა ცამეტის წლის განმავლობაში რჩებოდნენ სახელმწიფო სასწავლებლის გარეშე სხვადასხვა პროგიმნაზიაზე დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო. პრაქტიკული გონივრობა მოითხოვს, რომ ვიფიქროთ რამ ეხლა მაინც ჩვენი პროგიმნაზიის იმ მოსწავლეებზეც, რომელნიც სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ შედიან სახელმწიფო სასწავლებელში. საქმის დატოვება ისე, როგორც აქამდის იყო, დიდი შეცდომა იქნება ჩვენის მხრით.

ეი ამ სახით ხუთი სხვადასხვა აზრი გამოითქვა იმის შესახებ, თუ რა ტიპის და რამდენ კლასიანი სასწავლებელი უნდა ვიქონიოთ. პირველი აზრით, უნდა დარჩეს ის სასწავლებელი, რომელიც ამჟამად აქვს თავად-აზნაურობას, მხოლოდ თუ შეძლება ექმნება თავადაზნაურობას, ამ პროგიმნაზიასთან პარალელ კლასებად უნდა გაიხსნას რეალური კლასებიც. მეორე აზრით, უნდა გადაკეთდეს

აწინდელი სასწავლებელი სამეურნეო სასწავლებლად. მესამე აზრით, უნდა დაარსდეს სრული რომელიმე საშუალო სასწავლებელი — ან გიმნაზია, ანუ რეალური სასწავლებელი, ანუ კიდევ საშუალო სამეურნეო სასწავლებელი. მეოთხე აზრით, ქართული პროგიმნაზიის ბაღლად უნდა დაარსდეს დედათა სასწავლებელი ქართველი ქალებისათვის და, მეხუთე აზრით, უნდა დაცულ იქმნას აწინდელი ქართული პროგიმნაზია—ოთხი მოსამზადებელი და ოთხიც კიდევ პროგიმნაზიული კლასი, მხოლოდ უთუოდ უნდა ვიზრუნოთ იმ ჩვენს პროგიმნაზიაში კურსშესრულებულებზედ, რომელნიც სხვადასხვა მიზეზებისა გამო ვერ ახერხებენ სახელმწიფო სასწავლებლებში შესვლას. მათთვის უნდა დაფუძნდეს სამეურნეო კლასები სამი წლის კურსით, სრულიად ცალკე. მომეტებული ნაწილი დამსწრეთა პირთა პირველის აზრისა იყო, რაც შეეხება იმ საგანს, თუ რამდენად საჭიროა, რომ ქართული პროგიმნაზიისათვის ვიშუამდგომლოთ უფლებანი სახელმწიფო სასწავლებლისა,—ამ საგნის გადაწყვეტა კრებაზე დამსწრე პირთა სცნეს უდროოდ და დასტოვეს იმ მდგომარეობაში, რომელ მდგომარეობაშიაც აქამდის იყო.

იმ საგნის გამო კიდევ, რომ პროგიმნაზიის წარმატებისათვის საჭიროა გაუჩინოთ პროგიმნაზიას შეუწყვეტელი წყარო—სამუდამო ფონდი, გადაწყვეტილ იქნა ერთხმად შემდეგი: ა) ეთხოვოს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს მისცეს მსვლელობა თავად-აზნაურთა გადაწყვეტილებას ფულის მოგროვების შესახებ ერთმანეთში თავიანთ შვილების აღზრდისათვის; ბ) იქმნეს ღონისძიება მიღებული, რომ ბანკის წლიურის საზოგადო საჭიროებისათვის დანიშნულ ფულიდამ პროგიმნაზიის სასარგებლოდ გადიდოს ხოლმე არა ნაკლებ 80 პროცენტისა და გ) ყოველივ მოპოებულ იქნას არწრუნისეული ქარვასლა, რომელიც დარჩა ბანკს, იმ პირობით, რა პირობებსაც გამოიკვლევს გამგე კომიტეტი და ბანკის მმართველობა.

• გამგე კომიტეტმა ყველა ეს მოსაზრებანი და გადაწყვეტილებანი განიხილა დაწვრილებით და თავის მხრით დაადგინა შემდეგი:

1) აწინდელი ქართული პროგიმნაზია—ოთხი მოსამზადებელი კლასი და ოთხი პროგიმნაზიური—ჯერაობით უნდა დარჩეს ისე, როგორც ეხლა არის. მომავალში, თუ თავად-აზნაურობას ღონისძიება ექმნება, მას უნდა მოემატოს შემდეგი გიმნაზიური კლასები და გადაკეთდეს სრულ საშუალო სასწავლებლად;

2) მინამ ქართული სასწავლებელი წარმოადგენს პროგიმნაზიას,

მას უნდა ჰქონოდეს მოსამზადებელი ხასიათი და იგი უნდა იყოს აუხი-სათაური, საიდგანაც ჩვენის ცხოვრების შესაფერად აღზრდილს ყმაწვილებს შეეძლებათ გადასვლა სახელმწიფო სასწავლებლებში;

3) დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული პროგიმნაზიისათვის პანსიონს; ამისათვის მომავალში, როდესაც პროგიმნაზია იქნება გადატანილი სხვა სადგომში, პანსიონერების რიცხვს ერთიორად უნდა მოემატოს;

4) სასურველია, რომ იმ ყმაწვილებს, რომლებიც ქართულ პროგიმნაზიიდან გადადიან სახელმწიფო სასწავლებლებში და ქალაქში პატრონი არა ჰყავთ, ბინა ჰქონდეთ ხოლმე ისევ ჩვენს პროგიმნაზიის პანსიონში, ანუ კიდევ სხვაფრივი მზრუნველობა უნდა ჰქონდეს ხოლმე მათზე გამგე კომიტეტს;

5) ცხადია, რომ ქართულ პროგიმნაზიაში კურსშესრულებულები ყველა ვერ შევა სახელმწიფო სასწავლებელში; ბევრი მათგანი დარჩება სასწავლებელს გარეშე სხვადასხვა მიზეზების გამო; აგრეთვე ყველამ ვიცით, რომ სახელმწიფო სასწავლებლებიდანაც ბევრი ქართველი გამოდის სხვადასხვა მიზეზებისა გამო და სწავლას თავს ანებებს. ყველა ესენი იძულებული ხდებიან დაბრუნდნენ სოფლად და, რადგანაც სოფლურ ცხოვრებისაგან არაფერი არ იციან, ამისათვის მეტს ტვირთს ადგენენ ყველასათვის. ამ გარემოების მიხედვით უნდა დაარსებულ იქნას ქალაქის გარეშე სამეურნეო სასწავლებელი სამი წლის კურსით, სადაც შეეძლოთ შესვლა ყველა იმ მოსწავლე ყმაწვილებს, რომელნიც ათავებენ კურსს ქართულ პროგიმნაზიაში და სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ახერხებენ სახელმწიფო სასწავლებელში შესვლას“

თავმჯდომარე მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი

დ. ფ ა ვ ლ ე ნ ი შ ვ ი ლ ი—სათავად-აზნაურო ბანკის დირექტორი.

წევრები: ვლ. ვ ა ჩ ნ ა ძ ე

ი. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი

ნ. ც ხ ვ ე დ ა ძ ე[1].

საზოგადო კრებამ გამგე კომიტეტის ყველა ზემოხსენებული მოსაზრება და გადაწყვეტილება მიიღო და, ამნაირად, ქართულ პროგიმნაზიას კვლავ მოსამზადებელი სასწავლებლის ხასიათი შერჩა.

„საზოგადოების“ წევრებად ითვლებოდნენ სათავად-აზნაურო

[1] იხ. „ სათავად-აზნაურო სკოლის ტიპის გამომმუშავებელი კომისიის მასალები“, დაბეჭდილი 1895 წ. ცალკე წიგნად.

ბანკის დამფუძნებელი წევრები, რიცხვით 1700 კაცზე მეტი, დი ის პირები, ვინც საწევრო გადასახადს 3 მანეთის რაოდენობით შეიტანდა „საზოგადოების“ სალაროში.

ქართულ პროგიმნაზიასთან, დაარსებიდანვე ვიდრე 1906 წლამდე, არსებობდა პანსიონი (50—145 მოწაფისათვის). პანსიონერთაგან ზოგი „საზოგადოების“ სრულ ხარჯზე იყო (მათ შორის ქართველი მაჰმადიანები), ზოგი—„საზოგადოების“ ნახევარ ხარჯზე (შეჰქონდათ წელიწადში ათ-ათი თუმანი), ან კენჭის ყრით (ვისაც კენჭი ერგებოდა, მას მიიღებდნენ,—ამა თუ იმ ქველმოქმედის სახელზე), ზოგიც კიდევ—სრულ საკუთარ ხარჯზე (შეჰქონდათ წელიწადში ოც-ოცი თუმანი).

1895 წელს პროგიმნაზიის მოსამზადებელი კლასებისათვის შეუდგენიათ პროგრამა, რომლის შინაარსი ასეთია:

პირველ განყოფილებაში მიიღებიან უგამოცდოდ (7 და 8 წლისანი), მეორე განყოფილებაში შემსვლელთათვის (8 და 9 წლისანი) კი იქნება გამოცდები პროგრამით:

1) საღმრთო სჯული

შემოკლებულნი მოთხრობანი ძველ და ახალ აღთქმიდან (იხილე „დედა-ენაში“ მოთხრობანი საღმრთო ისტორიიდან). ლოცვები: დაწყებითი ლოცვა, სამების ლოცვა, ლოცვები სწავლის წინ და სწავლის შემდეგ, ლოცვები სადილის წინ და სადილის შემდეგ, ხულის წმინდის ლოცვა, საუფლო ლოცვა, ლოცვა მეფისა და მამულისათვის.

2) ქართული ენა

კითხვა და წაკითხულის თავის სიტყვებით გადმოცემა, ზეპირად ცოდნა იმ ლექსებისა და პასუხის მიგება იმ სასაუბროებზედ, რომელნიც მოქცეული არიან „დედა-ენის“ მეასე გვერდამდის.

3) რუსული ენა

ცოდნა იმ სიტყვებისა და ფრაზებისა, რომელნიც მოქცეულნი არიან იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს („რუსკოე სლოვო“) ლექსიკურ განყოფილებაში.

4) არითმეტიკა

ყოველმხრივი შესწავლა რიცხვებისა 1-დან 20-მდის. ყმაწვილებს უნდა შეეძლოთ: შეერთება გამოკლება, გამრავლება და გაყოფა.

უნდა იცოდნენ აგრეთვე ხშირად სახმარებელი ზომები.

III განყოფილებაში შემომსვლელთათვის (9 და 10 წლისა):

1) საღმრთო სჯული

უმთავრესნი მოთხრობანი ძველისა და ახალი აღთქმისა. ლოცვები: სწავლის წინ და სწავლის შემდეგ, ლოცვები სადილის წინ და სადილის შემდეგ, სულის წმიდის ლოცვა, საუფლო ლოცვა, პირველი და მეორე ლოცვა ღვთის მშობლისადმი, ლოცვა მეფისა და მამულისათვის ლოცვები ძილისა და საღამოსი (სახელმძღვანელო გ. იოსელიანისა, ლოცვანი მისივე).

2) ქართული ენა

გარკვევით კითხვა და წაკითხულის თავის სიტყვებით გარდმოცემა იმ მოთხრობებისა, რომელნიც მოთავსებული არიან „დედაენაში". ეს წიგნი სრულიად შესწავლილი უნდა ჰქონდეს ყველა თავის სავარჯიშოებით.

3) რუსული ენა

გარკვევით კითხვა და წერა. თარგმნა სავარჯიშოებისა, რომელიც მოთავსებულია იაკობ გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო"-ს პირველს ნაწილში. იმავე წიგნის მეორე ნაწილიდან უნდა ჰქონდესთ შესწავლილი არა ნაკლებ 40-ის მოთხრობისა, ისე რომ ყმაწვილს შეეძლოს ქართულად გადათარგმნა ყოველ სიტყვისა და ფრაზისა; ამას გარდა ყმაწვილს უნდა შეეძლოს ხსენებულ სტატიების შინაარსის გადმოცემა რუსულად, როგორც მასწავლებლის კითხვების შემწეობით, ისე მისდა დაუხმარებლადაც.

4) არითმეტიკა

ყოველმხრივ შესწავლა რიცხვებისა 1-დან 100-მდის და ხშირად სახმარებლის ზომების ცოდნა. ტაბულა გამრავლებისა („სახელმძღვანელო კრებული არითმეტიკული ამოცანებისა", რ. ჯაჯანიშვილისაგან შედგენილი).

VI განყოფილებაში შემომსვლელთათვის (10 და 11 წლისა):

1) საღმრთო სჯული

მოთხრობანი ახლისა და ძველის აღთქმიდან, ლოცვები რუსულად და ქართულად: დაწყებითი ლოცვა. ლოცვები სწავლის წინ და სწავლის შემდეგ, ლოცვები სადილის წინ და სადილის შემდეგ.

სულის წმიდის ლოცვა, პირველი და მეორე ლოცვა ღვთის მშობლისადმი, ლოცვა მეფისა და მამულისათვის. ქართულად: დილის ლოცვა, საღამოს ლოცვა, ათი მცნება სიმფოლო სარწმუნოებისა (სახელმძღვანელო „საღმრთო ისტორია“ გ. იოსელიანისა).

2) ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ა

გარკვევით კითხვა და გადმოცემა წაკითხულის სტატიებისა თავის სიტყვებით. დასახელება სიტყვის ნაწილებისა (სახელმძღვანელო ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“).

3) რ უ ს უ ლ ი ე ნ ა

გარკვევით კითხვა და წაკითხულის ახსნა ქართულად და რუსულად; ერთი სიტყვის ან ფრაზის მაგივრად მეორე მსგავსის სიტყვის და ფრაზის ხმარება. წერა კარნახით (სახელმძღვანელოდ იხმარება „რუსკოე სლოვო“, საიდგანაც უნდა შესწავლილი ჰქონდეს ყველა პატარა მოთხრობანი და რამდენიმე ლექსი ზეპირად წიგნის მესამე გვერდამდის). შესწავლილ სტატიების შინაარსის გადმოცემა რუსულად.

4) ა რ ი თ მ ე ტ ი კ ა

საზეპირო და წერითი ანგარაში რიცხვებად 1—10.000 (ათი ათასამდე). ოთხი უმთავრესი მოქმედება (შეერთება, გამოკლება, გამრავლება ერთ ნიშნოვან რიცხვებზედ), ცოდნა გამრავლების ტაბულასი და ხშირად სახმარებელი ზომებისა. რუსულად ახსნა საზეპირო ამოცანებისა 1—1.000 (ერთიდან ათასამდის).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: პირველი პროგიმნაზიური კლასიდან დაწყებული ყველა პროგიმნაზიურ კლასებში მიღებულია საერო განათლების სამინისტროს პროგრამები. ქართული ენიდან უნდა იცოდნენ პირველ კლასებში შემომსვლელებმა: 1) გარკვევით კითხვა, წაკითხულის გადმოცემა თავის სიტყვებით; 2) გრამატიკიდან: მარტივ წინადადების ნაწილები და ეტიმოლოგიიდან სიტყვის ნაწილების გამოცნობა“.

1896 სასწავლო წლისათვის ქართული პროგიმნაზია შედგებოდა მოსამზადებელი კლასის ოთხი ძირითადი და სამი (2, 3, 4) პარალელური განყოფილებისაგან და ხუთი გიმნაზიური კლასისაგან. ამთაგან მეხუთე გიმნაზიური კლასი და მესამე და მეოთხე განყოფილების პარალელური კლასები 1896 წლის სექტემბრიდან გაიხსნა.

პროგიმნაზიის პროგრამა საკუთარი ემთხვეოდა სამინისტროს გიმნაზიურ პროგრამას; განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ, სხვა

ქართული გიმნაზიის გამგე კომიტეტის შემადგენლობა 1895 წ. სხედან: მარცხნიდან ფ. ყაზბეგი, მ. ჯამბაკურ-ორბელიანი (კომიტეტის თავმჯდომარე), ნ. ცხვედაძე, ი. წინამძღვრიშვილი, დგანან: მარჯვნიდან ექ. თაყაიშვილი და მ. ყიფიანი.

საგნებს გარდა, სათავადაზნაურო პროგიმნაზიაში ისწავლებოდა ქართული ენა, საქართველოს ისტორია და საქართველოს გეოგრაფია.

1896 სასწავლო წელს პროგიმნაზიაში ირიცხებოდა 408 მოწაფე, რომელთაგან 112 პანსიონერი იყო და 296—გარედან მოსიარულე. პანსიონერთა შორის 27 „საზოგადოების“ სრულ ხარჯზეა, 57 — „საზოგადოების“ ნახევარ ხარჯზე (შეაქვთ წელიწადში ათ-ათი თუმანი) და 28—საკუთარ ხარჯზე (შეაქვთ წელიწადში ოც-ოცი თუმანი). გარედან მოსიარულე თითოეული მოწაფე სწავლის ფულს იხდიდა 12 მანეთს. საანგარიშო წელს სწავლის ფულისაგან განთავისუფლებული იყო 126 მოწაფე, ე. ი. ნახევარზე ცოტა ნაკლები.

წოდებრივად მოწაფეები ასე იყვნენ განაწილებულნი: თავად-აზნაური —218, გლეხი და მოქალაქე —168, სასულიერო წოდებისა — 21; ყველა მოწაფე ქართველი იყო, გარდა 2 სომხისა და 1 უცხოელისა.

1896 წელს „საზოგადოებას“ შემდეგი სტიპენდიანტები ჰყავდა სხვადასხვა უნივერსიტეტში:

კონსტანტინე მაყაშვილი — შემდეგში პოეტი და საზოგადო მოღვაწე;

ნიკ. ჯანდიერი — ქართული გიმნაზიის ყოფილი მოწაფე შემდეგ დამსახურებული ექიმი;

კონს. ელიოზიშვილი — ამ გიმნაზიის ყოფილი მოწაფე შემდეგ დამსახურებული ექიმი;

მიხ. ქორიძე — ამ გიმნაზიის ყოფილი მასწავლებელი, შემდეგ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე;

გიორგი ყაზახიშვილი — ამ გიმნაზიის ყოფილი მოწაფე, შემდეგში თბილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელი;

გიორგი ნათიშვილი — ამ გიმნაზიის ყოფილი მოწაფე, ექიმი;

ივანე ნიკარაძე — ამ გიმნაზიის ყოფილი მოწაფე, შემდეგ თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი;

შიო ჩიტაძე — შემდეგში თბილისის ქართული გიმნაზიის დირექტორი, ტრაგიკულად მოკლული 1906 წელს და სხვა.

„საზოგადოებამ“ დროებითი შემწეობა აღმოუჩინა შემდეგ სტუდენტებს და სხვა მოსწავლეებს:

გრიგოლ ქურდიანს — შემდეგში მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს;

იოსებ მაყაშვილს — შემდეგში იურისტს, ადვოკატს;

ლუარსაბ ანდრონიკაშვილს — შემდეგში სტალინის სახელობის

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, გამოჩენილ იურისტს;
ივანე (ია) კარგარეთელს — ცნობილ კომპოზიტორს;
გრიგოლ გაბაშვილს — გამოჩენილ მხატვარს;
ლევან ფავლენიშვილს — დამსახურებულ ექიმს;
ვლ. ბილანიშვილს.

1897 წლის 1 სექტემბრიდან სასწავლებელში გაიხსნა მეექვსე გიმნაზიური კლასი, გიმნაზიური კლასები და სამი ძირითადი განყოფილება (2, 3 და 4) მოთავსებული იყო ერმოლოვის (ახლა შ. ჩიტაძის) ქუჩაზე, სელიკოვის სახლში, ხოლო პარალელური განყოფილებანი და მოსამზადებელი კლასის პირველი განყოფილება იმყოფებოდა გუდოვიჩის (ახლა ჭონქაძის) ქუჩაზე, ყორღანოვის სახლში.

1897—1898 სასწავლო წელს სასწავლებელში ირიცხებოდა 490 მოწაფე, მათგან 116 პანსიონერი და 374 გარედან მოსიარულე. პანსიონერთა შორის 26 „საზოგადოების" სრულ ხარჯზე იყო, 53—ნახევარ ხარჯზე (შეჭქონდათ წელიწადში ათ-ათი თუმანი) და 37—საკუთარ ხარჯზე (წელიწადში იხდიდნენ ოც-ოც თუმანს). გარედან მოსიარულე მოწაფეები წელიწადში იხდიდნენ 12 მანეთს სწავლის ფულს. 1897—1898 წელს სწავლის ფულისაგან განთავისუფლებული იყო 150 მოწაფე.

წოდებრივად მოწაფეები ასე იყვნენ განაწილებული: თავადაზნაური — 263, გლეხი და მოქალაქე — 183, სასულიერო წოდებისა — 29, მოხელეთა შვილები — 14; ეროვნებით — 2 სომეხი და 1 უცხოელი.

1897 წელს „საზოგადოების" სტიპენდიატებად დარჩენილან წინა წლის სტიპენდიატები, შ. ჩიტაძის გამოკლებით, დროებით შემწეობა კი „საზოგადოებამ" აღმოუჩინა შემდეგ სტუდენტებს და სხვა მოსწავლეებს:

ლევან ფავლენიშვილს — დამსახურებულ ექიმს;
ივანე ახალშენიშვილს — შემდეგში ცნობილ კბილის ექიმს, მთარგმნელს;
ქაიხოსრო ყიფიანს — შემდეგში ჟურნალისტს;
სვიმონ კანდელაკს — ამ გიმნაზიის ყოფილ მოწაფეს, ტროპიკულ დაავადებათა ინსტიტუტის ყოფილ დირექტორს; პროფესორს;
დავით ვაშაკიძეს — შემდეგში ექიმს;
გიორგი ნატრაძეს — ნიჭიერ მუსიკოსს, რომელიც ადრე დაიღუპა და სხვათ.

1897 წლის ნოემბერში ქართული გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ და გამგე კომიტეტმა გიმნაზიის შენობაში მოაწყო ილია ჭავჭავაძის 40 წლის სალიტერატურო და საზოგადო მოღვაწეობის იუ-

ბილე. როცა იუბილარი ილია შემოვიდა შენობაში, ზ. ჩხიკვაძის მიერ
გაწვრთნილი გიმნაზიის მომღერალთა გუნდი მას კახური „მრავალ
ჟამიერით“ შეხვდა (მაშინ ამ გუნდში მღეროდა გიმნაზიის მოწაფე
შემდეგ „საქართველოს ბულბულად“ წოდებული ვ ა ნ ო ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი). ამან ილია ისე ააღელვა, რომ კარგა ხანს გარინდებული
იდგა და ბოლოს თქვა: ამ შეხვედრამ ჩემზე ისე იმოქმედა, რომ
სიტყვა შემეკრა და მადლობის თქმაც ვეღარ მოვახერხეო.

შემდეგ გაიმართა საღამო-კონცერტი, რომელზედაც გიმნაზიის
მოწაფეები დიდი გრძნობით კითხულობდნენ ილიას ლექსებსა და
პოემის ნაწყვეტებს.

1898 წლის 1 სექტემბერს სასწავლებელში გახსნეს მეშვიდე
გიმნაზიური კლასი. 1898—1899 სასწავლო წელს სასწავლებელში
ირიცხებოდა 537 მოწაფე, მათგან 121 პანსიონერი და 415 გარეგან
მოსიარულე. საანგარიშო წელს სწავლის ფულისაგან (12 მან.) გა-
თავისუფლებული იყო 202 გარეგან მოსიარულე მოწაფე.

„საზოგადოების“ მორიგ კრებაზე ამ წელს წამოიჭრა სწავლის
ფულის გადიდების საკითხი. იყო წინადადება, რომ სწავლის ფული
12 მანეთიდან 40 მანეთამდე გაედიდებიათ, მაგრამ კრებაზე ამ წი-
ნადადების წინააღმდეგ გამოვიდა ილია ჭავჭავაძე, რომელმაც განა-
ცხადა: „სწავლის ფული კი არ უნდა გავადიდოთ, არამედ სულაც
უნდა გავაუქმოთ, რადგანაც ჩვენს სკოლაში უფრო ღარიბი მოწა-
ფეები სწავლობენ“. ამ აზრს კრება დაეთანხმა და სწავლის ფული
აღარ გაუდიდებიათ.

ამავე 1898 წელს გამგე კომიტეტმა „საზოგადოების“ კრებას
მოახსენა, რომ კომიტეტმა სასწავლებლის საკუთარი შენობის აგების
მიზნით ს. ბებუთაშვილისა და მისი დის ნატალია ალექსანდრეს-
ასული ხერხეულიძისაგან შედარებით მცირე ფასში (20. 000 მ.) შე-
ძინა 6 დესეტინა მიწა იმ პირობით, რომ ორი დესეტინა მომავალ
დედათა სასწავლებელს დაუთმოს. ეს თანხა (20.000 მან). კერძო
პირთა და დაწესებულებათა შორის შეუგროვებია დიდ ენთუზიასტს,
უდრეკი ნებისყოფის პატრონს, გამგე კომიტეტის უცვლელ წევრს,
ენერგიით სავსე პედაგოგს ნ. ცხვედაძეს. გამგე კომიტეტმა კრებას
ახოვა, რომ შემომწირველნი, წესდების თანახმად, ჩარიცხული ყო-
ფილიყვნენ საზოგადოების საპატიო წევრებად.

კრებამ კომიტეტის წინადადება მიიღო და საპატიო წევრებად
აირჩიეს: დ. ზ. სარაჯიშვილი, ა. გ. მდივანი, გ. ს. განძიელი, კ. ი.
ზუბალაშვილი, ი. ბ. საგინოვი, გ. ნ. სხირტლაძე, ს. ბებუთაშვილი, ნ.
ა. ხერხეულიძისა და სხვ.

ამავე კრებაზე ილია ჭავჭავაძის წინადადებით ნ. ზ. ცხვედაძეს

კრებამ მადლობა გამოუცხადა ფულის შეკრებაზე გაწეული დიდი შრომის გამო, ხოლო ვ. ს. მიქელაძემ წინადადება წამოაყენა, რომ ნ. ცხვედაძე საპატიო წევრად აირჩიათ, მაგრამ ნ. ცხვედაძემ კატეგორიული უარი განაცხადა და ითხოვა, რომ ამ საგანზე ლაპარაკი შე-



ნიკო ცხვედაძე

წყვეტილიყო. ნ. ცხვედაძე იმ დიდი და უანგარო ღვაწლისათვის, რაც მან გიმნაზიის საქმეზე გასწია, მხოლოდ 1911 წელს აირჩიეს საპატიო წევრად.

1898 წელს „საზოგადოებას" შემდეგი სტიპენდიატები ჰყავდა: კონსტანტინე მაყაშვილი, გიორგი ყაზახიშვილი ივანე ნიკარაძე გიორგი ნათიშვილი და ალექსანდრე თარხნიშვილი.

1898 წელს შეადგინეს გიმნაზიის მოსამსახურეთა საპენსიო სალაროს დებულების პროექტი; ამ პროექტით სრული პენსია მოსამსახურეს ენიშნებოდა 25 წლის სამსახურის გამო; გიმნაზიის გამგეს

—1200 მან., თანაშემწეს (ინსპექტორს) —900 მანეთი; შტატის მასწავლებელს გიმნაზიურ კლასებში—800 მანეთი; მოსამზადებელ კლასებში—600 მანეთი; აღმზრდელებს, საქმის მწარმოებლებსა და ეკონომს—300 მანეთი. საპენსიო ფონდის გადიდების მიზნით მოსამსახურეს ყოველთვიურად ჯამაგირიდან 5—6% უკავებდნენ.

ეს პროექტი ძალაში იყო 1914—1915 სასწავლო წლამდე.

1898 წელს 22 თებერვალს გიმნაზიის მოწაფეები წაუყვანიათ ექვ. თაყაიშვილის ხელმძღვანელობით მცხეთაში, ერეკლე II გარდაცვალებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავ პანაშვიდზე. ამასთანავე ექ. თაყაიშვილს გაუცვნია მოწაფეებისათვის მცხეთისა და სხვა სიძველეთა ისტორია.

III. თბილისის ქართული გიმნაზია 1899—1904 წწ.

1899—1900 სასწავლო წლიდან თბილისის ქართული გიმნაზია უკვე დასრულებული რვაკლასიანი გიმნაზიაა. იგი შედგება მოსამზადებელი კლასის ოთხი ძირითადი და სამი (2, 3, 4) პარალელური. განყოფილებისაგან და რვა გიმნაზიური კლასისაგან; მერვე კლასი 1899 წლის 1 სექტემბერს გაიხსნა.

გიმნაზიის პროგრამა სავსებით შეთანხმებული იყო სამინისტრო გიმნაზიურ პროგრამასთან; განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ქართულ გიმნაზიაში ისწავლებოდა სამშობლოს გეოგრაფია, ქართული ენა და მასთან ერთად — საქართველოს ისტორია.

ამ სასწავლო (1899—1900) წელს გიმნაზიაში ირიცხებოდა 560 მოწაფე, ამათგან 122 პანსიონერი და 438 გარედან მოსიარულე. მერვე კლასში 8 მოწაფე იყო.

საანგარიშო წელს „საზოგადოებას“ შემდეგი სტიპენდიატები ჰყავდა სხვადასხვა უნივერსიტეტებში: კონსტანტინე მაყაშვილი, ივანე ნიკარაძე და გიორგი ნათიშვილი.

გიმნაზიისათვის ვაკეში ახალი სახლის მშენებლობა დაიწყეს 1900 წელს. მშენებლობის კომისიაში კრებამ აირჩია თავმჯდომარედ — ნ. ცხვედაძე და წევრებად — ექ. თაყაიშვილი, კ. ყაფრიშვილი და ხუროთმოძღვარი ს. კლდიაშვილი.

ამ მშენებლობას ქართველ საზოგადოებაშიც კი ბევრი მტერი ჰყავდა — ფეოდალები, ბობოლა მოხელეები და სხვები, რომელნიც ამბობდნენ, ჩვენთვის საკუთარი შენობა საჭირო არ არის, უნდა დავკმაყოფილდეთ და ვისარგებლოთ რუსული სახელმწიფო სასწავლებლითო. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ამბობდნენ, ეს შენობა ძალიან დიდია, ძვირი ჯდება, ქართველებს ამოდენა შეძლება არა გვაქვს, პატარა შენობით უნდა დავკმაყოფილდეთო. ნ. ცხვედაძე მათ ასეთ პასუხს აძლევდა:

„მოვა დრო და ეს შენობა საქართველოს უნივერსიტეტისათვის დასჭირდება; მე გიმნაზიისთვისაც ვაშენებ სახლს და იმავე დროს— უნივერსიტეტისათვისაცაო“.

აქ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიგონოთ ის დიალოგი, რომელიც მეფის ნაცვალ გოლიცინისა და ნ. ცხვედაძის შორის გაიმართა. ეს დიალოგი მაშინდელ ქართველ მოღვაწეთაგან ბევრს ახსოვს.

ერთხელ გოლიცინმა დაათვალიერა ეს შენობა, როდესაც იგი ჯერ კიდევ დაუმთავრებელი იყო. იქ მას დაუხვდა ნ. ცხვედაძე.

— რა ჯდება ეს შენობა? ჰკითხა მან ნ. ცხვედაძეს.

— ერთ მილიონამდე, თქვენო ბრწყინვალებავ, მიუგო ნიკომ.

— აი, ქართველები ამბობთ, რომ ღარიბი ხართ, მაშ ამოდენა ფული საიდან გაქვთ?

— აქ, თქვენო ბრწყინვალებავ, ყოველმა ქართველმა თავისი აგური მოიტანა.

— რისთვის გინდათ ამოდენა შენობა, გიმნაზიისათვის ხომ ეს ძალიან დიდია?

— ეს შენდება გიმნაზიისათვის, მაგრამ შემდეგ აქ იქნება ქართული უნივერსიტეტი. გოლიცინმა გაიკვირვა, სახეზედ აშკარად გამოესახა უკმაყოფილება და გაშორდა შენობას.

ნიკო ცხვედაძე რომ ქართული გიმნაზიისათვის განკუთვნილ შენობას ქართული უნივერსიტეტისათვისაც აგებდა, ეს ჩანს ქართული გიმნაზიის გამგე-კომიტეტის ყოფილი წევრის ალ. ჯაბადარის „მოგონებებიდანაც“, სადაც ნათქვამია „დიდი ამაგი მიუძღვის ნ. ცხვედაძეს იმ სახლის აგებაში, გასაოცარ ენერგიას იჩენდა საჭირო ფულის შოვნაში და თვით შენობის აგების საქმეში. რასაკვირველია, მე ვამაყობდი, როდესაც კომიტეტში ამირჩიეს და ჩავები ამ საქმეში. ცხვედაძესთან მანამდეც კარგად ვიყავი. როცა ნახა, რომ მე სულითა და გულით თანაუგრძნობდი მის მუშაობას, უფრო დამიახლოვდა. როდესაც შენობის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა გავიცანი დაწვრილებით, ცხვედაძეს ვკითხე:— ბატონო ნიკო! თქვენ მიერ დაწყებული შენობის დამთავრებას დიდი ფული დასჭირდება, შენობის პროექტიდან ნათლად ჩანს, რომ ეს შენობა გიმნაზიისათვის ძალიან დიდია. გარდა ამისა, თქვენი ხარჯთაღრიცხვა მცირეა. ამით სახლს ვერ დაამთავრებთ და, ბოლოს, შეიძლება დიდი უსიამოვნება მოხდეს. მთელ კომიტეტს უსაყვედურებენ უვიცობას, წინდაუხედაობას და სხვ. მე როგორც კომიტეტის წევრი, მოვალე ვარ თქვენც გითხრათ და კომიტეტის კრებაზე და საზოგადო ყრილობაზედაც ღონინშნო. შევატყვე, რომ სიტყვებმა დააფიქრა და თითქო კიდეც ეწყინა. ეს ლაპარაკი შენობის ეზოში მჭონდა. ნიკომ მკლავში ხე-

ლი წამავლო, შენობის მოშორებით გამიყვანა და დაიწყო: „რაც თქვენ თქვით, ყველა მართალია, ისიც მართალია, რომ გიმნაზიისათვის ეს შენობა დიდია, მაგრამ რაკი კითხვა ასე დააყენეთ, გეუდრებით ჩემი ნათქვამი საიდუმლოდ შეინახოთ და შემდეგში დამეხმაროთ, რომ ეს დიდი საქმე შევასრულო. არ ვიცი მოვესწრები თუ არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამ შენობაში ქართული უნივერსიტეტი იქნება... მე რომ ნამდვილი ხარჯთაღრიცხვა წარმედგინა, ამ შენობას თვალითაც არ ნახავდით. როგორც ვატყობ, თქვენ არ იცით ჩვენი ხალხის ამბავი. მე მწამს, რომ თბილისში ქართული უნივერსიტეტი გაიხსნება და ამოდენა შენობას სწორედ ამისათვის ვაშენებ"[1].

ნიკო ცხვედაძე უამბობდა ყველას, ვისაც აინტერესებდა ქართული გიმნაზიის შენობის ბედი, იმ სიძნელეებზე, რომელნიც მას ეღობებოდა მშენებლობის პროცესში. აი რას სწერს ამის შესახებ ტექნიკისა და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ივ. ყიფშიძე თავის წიგნში „უმაღლესი ტექნიკური განათლების ისტორიისათვის საქართველოში" (გვ. 27): „მახსოვს 1904 წელს მეც დავათვალიერე მშენებლობა და ნიკომ გადმომცა ამ შენობის საძირკვლის ჩაყრის ერთი საინტერესო ამბავი, რომელიც ეხება 1900 წელს. ძველი ჩვეულება იყო, რომ სახლის საძირკველში მის კუთხეში ჩაეყარათ ოქროს ფული (ღარიბებს ვერცხლის ფული), მაგრამ ნიკო ცხვედაძე ვის მისცემდა ნებას, რომ ოქრო კედელში ჩაეყარა, იგი ოქროს ამისათვის არ გიმეტებდა, მიღებული ადათი კი უნდა შეესრულებინათ. საძირკვლის კუთხეევაზე ბლომად ჰყავდათ მოწვეული სტუმრები. ამ დროისთვის ნ. ცხვედაძეს მოუტანია ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებისა და ორგანიზაციების დაბეჭდილი წესდებები (ასეთი ორგანიზაციათა რიცხვი 15—17-მდე იყო) და შუშის ცარიელი ბოთლები კარგი საცობებით. ყოველ ბოთლში ჩაუდვია რამდენიმე სხვადასხვა წესდება და ეს, ბოთლები ჩაუტანია საძირკველში. ბოთლებში ქაღალდი დიდხანს ინახება. „დე,-ამბობდა ნ. ცხვედაძე-თუ თბილისს კიდევ უწერია რომელიმე აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა და განადგურება და თუ ამ შენობას მოელის დანგრევა, დე მტერმა ნახოს მის საძირკველში ჩაყრილ ბოთლებში შენახული წესდებები და ისტორიას გადასცეს, თუ რა კულტურა ჰქონდა საქართველოს XX საუკუნის დასაწყისში, რით სუნთქავდა ქართველი ერი და რას წარმოადგენდა იგი".

---

[1] ალ. ჯაბადარი, მოგონებანი, ჟურნალი „მნათობი" 1934 წ., № 4, გვ. 203—204.

1901—1902 სასწავლო წელს ეს სასწავლებელი შესდგებოდა მოსამზადებელი კლასის ოთხის ძირითადის და სამი (2, 3,4,) პარალელურის განყოფილებისაგან და რვა გიმნაზიური კლასისაგან. ამათში მეხუთე გიმნაზიური კლასი გაიხსნა სექტემბერში 1896 წ., მეექვსე გიმნაზიური კლასი გაიხსნა 1897 წ., მეშვიდე გიმნაზიური კლასი 1-ლ სექტემბერს 1898 წ., მერვე—1-ლ სექტემბერს 1899 წელს, გიმნაზია მოთავსებული იყო სელიკოვის სახლში ერმოლოვის (ახლა ჩიტაძის) ქუჩაზე. პროგრამა ქართული გიმნაზიისა სავსებით ეთანხმება სამინისტრო გიმნაზიების პროგრამას, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ გიმნაზიაში ისწავლება სამშობლოს აღწერა, ქართული ენა და ქართულ ენასთან ერთად საქართველოს ისტორიაც.

1901 წლის 1-ლ იანვრისათვის სასწავლებელში ირიცხებოდა 637 მოწაფე, მათ შორის პანსიონერი იყო 128 და გარედან მოსიარულე 509. მერვე კლასში იყო 5 მოწაფე. თანახმად სასწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებისა მათ გამოცდები ჩააბარეს თბილისის სახაზინო მეორე გიმნაზიაში. ამათგან სიმწიფის მოწმობა მიიღეს და უნივერსიტეტში შევიდა სამი, ერთმა თავი დაანება სასწავლო წლის ბოლოს და ერთიც გიმნაზიაში შესასვლელად ემზადება.

1898 წლის პირველი იანვრიდან მემკვიდრე ცესარევიჩს გიორგი ალექსანდრეს ძეს თავის სტიპენდიატად დაუნიშნავს მოწაფე გიორგი ყიფიანი.

ამავე წლიდან ერთი ოც თუმნიანი პანსიონერი გ. ბაგრატიონ-დავითაშვილი მის უმაღლესობის ნიკოლოზ მიხეილის ძის ხარჯზეა, ერთი ოც თუმნიანი ვ. ბაგრატიონ-დავითაშვილი მიღებულია გამგეკომიტეტის თავმჯდომარის კ. ი. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის სრულ ხარჯზედ და ერთი ოც თუმნიანი პანსიონერის ი. გვახარიას შესანახი ფასის ანგარიშში ნახევრის ე. ი. ათი თუმნის შემოტანა ნაკისრი აქვს მასვე. ერთი ოც თუმნიანი პანსიონერის ახმეტ ამიროვის შესანახი ფასი შემოაქვს ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანს. ერთ პანსიონერს მ. თუხარელის კენჭი შეხვდა და განსვენებულის ნ. ზუბალაშვილის სახელზე დაარსებულ სტიპენდიისა. ერთი პენსიონერი ა. ჯჯანაშვილი მიღებულია უკენჭოდ „საზოგადოების“ სრულ ხარჯზე.... ამ სასწავლო წელს გიმნაზიის საეკონომიო ხარჯზედ პანსიონში მიღებული იყვნენ მაჰმადიანებში: ყოჩაღი ხმალაძე (ახალციხის მაზრიდან), მუსტაფა კონცელიძე (ბათუმის ოლქიდან) და ბალაშირინ აშურაშვილი (ზაქათალის ოლქიდან).

საანგარიშო წელს „საზოგადოებას“ შემდეგი სტიპენდიატები ჰყოლია სხვადასხვა უნივერსიტეტში: ივ. ნიკარაძე, გ. ნათიშვილი, გ. შათირიშვილი, ი. კობიაშვილი, დ. ყიფიანი, ზ. ფალიაშვილი,

ზ. ხიდირბეგიშვილი, ვლ. სალარიძე, დ. ანდრონიკაშვილი, ვლ. გომართელი, ნ. გომელაური.

დროებით შემწეობა აღმოუჩენიათ შემდეგ სტუდენტებსა და სხვა სასწავლებლებში მოსწავლეთ: რ. ყანჩელს, გ. მასხარაშვილს, გ. ხუნდაძეს, სტ. გოკიელოვს, ივ. ფავლენიშვილს, მ. ბერძულიშვილს, მ. ნიკურაძეს, ან. დგებუაძეს, ლ. ფავლენიშვილს, ვლ. სალარიძეს, ვლ. გომართელს, ნ. გომელაურს, ზ. ხიდირბეგიშვილს, თ. ცინცაძეს, ნ. ყანჩელს, დ. ვარშაკიძეს.

სწავლის ფულიდან (12 მან. წელიწადში) „საზოგადოებას" 291 გარედან მოსიარულე მოწაფე გაუნთავისუფლებია, ხოლო ტანისამოსი 26 მოსწავლისათვის შეუკერავს...

1902—1903 სასწავლო წელს გიმნაზიაში ირიცხებოდა 664 მოწაფე, ამათგან 126 პანსიონერი იყო და 538 გარედან მოსიარულე. მერვე კლასში იყო 5 მოწაფე, რომელთაც გამოცდები სიმწიფის მოწმობის მისაღებად მე-3 სახაზინო გიმნაზიაში ჩააბარეს, სამმა მიიღო სიმწიფის მოწმობა; ერთი გიმნაზიის მოწმობით საზღვარგარეთ წავიდა, ორი კი მეორე წელიწადს დარჩა მერვე კლასში. მას შემდეგ რაც მერვე კლასი გაიხსნა, სამი წლის განმავლობაში კურსი დაამთავრა 16 მოწაფემ. ამათგან ამჟამად 13 უმაღლეს სასწავლებელშია, ორი გიმნაზიის მერვე კლასში და ერთი ოჯახში დაბრუნდა.

ამავე წელს „საზოგადოებას" შემდეგი სტიპენდიატები ჰყავდა **უნივერსიტეტში:** ზაქარია ფალიაშვილი, ივ. ნიჟარაძე, გ. ნათიშვილი, გ. შათირიშვილი, ი. კობაშვილი, დ. ყიფიანი, ზაქ. ხიდირბეგიშვილი, ვლ. სალარიძე, დიმ. ადრონიკაშვილი, ვლ. გომართელი, ნ. გომელაური, შალვა მესხიშვილი, გ. ჯავახიშვილი.

საშუალო სასწავლებლებში: ბ. ჩხეიძე, ალ. ციმაკურიძე, ირაკლ. სონღულაშვილი, დ. ჯავახიშვილი.

დროებით შემწეობა აღმოჩენილა **უმაღლეს სასწავლებლებში** მოსწავლეთ: ტერენტი წერეთელს, იოს. ავალიშვილს, იოს. ბერიშვილს, ვ. ყოჩიაშვილს, ბარ. დალაქიშვილს, მიხ. ბერძულიშვილს, მიხ. ნიკურაძეს, მიხ. ფავლენიშვილს, გალ. მასხარაშვილს, გ. ქავთარაძეს, ილია ანდრონიკაშვილს, კონდრატ ასათიანს.

დაბალ და საშუალო სასწავლებლებში: ელ. ჯანდიერს, ალ. ჯაფარიძეს, გ. მეღვინეთუხუცესისშვილს. სწავლის ფულიდან „საზოგადოებას" 273 გარედან მოსიარულე მოწაფე გაუნთავისუფლებია, ხოლო ტანისამოსი 67 მოსწავლისათვის შეუკერავს...

1902 წლის 5 სექტემბერს ამ სტრიქონების დამწერმა სამსახური

დავიწყე თბილისის ქართულ გიმნაზიაში. ამ დროს „საზოგადოების“ გამგე კომიტეტის წევრები იყვნენ: თავმჯდომარე— კ. ი. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი, მისი ამხანაგი—მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანისა და წევრები— ნ. ზ. ცხვედაძე, ი. დ. უთნელიშვილი, გ. დ. გაბაშვილი. გიმნაზიის გამგედ (დირექტორად) იყო ე. ს. თაყაიშვილი. ხოლო გიმნაზიის მასწავლებლებად: ნ. გ. გოგიტიძე—მათემატიკის მასწავლებელი, ივ. გ. რატიშვილი— რუსული ენისა და გეოგრაფიისა, დ. გ. კარიჭაშვილი—ქართული და ფრანგული ენების, ა. ვ. ქუთათელაძე—ქართული ენისა და საშობლოს აღწერისა, ი. პ. მგალობლიშვილი—ლათინური და ბერძნული ენების, ლ. გალაჯევი—ისტორიისა და ლათინური ენისა, ვლ. ლორთქიფანიძე—ისტორიისა, თ. ი. ავილოვი—რუსული და გერმანული ენებისა, ვ. მ. კოლენკო—მათემატიკისა, ან. ი. ხეცურიანი—ფიზიკისა, ა. ბარნოვი—რუსული ენისა, კ. ს. ზაბეეკინი — რუსული ენისა, დ. ათაბეგოვი, არითმეტიკისა, გ. აგლაძე — რუსული ენისა, პ. კორხანიდი — რუსული ენისა, ალ. ციმაკურიძე — ქართული ენისა, ალ. ნათაძე — ქართული ენისა, ვ. ურუშაძე — არითმეტიკისა, ი. მონადირიშვილი — სუფთა წერისა, ალ. მრეველიშვილი — ხატვისა, ზ. ჩხიკვაძე — გალობისა, ან. ყარაშვილი — მუსიკისა, ა. ცალიკა — მუსიკისა,ივ. ვილშაუ — მუსიკისა. აღმზრდელები პანსიონში: ალ. ნ. მიქაბერიძე, კ. ზ. მაყაშვილი. ივ. ნიკარაძე, ნ. ლ. თარხნიშვილი, კ. ი. ჯაფარიძე და სხვ. კლასის დამრიგებლის თანაშემწენი: დ. დევდარიანი, ი. კობახიძე, ალ. გაჩეჩილაძე. სამნეო ნაწილის პანსიონში — ელ. ჯაბადარი; ექიმი — დ. გედეევანიშვილი; ტანვარჯიშის მასწავლებელი — გ. ჩხეიძე, ცეკვის მასწავლებელი — მ. ზირკოვსკი, საქმის მწარმოებელი — დ. ეპიტაშვილი.

ამავე წლის შემოდგომის ერთს დღეს გიმნაზიის გამგემ, ექ. თაყაიშვილმა სამასწავლებლო ოთახში გამოაცხადა: ილია ჭავჭავაძემ განაცხადა თავისი „ეურ-ფიქსე“ ხუთშაბათობით (კვირაში ერთ-ერთი დანიშნული დღე, როცა მსურველებს შეეძლოთ მისვლა და საზოგადო საქმეების შესახებ გამართულ ბაასში მონაწილეობის მიღება) და ვისაც გსურთ, შეგიძლიათ წახვიდეთო.

მე, რაკი ილია ჯერ ნახული არ მყავდა, მაშინვე მივმართე ი. რატიშვილს და კ. მაყაშვილს: დიდად მინდა ილიას ნახვა და თუ წახვალთ, მეც წამოგყვებით-მეთქი, და უახლოეს ხუთშაბათს მათთან ერთად კიდევაც წავედი ილიასთან. მასპინძელმა მეტად გულთბილად საუცხოო ღიმილითა და გაბრწყინებული თვალებით მიგვიღო და მოგვესალმა. ი. რატიშვილმა ილიას გააცნო ჩემი თავი — ჩვენი ახალი მასწავლებელიაო.

—აბა, აბა, მოგვმართა შემდეგ ილიამ,—რას მეტყვით ჩვენი გიმნაზიის შესახებ? წელს რამდენმა მოწაფემ გაათავა გიმნაზია? —იკითხა აგრეთვე ვაკეში ახალი სახლის მშენებლობის მსვლელობაზე და ბოლოს დასძინა — ყმაწვილებო, იცოდეთ, მაგ გიმნაზიას მე-



ეკვთიმე თაყაიშვილი

ტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ამ გიმნაზიაში ახალგაზრდები უნდა აღიზარდონ იმ მიმართულებით, რომელიც შეეფერება ჩვენი ერის მოთხოვნილებას. ამ სასწავლებელმა უნდა აგვიზარდოს მხნე, შრომისა და მამულის მოყვარე ყმაწვილები...

ილიას „ჟურ-ფიქსზე" მეორეთაც ვიყავი, და მაშინ იგი ბევრ ჩვენს საზოგადოებრივ საკითხს შეეხო, მოიხსენია ჩვენი მტერ-მოყვარენი და მისთვის დამახასიათებელი სიდარბაისლითა და იუმორით გააშუქა საქმის ვითარება...

1903 წელს პირველი მაისობა ქართულმა გიმნაზიამ ოქროყანაში

იდღესასწაულა. ამ დღეს მთელი გიმნაზია—მოწაფეებიცა და მასწავლებლებიც ფილიდანვე ავედით ოქროყანაში და საღამომდე დავრჩით. სადილი გაიშალა საეცხოო ბაღში, სადაც მთელი დღის განმავლობაში ისმოდა მოწაფეების მშვენიერი სიმღერა, ცეკვა; გაიმართა ჭიდაობა და, ბოლოს, ბურთის თამაში...

1903 წლის ზაფხულში ოდესიდან თბილისს ექსკურსიაზე ჩამოვიდა ცნობილი პროფესორი, ქიმიკოსი ვ. მ. პეტრიაშვილი სტუდენტებთან ერთად. ბინა და ხარჯი ვ. პეტრიაშვილს და სტუდენტებს ჩვენს გიმნაზიაში ჰქონდათ. აქედან ვ. პეტრიაშვილი მიპატიჟებული იყო თავის ყოფილ მსმენელ კ. მ. ამირეჯიბთან[1], საეცხოოდ მოწყობილ მამულში, ახლანდელ გორის რაიონში სოფელ აელევში.

1901—1902 სასწავლო წელს ქართულ გიმნაზიაში მოვიდა კავკასიის მთავარმართებელი გოლიცინი. მის მოსვლას შემდეგი გარემოება უძღოდა წინ: „საზოგადოების“ წევრი ვ. დ. გაბაშვილი, მსხვილი მემამულე და გენერალი, გოლიცინის დიდი მეგობარი იყო. ერთ დღეს, როცა გოლიცინი და გაბაშვილი ნადირობიდან ბრუნდებოდნენ, ქართულ გიმნაზიას ჩამოუარეს ახლოს და მაშინ, თურმე, გოლიცინმა უთხრა გაბაშვილს: — აი, თქვენი რევოლუციურად განწყობილი გიმნაზიაო. გაბაშვილმა უპასუხა: კარგი იქნებოდა, ჯერ გენახათ, გაგეცნოთ გიმნაზია და შემდეგ დაგედოთ თქვენი მსჯავრი.—მართალს ამბობ,—უთხრა გოლიცინმა,—უნდა ვნახო უთუოდ.— მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ გოლიცინი ეწვია ჩვენს გიმნაზიას. კლასებში გაკვეთილების მოსმენის შემდეგ იგი მიიპატიჟეს დიდ დარბაზში, სადაც ზ. ჩხიკვაძის მიერ გაწვრთნილმა მომღერალთა გუნდმა რამდენიმე სიმღერა შეასრულა. გოლიცინს ძალიან მოეწონა სიმღერები, და როცა გუნდმა „ამოდუღდი მარგალიტო, ნაგუბარში ჩადგე წყალო“ იმღერა, გოლიცინი ეშხზედ მოვიდა და ცეკვა დაიწყო...

1902—1903 სასწავლო წელს მასწავლებელ ალ. მრევლიშვილის თაოსნობით გიმნაზიაში მსურველთათვის მოეწყო სამხატვრო კლასი, რომელიც ღია იყო კვირაში ორჯერ, 5—7 საათამდე. ხატვაში დიდი ნიჭი გამოიჩინეს ძმებმა პავლე და პეტრე დადვაძეებმა.

1903—1904 სასწავლო წელს გიმნაზიაში მოწაფეთათვის გაიხსნა საკითხველო დარბაზი, სადაც ბლომად იყო შესაფერისი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები. დარბაზი მთელი დღე ღია იყო და მას თვი-

[1] შემდეგ უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის და საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი.

თონ მოწაფეები განაგებდნენ—ისინი იყვნენ წიგნების გამცემნი და მიმღებნი.

ამავე ხანებში აღმზრდელ ნ. თარხნიშვილის ხელმძღვანელობით გიმნაზიაში იმართებოდა ქართული და რუსული წარმოდგენები. იდგმებოდა აკაკი წერეთლის „ადვოკატის დილა", ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან" და ვ. გოგოლის „ქორწინება".

1903 წლის ოქტომბერში გარდაიცვალა გამგე-კომიტეტის თავმჯდომარე კ. ი. მუხრან-ბატონი, რომლის დასაფლავებას მცხეთაში მთელი გიმნაზია დაესწრო.

1903—1904 სასწავლო წელს გიმნაზიაში ირიცხებოდა 684 მოწაფე, რომელთაგან 122 პანსიონერი იყო, 522 კი—გარედან მოსიარულე; სწავლის ფულისგან განთავისუფლებული იყო 273 მოწაფე; ტანისამოსი შეუკერეს 84 მოწაფეს.

მას შემდეგ, რაც მერვე კლასი გაიხსნა, ოთხი წლის განმავლობაში კურსი დაამთავრა და სახაზინო გიმნაზიებში სიმწიფის მოწმობა მიიღო მხოლოდ 28 მოწაფემ.

სასწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით ქართული გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფეები თბილისის სახელმწიფო გიმნაზიებში აბარებდნენ გამოცდებს სიმწიფის მოწმობის მისაღებად. ჩვენი გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფეების დოკუმენტები ეგზავნებოდა ოლქის მზრუნველს, რომელიც შემდეგ ამ მოწაფეებს თვითონ ანაწილებდა სახაზინო გიმნაზიებში გამოცდების ჩასაბარებლად. ამ გიმნაზიებში კი ჩვენს მოწაფეებს დიდ დაბრკოლებებს უქმნიდნენ. სახელმწიფო გიმნაზიების ადმინისტრაცია და მასწავლებლები მეტად ფორმალურად, პირდაპირ უსულგულოდ ეექცეოდნენ ქართული გიმნაზიის მოწაფეებს, უმთავრეს ყურადღებას საგნის ცოდნასა და აზრის სწორად გადმოცემას კი არ აქცევდნენ, არამედ გამოთქმას, აქცენტს. ასეთი მიდგომა იყო მიზეზი, რომ ჩვენი გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფეთა მხოლოდ 30—35% იღებდა სიმწიფის მოწმობას... 1900 წელს, რაც ჩვენი გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფეები სიმწიფის მოწმობის მისაღებად პირველად აბარებდნენ გამოცდებს სახაზინო გიმნაზიებში, გამოცდებს ოლქის მზრუნველი იანოვსკიც დაესწრო: ამ წელს ჩვენი გიმნაზიის 8 მოწაფიდან სიმწიფის მოწმობა მიიღო მხოლოდ სამმა, ხოლო 1903—1904 სასწავლო წელს 14 მოწაფიდან მხოლოდ ერთმა (დ. პარკაძემ).

გამგე კომიტეტი და გიმნაზიის გამგე ე. თაყაიშვილი ამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით სახელმწიფო გიმნაზიებიდან იწვევდნენ რუსული ენის მასწავლებლებს, რათა ისინი უფრო ლმო-

ბიერად მოქცეოდნენ ქართული გიმნაზიის მოწაფეებს გამოცდების დროს. მაგრამ ამ ხერხითაც არა გამოდიოდა რა. მოწვეული მასწავლებლები უსულგულო მოხელეები იყვნენ, ისინი ფორმალურად ეკიდებოდნენ თავის მოვალეობას, არავითარ ენერგიას არ ხარჯავდნენ, რომ თავისი საგანი ჯეროვნად შეეთვისებინათ მოწაფეებისათვის: მაგალითად, ა. ბარსოვი მერვე კლასში რუსულ ენას ასწავლიდა და ყოველ გაკვეთილს ასე იწყებდა: в воде лежит мочала, начнем сначала და სულ ერთ და იმავეს ღეჭავდა.

1904—1905 სასწავლო წელს გიმნაზიის მოწაფეებმა გამოსცეს კრებული „ღელვა", რომლის რედაქტორები იყვნენ: გ. ავალიანი, ჟ. ზანდუკელი და პ. დადვაძე.

1904 წლის 1 სექტემბრიდან ე. თაყაიშვილმა, თავგაბეზრებულმა გიმნაზიის სასწავლო საქმეებში გამგე კომიტეტის უხეში ჩარევით, სამსახურს თავი დაანება; მის მაგივრად გიმნაზიის გამგედ კომიტეტმა აირჩია ამავე გიმნაზიის მასწავლებელი ი. გ. რატიშვილი. მაგრამ სასწავლო ოლქის მზრუნველმა ი. რატიშვილი არ დაამტკიცა. ამის შემდეგ კომიტეტმა ქართული გიმნაზიის გამგედ აირჩია ამავე სასწავლო წელს ე. თაყაიშვილის მიერ კიევიდან რუსული ენის მასწავლებლად მოწვეული შ. ა. ჩიტაძე.

1904—1905 სასწავლო წელს გიმნაზიაში ირიცხებოდა 693 მოწაფე, რომელთაგან პანსიონერი იყო — 124, ხოლო გარედან მოსიარულე — 569. მერვე კლასში იყო 16 მოწაფე, მაგრამ არც ერთმა მათგანმა სახაზინო გიმნაზიებში სიმწიფის მოწმობის მისაღებად გამოცდების ჩაბარება არ მოისურვა; ხუთი თუ ექვსი მოწაფე საზღვარგარეთ წავიდა, სხვები კი მეორე წელიწადს დარჩა მერვე კლასში. ამ წელს სწავლის ფულისაგან 261 მოწაფე განთავისუფლდა, ხოლო ტანისამოსი 87 მოწაფეს შეუკერეს.

თანახმად ზემოთ მოტანილი წესდებისა, „ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების" მიერ არჩეული გამგე კომიტეტი გიმნაზიის მთელ საქმეებს განაგებდა. კომიტეტს უფლება ჰქონდა განეგო არა მარტო გიმნაზიის სამეურნეო, არამედ სასწავლო ნაწილიც. კომიტეტს სრული უფლება ჰქონდა მოეწვია და დაეთხოვა ესა თუ ის მასწავლებელი ან სხვა მოსამსახურე პირი, არ დათანხმებოდა და გაეუქმებინა პედაგოგიური საბჭოს ყოველი, უმნიშვნელო გადაწყვეტილებაც კი. კომიტეტს სრული უფლება ჰქონდა ჩარეულიყო გიმნაზიის შინაურ საქმეებში და, ამრიგად, პედაგოგიური საბჭოს მნიშვნელობა ფაქტიურად გაქარწყლებინა.

თბილისის ქართული გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს წევრები 1903 წ.

გიმნაზიის გამგეს კომიტეტის კრებაზე მხოლოდ სათათბირო ხმის უფლება ჰქონდა. მასწავლებელთა უფლებების განსაზღვრა მხოლოდ გაკვეთილების მიცემით და პედაგოგიური საბჭოს თითქმის სათათბირო ორგანოდ დასახვა საქმის წესიერად წარმართვას მეტად უშლიდა ხელს. ამრიგად, კომიტეტსა და პედაგოგიურ საბჭოს შორის, ამ უკანასკნელის უუფლებობის გამო, არათუ საჭირო სოლიდარობა არ არსებობდა, არამედ განხეთქილებაც კი გაჩნდა. გამგე კომიტეტი ეჭვისა და უნდობლობის თვალით შეჰყურებდა მასწავლებელთა კორპორაციას, პედაგოგიური საბჭოს ყოველ გადაწყვეტილებას; მასწავლებლებიც, თავის მხრივ, ასეთსავე უნდობლობას უცხადებდნენ გამგე-კომიტეტს, რაც, რასაკვირველია, საერთო საქმეს აფერხებდა.

გამგე კომიტეტსა და პედაგოგიურ საბჭოს შორის დამოკიდებულების გამწვავებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი შემდეგმა გარემოებამ: პანსიონის ეკონომად ამ ხანებში იყო ელენე გიორგის ასული ჯაბადარი—განათლებული და პატიოსანი პიროვნება, რომელიც, სხვათა შორის, სწავლაში ჩამორჩენილ პანსიონერებს უსასყიდლოდ რეპეტიტორობდა. ე. ჯაბადარმა ავადმყოფობის გამო სამსახურს თავი დაანება. მის მაგივრად კომიტეტმა შეთავსებით ეკონომად დანიშნა ვაკეში ახალი სახლის შშენებლობის მეთვალყურე დ. დუმბაძე, მოუსვენარი, ინტრიგების მოყვარული კაცი, რომელიც ყველგან, სამასწავლებლო ოთახშიაც კი დადიოდა და მასწავლებლების შესახებ ათასნაირ ჭორებს ავრცელებდა, რისთვისაც 1905—1906 სასწავლო წელს შ. ჩიტაძე იძულებული იყო დუმბაძე სამასწავლებლო ოთახიდან გაეგდო და აეკრძალა იქ შემოსვლა.

1905—1906 სასწავლო წელს გამგე კომიტეტის შემადგენლობა ასეთი იყო: თავმჯდომარე—მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანისა, თავმჯდომარის ამხანაგი—ი. დ. უთნელიშვილი, წევრები—ნ. ზ. ცხვედაძე, გ. დ. გაბაშვილი, ვ. გ. მაჩაბელი, ექ. გ. მაღალაშვილი და ექ. სპ. ვერსალაძე.

IV. თბილისის ქართული გიმნაზიის რეორგანიზაციის საკითხი

1905—1906 სასწავლო წელს ქართული გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ შ. ჩიტაძის თაოსნობით შეადგინა გიმნაზიის რეორგანიზაციის პროექტი.

პროექტის შედგენაში თითქმის მთელი თავისი შემადგენლობით მონაწილეობდა გიმნაზიის პედსაბჭო, რომელმაც ამ მუშაობას ერთ თვეზე მეტი დრო მოანდომა. პედსაბჭო კომისიებად იყო დაყოფილი

და თითოეული კომისიის ნამუშევარს შემდგომ პლენარულ კრებაზე იხილავდა საბოლოო რედაქციის დადგენის მიზნით. რამდენადაც მახსოვს, ქართული და რუსული ენებისა და ლიტერატურის კომისიაში შედიოდნენ: დ. კარიჭაშვილი, არისტო ქუთათელაძე, ალ. ნათაძე, შიო ჩიტაძე, პ. კორხანიდი და მ. ქორიძე; მათემატიკისა და ფიზიკის კომისიაში—ნ. გოგიტიძე, ალ. ხეცურიანი, ღლონტი და ს. იაშვილი; ბუნებისმეტყველებისა და გეოგრაფიის კომისიაში — ს. იაშვილი, ივ. რატიშვილი, ხ. ღლონტი; უცხო ენების კომისიაში— დ. კარიჭაშვილი, ალ. მიქაბერიძე, ლ. გალაჯევი, ი. მგალობლიშვილი, გ. ავილოვი და ო. შვარცი... გიმნაზიის რეორგანიზაციის დამუშავებული პროექტი პედსაბჭომ წარუდგინა გამგე კომიტეტს, დაბეჭდა გაზ. „ივერიაში" და შემდეგ ამავე საგანზე სათათბიროდ გიმნაზიის შენობაში მიიწვია ჩვენი მოწინავე ინტელიგენცია. ამ თათბირს ხალხი ბლომად დაესწრო; არ მოვიდნენ მხოლოდ გამგე კომიტეტის წევრები, რაც დამსწრე საზოგადოებაში დიდ გაოცებას იწვევდა; უკვირდათ, რომ კომიტეტმა საჭიროდ არ დაინახა დასწრებოდა ისეთ კრებას, სადაც გიმნაზიის რეორგანიზაციის პროექტზე უნდა ყოფილიყო მსჯელობა.

გამოირკვა, რომ კომიტეტი დიდად გაჯავრებული და უკმაყოფილო ყოფილა მასწავლებლებზე:—როგორ გაბედეს და ჩვენს დაუკითხავად შეადგინეს პროექტი, გაზეთში დაბეჭდეს და თათბირსაც იწვევენო.—კომიტეტმა მასწავლებლებს დიდი საყვედურის წერილი მისწერა და უცხადებდა: თქვენი ასეთი საქციელის გამო ვერ დავესწრებით თქვენგან მოწვეულ კრებასაო.

თათბირზე დამსწრეებმა გამგე კომიტეტს ყოფილი წევრი რ. ნ. ყაზბეგი აირჩიეს კრების თავმჯდომარედ. პედაგოგიურმა საბჭომ თათბირზე მოწვეულ პირებს გააცნო პროექტის უმთავრესი მუხლები: 1) თბილისის ქართულ გიმნაზიას არ უნდა ჰქონდეს მოსამზადებელი ხასიათი; გიმნაზია უნდა აძლევდეს საზოგადო ხასიათის დასრულებულ საშუალო განათლებას; 2) სწავლა უნდა წარმოებდეს ქართულ ენაზე; 3) პედაგოგიური საბჭო გიმნაზიის შინაგან საქმეებში დამოუკიდებელი უნდა იყოს გამგე კომიტეტისაგან.

ამასთანავე პედაგოგიურმა საბჭომ კრებას განუცხადა, რომ ამ მოხსენებაში მას აზრადაც არ ჰქონია გიმნაზიის ძირითადი რეფორმა ან სრულიად ახალი სკოლის შექმნა, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია. ახალი სკოლის გეგმას იგი ცალკე წარმოადგენს, ამ მოხსენების აზრი კი მხოლოდ, ისაა რომ სექტემბრისათვის იმდენად გააუმჯობესოს ქართული გიმნაზიის სასწავლო და საორგანიზაციო ნაწილი, რომ, თუ ვინიცობაა მთელ რუსეთში დღევანდელი რეჟიმი არსებითად შეიც-

ვალა, ჩვენს მასწავლებლებს დამოუკიდებლად შეეძლოთ განაგრძონ მოწაფეებთან მეცადინეობაო.

ქვემოთ მოგვყავს გიმნაზიის რეორგანიზაციის პროექტი.

თბილისის ქართული გიმნაზიის სასურველი რეორგანიზაცია

(პედაგოგიური სიბჭოს მოხსენება)

„რუსეთში ახლანდელმა სოციალურმა პირობებმა ისეთის ვიწრო ფარგლით შემოხაზა სწავლა-განათლების საქმე, რომ თანამედროვე სასწავლებლები ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებენ მრავალგვარად გართულებულ ცხოვრების აუცილებელ მოთხოვნილებას. ცხოვრება აჩქარებულის ნაბიჯით წინ მიისწრაფვის, ცხოვრების ვითარება რთულდება, სასწავლებლები კი ამავე დროს ერთსა და იმავე წერტილზე შეჩერებულან და, თითქო განგებ, ცდილობენ მოზარდ ახალ თაობის გონების დახშობას, მის სულიერ და ფიზიკურ ძალების ერთიანად განადგურებას. არსებული სასწავლებლები ჭეშმარიტად განვითარებულ მუშაკებს ვერ უმზადებენ სამშობლოს და კიდევაც ამიტომაა, რომ ყოველი ჩვენი საზოგადო საქმე, ჩვენი საზოგადო მოღვაწეობა მცირე ნაყოფის გამომღებია. რუსეთის სასწავლებლებს მართლა რომ ჭეშმარიტი მოღვაწეები აღეზარდა საქართველოსათვის, ჩვენის მოზარდ ახალ თაობის სწავლა-აღზრდის საქმე მართლაც ნორმალურად ეწარმოვინა, მაშინ საზოგადოებრივი თვითცნობიერებას ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, ხალხის ყველა წოდებაში მძლავრი და საიმედო ფესვები ექნებოდა დღემდე გადგმული. ეხლანდელი სოციალური ცხოვრება ისეთ საფუძველზე არის აგებული, რომ სკოლის სხვანაირი ნაყოფიერება შეუძლებელიც იყო.

მთელი ახლანდელი საზოგადოებრივი ცხოვრება მჭიდროდ დაკავშირებულია არსებულ ბიუროკრატიულ წესწყობილებასთან და, მაშასადამე, რა გასაკვირველია, რომ სკოლაც ვერ ასცდა ამ წესწყობილების სასტიკს გავლენას. ამ გავლენის აცილება შეუძლებელია, რადგან სკოლა საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრების გულზე ნადები ღვიძლი შვილია, ამავე ცხოვრების ნამდვილი სურათია, მისი პირდაპირი შედეგი და ნაყოფია. თანამედროვე სკოლა ახლანდელ ცხოვრების უმტვერო სარკეა, რომელზედაც მსხვილის ნაწერით მოხატულია თვით ამ ცხოვრების უტყუარი სურათი.

ამჟამად ყველასათვის ცხადია, რომ რუსეთის საშუალო სკოლების უმთავრესი საფუძველი პოლიტიკურ ცხოვრების მიხედვით აღმოცენებულია ბიუროკრატიულ წესწყობილების ვითარებაზე და

კიდევაც ამიტომაა რომ ამ სკოლების მთელი ორგანიზაცია დახავსებულ ბიუროკრატიის წესწყობილების სალტებითაა შებოჭილი. არსებულმა პოლიტიკურმა ცხოვრებამ ძირიან-ფესვიანად შესცვალა საშუალო სკოლის თავი და თავი დანიშნულება, გაამეფა მასში, საღის და ჭეშმარიტის პედაგოგიურ პრინციპების მაგივრად, პოლიტიკანობა და ამნაირად მოუსპო მოზარდ ახალ თაობას ჭეშმარიტის სწავლა-განათლების მიღების საშუალება.

თანამედროვე გართულებულ ცხოვრების მოთხოვნილებასთან შეუფარდებლობა და აღვირახსნილის ბიუროკრატიულ წესწყობილების გამეფება — აი რუსეთის საშუალო სკოლის ნიშნობრივი თვისებანი, რომელიც უმთავრეს ნაკლულევანებად უნდა ჩაეთვალოს ახლანდელს საშუალო სკოლას.

ეამთა ვითარების გამო თბილისის ქართული გიმნაზიაც ვერ ასცდა ამ საერთო ნაკლს. ამ გიმნაზიის სასწავლო გეგმა და ორგანიზაცია თითქმის სავსებით აგებულია რუსეთის საშუალო სკოლების უმთავრეს საფუძველზე და ამიტომაცაა, რომ ჩვენი სკოლის ნაყოფიერებაც ისევე უმნიშვნელოა, როგორც რუსეთის საშუალო სასწავლებლებისა; მეტსაც ვიტყვით: ჩვენი სკოლის მგდომარეობა უარესიცაა, რადგან სწავლა უცხო ენაზე სწარმოებს.

რუსეთის მოწინავე საზოგადოებამ დიდი ხანია აღნიშნა საშუალო სკოლის უნიადაგობა და ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით გადაჭრით მოითხოვა ამ სასწავლებლის ძირითადი რეორგანიზაცია. საზოგადოების უკმაყოფილება დღითიდღე იზრდებოდა და საშინ მდგომარეობაში აგდებდა მთავრობის პოლიტიკას სწავლა-აღზრდის საქმეში. მთავრობის მხრით ამ უკმაყოფილების უყურადღებოდ დატოვება მოუხერხებელი შეიქნა. საერო განათლების სამინისტრომ, გენერალ-ადიუტანტ ვანოვსკის მინისტრობის დროს განიზრახა საშუალო სკოლების რეორგანიზაცია. ვანოვსკის ხელმძღვანელობით მოწვეულმა სასკოლო კომისიამ ცხადჰყო ახლანდელის საშუალო სკოლის უვარგისობა და, ის იყო, თითქო ახლოვდებოდა ძველის სწავლების სისტემის ლიკვიდაციის ხანა. მაგრამ იმისი განზრახვა განზრახვადვე დარჩა, საშუალო სკოლა ისევ ძველსა და ვიწრო საზღვარში დარჩა მომწყვდეული, ასე რომ ამ საზღვრის გონივრულად გაფართოვება ვერ შესძლეს ვერც ვანოვსკის შემდეგ ყოფილმა მინისტრმა ზენგერმა და ვერც სამინისტროს ახლანდელმა მმართველმა ბ. გლაზოვმა.

ცხოვრების სინამდვილე კი, მიუხედავად ამისა, დაჟინებით თხოულობს ძირითადს რეფორმას და ჩვენ ჯერჯერობით შეუძლებლად მიგვაჩნია გადაჭრით ვიწინასწარმეტყველოთ, რაგვარ რეფორ-

მის გზას დაადგება ამ მოკლე მომავალში რუსეთის მთავრობა საშუალო სკოლის რეორგანიზაციის დროს. თუ მთავრობამ საშუალო სკოლის ძირითადი რეორგანიზაცია სასურველად მოაწესრიგა, ამის შეხედვით ტფილისის ქართული გიმნაზიის ახლანდელი ანორმალური მდგომარეობაც საუკეთესოდ შეიცვლება.

კიდევაც, რომ რუსეთის საშუალო სკოლებმა ახლანდელ ანორმალურ მდგომარეობას თავი ვერ დაალწიოს, ტფილისის ქართული გიმნაზიის ახლანდელ პირობებში დატოვება მოუხერხებელია, თუ გვინდა, რომ სკოლამ უფრო მეტი სარგებლობა მოუტანოს ჩვენს საზოგადოებას.

ტფილისის ქართული გიმნაზია კერძო სკოლაა და, მაშასადამე, საზოგადოებას სრული უფლება აქვს მოახდინოს სკოლაში ზოგიერთი ძირითადი ცვლილებანი. დღეს, ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ სკოლის ნაყოფი ძლიერ მცირედია, როცა სკოლა თითქმის უმოქმედობის გზას დასდგომია და უმოწყალოდ ამახინჯებს ჩვენს მომავალს თაობას, ვიმეორებთ, დღეს რომ საზოგადოებამ არ ისარგებლოს იმ უფლებით, რომელიც მის ხელთ არის, ეს დიდი დანაშაული იქნებოდა ჩვენის აზრით.

გიმნაზიის პედაგოგიურმა რჩევამ, დიდის განსჯისა და მოფიქრების შემდეგ, თავის ზნეობრივ მოვალეობად ჩასთვალა გაეთვალისწინებინა საზოგადო კრებისათვის სკოლაში ზოგიერთ ცვლილებათა პოხდენის საჭიროება, რაიცა სკოლის ნაყოფიერებას უეჭველად ხელს შეუწყობს და ამნაირად ჩვენს ახალთაობას გონებრივსა და ზნეობრივ გაღატაკებას თავიდგან აიცდენს. ჩვენი აზრით, უკეთუ რუსეთის საშუალო სასწავლებლებში ძირითადი ცვლილებანი არ მოხდა, ჩვენი გიმნაზიის სასწავლო ნაწილა და შინაგან ყოფა-მდგომარეობის ორგანიზაცია მაინც და მაინც უნდა შეიცვალოს და ეხლანდელ დროის შესაფერად უნდა მოწესრიგდეს.

1. სასწავლო ნაწილი

1. ამჟამად ტფილისის ქართული გიმნაზიის სასწავლო პროგრამა, თუ ქართული ენის სწავლებას არ მივიღებთ მხედველობაში, სრულიად შეფარდებულია საშუალო სასწავლებლის საერთო განათლების სამინისტროს პროგრამასთან. გიმნაზია კვალდაკვალ მისდევს სახელმწიფო სკოლების პროგრამას, დიდ დროსა და ენერგიას ანდომებს ამ პროგრამის სავსებით შესრულებას, რადგან გიმნაზიის დღევანდელი უმთავრესი დანიშნულებაა, რაც შეიძლება უმრავლესმა პროცენტმა მიიღოს სახელმწიფო გიმნაზიების დამთავრების მოწმობა. ამნაირად, ჩვენი გიმნაზია უბრალო პანსიონს წარმო-

ადგენს, საცა ბავშვებს სწვრთნიან და ავარჯიშებენ მხოლოდ იმ აზრით, რომ რაც შეიძლება უფრო მომეტებული პროცენტი გადავიდეს სახელმწიფო სასწავლებელში და ამ სკოლების დამთავრების სათანადო მოწმობაც მიიღონ. ჩვენი გიმნაზიის ნაყოფიერება იზომება მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რამდენმა მოწაფემ დაიჭირა ეგზამენი სახაზინო გიმნაზიაში, ან რამდენმა მიიღო სახელმწიფო სკოლის დამთავრების მოწმობა. გიმნაზიის ასეთი დანიშნულება მეტად ავიწროვებს მასწავლებლებს. სახელმწიფო სკოლების უსულო და უგულო პროგრამა ნებას არ აძლევს მასწავლებლებს უმთავრესი ყურადღება მიაქციონ მოსწავლეების გონებრივ განვითარებას, შეათვისებინონ ისეთი საგნები, რომელიც ცხოვრებაში აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. ამგვარ შევიწროვებისა და შეზღუდვის შედეგი ცხადია: ყმაწვილი სრულიად განუვითარებელი და ცხოვრებისათვის მოუმზადებელი გამოდის სკოლიდან. ამიტომ პედაგოგიური რჩევა აუცილებელ საჭიროებად სთვლის, ტფილისის ქართულ გიმნაზიას მოსამზადებელი ხასიათი არა ჰქონდეს, არამედ იგი წარმოადგენდეს ისეთ სასწავლებელს, საცა მოსწავლე იძენდეს დროის შესაფერ დამთავრებულ საშუალო სწავლა-განათლებას.

2. პედაგოგიის უმთავრეს პრინციპად აღიარებულია, რომ ბავშვის ნორჩი გონების ნორმალურად განვითარება შესაძლოა მხოლოდ სამშობლო ენის საშუალებით. თუ ყმაწვილი სამშობლო ენის საშუალებით არ ითვისებს ამა თუ იმ საგანს, მისი ნორმალურად განვითარება არა თუ შესაძლოა, თითქმის მოუხერხებელიცაა. ამიტომ, თუ რუსეთის საშუალო სასწავლებლის ძირითადი რეორგანიზაცია მოხდა, ჩვენს გიმნაზიაში ყველა საგნები ქართულს ენაზე უნდა ისწავლებოდეს მაგრამ თუ ასეთი ცვლილება არ მოხერხდა, ქართულ გიმნაზიაში ქართული ენა მთავარ საგნად მაინც უნდა იქნეს მიჩნეული.

3. სამშობლო ენაზე გონება-განვითარებული მოსწავლე ადვილად შეითვისებს სხვა, უცხო ენებს და, მათ შორის, რასაკვირველია, რუსულ ენასაც. ამ ენის საფუძვლიანად შესწავლა, როგორც სახელმწიფო ენისა, პრაქტიკულად მეტად საჭირო და სადღეისოა. ამიტომ ამ ენის სწავლებამ მართლაც რომ ჭეშმარიტი ნაყოფი გამოიღოს, აუცილებლად საჭიროა, მოვსპოთ ყველა ის დაბრკოლებანი, რომელიც ამჟამად მეტად აუტანელ ბარგად გამხდარა რუსული ენის შესწავლის დროს. დაბალს სკოლებში, მაგალითად, გრამატიკის გაკვეთილებს წინ უნდა უძღოდეს განმარტებითი კითხვის გაკვეთილები, ძველის ლიტერატურის კურსი შესამჩნევად უნდა შემოკლდეს უფ-

როს კლასებში და სამაგიეროდ უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ახალი დროის მწერლების ნაწარმოებთა შეთვისებას.

4. რუსულსა და ქართულს ენაზე არსებობს საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა, რომლის ვრცლად გაცნობაც მეტად ხელს შეუწყობს მოსწავლეების გონების განვითარებას. ამიტომ პედაგოგიურ რჩევას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია პირველსავე განყოფილებიდან შეაჩვიოს მოსწავლეები კლასგარეშე წიგნების გონიერულად კითხვას თვით მასწავლებლების ხელმძღვანელობით.

5. თუმცა ამჟამად საბუნებისმეტყველო საგნებს ასწავლიან გიმნაზიაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საგნებს ფართო და შესაფერისი ადგილი არა აქვს დათმობილი თანახმად საერთო განათლების საშინისტროს პროგრამისა, ბუნებისმეტყველებას ასწავლიან მხოლოდ პირველ სამს გიმნაზიურ კლასში და იმასაც ძლიერ ზერელედ. მეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საბუნებისმეტყველო საგნებს დღითი დღე უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა ცხოვრების სარბიელზე და ამიტომ ამ საგნების ასე ვიწრო და შეზღუდულ ფარგალში მომწყვდევა ცხოვრების რეალურ პირობების დაგმობა და უარყოფაა. ამიტომ რჩევას საჭიროდ მიაჩნია საბუნებისმეტყველო საგნების პროგრამა გაფართოვოს და ამ საგნების სწავლება საფუძვლიან ნიადაგზე დაამყაროს გიმნაზიურ ყოველ კლასში. რვა წლის განმავლობაში მოსწავლე შეგნებით შეითვისებს ბუნების უმთავრეს მოვლენას და, ასეთის ცოდნით შეიარაღებული, იგი უფრო ნაყოფიერად და შეგნებულად იშრომებს უნივერსიტეტში.

6. რაციონალურად უნდა მოეწყოს გერმანულისა და ფრანგული ენების სწავლება, რადგან მარტო ქართულისა და რუსული ენების საშუალებით შეუძლებელია ამჟამად საფუძვლიანისა და ფართო განათლების მიღება. ამიტომ ამ ენების სწავლება გიმნაზიაში ისე უნდა მოწესრიგდეს, რომ მოსწავლე ჩვენი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შეგნებით კითხულობდეს ფრანგულსა და გერმანულს წიგნებს, გაუჭირვებლად ლაპარაკობდეს ამ ენებზე და საკმაოდ იცნობდეს ამ ენებზედვე არსებულ ლიტერატურას.

7. ლათინური ენის სწავლება ამჟამად გიმნაზიებში მესამე კლასიდან იწყება. კიდეკაც რომ ამ ენის სწავლება სახაზინო გიმნაზიებში დღევანდელ ვითარებაში დარჩეს, ჩვენს გიმნაზიაში ლათინური ენის სწავლება ექვსი წლის განმავლობაში მეტი დროს დაკარგვა იქნებოდა. თუ მასწავლებელი რაციონალურად მოაწყობს ამ ენის სწავლებას, მთელი გიმნაზიური კურსის საფუძვლიანად შეთვისება ადვილად შესაძლოა ოთხი წლის განმავლობაში. ამნაირად ლათინური ენის სწავლება, რჩევის აზრით, მეხუთე კლასიდან უნდა იქნეს შე-

მოღებული. ამ ენის სრულიად გაუქმება დღევანდელ ვითარებაში პედაგოგიურ რჩევას სრულიად შეუძლებლად მიაჩნია, რადგან ჩვენი გიმნაზიის კურსდამთავრებულ მოსწავლეებს, რუსეთის უნივერსიტეტები რომ მხედველობაში არ მივიღოთ, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში არც ერთს მსვლელობა არ ექნება, და განსაკუთრებით კი გერმანიაში.

8. ყველა სავალდებულო საგნების სწავლებაში დასახელებულ ცვლილებათა შემოღება, რასაკვირველია, შესამჩნევ გავლენას იქონიებს სკოლის წარმატებასა და ნაყოფიერებაზე, მაგრამ მოსწავლეების კანონიერ და სრულიად ბუნებრივ მოთხოვნილებას მაინც ვერ დააკმაყოფილებს. აშკარაა, რომ თანამედროვე გართულებული ცხოვრება ჰბადებს მრავალ ისეთს საკითხებს, რომლის ასე თუ ისე გადაწყვეტასაც მოსწავლის ცნობისმოყვარე გონება დაჟინებით თხოულობს. სკოლის პირდაპირი მოვალეობაა განუმარტოს, გაუთვალისწინოს მოსწავლეებს ეს საჭირბოროტო საკითხები და თვით სკოლის კედლებს შიგნით დააკმაყოფილოს ცნობის მოყვარეობით გატაცებული მოსწავლის გონება. თუ სკოლამ მოსწავლის ასეთის სულიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილება თავის პირდაპირ მოვალეობად არ ჩასთვალა, აშკარაა, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა სკოლას ზურგს შეაქცევს და სკოლის გარეშე მოსძებნის ამ საჭირბოროტო საკითხების განსამარტებელ მასალას და, ვინ იცის, რამდენად საიმედო გამოდგება ეს მასალა. ჭეშმარიტი მასწავლებელი მოვალეა სავსებით იცნობდეს თავის მოწაფის სულიერ არსებას, მის ზნეობრივ ფიზიონომიას, მის იდეალებსა და მისწრაფებას. ყველა ამის ცოდნა, სავსებით გათვალისწინება შეუძლებელია, უკეთუ მასწავლებელი არ ხელმძღვანელობს მოსწავლის ყოველმხრივ განვითარების საქმეს. ამიტომ პედაგოგიურ რჩევას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია. ჩვენს გიმნაზიაში შემოღებულ იქნას ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, კანონმდებლობის, პოლიტიკურ ეკონომიის, სტატისტიკისა და ზოგიერთი სხვა საზოგადო მეცნიერების სწავლება. ამ საგნების სწავლების შემოღება უფროს კლასებში შემოკლებული პროგრამითაც მეტად დიდ სამსახურს გაუწევს გონებრივად განვითარების საქმეს და ერთი ორად გაანაყოფიერებს გიმნაზიის მოღვაწეობას.

9. გარდა ამისა, თითოეულს ხანას, თითოეულ განსაზღვრულ დროს თანა სდევს ესა თუ ის საჭირბოროტო საკითხები, რომლის გარკვევა და გათვალისწინება მეტად აინტერესებს მოსწავლის ცნობისმოყვარე გონებას. ყველა ამ საკითხებს დროებით ხასიათი აქვს და მათი გამორკვევა და გადაწყვეტა სკოლამ უნდა იდოს

თავს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსწავლე სკოლის გარეშე მოსძებნის ამ საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტის საშუალებას და ამ-ნაირად მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის სწყდება ის სულიერი კავშირი, რომელიც ასე საჭიროა ყოველს კეთილად განწყობილსა და მოწესრიგებულ სასწავლებელში. ამიტომ ჩვენ გიმნაზიაში სავალდებულო საგნებთან ერთად შემოღებულ უნდა იქმნას საგნების ფაკულტატური სწავლებაც დროის შესაფერ საჭირბოროტო საკითხების გამოსარკვევად.

10. გამოცდილ პედაგოგების მიერ შემჩნეულია, რომ მასწავლებელი, რომელიც ერთსა და იმავე საგანს დიდი ხნის განმავლობაში ასწავლის, ხშირად ხდება სრული მონა სახელმძღვანელოისა და მის მიერ შემუშავებულ სწავლების სისტემისა. ამიტომ მასწავლებელმა რომ სკოლაში არ გაამეფოს სწავლების დახავსებული მეთოდი, მასწავლებელი რომ მუდამ ამდიდრებდეს თავის გონებას პედაგოგიკისა და მეთოდიკის ყოველმხრივ განვითარების ცოდნით, აუცილებლად საჭიროა სკოლის ხელმძღვანელნი დროგამოშვებით სწერდნენ რეფერატებს ამა თუ იმ პედაგოგიურ კითხვების შესახებ და მსჯელობდნენ პედაგოგიური საბჭოს კრებებზე ჭეშმარიტი პედაგოგიური ზომების შესამუშავებლად.

11. პედაგოგიური რჩევის კრებებზე საგულისხმიერო საკითხების შესახებ აზრთა გაზიარება, ამა თუ იმ პედაგოგიური ცდისა და დაკვირვების მოხსენება და განსჯა, ყველა საგნების შესახებ აზრთა გაზიარება, ყველა საგნების სწავლებაში დიდს ჰარმონიას შეიტანს, კერძო საგნების სწავლებაში დაამკვიდრებს მჭიდრო კავშირს, ერთსულობასა და ერთგულობას. ასეთ სოლიდარულ შემოქმედების დროს სრულიად ადგილი არ ექნება ისეთს სამწუხარო გარემოებას სკოლაში, როცა ერთი რომელიმე მასწავლებელი ძლიერ ხშირად გულმოდგინედ აშენებს მოსწავლეების გონების განვითარების სალაროს მკვიდრ კედლებს და მეორე კი ასეთსავე გულმოდგინეობით ძირს უთხრის ამავე კედლებს.

12. რეფერატების რჩევაზე თეორეტიულად განსჯის გარდა, საჭიროა, რომ მასწავლებლები დროგამოშვებით ესწრებოდნენ ამ-ხანაგების სამაგალითო გაკვეთილებს და პრაქტიკულად ეცნობოდნენ სწავლების სისტემას და მეთოდებს. სამაგალითო გაკვეთილების საერთო ძალით განსჯა და განხილვა მეტად ხელს შეუწყობს, მასწავლებელმა რომ ჭეშმარიტი აზრი შეადგინოს ამა თუ იმ საგნის სწავლების შესახებ.

2. შინაური მართვა-გამგეობის ორგანიზაცია

1. სკოლის სული და გული მასწავლებელია. სკოლის წარმატება, ჭეშმარიტი ნაყოფიერება მოსალოდნელია მხოლოდ მაშინ, როცა სკოლას ერთგულად თავს დასტრიალებს შეგნებული, ჭეშმარიტის ცოდნით შეიარაღებული მასწავლებელი. მოზარდ ახალთაობის გონებრივ განვითარების ხელმძღვანელობა, კეთილს გზაზე დაყენება და სწორის მიმართულების მიცემა სამძიმო და პასუხსაგები მოვალეობაა, რომლის ღირსეულად შესრულება დიდს მზნეობას, ცოდნასა და გამჭრიახობას მოითხოვს. ცხოვრება სწრაფის ნაბიჯით წინ მიისწრაფვის, სოციალური ურთიერთობა რთულდება, მეცნიერება თანდათან ვითარდება და ამის მიხედვით აზრთა მსვლელობაც სულ სხვა მიმართულებას იღებს. ჭეშმარიტ მეთაურს, ჭეშმარიტ მასწავლებელს ამ გართულებული ცხოვრების ალღო უნდა ჰქონდეს აღებული, ჭეშმარიტი მასწავლებელი ცხოვრების და მეცნიერების განვითარებას კვალდაკვალ უნდა მისდევდეს. თუ მართლა სურს, რომ ახალთაობას ნამდვილი მეთაურობა გაუწიოს. ამიტომ საჭიროა მასწავლებელს იმდენი თავისუფალი დრო ჰქონდეს, რომ ცხოვრებას უკან არ ჩამორჩეს, თანამედროვე მეცნიერებისა და აზრთა მსვლელობის უმეცარი არ გახდეს და მით უღირსი ხელმძღვანელობა არ გაუწიოს მომავალ ახალთაობას. მასწავლებელმა რომ ღირსეულად შეასრულოს თავისი მეტად სამძიმო და პასუხსაგები მოვალეობა, რჩევის აზრით, საჭიროა იგი კვირაში აძლევდეს არა უმეტეს 18 გაკვეთილისა.

მასწავლებელი მთელ თავის შრომას, ენერგიასა და მოცალეობას სკოლას უნდა ახმარდეს და, ამიტომ, რასაკვირველია, ცხოვრების საღსარსაც სკოლიდანვე უნდა იღებდეს. ამჟამად ჩვენი გიმნაზიის მასწავლებლების მატერიალური მდგომარეობა საზოგადოდ ვერაა უზრუნველყოფილი. მასწავლებელი შედარებით მცირე ჯამაგირს იღებს, ასე რომ არ შეუძლიან ცხოვრების უსაჭიროესი მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს და ამიტომ გიმნაზიის გარეშე უნდა იშრომოს. ამკარაა, რომ მასწავლებლის სკოლის გარეშე შრომა და მოღვაწეობა მეტად ხელს შეუშლის გიმნაზიის ნაყოფიერად მოქმედებას. ამიტომ რჩევას საქმის საკეთილოდ მიაჩნია, მასწავლებელმა რომ მთელი თავისი შრომა გიმნაზიას შესწიროს და შედარებით რიგიანადაც იცხოვროს, თვითეულს წლიურ გაკვეთილში ჯამაგირად 150 მანეთი მიეცეს იმ პირობით, რომ ბინის ფასი, ხუთი წლის ნამსახურების ჯილდო, აღმზრდელობის და კლასის დამრიგებლობისათვის ჯამაგირი გაუქმდეს. ამასთანავე მოსამზადებელ და გიმ-

ნაზიურ კლასების მასწავლებლები თანაბრად უნდა იღებდნენ ჯამაგირს, რადგან მოსამზადებელ კლასებში სწავლება არა ნაკლებ შრომასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს. სხვა სასწავლებლების მაგალითი ჩვენი სკოლისათვის მოსატანი არაა, რადგან მოსამზადებელ მასწავლებლების აწინდელი ჯამაგირით დაჯილდოვება უსამართლობაზედაა დამყარებული და ჩვენს განახლებულს სკოლაში ასეთს უსამართლობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

მასწავლებელმა რომ ენერგიულად იშრომოს სკოლაში, საკმარისი არაა მარტო წლითიწლობით უზრუნველჰყოს იგი ნივთიერად. მასწავლებლობა, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ძლიერ სამძიმო საქმეა და, მაშასადამე, ეს მძიმე ტვირთი რამდენისამე წლის ენერგიულად შრომის შემდეგ აუძლურებს მასწავლებელს და უკარგავს შრომის უნარს. აი ამ შემთხვევისათვის სკოლა მოვალეა თავისი ერთგული მუშაკნი, უკვე შრომის უნარს მოკლებულნი, უზრუნველჰყოს ნივთიერად და სათანადო პენსია დაუნიშნოს. პედაგოგიურ რჩევას შესაძლებლად მიაჩნია დარჩეს ჯერჯერობით აწ არსებული საპენსიო წესდება, მხოლოდ იმ ცვლილებით, რომ ყველა მასწავლებელი თანაბრად იღებდეს პენსიას. სრულის პენსიის მიღებისათვის, რომლის რაოდენობა 1.200 მანეთით განისაზღვრება, საჭიროა 15 წლის სამსახური არსებულ წესდებაში ნაჩვენები 20 წლის მაგივრად. მასწავლებელს 10 წლის სამსახურის შემდეგ ეძლევა უფლება სრული პენსიის ორი მესამედი მიიღოს. პენსიის დამსახურების შემდეგ თვითეულმა მასწავლებელმა უთუოდ სკოლას თავი უნდა დაანებოს. თუ საჭიროება მოითხოვს, მასწავლებლებს ჯამაგირიდან დაეჭიროს 10 პროცენტი საპენსიო თანხის გასადიდებლად.

ამჟამად მასწავლებლების მოწვევის დროს უმთავრესს ყურადღებას აქცევენ ამა თუ იმ კანდიდატის დიპლომს, საშუალო ან უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების მოწმობას. მასწავლებლის უნარი და საქმიანობა ამ მოწმობების მიხედვით იზომება, რასაც, როგორც ხანგრძლივმა პრაქტიკამ დაგვარწმუნა, ძლიერ ცუდი და არასასურველი შედეგი მოსდევს. ამიტომ რჩევას საქმის საკეთილოდ მიაჩნია, მასწავლებლების მოწვევის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კანდიდატის მხოლოდ პედაგოგიურ ნიჭსა და გამოცდილებას და არა უმნიშვნელო მოწმობას, რომელიც ვერაფერი საიმედო თვდებია მასწავლებლის პედაგოგიური ნიჭისა და ნაყოფიერად საქმიანობისა.

ქალებმა დიდი ხანია დაამტკიცეს თავიანთი ნიჭი და უნარი პედაგოგიურ ასპარეზზე და ამიტომ საჭიროა, რომ ტფილისის ქარ-

თულ გიმნაზიაში ქალებსაც იგივე უფლება ჰქონდეთ მასწავლებ-ლობისა, როგორც მამაკაცებსა აქვთ.

2. პედაგოგიური ჭეშმარიტებაა, მოსწავლის სწავლება და მით უფრო აღზრდა ყოვლად შეუძლებელია, თუ მასწავლებელი მოსწავლეს კარგად არ იცნობს. მასწავლებელი ხედავს მოსწავლეს კლასში მხოლოდ რამდენსამე საათით და ისიც ისეთ პირობებში, როცა ყმაწვილის ინდივიდუალური თვისებები, ყმაწვილის სული და გული, ყმაწვილის მთელი არსება შებოჭვილია ერთგვარის საკ-ლასო დისციპლინით. მოსწავლის მთელი სულიერი არსება იფურ-ჩქნება მხოლოდ დასვენებისა და თამაშის დროს, სწორედ მაშინ, როცა იგი შეუფროვებული არაა არავითარი დისციპლინით, როცა იგი თვითონვე თავის თავის პატრონია და ანგარიშს არავის არ აძლევს ამა თუ იმ მოქმედებისათვის. მასწავლებელსა და მოსწავ-ლეს შორის გაკვეთილების შემდეგ თითქმის ყოველივე კავშირი სწყდება, მასწავლებლის თანდაუსწრებლად, მასწავლებლის სრულ-ლად გარეშე მიმდინარეობს ის საინტერესო მომენტი, როცა მოს-წავლე სრულიად თავისუფლად სუნთქავს, სრულიად ძალდაუტა-ნებლივ ერთობა და თამაშობს, როცა იგი თავის მთელს სულიერ მოძრაობას მაყურებელთ თვალწინ უშლის. მასწავლებელი მხოლოდ მაშინ გაიცნობს მოსწავლეს, როცა იგი მასწავლებლისა და აღმ-ზრდელის სახით მუდამ ბავშვებს თავს დასტრიალებს, როცა იგი ბავშვების ჭირისა და ლხინის გულახდილი მოზიარეა. ამიტომ რჩე-ვას გონივრულ ზომად მიაჩნია, რომ ჩვენს რამდენადმე მაინც განახ-ლებულს გიმნაზიაში მასწავლებლისა და აღმზრდელის თანამდებო-ბას ასრულებდეს ერთი და იგივე პირი, რომ ეს ორი განუყრელი თანამდებობა შეერთებულ იქმნას გიმნაზიის საკეთილდღეოდ.

3. ყოველი სკოლა უძლურია მოზარდ თაობის სწავლა-აღზრდის საქმე ნორმალურად აწარმოოს, თუ კეთილ-განწყობილი ოჯახი მას ხელს არ უწყობს, დახმარებას არ აძლევს. ამიტომ განახლებულ სკოლის მასწავლებლების მოვალეობად უნდა ჩაითვალოს ჰმარ-თოს დროგამოშვებით მოსწავლეების მშობლებთან საუბარი სხვა-დასხვა პედაგოგიურ კითხვების შესახებ და ამნაირად დაამყა-როს სკოლასა და ოჯახს შორის ზნეობრივი კავშირი, რომელსაც ასე საჭიროებს თანამედროვე განმარტებული სკოლა. სკოლასა და ოჯახს შორის ეს კავშირი უფრო რომ გაძლიერდეს, რჩევას საჭიროდ მიაჩნია ჩვენი გიმნაზიის საქველმოქმედო ნაწილის გამგეობა კომი-ტეტსა და მოსწავლეების მშობლების მიერ არჩეულ წრეს გადაეცეს საწარმოებლად.

4. ამჟამად გიმნაზიის მთელ საქმეებს აწარმოებს „ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა-საზოგადოების“-მიერ არჩეული გამგე კომიტეტი, რომელიც შვიდის წევრისაგან შესდგება. თანახმად არსებულ წესდებისა, კომიტეტს უფლება აქვს აწარმოვოს და განაგოს არა მარტო გიმნაზიის სამეურნეო ნაწილი, არამედ სასწავლო ნაწილიც კი. კომიტეტმა თუ წესდების მიერ მინიჭებულ უფლებით სავსებით ისარგებლა, პედაგოგიურ რჩევის მნიშვნელობა თითქმის სრულიად უქმდება. კომიტეტს სრული უფლება აქვს მოიწვიოს და დაითხოვოს ესა თუ ის მასწავლებელი, ანუ გიმნაზიის სხვა რომელიმე მომსახურე პირი, არ დაეთანხმოს და გააუქმოს პედაგოგიურ რჩევის თვითეული უმნიშვნელო გადწყვეტილებაც კი. კომიტეტს სრული უფლება აქვს გაერიოს გიმნაზიის ყოველგვარ შინაურ საქმეებში და ამნაირად პედაგოგიური რჩევის (მოქმედება) მნიშვნელობა ფაქტიურად მოსპოს. გამგე კომიტეტის ასეთის უფლებების მინიჭებით წესდება და გიმნაზიაში დამყარებული აწინდელი პრაქტიკა კერძოდ მასწავლებლებს და საერთოდ მთელ პედაგოგიურ რჩევას მეტად შეიფროვებულ მდგომარეობაში აყენებს. მასწავლებელს უფლება აქვს მინიჭებული მხოლოდ გაკვეთილები აძლიოს, პედაგოგიურ რჩევას კი — მხოლოდ ითათბიროს ამა თუ იმ პედაგოგიურ საკითხის შესახებ. პედაგოგიური რჩევა ასეთის უფლების განაწილებით ვერც ერთ სერიოზულ პედაგოგიურ (საკითხს) ზომის განხორციელებას ვერ ახერხებს სკოლაში დამოუკიდებლად, რადგან, წესდების ძალით, პედაგოგიურ რჩევის თვითოეული გადაწყვეტილება კომიტეტმა უნდა დაამტკიცოს და დაადასტუროს. მასწავლებლების უფლებათა განსაზღვრა მხოლოდ გაკვეთილების მიცემით და პედაგოგიური რჩევის თითქმის სათათბირო ორგანოდ დასახვა საქმის კეთილად წარმომავს მეტად ხელს უშლის. ნაყოფიერად მოღვაწეობა ორის ორგანოსი, რომელთაგანაც ერთი სრულის უფლებებითაა აღჭურვილი და მეორე კი თითქმის ყოველგვარ უფლებას მოკლებულია, პრაქტიკულად შეუძლებელი და მოუხერხებელია. ყოველთვის ასე ყოფილა და მომავალშიაც ასე იქმნება, რომ უფლება მოსილ და ამავე უფლებას მოკლებულ ორგანოთა შორის აღიმართება ჩინური ზღუდე, დამყარდება მათ შორის სრული უკმაყოფილება, რაიც ძირს გაუთხრის იმ საერთო საქმეს, რომლის სასამსახუროდ და საკეთილდღეოდ მოწოდებულია ორივე ორგანო. დღესდღეობით არავისთვის დაფარული არაა, რომ კომიტეტსა და პედაგოგიურ რჩევას შორის, სწორედ ამ უკანასკნელის უუფლებლობის გამო, არა თუ სასურველი სოლიდარობა არა არსებობს,

პირიქით, განხეთქილებაც კია. გამგე კომიტეტი ეჭვისა და უნდობლობის თვალით შეჰყურებს მასწავლებელთა კორპორაციას, პედაგოგიური საბჭოს თითქმის თვითეულს გადაწყვეტილებას; მასწავლებლები თავის მხრით ასეთსავე უნდობლობას უცხადებენ გამგე კომიტეტს და, ამრიგად, რასაკვირველია, გიმნაზიის კეთილად წარმოების საქმე მეტად ფერხდება. ასეთის status quos დატოვება ყოველად შეუძლებელია. ამიტომ რჩევას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, რომ პედაგოგიური საბჭო გიმნაზიის შინაურ მართვა-გამგეობაში დამოუკიდებელ ორგანად იქმნას აღიარებული, გამგე კომიტეტს უფლება არა ჰქონდეს გიმნაზიის შინაურ ცხოვრებაში გარევისა. კომიტეტი დარჩება მხოლოდ სარეკვიზიო და მეთვალყურე ორგანად, რომელიც საჭიროების მიხედვით წარუდგენს საზოგადო კრებას თავის მოსაზრებას გიმნაზიის მდგომარეობის შესახებ.

5. რაკი პედაგოგიური საბჭო დამოუკიდებელ ორგანად იქნება აღიარებული, რაკი პედაგოგიური საბჭო იქნება უახლოესი გამგე გიმნაზიის მთელის სამოსწავლო ნაწილისა, ამიტომ, რასაკვირველია, მასწავლებელთა მთელი კორპორაცია უნდა იყოს პასუხისმგებელი საზოგადო კრების წინაშე გიმნაზიის კეთილდღეობის ყოველსავე საქმეში.

6. სკოლის წარმოება მეტად ცოცხალი საქმეა. სკოლის კეთილად წარმოება მოითხოვს: დიდ სოლიდარობასა და საერთოდ შეთანხმებას მასწავლებლების მხრით. თუ ასეთი განწყობილება არ არსებობს მასწავლებელთა შორის სკოლის ნაყოფიერად წარმოება შეუძლებელია. ამჟამად ჩვენი გიმნაზიის გამგისა და მასწავლებლების მოწვევა კომიტეტის სრული უფლებაა. კომიტეტი, რასაკვირველია, სავსებით სარგებლობს ამ უფლებით და თავის შეხედულებით ნიშნავს როგორც გამგეს, ისე მასწავლებლებსაც. ადვილად შესაძლებელია, რომ კომიტეტმა ძლიერ კარგი გამგე და მასწავლებელიც მოიწვიოს, მაგრამ ისიც ადვილი შესაძლებელია, რომ ეს გამგე და მასწავლებელი ვერ შეთანხმდეს დანარჩენ მასწავლებლებთან, ვერ დაიჭიროს მათთან კეთილ-განწყობილება საერთო სამოღვაწეოდ და ამრიგად სკოლის საზიანოდ დისჰარმონია შეიტანოს მასწავლებელთა კორპორაციაში. მასწავლებელს უნდა ეკითხებოდეს, ვისთან მოუხდება მას მოღვაწეობა, საერთო უღლის წევა, სასურველია ეს თუ ის პირი მისთვის, შესძლებს იგი ამ ახლად მოწვეულ პირთან საერთო შრომასა და მოღვაწეობას! დიაღ, ყველგან, სადაც სოციალური ცხოვრება ნორმალურად მიმდინარეობს, საზოგადო საქმეთა წარმოება მჭიდროდ დაკავშირებულია იმ გონივრულ პრინციპთან, რომელსაც არჩევანთა პრინციპს ეძახიან. ამიტომ რჩევას აუცილებელ საჭიროებად

და სადღეისოდ მიაჩნია, რომ პედაგოგიური საბჭო ირჩევდეს გამგეს, მასწავლებლებს და გიმნაზიის სხვა მოსამსახურე პირთ. პედაგოგიური საბჭო გიმნაზიის გამგეს სამი წლის ვადით ირჩევს. საბჭოს უფლება უნდა ჰქონდეს გამგე დასახელებულ ვადამდეც გადააყენოს, თუ საჭიროება მოითხოვს, მხოლოდ კანონიერ გასამართლების შემდეგ.

7. რაკი მასწავლებლებს დაეკისრებათ აღმზრდელების მოვალეობა, რაკი მასწავლებელთა მთელი კორპორაცია მოწოდებული იქნება სამოსწავლო ნაწილის ყველა სფეროში იმოღვაწეოს, ამიტომ პედაგოგიურ რჩევას საფუძვლიანად მიაჩნია გიმნაზიის გამგის თანაშემწეთა თანამდებობის გაუქმება. თანაშემწეების მოვალეობას შეასრულებენ თვით პედაგოგიურ საბჭოს კრებები. ამ თანამდებობის გაუქმება საქმის კეთილად წარმართვა ხელს არ შეუშლის, მატერიალური მხრით კი გიმნაზიას დიდ შეღავათს მისცემს.

8. სწავლების ნაყოფიერებას მეტად აფერხებს, როცა თვითეულ კლასში მოსწავლეების რაოდენობა ნორმას აღემატება. ყოველი კეთილი განწყობილი ცდილობს სკოლის ნაყოფიერების გასაუმჯობესებლად თვითეულ კლასში მოსწავლეების რაოდენობა, შეძლებისდაგვარად, შეამციროს. მართალია, მოსწავლეების რაოდეობის შემცირება მრავალ მოსწავლეს დასტოვებს სკოლის გარეშე, მაგრამ ისევ ისა სჯობია, რომ სკოლამ ჭეშმარიტად უწინამძღვროს მოსწავლეთა განსაზღვრულ რაოდენობას, სანამ ერთსა და იმავე კლასში მოითავსოს ნორმაზე გადამეტებული რიცხვი და მით უმეტესობა აიცდინოს სწორსა და ჭეშმარიტს გზას. სწავლის საქმე რომ რიგიანად წავიდეს, საჭიროა თვითეულ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა 25-ს არ აღემატებოდეს. კიდევაც რომ არსებულ კლასებთან დაარსდეს პარალელური განყოფილებანიც, მთელ სასწავლებელში საერთო რიცხვი 600 მოსწავლეს არ აღემატება და სასწავლებლის ასეთი მართვა-გამგეობა მაინც და მაინც საძნელო არ იქნება. თუ თვითეულ კლასში ჩვეულებრივ ნორმად მოხსენებული რაოდენობა დაწესდა, რჩევა ღრმად დარწმუნებულია, რომ სკოლაში სწავლის საქმე ერთი ორად უფრო კარგად წავა.

9. სკოლა და სკოლის მართვა-გამგეობა საზოგადო საქმეა. ჩვენი „საზოგადოება“ მრავალგვარადაა დაინტერესებული ჩვენი გიმნაზიის კეთილდღეობის საქმეში და ამიტომ მას საშუალებაც უნდა ჰქონდეს, ყოველთვის თვალყური ადევნოს გიმნაზიის შინაურ ვითარებას. საზოგადოებამ ნამდვილად უნდა იცოდეს, რა ხდება გიმნაზიაში, როგორ მოღვაწეობას ეწევა ესა თუ ის გიმნაზიის მოსამსახურე პირი. საზოგადოების სამართლიანი კონტროლი, საზოგადოების პირუთ-

ვნელი კრიტიკა საქმის კეთილად წარმოებას ერთი ორად ხელს შეუწყობს. გიმნაზიის ნაყოფიერებას გაორკეცებს. საზოგადოების სამართლიანის კონტროლის შემწეობით, გიმნაზიას ჩამოშორდება ყველა ის დაბრკოლებანი, რომელიც ამჟამად მის წარმატებას ძირს უთხრის და დღითიდღე შეუმჩნევლად ასუსტებს. ამიტომ პედაგოგიურ რჩევის სხდომები, აუცილებლად საჭიროა იმართებოდეს პრესის წარმომადგენლებისა და კომიტეტის წევრების თანდასწრებით, რომელთაც მხოლოდ სათათბირო ხმის უფლება უნდა მიენიჭოთ. პრესის საშუალებით საზოგადოება მუდამ ყამს თვალყურს ადევნებს გიმნაზიის ავკარგიანობას.

10. მოსწავლეების მშობლები, რასაკვირველია, დიდად დაინტერესებულნი არიან გიმნაზიის საქმეებში და, მაშასადამე, მათი მონაწილეობა მეტად სასურველია პედაგოგიურ სხდომებზე. მაგრამ ასეთ მონაწილეობის მიღება მრავალ გვარად შეაფერხებს რჩევის ნაყოფიერად მოქმედებას. ადვილად მოსალოდნელია, რომ პედაგოგიურ რჩევის კრებებზე მრავლად დაესწრონ მშობლები ან მათი წარმომადგენლები. ყოველი მრავალრიცხოვანი კრების უმთავრესი ხასიათი ისაა, რომ სულ უბრალო საკითხი მთელ დაუსრულებელ კამათად გადაიქცევა და ისიც გამოურკვეველი დარჩება. რაიცა შეეხება რთულისა და სპეციალურ კითხვების განსჯა-განხილვას, ეს ხომ სრულიად შეუძლებელი და მოუხერხებელია. ამნაირად საჭაროდ გადასაწყვეტი კითხვები კრებიდან კრებამდინ გადაიდება და ასეთ საქმის გაჭიანურებას დასასრული არ ექნება. რაკი პედაგოგიურ რჩევის სხდომებზე პრესის წარმომადგენლებს უფლება აქვთ დაესწრონ და, მაშასადამე, მშობლებს შეძლება ეძლევათ პრესის საშუალებით თვალყური ადევნონ გიმნაზიის ავკარგიანობას, რჩევამ საჭიროდ დაინახა მოიწვიოს პედაგოგიურ რჩევის სხდომებზე მხოლოდ ის მშობლები, რომელთა შვილების „ბედიღბალი" უნდა გადაწყდეს ამა თუ იმ კრებაზე და მიანიჭოს მათ გადამწყვეტი ხმის უფლება.

11. ამჟამად გიმნაზიაში სწავლის ფული წლიურად თორმეტ მანეთია დაწესებული. პედაგოგიური რჩევა მოსწავლეების სამ მეოთხედს ანთავისუფლებს სწავლის ფულის შემოტანისაგან. დანარჩენ შეგირდებს თუმცა ევალებათ თავის დროზე შემოიტანონ სწავლის ფული, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში ესენიც ვერ ახერხებენ შემოტანას. სწავლის ფული ისე ცოტა შემოსდის სკოლას, რომ მის ასაკრებად რაიმე რეპრესიულ ზომების მიღება მეტად უხერხული და შეუსაბამოა. ამიტომ რჩევას საჭიროდ და სადღეისოდ მიაჩნია ქართულ გიმნაზიაში სწავლის ფულის გადახდა სრულიად გაუქმდეს.

12. საშუალო სკოლებთან პანსიონების დაარსება თავის დროზე გამოწვეული იყო მატერიალურის მოსაზრებით. პროვინციაში ხელმოკლე მცხოვრებთათვის შვილის ქალაქ ადგილას კერძო ოჯახებში დაბინავება, მისი ჩაცმა, დახურვა, წიგნებისა და სამოსწავლო ნივთების ყიდვა და სწავლის ფულის გადახდა ძნელი იყო. რამდენადაც რომ შეემსუბუქებინა პროვინციელთათვის შვილის აღზრდის საშუალება, მთავრობამ საშუალო სკოლებთან გამართა პანსიონები და წლიური შესატანი ფასიც შედარებით მცირე დაწესა. ამნაირად, პანსიონების დაარსება, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, უმთავრესად მატერიალურ მოსაზრებით იყო გამოწვეული და მართლაც ამ მხრით პანსიონებმა თავისი დანიშნულება კიდევაც შეასრულეს და ღღესაც, შედარებით, პირნათლად ასრულებენ. პანსიონების არსებობის საფუძვლიანობას ზოგიერთნი პედაგოგნი პედაგოგიურ მოსაზრებითაც ამართლებდნენ. ამ პედაგოგების აზრით, სკოლის უახლოესი გაშგენი უფრო მეტ გავლენას იქონიებენ პანსიონერებზე, გაკვეთილების მომზადების საქმეს უფრო კარგად მოაწესრიგებენ, მოსწავლენი მთელის ღღის განმავლობაში მასწავლებლებისა და აღმზრდელების გავლენის ქვეშ იქნებიან, რაიცა ყმაწვილების გონებრივად და ზნეობრივად განვითარებას ერთი ორად ხელს შეუწყობსო. მაგრამ ცხოვრება თვით გამოცდილ პედაგოგებზე უფრო სასტიკი კრიტიკოსია, ხანგრძლივმა პრაქტიკამ ნათლად დაგვანახა, რომ პანსიონებმა სრულიად ვერ გაამართლეს ზოგიერთ პედაგოგებისაგან ნაწინასწარმეტყველი იმედები. ცხოვრების სინამდვილემ ნათელჰყო, რომ პანსიონებში მოსწავლეები მეტად ცუდი ყოფაქცევისა არიან. მრავალ უზნეო ჩვეულებას ითვისებენ, მეტად ცუდად მოქმედებენ მომსვლელ მოსწავლეებზე, სისტემატიურად ზარმაცობენ, რის გამოც მომსვლელ მოწაფეებთან შედარებით სწავლაში წარმატება სრულიადაც არ ეტყობათ. მიზეზი ასეთის სამწუხარო შედეგებისა მხოლოდ და მხოლოდ პანსიონების ყაზარმულ ცხოვრებაში უნდა ვეძიოთ. ამიტომ რჩევას პანსიონის არსებობა ქართულ გიმნაზიასთან პედაგოგიურის მოსაზრებით მავნებლად მიაჩნია და, ამის გამო, კიდევაც უნდა მოისპოს. მხოლოდ ის მოსწავლეები, რომელნიც ამჟამად თავად-აზნაურობის სრულსა ან ნახევარ ხარჯებზე იზრდებიან, დაბინავებულ უნდა იქმნან საიმედო ოჯახებში, არა უმეტეს სამის შეგირდისა თვითეულის ოჯახში.

13. რადგან განახლებულ გიმნაზიაში პანსიონი უნდა გაუქმდეს, აშკარაა, ეკონომის მოვალეობა შესამჩნევად შემცირდება. ამიტომ რჩევას შესაძლებლად მიაჩნია, გიმნაზიის საქმეების მწარმოებლისა და ეკონომის თანამდებობა შეაერთოს, ერთსა და იმავე პირს ჩა-

ამბაროს, რომელსაც წლიურად 1800 მან. უნდა დაენიშნოს და ამას-თანავე უფასოდ მიეცეს ბინა, შეშა და განათება. პენსიის მიღების უფლება მომავალ საქმის მწარმოებელ ეკონომს მიენიჭოს საპენსიო წესდების მიხედვით.

14. პედაგოგიური რჩევა სრულიად დამოუკიდებლად განაგებს გიმნაზიის შინაურს საქმეებს მხოლოდ იმ საზღვრებში, რომელსაც აღუნიშნავს მას საზოგადო კრება; პედაგოგიური რჩევა განახორციელებს გიმნაზიაში იმ დედააზრს, იმ პროგრამას, რომელსაც მოიწონებს საზოგადო კრება და წლის განმავლობაში მისცემს პედაგოგიურ რჩევას სახელმძღვანელოდ. ყოველ წლის ბოლოს პედაგოგიური რჩევა წარუდგენს საზოგადო კრებას გიმნაზიის სრულს ანგარიშს და მომავალ მოქმედების განზრახვათა პროგრამას განსახილველად და სათანადო დასამტკიცებლად. დამოუკიდებელი პედაგოგიურ რჩევა განაგრძობს გიმნაზიაში თავის მოღვაწეობას მანამდის, სანამ საზოგადო კრება არ გამოუცხადებს მას უნდობლობას. როცა პედაგოგიური რჩევა ვერ შესძლებს დასთანხმდეს საზოგადო კრების გადაწყვეტილებაზე, რჩევის წევრნი, თუ ამას საჭიროდ დაინახავენ, გიმნაზიაში სამსახურს თავს ანებებენ და საზოგადო კრება ირჩევს ახალ მასწავლებლებს თავის სასკოლო პროგრამის განსახორციელებლად.

15. პედაგოგიური რჩევა უმორჩილესად სთხოვს საზოგადო კრებას, დასახელებულ გიმნაზიის მომავალ ცვლილებათა პირადად დასაცველად და დასასაბუთებლად კეთილ ინებოს და მისცეს მასწავლებელთა კორპორაციის წევრთ უფლება საზოგადო კრებაში სათანბირო ხმით მონაწილეობის მიღებისა".

პედაგოგიური საბჭოს მიერ წარდგენილმა გიმნაზიის რეორგანიზაციის პროექტმა „საზოგადოების" მორიგ კრებაზე (1905 წ., 19 ივნისს) დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. კრებას დიდძალი ხალხი მოაწყდა, ერთმანეთის წინააღმდეგ დაირაზმენ გამგე კომიტეტი და პედაგოგიური საბჭო. კომიტეტს მიემხრნენ დიდი ფეოდალები, გენერლები, ბობოლა მოხელეები, პედაგოგიურ საბჭოს კი — საზოგადოების პროგრესიული ნაწილი. იაკობ გოგებაშვილმა რეორგანიზაციის პროექტის შესახებ კერძო აზრი წარმოადგინა. ი. გოგებაშვილს მიემხრო ცნობილი პედაგოგი ი. ღულაძე. „საზოგადოების" წევრთა შორის აღმოჩნდნენ ოპოზიციონერები: ექიმი მ. გედევანიშვილი, ექიმი ვ. მუსხელიშვილი, ინჟინერი დ. ჯორჯაძე, აგრონომი ვ. რცხილაძე, პუბლიცისტი გ. რცხილაძე, პედაგოგი გ. ყაზახიშვილი და სხვ.

სანამ რეორგანიზაციის პროექტის განხილვას შეუდგებოდნენ,

საზოგადოების წევრმა დ. მ. დუმბაძემ მოულოდნელად შემდეგი განაცხადა: იგი შეუძლებელად სთვლის მასწავლებლის პ. მ. კორხანიდის ქართული გიმნაზიის სკოლის მოსამზადებელი კლასებისათვის მასწავლებლობას, რადგანაც კორხანიდიმ ქართული ენა არ იცის და საზოგადოების სურვილით და პედაგოგიის მოთხოვნილებით კი პირველ დაწყებითი სწავლა უთუოდ უნდა ბავშვების სამშობლო ენაზე სწარმოებდესო. ვერ ხედავს შესაძლებელად კორხანიდის გიმნაზიის მასწავლებლად დატოვებას იმიტომაც, რომ ამ უკანასკნელს შეუდგენიაო სახელმძღვანელო, რომელიც ხელს უწყობს დეკანოზ ვოსტორგოვის[1] და მისი თანამოაზრეთა მისწრაფებას—ჩვენს სკოლებში ეგრეთწოდებული მუნჯურ მეთოდის გაბატონებასაო. ყოველად შეუძლებლად ხედავს (დუმბაძე) მასწავლებლის პ. კორხანიდის სკოლაში დატოვებას კიდევ იმიტომ, რომ ეს მასწავლებელი არის ჯამშუში სასწავლო მთავრობისაო.

ე. თაყაიშვილი (გიმნაზიის ყოფილი გამგე) არ ეთანხმება დუმბაძეს და ამბობს, რომ კორხანიდი მოწვეულია რუსული ენის მასწავლებლად მეოთხე განყოფილებისა და პირველი გიმნაზიური კლასისათვის, ამ კლასებში კი საჭირო არ არის, რომ მასწავლებელმა აუცილებლად იცოდეს ქართული ენა. კორხანიდი, თაყაიშვილის სიტყვით, რუსული ენის სამაგალითო მასწავლებელია და ასეთი კაცის მოშორება გიმნაზიისათვის დიდი დანაკლისი იქნებაო.

მასწავლებელი კორხანიდი მოწვეული იყო, განაგრძო თაყაიშვილმა, იმის შემდეგ, როცა სანიმუშო გაკვეთილები მისცა კომიტეტის წევრის ნ. ზ. ცხვედაძის, ყოფილი მასწავლებლის გ. ნ. იოსელიანის და მისი, ე. ი. თაყაიშვილის, თანდასწრებით. ეს სანიმუშო გაკვეთილები ყველა დამსწრემ მოიწონა და პ. კორხანიდი დარჩა გიმნაზიის მუდმივ მასწავლებლად. ამ მასწავლებელმა შეადგინა ორი სახელმძღვანელო: ერთი ქრესთომატია, რომელიც მოწონებული და მიღებულია არათუ კავკასიის სასწავლო ოლქში, არამედ მთელ რუსეთშიც. რაც შეეხება მეორე სახელმძღვანელოს, ეგრეთწოდებულ „Живое слово"-ს, ეს წიგნი მე თვითონ არ მომწონდა, მაგრამ ვერ ავუკრძალავდი დაბეჭდვას, რადგან ეს კორხანიდის კერძო საქმე იყო, თუმცა, ჩემი აზრი მაშინვე გამოვთქვი, რომ წიგნი არ უნდა დაბეჭდილიყო.

გიმნაზიის მასწავლებელმა ივანე რატიშვილმა განაცხადა: „როდესაც კაცი ბედავს მეორე კაცს შეურაცხყოფა მიაყენოს საჯაროდ,

[1] ვოსტორგოვი იყო დეკანოზი—რეაქციონერი და პატარა ერების მოძულე.

მაშინ უთუოდ საფუძვლიანი ფაქტები უნდა ჰქონდეს, ამიტომ კორ-ხანიდის ზნეობის შესახებ ლაპარაკის დროს სიფრთხილე გვმართებს, რომ ჩვენ მიერ მისი შეურაცხყოფა უსაფუძვლო არ გამოდგეს. როცა კორხანიდიმ სამაგალითო გაკვეთილი მისცა გიმნაზიაში, ამ გაკვეთილს დაესწრო გიმნაზიის გამგე, მასწავლებელი გიორგი იოსელიანი და კომიტეტის წევრი ნ. ცხვედაძე. გაკვეთილის შემდეგ სამასწავლებლო ოთახში იოსელიანმა თქვა კორხანიდის შესახებ: „Это находка для гимназии". შემდეგ მეც დავრწმუნდი, რომ კორხანიდი ძალიან მოხერხებული მასწავლებელია. რაც შეეხება სახელმძღვანელოს რუსული ენის შესასწავლად, როცა ამის შესახებ არასასიამოვნო ლაპარაკი ატყდა საზოგადოებაში, მაშინ სამასწავლებლო ოთახში გამოვუცხადე კორხანიდის, რომ მას თავი გაემართლებინა. იმავე საღამოზე შეიკრიბნენ ქართული გიმნაზიის მასწავლებლები, აგრეთვე სხვა ქართველი მასწავლებელნიც. უმეტესობა წინააღმდეგი იყო მისი გამოცემისა, მაგრამ ზოგიერთმა იგი დაინახა არა ნაკლებ სასარგებლოდ, ვიდრე იაკობ გოგებაშვილის წიგნი".

– ნ. ზ. ცხვედაძე დაეთანხმა ე. თაყაიშვილის აზრს, რომ კორხანიდი კარგი მასწავლებელია, მაგრამ ვერ ურიგდება კორხანიდის მიმართულებას, რადგანაც მან დაბეჭდა წიგნი, რომელიც სრულიად სხვა გზას აჩვენებს რუსული ენის შესწავლაში, ვიდრე ეს მიღებულია პედაგოგიკაშიო. „მე ვფიქრობდი მის მოშორებას,— თქვა ნ. ცხვედაძემ, — მაგრამ ვერ განვახორციელე ეს სურვილი, რადგან თვით მასწავლებელთა შორის ვხედავდი თანაგრძნობას კორხანიდისადმიო". ნ. ცხვედაძის უკანასკნელი სიტყვები, თითქოს მას კორხანიდის თავიდან მოშორება უნდოდა, მაგრამ რაკი გიმნაზიის მასწავლებლებში მისდამი თანაგრძნობას ხედავდა, ამიტომ თავისი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა,—სიმართლეს არ შეეფერებოდა, რაც კიდევაც აღნიშნეს გიმნაზიის მასწავლებლებმა, როცა ნ. ცხვედაძეს მიაძახეს: — დაასახელეთ, ვინ თანაგრძნობდა კორხანიდისაო?.. ამ შეკითხვებზე ნ. ცხვედაძემ პასუხი ვერ გასცა.

თვითონ კორხანიდი ამ კრებას არ დასწრებია, მას ყველაფერი აგარაკზე შეატყობინეს; ისიც ჩამოვიდა და საზოგადოების მორიგ კრებაზე (28 ივნისს) ითხოვა: რადგანაც 21 ივნისის მორიგ კრებაზე საზოგადოების ერთ წევრს—დ. ბ. დუმბაძეს, ჩემთვის შეურაცხყოფა მოუყენებია და მე ჯაშუშად გამოუცხადებივარ, ხოლო ჩემ მიერ სახელმძღვანელოს შედგენა — ეროვნულ დანაშაულად, ამიტომ ვთხოვ კრებას აირჩიოს კომისია, რომელსაც მიენდობა როგორც

ჩემი სახელმძღვანელოს გარჩევა იმ მხრივ, თუ რამდენად მავნეა ის და რამდენად ეწინააღმდეგება ქართველი ხალხის სურვილსა და მისწრაფებას პირველდაწყებით სასწავლებლებში რუსული ენის შესწავლისადმი, ისე მთელი ჩემი მოქმედების შესწავლა ქართულ გიმნაზიაში, აგრეთვე იმ დამოკიდებულების გამორკვევა, რომელიც ჩემსა და დეკანოზ ვოსტორგოვს შორის არსებობსო.

კრებამ დაკმაყოფილა შ. კორხანიდის თხოვნა და კომისიაში აირჩია შემდეგი პირები: გ. ყაზახიშვილი, ივ. მაჭავარიანი, ალ. მირიანაშვილი, ცანილ რცხილაძე, გრ. გაბაშვილი და ე. ხრამელაშვილი[1]

ამ კომისიის დასკვნა მასწავლებელ პ. კორხანიდის შესახებ წაკითხული იქნა 11 ივლისის საზოგადო კრებაზე. კომისიამ სრულიად უდანაშაულოდ იცნო კორხანიდი იმ ბრალდებაში, რომელიც დ. დუმბაძემ წაუყენა მას საზოგადოების ერთ-ერთ სხდომაზე. კომისიამ არ იცნო აგრეთვე ანტიპედაგოგიურ წიგნად კორხანიდის სახელმძღვანელო შედარებით ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოსთან.

ამის შემდეგ საზოგადოების წევრის დ. გურამიშვილის თხოვნით კრებამ ერთხმად დაადგინა: „საზოგადო კრების სახელით გამოცხადდეს ტფილისის ყველა გაზეთებში კომისიის ზემოთ მოხსენებული განაჩენი, რათა ამით მაინც აღვადგინოთ კორხანიდის უსამართლოდ შელახული პიროვნება და ამით ზნეობრივად დავაკმაყოფილოდ იგი“.

„საზოგადოების“ 1 ივლისის კრებაზე, როცა მორიგ საქმეთა განხილვა დამთავრდა, დაიწყო განხილვა პედაგოგიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი პროექტისა გიმნაზიის რეორგანიზაციის შესახებ. გამგე კომიტეტმა ურჩია კრებას, საკითხის სირთულის გამო, აირჩია კომისია, რომელიც დალაგებით შეისწავლიდა ამ საქმეს და მოახსენებდა საგანგებო კრებას.

შ. ჩიტაძემ პედაგოგიური საბჭოს სახელით განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგი არ არის პროექტის კომისიაში გადაცემისა, მაგრამ აუცილებელ საჭიროებად თვლის, რომ კრებამ ახლავე განიხილოს და თავისი აზრი გამოთქვას პროექტის ორი უმთავრესი მუხლის შესახებ, რათა კომისიამ იხელმძღვანელოს იმ პრინციპებით, რომელსაც კრება დაადგენს. ჩიტაძე უმთავრეს მუხლებად ასახელებს: 1) მომავალშიც ჰქონდეს თუ არა ქართულ გიმნაზიას მოსამზადებელი ხასიათი, თუ იგი იყოს თავისუფალი დამოუკიდებელი სასწავლებელი და 2) გიმნაზიის ყველა სასწავლო საქმის მართვა-გამგეო-

---

[1] გ. ყაზახიშვილი—პედაგოგი; ივ. მაჭავარიანი—ცნობილი მთარგმნელი; ალ. მირიანაშვილი—პედაგოგი; ვ. რცხილაძე—აგრონომი, პედაგოგი; გრ. გაბაშვილი—ექიმი; ე. ხრამელაშვილი—პედაგოგი.

ბაში პედაგოგიურ საბჭოს სრული დამოუკიდებლობა უნდა ექნეს. შემდეგ შ. ჩიტაძემ განაცხადა: მასწავლებლები გიმნაზიიდან გასულად თვლიან თავის თავს და კრებას სრული თავისუფლება ეძლევა ამ კითხვის გადაწყვეტაში. სამსახურს დაუბრუნდებიან ისინი, ვისაც მოიწვევენ. ხოლო თუ პროექტი მიღებული არ იქნა, მაშინ 15 მასწავლებელი და აღმზრდელი სრულიად ანებებს თავს სასწავლებელს და უკან აღარ დაბრუნდებიო. თან შ. ჩიტაძემ თავჯდომარეს გადასცა მასწავლებელთა მინდობილობით ხელმოწერილი განცხადება, ამასთან კრებას განუმარტა, რომ პედაგოგიური საბჭოს წევრები საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტის გამო სამსახურში რჩებიან მანამდე, სანამ კომიტეტი მათ მოადგილეებს მოიწვევდეს, რათა გიმნაზია უმასწავლებლოდ არ დარჩესო.

კრებამ შ. ჩიტაძის განცხადება მხედველობაში მიიღო, მოისმინა ი. გოგებაშვილის წერილის შინაარსი რეორგანიზაციის პროექტის შესახებ და შემდეგ შეუდგა ზემოთ დასახელებული უმთავრესი მუხლების განხილვას.

ი. გოგებაშვილის კერძო აზრი რეორგანიზაციის პროექტის შესახებ

„რადგანაც უქეიფობა ნებას არ მაძლევს დღევანდელს კრებას დავესწრო პირადად, ამის გამო იძულებული ვარ საბაასო საგნის შესახებ ჩემი მოსაზრებანი გავუზიარო კრებას წერილობითა და მოკლედ...

„ძირითადი რეორგანიზაცია ჩვენი გიმნაზიისა უნდა გადაიდოს ერთის წლით, რადგანაც არავინ იცის, რა გვარი რეჟიმი გამეფდება რუსეთის სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში საზოგადოდ და კერძოდ განათლების სფეროში. ამ რეჟიმზე კი მეტნაკლებობით დამოკიდებული იქნება ძალაუნებურად ბედი ჩვენი გიმნაზიისა.

„ძირითადი რეფორმის პროექტი ჩვენი გიმნაზიისა უნდა შესდგეს ამა მდგომარე წლის გასულამდე. ამ პროექტის შედგენა და საფუძვლიანი შემუშავება უნდა მიენდოს განსაკუთრებულ კომისიას, რომლის წევრებად უნდა იყვნენ: შვიდი წევრი გამგე კომიტეტისა, შვიდი წევრი გიმნაზიის საპედაგოგო რჩევისა და კიდევ შვიდი გარეშე ქართველი, რომელიც ამორჩეული უნდა იქნას ახლანდელის საზოგადოების კრების მერ. ამ კომისიამ პროექტის დამთავრების შემდეგ აღნიშნულ ვადაზე უნდა მოიწვიოს საგანგებო საზოგადო კრება და თავისი პროექტი წარუდგინოს მათ განსახილველად და დასამტკიცებლად.

„რაც შეეხება სასურველსა და სასარგებლო ცვლილებებს, რო-

მელიც საჭიროა და შესაძლებელიც მოვახდინოთ ჩვენს გიმნაზიაში მომავლის სამოსწავლო წლის დასაწყისიდანვე, ამის შესახებ მე ასე ვფიქრობ:

„დამოკიდებულება საპედაგოგო რჩევისა გამგე კომიტეტთან ახლავე უნდა შეიცვალოს, ამრიგად: არც კომიტეტი საზოგადოდ და არც რომელიმე მისი წევრი არ უნდა ერეოდეს სკოლის მართვაში, რადგან აღმასრულებელ ორგანოდ უნდა იყოს მზოლოდ ინსპექტორი და პედაგოგიური საბჭო და სხვა არავინ. გადაწყვეტილებანი საბჭოსი არა საარსო საგნების შესახებ არ უნდა საჭიროებდნენ კომიტეტის დამტკიცებას და აქ პირველი და უკანასკნელი ინსტანცია უნდა იყოს პედაგოგიური საბჭო. საარსო საგნების შესახებ კი პედაგოგიური საბჭო თავის გადაწყვეტილებას უდგენს კომიტეტს, რომელსაც ნება აქვს არ დამტკიცოს იგი, მაგრამ მოვალეა კი საზოგადო კრებას მიართოს ეს და გაამართლოს თავისი ვეტო.

„შემდეგ წელიწადში ყველა საგნების სწავლება ოთხსავე მოსამზადებელ კლასში სასტიკად უნდა სწარმოებდეს ქართულს ენაზე და საგიმნაზიო კლასებში გაძლიერებული იქმნას ქართული ენის სწავლებაც.

„რათა ძირითადი რეორგანიზაციის შემდეგ საგნების სწავლება ქართულ ენაზე გიმნაზიურ კლასებში შესაძლებელი გახდეს. პედაგოგიურ რჩევას უნდა დაევალოს დაუყოვნებლივ შეუდგეს სახელმძღვანელოების შედგენას ანე გადმოთარგმნას ქართულს ენაზე და მომავლის სამოსწავლო წლის განმავლობაში გამოსცეს იგი გიმნაზიის ხარჯით.

„ინსპექტორსა და პედაგოგიურ საბჭოს ნება უნდა მიეცეთ შესცვალონ ოფიციალური განაწილება საგნებისა გიმნაზიურ კლასებს შორის თუ ამას სასარგებლოდ დინახავენ.

„რაც შეეხება იმას, რომ გამგე კომიტეტი უნდა გაუქმდეს და სრული ავტონომია მიენიჭოს პედაგოგიურ საბჭოსაო, ამის განხორციელება საძირკველს გამოუთხრის სკოლასა და შეიძლება კიდეც დაღუპოს იგი. ინსპექტორსა და მასწავლებელს ამტკიცებს თანამდებობაზე, დაითხოვოს ოფიციალური მეთაური სამოსწავლო ოლქისა, ანე მზრუნველი. მაშასადამე იგინი დამოკიდებული არიან ბიუროკრატებისაგან და რა გზით შეუძლიანთ ავტონომია შეადგინონ ბიუროკრატიისაგან დამოკიდებულმა პირებმა. მაგრამ იგინი ამ დამოკიდებულებაზე კი არ სჩივიან, არამედ შინაურ დამოკიდებულებაზე. გამგე კომიტეტს ხელი არ უნდა ჰქონდეს არც ჩვენს გამწესებაში და არც ჩვენს დათხოვნაშიო. ძალიან კარგი, მაგრამ თქვენ ამით გნებავთ გაუქმოთ ერთად ერთი თავად მდგომარე დაწესებულება,

რომელიც გიცავთ და გიფარავთ ბიუროკრატიის თვითნებობისაგან გამგე კომიტეტს ირჩევს საზოგადოება და მასთან ხელი არა აქვს ბიუროკრატიასა; თქვენ კი დამოკიდებული ხართ ამ ბიუროკრატიაზე, თუ სრულიად არა, ნახევრობით მაინც და თქვენი აზრით, თუ დამოუკიდებელი დაწესებულება გაუქმდა და დამოკიდებული გამეფდა, ავტონომია გამოვაო. ვაი ამისთანა ავტონომიასა! ერთს მშვენიერ დღეს რომ ბიუროკრატიამ ყველანი დაგითხოვოთ და თავისი გემოს უფროსი და მასწავლებელი გაამწესოს, ვინ გამოგესარჩლებათ, ვინ დაგიფარავთ? საზოგადო კრება? იგი წელიწადში ერთხელ იკრიბება და ამ მოვალეობის ასრულებისათვის უძლურია. მაგრამ უძლური არ არის მისი ამორჩეული, მისი წარმომადგენელი გამგე კომიტეტი, რომელსაც შეუძლიან გამუდმებით, ყოველ დღე იბრძოლოს გიმნაზიის დამოუკიდებლობისა და ბედნიერებისათვის.

ყველა დაწინაურებულ სახელმწიფოში არსებობს ორი პალატა — ქვემო და ზემო პალატა. ყველგან ქვემო პალატა ხალხის ამორჩეულია და სრულიად დამოუკიდებელი, მაგრამ მაინც ზემო პალატის გაუქმებას არ თხოულობს, რადგანაც სასარგებლოდ მიაჩნია, თუმცა ზემო პალატა ბევრს შემთხვევაში ავიწროვებს ქვემო პალატას. ქართულ გიმნაზიაში კი ქვემო დამოკიდებული პალატა ითხოვს გაუქმებას ზემო დამოუკიდებელის პალატისას და ამას ეძახის სრულს ავტონომიასა.

გავიწროებთ თქვენ ზემო პალატა? ერევა გიმნაზიის მართვაში? შეზღუდეთ მისი აღმასრულებელი უფლებანი, განსაზღვრეთ მისი მოვალეობანი; მაგრამ მის კანონმდებლობის უფლებას კი ნუ გაუქმებთ, თორემ ამას ადვილად შეიძლება მოყვეს თვით გიმნაზიის გაუქმება".

იაკობ გოგებაშვილი თბილისის ქართული გიმნაზიის ცხოვრებაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. ამ სასწავლებლის დაარსების დღიდან — 1879 წლიდან ვიდრე 1890 წლამდე იგი გამგე კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგად უკენჭოდ ერთხმად იყო ხოლმე არჩეული და, მაშასადამე, გიმნაზიის როგორც სასწავლო, ისე სამეურნეო საქმეებში მონაწილეობდა. „ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოების" წესდება მისი უშუალო მონაწილეობით არის შედგენილი; სასწავლებლის პროგრამები და სხვა პედაგოგიური ხასიათის მიწერ-მოწერა ოლქის მზრუნველთან იაკობის მიერ იყო დამუშავებული და შესრულებული. სასწავლებლის ტიპის გამორკვევისას იაკობს კერძო აზრი აქვს წარმოდგენილი, სადაც იგი რეალური განათლების სისტემას აძლევს უპირატესობას.

ი. გოგებაშვილი ხშირად მიდიოდა გიმნაზიაში, ესწრებოდა უმცა-

როსი კლასების მასწავლებლების გაკვეთილებს და შემდეგ გაკვეთილების შეფასებაშიც მონაწილეობდა. როგორც ჩვენი გიმნაზიის ერთმა ნამოწაფარმა (1886—1890 წწ.) გადმომცა, იაკობი თურმე ამმზდრელის მოვალეობასაც კი ასრულებდა დისციპლინის დამყარების მიზნით...

ერთხელ ზამთარში იაკობმა ტილოს ხალათ-შარვალში გამოწყობილ მოწაფეს მოკრა თურმე თვალი, მოიხმო და უთხრა: ამ ზამთარში ტილოს ტანსაცმელში ხომ გაცივდი, თბილი არა გაქვს რაო? მოწაფემ უპასუხა: ამ კვირაში ჩამოვა დედა და ჩამომიტანს თბილებსაო... გავიდა ერთი კვირა, გავიდა ორი, ბავშვი მაინც ზაფხულის ტანისამოსით დადის... იაკობი კიდევ ეკითხება მოწაფეს: როგორაა საქმე, დედა კიდევ არ ჩამოსულა? ამ სიტყვებზე ბავშვმა ტირილი დაიწყო, ტირილითვე უპასუხა: არ ჩამოსულა, იქნებ რა მოუვიდა. ი. გოგებაშვილმა მეორე დღესვე თავისი ხარჯით შეაკერინა ამ ბავშვისათვის ზამთრის ტანისამოსი...

ი. გოგებაშვილის კერძო აზრის მოსმენის შემდეგ კრება შეუდგა პედსაბჭოს მიერ წარმოდგენილი რეორგანიზაციის პროექტის უმთავრესი მუხლების განხილვას. პირველ მუხლს—ჰქონდეს თუ არა ქართულ გიმნაზიას მოსამზადებელი ხასიათი, თუ იგი თავისუფალი დამოუკიდებელი სასწავლებელი იყოს—კამათი არ გამოუწვევია. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ ერთხმად გადაწყვიტა: გიმნაზიას აღარ ჰქონდეს მოსამზადებელი ხასიათი, მაგრამ ეს განხორციელდეს მაშინ, როდესაც კომისია, რომელიც ამ საკითხზე უნდა შეიქმნას, შეიმუშავებს გიმნაზიის დაწვრილებით პროგრამას და საზოგადო კრებას წარმოუდგენს დასამტკიცებლადო.

პროექტის მეორე მუხლმა, რომელიც შეეხებოდა პედაგოგიური საბჭოს სრულ დამოუკიდებლობას სასწავლო ნაწილში, დიდი და ცხარე კამათი გამოიწვია. თავმჯდომარე ვ. მაჩაბელი ფორმალურად მიუდგა საკითხს: წესდების მე-14 მუხლის ძალით გიმნაზიის როგორც სამეურნეო, ისე სასწავლო ნაწილს განაგებს გაშგე კომიტეტი, და რაკი რეორგანიზაციის პროექტი არსებითად ცვლის ამ წესს, შეუძლებელია პედაგოგიურ საბჭოს სასწავლო ნაწილში დამოუკიდებლობა მიენიჭოს, ვიდრე წესდება სათანადოდ არ იქნება შეცვლილი. თავმჯდომარეს მიემხრნენ ა. ი. სავანელი, ნ. ცხვედაძე, გ. გაბაშვილი და სხვ.

გრ. რცხილაძე არ დაეთანხმა წინა ორატორების მოსაზრებას და შესაძლებლად დაინახა ხსენებული პროექტის განხილვა და მიღება წესდების შეუცვლელად იმ საბუთით, რომ რუსეთის კანონები ხშირად ინსტრუქციებით, განმარტებებითა და შევსებებით არსე-

ბითად იცვლება ხოლმე და ეს გარემოება სრულებით არ ეწინააღმ-
დეგება კანონსაო. წესდების შეუცვლელად რომ შეგვიძლია გამგე-
კომიტეტის რომელიმე უფლება გადავცეთ პედაგოგიურ საბჭოს, ეს
იქიდან ჩანს, რომ მოწაფეებს მასწავლებლები ასწავლიან, წესდების
მე-14 პარაგრაფის ნამდვილი აზრი კი ის არის, რომ გაკვეთილებსაც
კომიტეტის წევრები უნდა აძლევდნენო.

ამის შემდეგ კრებამ თითქმის ერთხმად შესაძლებლად სცნო წეს-
დების შეუცვლელად პროექტის ამ მუხლის განხილვა და მიღება.
კომიტეტის წევრები: ნ. ცხვედაძე, ვ. მაჩაბელი, ს. ვირსალაძე და
სხვები სავსებით უარყოფდნენ პროექტს; ისინი სასწავლო ნაწილში
მასწავლებლების დამოუკიდებლობასაც კი არ ეთანხმებოდნენ. ხო-
ლო „საზოგადოების“ დანარჩენი წევრები: ვ. ყიფიანი, ვ. რცხილაძე,
მ. მაჩაბელი, ი. გოგებაშვილი, ი. ღულაძე და სხვანი სასწავლო ნა-
წილში მასწავლებლების დამოუკიდებლობას სასურველად ცნობ-
დნენ, მაგრამ პედაგოგიური საბჭოს მიერ მასწავლებლებისა და გამ-
გის არჩევას და მოწვევას კატეგორიულად უარყოფდნენ.

ი. ღულაძე ამბობს: „პედაგოგიურს საბჭოს სრული თავისუ-
ფლება უნდა ჰქონდეს საზოგადოების მიერ შემუშავებულის პროგ-
რამის ფარგალში და ამ სფეროში ჩარევის უფლება არ უნდა ჰქონ-
დეს გამგე კომიტეტს. მხოლოდ განსაკუთრებულს შემთხვევაში
veto-ც უნდა ჰქონდეს კომიტეტს. ი. ღულაძე წინააღმდეგია
იმის, რომ ყოველივე დადგენილება საბჭოსი მოხსენდეს კომიტეტს
დასამტკიცებლად, რადგანაც ეს საბჭოს უფლებას შეზღუ-
დავსო, გამგე კომიტეტი მუდამ არ იკრიბება და არის ხშირად ისეთი
შემთხვევა, როდესაც დაცდა არ შეიძლება. კომიტეტის კასაციის უფ-
ლებას ღულაძე სცელის veto-დ გამგე კომიტეტს უნდა წარედგინოს
მხოლოდ ის საპედაგოგიო კითხვები, რომელშიაც ვერ შეთანხმდნენ
საბჭოს წევრნი და უმცირესობა არ დაეთანხმა უმრავლესობას. ი
ამისთანა კითხვები უნდა გაარჩიოს კომიტეტმა და თუ უმჯობესია,
შეცდომა გამოასწოროსო. ი. ღულაძე ვერ ხედავს შესაწყნარებლად
პროექტში მოყვანილ საბუთებს გიმნაზიის გამგის არჩევის შესახებ,
რადგანაც სოლიდარია საკმარისი არ არის საქმის კარგად მსველლო-
ბისათვისო. იაკ. ღულაძის აზრით, გიმნაზიის გამგეს არჩევა უთუოდ
კომიტეტს უნდა მიენდოს“.

სკოლის მასწავლებლები: შ. ჩიტაძე. დ. კარიჭაშვილი, ხ. ღლონ-
ტი ა. მიქაბერიძე და სხვანი ენერგიულად იცავდნენ თავიანთ პრო-
ექტს.

შ. ჩიტაძე უპასუხებს ღულაძეს: „გიმნაზიის პედაგოგიურს საბ-
ჭოს უფლებანი არა აქვს და ეს გარემოება მათ პასუხისმგებლობას

აშორებს თავიდან. უფლება უნდა ჰქონდეს მას, ვინც პასუხისმგებელია. რადგანაც გიმნაზიის საქმეებში პასუხისმგებელი პედაგოგიური საბჭოა, ამიტომ უფლებანი იმას უნდა ჰქონდეს. რაც უნდა საიდიალო გამგე-კომიტეტი აირჩიოს კრებამ, იგი მაინც გიმნაზიას კარგ პატრონობას ვერ გაუწევს, რადგანაც საქმესთან ახლოს არ დგანან მისი წევრნი და ამას გარდა უსასყიდლოდაც ემსახურებიან გიმნაზიას. ამიტომ კომიტეტის წევრებს არ შეუძლიანთ მთელი დრო მოახმარონ გიმნაზიის საქმეებს. აი, ესაა მიზეზი, რომ კომიტეტს მჭიდრო კავშირი არა აქვს გიმნაზიასთან. ცოტათიც რომ შეზღუდოთ საბჭოს უფლება, იგი ვერ გახდება პასუხისმგებელი, ამიტომ წინააღმდეგი ვართ კომიტეტის ხელთ იყოს veto-ს დადება და კასაციის უფლება. თუ ეს უფლებები ექნება კომიტეტს, შესაძლებელია მუდამ არ დამტკიცოს პედაგოგიური საბჭოს დადგენილება და ეს კი არასასიამოვნო განხეთქილებას ჩამოაგდებს საბჭოსა და კომიტეტს შორის.

„რად გგონიათ, რომ ის ორგანო, რომელიც შორს დგას საქმეზე, უფრო კომპეტენტურია, ვიდრე საბჭო. ვერ აირჩევს შესაფერ მასწავლებლებს და გამგეს ის, ვინც საქმეზე შორს დგას. აქ ერთი მოსაზრება აქვთ იმათ, ვინც წინააღმდეგია გიმნაზიის გამგის არჩევისა პედაგოგიურ საბჭოსაგან. ეს მოსაზრებაა ის, რომ კომიტეტის მიერ დანიშნულის გამგესი მეტი შიში და მორიდება ექნებათ მასწავლებლებს. ეს სწორედ ბიუროკრატიული შეხედულებაა და ამბობენ ისინი ვინც ამ რეჟიმით არიან აღზრდილნი, მაგრამ ავიწყდებათ, რომ წავიდა ის დრო, როცა უფროსს შიშის თვალით უყურებდნენ. მე ვარწმუნებ საზოგადოებას, რომ სწორედ ამ წესმა ჩამოაქვეითა ჩვენი გიმნაზია. გიმნაზიის გამგე თანაბარი წევრია გიმნაზიის კორპორაციისა, მხოლოდ ის არის მათში პირველი და მათი შუამავალი. მთელი აზრი პროექტისა ის არის, რომ შექმნას კორპორაცია. პროექტით ფართო უფლება ეძლევა „საზოგადოებას“ კონტროლი გაუწიოს ან თვითონ, ან თავის არჩეულის ორგანოებით. „საზოგადოებას“ ეძლევა უფლება ათვალიეროს საბჭოს ყოველივე მოქმედება, რადგანაც სხდომებს შეუძლიანთ დაესწრონ „საზოგადოების“ წევრნი, მოწაფეთა მშობლები, მოწაფენი, პრესის წარმომადგენელნი.

„პედაგოგიურს საბჭოს ექნება იგივე განწყობილება „საზოგადოებასთან“, როგორც ეხლა აქვს გამგე კომიტეტს. მაშ გადაეცით ეს უფლება კომიტეტს და კომიტეტის უფლება საბჭოს.

„ინტრიგებს ალაგი აღარ ექნება, რადგანაც აქ იქნება კომიტე-

ტი. პრესა და საზოგადოება. კიდევ ვიტყვი, თუ ეს კორპორაცია არ მოგწონთ, დაითხოვეთ და ჩაბარეთ საქმე იმათ, ვისაც უფრო ენდობით". აქ ღულაძემ ჩიტაძეს რეპლიკა მისცა; ჩიტაძემ უპასუხა და ისინი ერთმანეთს შეეკამათნენ. (შემდეგ ეს კამათი პრესაში გადავიდა. ი. ღულაძე წერდა „ივერიაში". შ. ჩიტაძე —„ცნობის ფურცელში").

ამის შემდეგ თავჯდომარე ვ. გ. მაჩაბელმა საკითხი გამორკვეულად სცნო და კენჭი უყარა პროექტის შემდეგ დებულებას: — მიეცეს თუ არა პედაგოგიურ საბჭოს სრული დამოუკიდებლობა გიმნაზიის სასწავლო და სამეურნეო ნაწილებში. კრებამ ეს დებულება ერთხმად მიიღო. ამის შემდეგ თავჯდომარემ მეორე საკითხი დააყენა: — მიეცეს თუ არა პედაგოგიურ საბჭოს ნება — გიმნაზიის გამგე და მასწავლებლები თვითონ აირჩიოს. კენჭის ყრის დროს ფეხზე წამოდგა უმრავლესობა, მაგრამ თავჯდომარემ მოულოდნელად განაცხადა: ამგვარი რთული საკითხის ამნაირად გადაწყვეტა შეუძლებელია და წესდებასაც ეწინააღმდეგებაო, და კრება დახურულად გამოაცხადა.

მორიგ კრებაზე, რომელიც 10 ივლისს გაიმართა, თავმჯდომარე ვ. მაჩაბელი აღარ გამოცხადდა და კრებას თავმჯდომარეობდა კომიტეტის მორიგი წევრი სპ. ვირსალაძე. მან კრების საყურადღებოდ გამოაცხადა: „თანახმად გამგე კომიტეტის შუამდგომლობისა, ხელმწიფის მოადგილემ კავკასიაში ნება დართო ტფილისის სათავადაზნაურო გიმნაზიას ეწოდოს „ტფილისის ქართული კერძო გიმნაზია", იმ პირობით, რომ ქართული ენა ისწავლებოდეს გიმნაზიის ყველა კლასებში და მოსამზადებელ კლასებში სწავლა სწარმოებდეს 1881 წლის სასწავლო გეგმით".

ამავე სხდომაზე კრების ზოგმა წევრმა მოითხოვა, რომ ეხლანდელი გამგე კომიტეტის ყველა წევრს სამსახურისათვის თავი დაენებებინა, რადგან მასწავლებლებთან მათი არაკეთილი განწყობილება გიმნაზიას ავნებსო. შემდეგ მორიგ კრებაზე (13 ივლისს) კომიტეტი გადადგა და კრებამ ახალი კომიტეტი აირჩია. ამავე კრებაზე არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც საბოლოოდ უნდა განეხილა პედაგოგიური საბჭოს მიერ წარდგენილი რეორგანიზაციის პროექტი. კომისიაში აირჩიეს: ი. გოგებაშვილი ი. ღულაძე, ი. გამყრელიძე, პ. გოთუა, ვ. რცხილაძე, ა. მდივანი, გ. გეხტმანი და სხვ. ამ კომისიაში უნდა შესულიყვნენ წარმომადგენლებად გამგე კომიტეტისა და პედაგოგიურ საბჭოს ორ-ორი წევრი ხოლო მოწაფეებისაგან—სამი კაცი.

როგორც მოვიხსენიეთ, ივნისის საზოგადო კრებამ პედაგოგიურ

საბჭოს სრული დამოუკიდებლობა მიანიჭა სწავლა-აღზრდისა და სასწავლებლის სამეურნეო საქმეებში. გარდა ამისა, მომავალში პედაგოგიურ საბჭოს ეძლეოდა გამგისა და ახალი მასწავლებლებისა მოწვევის ნება, ხოლო ეხლანდელი მასწავლებლები ყველანი უნდა გადამდგარიყვნენ და მათი ხელმეორედ მოწვევა განახლებული გამგე კომიტეტის მოვალეობა იყო. მართლაც, მასწავლებლებმა სამსახურს თავი დაანებეს.

მაგრამ გამგე კომიტეტის ახლად არჩეულმა წევრებმა ზაფხულის განმავლობაში უარი განაცხადეს კომიტეტის წევრობაზე და გიმნაზიის მართვა-გამგეობას კომიტეტის ისევ ძველი წევრები შეუდგნენ; ამათ კი არ მოისურვეს საზოგადო კრების დადგენილების სისრულეში მოყვანა იმ მიზეზით, რომ კრებას გიმნაზიის რეორგანიზაციის საქმე სავსებით არ განუხილავ�о. კომიტეტის ყოფილმა წევრებმა საქმის საბოლოოდ გამოსარკვევად დანიშნეს საგანგებო კრება 13 სექტემბრისათვის, მანამდე კი გიმნაზიის საქმეები ძველებურად უნდა წარმოებულიყო.

სწავლა რომ არ შეფერხებულიყო, მასწავლებლები ისევ დაუბრუნდნენ სასწავლებელს და შეუდგნენ თავისი მოვალეობის შესრულებას. მაგრამ საქმის ნორმალურად წარმართვას აბრკოლებდა ის გარემოება, რომ სასწავლებელს მასწავლებლები საკმაო რაოდენობით არ მოეპოვებოდა და მოწვევაც უხერხული ხდებოდა, რადგან, გამოურკვეველი მდგომარეობის გამო, პედაგოგიური საბჭოც და გამგე კომიტეტიც უარს ამბობდნენ მასწავლებლების მოწვევაზე.

სექტემბრის საზოგადო კრების დადგენილებამ შესაძლებელი გახადა რამდენიმედ მაინც განახლებულიყო გიმნაზიაში სწავლა, მაგრამ ესეც მოუხერხებელი გახდა, რადგან საერთო გაფიცვის გამო 14 ოქტომბრიდან სწავლა ჩვენს გიმნაზიაშიც შეწყდა.

1905—1906 სასწავლო წელს თბილისის ქართულ გიმნაზიაში ითვლებოდა 707 მოწაფე, მათგან პანსიონერი იყო 114 და გარედან მოსიარულე — 593. პანსიონერთა შორის 26 საზოგადოების სრულ ხარჯზე იმყოფებოდა, 18—საზოგადოების ნახევარ ხარჯზე(შემოჰქონდათ წელიწადში ათ-ათი თუმანი), 3—სკოლის საეკონომო ხარჯზე და 69 — სრულ საკუთარ ხარჯზე (შემოჰქონდათ წელიწადში ოც-ოცი თუმანი).

როგორც მოხსენიებული გვქონდა, ჩვენმა სასწავლებელმა 1905 წლის ივლისში კერძო გიმნაზიის უფლებები მიიღო და 1905—1906 სასწავლო წელს მერვე კლასის მოწაფეებმა (31 მოწაფემ) ამავე გიმნაზიაში ჩაბარეს სიმწიფის მოწმობის მისაღები გამოცდები კომისიას საოლქო მზრუნველის თანაშემწის ა. ი. სლოვინსკის თავმ-

ჯდომარეობით და ყოველ საგანში კიდევ—სახელმწიფო გიმნაზიებიდან დანიშნულ სპეციალისტ-მასწავლებელთა თანდასწრებით, გამოცდების დროს ჩვენი მოწაფეები რუსული ენის კარგ ცოდნაა ამჟღავნებდნენ; თუმცა ზოგს აქცენტი არ უვარგოდა. აქცენტის გამო სლავინსკიმ თქვა: „Я бы желал, чтобы ученики грузинской гимназии также хорошо, без акцента, говорили по русски, как говорит Шио Алексеевич“ (შიო მშვენივრად ლაპარაკობდა რუსულად და ენაც საუცხოოდ იცოდა; შიო თურმე სლავინსკის საუკეთესო მოწაფე იყო მე-2 გიმნაზიაში). შიომ უპასუხა: „Важно, чтоб грузины ученики правильно выражали свою мысль на русском языке“. სლავინსკი, ალბათ, ასეთ, პასუხს არ მოელოდა, შეწუხდა და ხმა აღარ ამოუღია.

ოფიციალური გამოცდების დაწყებამდე გიმნაზიის მასწავლებლები მერვე კლასის მოწაფეებს საღამოობითაც ვამზადებით ორი თვის განმავლობაში ყოველ ჩასაბარებელ საგანში და ამიტომ, ეს პირველი გამოშვება კარგად ჩატარდა: სიმწიფის მოწმობა ყველამ—31 ახალგაზრდამ მიიღო.

უკანასკნელი გამოცდების დროს გიმნაზიაში მოვიდა ოლქის მზრუნველი ი. ზავადსკი, რომელსაც მიუღოცა გამგე კომიტეტის წარმომადგენელსა და პედსაბჭოს ახალი უფლებების მინიჭება, ხოლო მერვე კლასის მოწაფეებს—სიმწიფის მოწმობის მიღება.

1905 წლის განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, როგორც მოსალოდნელი იყო, სასწავლებლებშიც, მათ შორის თბილისის ქართულ გიმნაზიაშიც იჩინა თავი.

1905 წლის 26 აპრილს შ. ჩიტაძის თაოსნობით თბილისში გაიმართა მასწავლებელთა ყრილობა, რომელზეც თვითონ შიო გამოვიდა პოლიტიკური შინაარსის მოხსენებით. მან დაახასიათა რუსეთის პოლიტიკური ვითარება, ხალხის უუფლებობა და სკოლისა და საზოგადოდ სწავლა-აღზრდის მახინჯი მხარეები.

მასწავლებელთა ყრილობამ ყურადღებით მოისმინა შ. ჩიტაძის მოხსენება და მიიღო მისგანვე შედგენილი რეზოლუცია.

1905 წლის სექტემბერში თბილისის სკოლების მოსწავლეთა მიტინგზე, რომელიც ექიმ ნ. ხუდადოვის თაოსნობით იყო მოწყობილი, პედაგოგთაგან მხოლოდ ჩვენი გიმნაზიის მასწავლებლებს მიეცათ დასწრების უფლება.

განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გამოააშკარავა ის ნაკლოვანებანი, რომლებიც თან ახლდა მაშინდელ საშუალო სასწავლებელს; მოსწავლე ახალგაზრდობამ თითქმის ერთხმად დაგმო საშუალო სასწავლებლის მაშინდელი წყობა და სკოლას ზურგი შეაქცია. სახაზი-

ნო გიმნაზიები გაიფიცნენ, სწავლა შეწყვიტეს, გადაჭრით მოითხოვდნენ სკოლის მაშინდელი ბიუროკრატიული მართვა-გამგეობის სრულიად გაუქმებას.

გაიფიცა ჩვენი გიმნაზიაც. მასწავლებლები მოწაფეთა საერთო კრებებზე მათთან ერთად იხილავდნენ საჭირბოროტო საკითხებს. ჩვენი გიმნაზიის მოწაფეებმა უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური საკითხები წამოაყენეს: მოითხოვეს საქართველოსათვის ავტონომია, ეკლესიისთვის—ავტოკეფალია, ხოლო ქართული გიმნაზიისათვის—პედაგოგიური საბჭოს დამოუკიდებლობა გამგე კომიტეტისაგან სასწავლო და სამეურნეო საკითხებში. ამასთან მოწაფეებმა თავიანთი ყოფაცხოვრების მოსაწესრიგებლად მოითხოვეს უფლება—წარედგინათ პედაგოგიური საბჭოსათვის დასაბუთებული შუამდგომლობა თავიანთ საჭიროებათა შესახებ. პედაგოგიურმა საბჭომ საჭიროდ დაინახა ქართულ გიმნაზიაში შემოეღო მოწაფეთა სასამართლო და მოწაფეთა საბჭოები[1].

მოწაფეთა სასამართლოსა და საბჭოების წესდების შედგენის გამომმუშავებელ კომისიაში მასწავლებლებისაგან შედიოდნენ: შ. ჩიტაძე, დ. კარიჭაშვილი, ალ. მიქაბერიძე და ს. იაშვილი, ხოლო მოწაფეებისაგან—ვ. აბდუშელიშვილი, დ. ჩიქოვანი, ი. ჯორჯაძე და კიდევ ვინ იყვნენ—აღარ მახსოვს...

გიმნაზიის მოწაფეთა ზემოხსენებულ განწყობილებას არ ეთანხმებოდა მოწაფეთა მცირე ჯგუფი (მეშვიდე კლასის 7 თუ 9 მოწაფე). ამ ჯგუფის მოწაფეები, მგონი, ცდილობდნენ, რომ დანარჩენ მოწაფეებს მონაწილეობა მიეღოთ რომელიღაც დემონსტრაციაში, მაგრამ, რაკი ისინი ამაზე ვერ დაითანხმეს, გაჯავრდნენ და აღელვებულებმა დაახლოებით შემდეგი სტყვებით მიმართეს გამგეს — შ. ჩიტაძეს: ეს სასწავლებელი ჩვენ აღარ გვაკმაყოფილებს, ვტოვებთ სასწავლებელს და ამიტომ გთხოვთ დოკუმენტები მოგვცეთო. შ. ჩიტაძე ჯერ ამშვიდებდა, არიგებდა და დოკუმენტებს არ აძლევდა, მაგრამ მოწაფეები თავისას არ იშლიდნენ, ყოველდღე დოკუმენტების დაბრუნებას მოითხოვდნენ. თავგასბეზრებულმა გამგემ

---

[1] ამ ამბავის შესახებ ცნობილი [მწერალი ლესია უკრაინკა თბილისიდან კიევში დედას წერდა: „აქ მოხდა ამბოხება ყველა საშუალო სკოლაში... ქართულ სათავად-აზნაურო სასწავლებელში, სადაც ჩიტაძეა, შეიმუშავეს წესდება, რომელიც უფლებას ანიჭებს მოწაფეებს. მასწავლებელთა თანდასწრებით მოიწვიონ თათბირები და შექმნან მოწაფეთა საბჭო... ეს მიღწეულ იქნა ფანჯრის მინების ჩაულეწვად, და წერილების დაუწველად დირექტორის—შიო ჩიტაძის ტაქტიკის წყალობით“ (იხ. შ. სიხარულიძე, შიო ჩიტაძე, ჟურნალი „მნათობი“, 1954 წ., № 1 გვ. 149).

ბოლოს გასცა განკარგულება — მიეცით დოკუმენტებიო და თან დაუმატა — მალე ენახავ, დოკუმენტებს ისევ უკანვე მოარბენინებ. დნენო. მართლაც არ გასულა დიდი ხანი, რომ მოწაფეები ისევ უკან დაბრუნდნენ და ითხოვეს გიმნაზიაში კვლავ მიღება. პედაგოგიურ. მა საბჭომ ისინი უკანვე მიიღო. ამ მოწაფეებში ერივნენ, როგორც მახსოვს, ტროპიკული ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი პროფ. სიმონ კანდელაკი, გეოლოგიის პროფესორი ნ. ყიფიანი, გ. ბარნა-ბიშვილი (ახლა ქიმიკოსი), ვ. რცხილაძე და სხვა.

1906 წლის ზაფხულში კვლავ განახლდა „ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოების“ კრებები. 8 ივნისის კრებას მოახსენა განსაკუთ-რებული კომისიის მიერ შემუშავებული გიმნაზიის რეორგანიზაციის პროექტი. კომისიის მოხსენების თანახმად, კრებამ ერთხმად დად-გინა, რომ საგნების სწავლება გიმნაზიაში 1 სექტემბრიდანვე ქარ-თულ ენაზე ყოფილიყო შემოღებული მოსამზადებელ განყოფილე-ბებსა და პირველ და მეორე გიმნაზიურ კლასებში, ხოლო შემდგომ კლასებში ეს რეფორმა თანდათანობით გატარებულიყო. ამავე კრე-ბაზე ხმის უმეტესობით გადაწყდა: გიმნაზიის მოსამზადებელი კლა-სის კურსი ორწლიანი იყოს და ბავშვები მომზადებული უნდა მიე-ღოთ; ეს დადგენილება მომავალი სექტემბრიდან დაწყებული, თან-დათანობით განხორციელდესო. კამათი გამოიწვია კომისიის მოხსე-ნების იმ მუხლმა, თუ რომელი კლასიდან ისწავლებოდეს ჩვენს გიმ-ნაზიაში რუსული ენა. კომისია საჭიროდ აღიარებდა რუსულის სწავლებას მესამე წლიდან, ე. ი. პირველი კლასიდან. ხოლო კომი-სიის წევრი შ. ჩიტაძე ეერძო მოხსენებით ამტკიცებდა, რომ რუსუ-ლი ენა უნდა ისწავლებოდეს მეხუთე წლიდან, ე. ი. მესამე კლასი-დან, რადგან ამას მოითხოვს ბავშვების მშობლიურ ნიადაგზე გონებ-რივი განვითარება და განმტკიცება, რაც ოთხ წელიწადზე ადრე შეუძლებელია დასრულდესო. ხმის უმეტესობით კრებამ გადაწყვი-ტა რუსული ენის სწავლება შემოღებულიყო მესამე წლიდან, ე. ი პირველი კლასიდან.

ამის შემდეგ კრებამ უკამათოდ მიიღო კომისიის მიერ შემუშა-ვებული ქვემოთ მოყვანილი მუხლები.

1. „საზოგადოების“ საქმეთა უმაღლეს გამგედ და საქმის მწარ-მოებლად ითვლება საზოგადო კრება. გამგე კომიტეტი ეწევა გიმ-ნაზიის საქმეების ფაქტიურს კონტროლს. ის წლის განმავლობაში როგორც თავისი წევრების, ისე საგანგებოდ მოწვეული პირების საშუალებით რევიზიას უწევს გიმნაზიის საქმეებს და, თუ რამე ნაკლს შენიშნავს, წინადადებას აძლევს პედაგოგიურ საბჭოს, რომ შენიშნული ნაკლი ააცდინოს გიმნაზიას. მთელი სასწავლო და

საღამზრდელო ნაწილის გაძღოლა, თანახმად საზოგადოების მიერ მიღებული პროგრამისა და გეგმისა, შეადგენს მასწავლებელთა კორპორაციის სრულ უფლებასა და მოვალეობას.

2. მასწავლებელს მოიწვევს პედაგოგიური საბჭო და მისი მოწვევა კომიტეტის დასტურს არ საჭიროებს. მაგრამ კომიტეტს უფლება აქვს მასწავლებელი დაითხოვოს ყოველ დროს, რადგან გიმნაზიის გამგე თავისი ადმინისტრაციულ მოქმედებით განახორციელებს არა მარტო პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენლობას, არამედ ხშირად მთელი საზოგადოების წარმომადგენლობასაც. ამიტომ გამგეს ირჩევს პედაგოგიური საბჭო, ხოლო ამტკიცებს გამგე კომიტეტი.

3. პანსიონი გაუქმდეს, როგორც ახლანდელ პირობებში არასასარგებლო დაწესებულება.

4. მასწავლებელი იმავე დროს უნდა იყოს აღმზრდელი, რომლის ცალკე თანამდებობა გაუქმდეს. ასეთ მასწავლებელ-აღმზრდელს უნდა ექნეს კვირაში არა უმეტეს თვრამეტი გაკვეთილისა და ჯამაგირად წელიწადში ორას ორმოცი თუმანი, რომელსაც ათი წლის შემდეგ უნდა მოემატოს ოცდაათი თუმანი.

5. სამსახურის ვადად მასწავლებლისათვის ითვლებოდეს ოცი-წელიწადი.

6. გიმნაზიის შემოსავალ-გასავალის სავარაუდო აღრიცხვის შედგენა მიენდოს პედაგოგიურ საბჭოს, რომელმაც შემდეგ ის უნდა წარუდგინოს გამგე კომიტეტს, ამ უკანასკნელმა კი თავისი შენიშვნით მოახსენოს საზოგადო კრებას.

7. რაკი პედაგოგიური საბჭო გადამდგარად ითვლება, გამგე კომიტეტს მიენდოს საზოგადოების შვიდი წევრის თანდასწრებით აირჩიოს გადამდგარი მასწავლებლისაგან ძ ი რ ი თ ა დ ი ჯ გ უ ფ ი, რომელშიც ხუთზე ნაკლები მასწავლებელი არ უნდა შედიოდეს, ხოლო ამ ჯგუფს ნება ჰქონდეს პედსაბჭოს შესადგენად შეარჩიოს მასწავლებლები იმათ შორისაც, რომლებიც დათხოვნილად ითვლებიან.

იმავე 1906 წლის იანვრის კრებაზე გამგე კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს პ. ი. თუმანიშვილი (თბილისის მაზრის წინამძღოლი), თავმჯდომარის ამხანაგად — ი. ღულაძე, წევრებად — ა. ჯაბადარი, ვ. რცხილაძე, ნ. ცხვედაძე და ა. მდივანი.

ამასთან საზოგადოდ კრებამ პედაგოგიური საბჭოს ძირითადი ჯგუფის შესადგენად გამგე კომიტეტთან ერთად მოიწვია „საზოგადოების“ შემდეგი წევრები: ი. გოგებაშვილი, ი. სიდამონ-ერისთავი,

ა. მირიანაშვილი, პ. გოთუა, გ. რცხილაძე, ე. ხრამელაშვილი და მ. ლასხიშვილი.

გამგე კომიტეტისა და ზემოთ დასახელებული არჩეული პირების შეერთებულ კრებაზე ძირითად ჯგუფში ქართული გიმნაზიის გადამდგარი მასწავლებლებისგან არჩეულ იქნა: შ. ჩიტაძე, ნ. გოგიტიძე, დ. კარიჭაშვილი და ს. იაშვილი, ხოლო გარეშე მასწავლებლებისაგან — მ. ი. თაქთაქიშვილი (ბაქოს კომერციული სასწავლებლის ინსპექტორი) და წ. კ. გ. ს. კავკავის სკოლის მასწავლებელი ლ. ბოცვაძე. ამ ძირითად ჯგუფს დაევალა გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს შედგენა. ცხადია „ძირითად ჯგუფს“ მეტად მძიმე და ძნელი დავალება ჰქონდა დაკისრებული. ჯგუფის კრებები „ნაკადულის“ რედაქციაში მიმდინარეობდა, სადაც ჯგუფის წევრებს მუქარით საკუთარ უსახელო წერილები მოგვდიოდა. საჭირო იყო ყოველი მასწავლებლის სრული დახასიათება, მისი ავკარგიანობის აწონდაწონვა, და ამ დახასიათებისა და ავკარგიანობის გამაშუქებელი უმთავრესად შ. ჩიტაძე იყო. გამოირკვა, რომ შიო თითქმის ყველა მასწავლებლების გაკვეთილებს დასწრებოდა; ამასთანავე „ჯგუფის“ მიერ გამოყენებული იყო მოწაფეების აზრი ამა თუ იმ მასწავლებლის შესახებ, იმ მოსაზრებით, რომ მოწაფეები უმეტეს შემთხვევაში საუკეთესო დამფასებლები არიან მასწავლებლისა. ჩვენი გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს რამდენიმე წევრი სხვა დარგში კარგი მოღვაწე-მკვლევარი, როგორც მასწავლებელი მისაღები არ აღმოჩნდა. ამ მასწავლებლის გაკვეთილები მოწაფეების დახასიათებითაც, მიუხედავად საგნის დიდი ცოდნისა, ისეთი მშრალი, მოსაწყენი, გადაცემის ყოველ უნარს მოკლებული იყვნენ. რომ „ჯგუფი“ იძულებული იყო ეს მასწავლებლები ახალ პედაგოგიურ საბჭოს წევრებად არ აერჩია.

ძირითადმა ჯგუფმა 26 ივნისის სხდომაზე ფარული კენჭისყრით ხმის უმეტესობით მასწავლებელ-აღმზრდელად აირჩია ა. მიქაბერიძე, მ. ქორიძე, ნ. ახმეტელი და სხვ. ხოლო მოწვეულ მასწავლებლებად—მღვ. კ. ცინცაძე, მღვ. ა. თოთიბაძე, ზაქ. ფალიაშვილი, ალ. მრევლიშვილი, ან. ყარაშვილი და ი. მონდარიშვილი. შემდეგ ჯგუფმა შტატის შესავსებად გაზეთებში გამოაცხადა თავისუფალი ადგილების შესახებ და არჩევნები დანიშნა 20 ივლისისათვის.

ამავე დროს განმათავისუფლებელი მოძრაობა თანდათან ფართოვდებოდა. გახშირდა გაფიცვები, რასაც მოჰყვა რევოლუციური ჯგუფების ჩამოყალიბება და აქა-იქ—ტერორისტული აქტებიც. ქართული გიმნაზია, ერმოლოვის (ეხლა შ. ჩიტაძის) ქუჩაზე მოთავსებული, სულ ჯარის, პოლიციისა და ჟანდარმერიის ბინებით იყო გარშემორტყმული: გიმნაზიის პირდაპირ მოთავსებული იყო კავკა-

სიის მეფისნაცვლის თანაშემწის (საპოლიციო ნაწილში) შირნიკინის კანცელარია, სადაც ერთ-ერთ ფანჯარაში ფოტოგრაფიული აპარატი იდგა და გიმნაზიაში თითქმის ყოველ შემსვლელსა და გამომსვლელს სურათს უღებდა; ცოტა ქვემოთ, იმავე ქუჩაზე მოთავსებული იყო მეფისნაცვლის მცველი რაზმი; პეტრე დიდის (ახლა ძერჟინსკის) ქუჩაზე ცხოვრობდა თბილისის პოლიცმეისტერი მარტინოვი. განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს ჩვენი გიმნაზია მთავრობას პირდაპირ თვალში ჰყავდა ამოღებული. ჩვენი გიმნაზიის მოწაფეებს სახაზინო თეატრის ადმინისტრაცია არც პარტერში და არც ამფითეატრში არ უშვებდა, მათ მხოლოდ ჭანდარაზე უთმობდა ადგილებს: ცარიზმი ადგილობრივ ეროვნებათა შორის პროვოკაციულად თესდა შეღლესა და მტრობას, რათა ეს ერები ერთმანეთს გადაჰკიდებოდნენ. ამიტომაც მაშინ თბილისში გაბატონებული პლუტოკრატია ჩვენამდი მტრულად იყო განწყობილი... ამას ადასტურებს უბრალო, მაგრამ დამახასიათებელი ამბავი. ერთხელ, 1903 წელს, ერთ მოწაფეს კლასის ფანჯარა გაეღო და იქიდან იცქირებოდა, როცა სომეხი მღვდელი ქუჩაზე საშინელი სისწრაფით თავქვე მიდიოდა. მოწაფემ დაინახა მღვდელი და მიაძახა: „მოუსვი ტერტერ, მოუსვი, ტერტერ". მღვდელმა იწყინა ასეთი მიმართვა, დაბრუნდა და აღშფოთებულმა გამგეს (ე. თაყაიშვილს) შესჩივლა მოწაფის ქცევის გამო. გამგემ ბოდიში მოიხადა მღვდლის წინაშე და დაპირდა მოწაფის სამაგალითოდ დასჯას. მაგრამ მღვდელი მაინც არ დაკმაყოფილდა ამით და ეს საქმე ოლქის მზრუნველთან გაასაჩივრა. გაიმართა მიწერ-მოწერა... საყვედური გამგე კომიტეტს, გიმნაზიის გამგეს და სხვ.

1905 წლის 22 ოქტომბერს, როგორც ცნობილია, ახლანდელ რუსთაველის პროსპექტზე მოხდა შაგრაზმელების პროვოკაციული გამოსვლა, რასაც მოჰყვა ხალხის საშინელი ხოცვა-ჟლეტა. პირველ სახაზინო გიმნაზიის ეზოში შეჭრილმა კაზაკებმა მოკლეს, გიმნაზიის მეორე კლასის მოწაფე ცირიულნიკოვი.... იმავე დღეს ჩვენი გიმნაზიის პანსიონში დარჩენილი 14 პანსიონერი იქვე დაატუსაღეს და ორი დღე ჰყავდათ დაპატიმრებული.

1905 წლის განმანთავისუფლებელ-რევოლუციურ მოძრაობაში ჩვენი გიმნაზიის ბევრი მოწაფე მონაწილეობდა. აქ უნდა მოვიხსენიო მეექვსე კლასის მეტად ნიჭიერი მოწაფის პეტრე დადვაძის მონაწილეობა რევოლუციურ-განმანთავისუფლებელ ჯგუფში და მისი თავგადასავალი... მეექვსე კლასის დამრიგებელი ვიყავი, და როცა დადვაძე, მშვენება კლასისა, რამდენიმე დღე კლასში ვეღარ ვნახე, მის ამხანაგებს შევეკითხე, თუ რა მოუვიდა დადვაძეს, რა-

ტომ კლასში არ დადის. მიპასუხეს—სიღარიბის გამო. იძულებული იყო სწავლისათვის თავი დაენებებინაო. შევწუხდი, დამენანა ასეთი ნიჭიერი მოწაფის სწავლისგან მოწყვეტა... გავიდა დრო. თუ მეხსიერება არ მღალატობს, 1908 წელს დადვაძეს ქუჩაში შევხვდი და ვკითხე — სად დაიკარგე, რა მოგივიდა-მეთქი. ამის პასუხად პ. დადვაძემ შემდეგი მიამბო:— იმ ხანებში (1905 წ.) მარჩენალი მამა ჭლექით გარდამეცვალა. დარჩა ოჯახი უსახსროდ, დედა—დაავადებული, ძმა — პავლე (ჩვენი გიმნაზიის მე-8 კლასის მოწაფე) და ორი მცირეწლოვანი და, მიუხედავად ამისა გადავწყვიტე რევოლუციურ ჯგუფში შევსულიყავი. მივიღე მონაწილეობა ჯგუფის რამდენიმე აქტში. ბოლოს, ჯგუფიდან გამოვედი და ოჯახს მოვეპატრონე. ძმამ, პავლემ (შემდეგში ცნობილი ჟურნალისტი) გიმნაზია დაამთავრა, მე კიდევ ჩემით მოვემზადე და ექსტერნად ჩავაბარე სიმფიფის მოწმობის მისაღები გამოცდებიო.

საექსტერნო გამოცდების ჩაბარება პეტრე დადვაძეს საშინელ პირობებში მოუხდა. ოლქის მზრუნველმა რუდოლფმა საექსტერნო გამოცდები თავის კანცელარიაში მოაწყო. 70 ექსტერნიდან მხოლოდ 7 მიიღო სიმფიფის მოწმობა, მათ შორის პეტრე დადვაძემაც. შემდეგ დადვაძემ სტიპენდიების გამნაწილებელ სათავადაზნაურო კომიტეტში შეიტანა თხოვნა სტიპენდიის მიღების მიზნით, მაგრამ უარი უთხრეს. დადვაძე მაინც შევიდა ოდესის უნივერსიტეტში და კერძო გაკვეთილებით აპირებდა იოლად წასვლას, მაგრამ აქედან არაფერი გამოუვიდა და იძულებული გახდა ოდესის სამხედრო სასწავლებელში შესულიყო. სამხედრო სასწავლებელში პ. დადვაძე პირველ მოწაფედ ითვლებოდა. მის მიერ რუსული ლიტერატურიდან შესრულებულ თხზულებებს მასწავლებელი საგანგებო კრებებზე კითხულობდა, როგორც საუკეთესოს. დადვაძემ სამხედრო სასწავლებელი უწარჩინესებურად გაათავა (იგი ოქროს medalia იყო გამოწერილი). სასწავლებლიდან იგი ოფიცრად გამოუშვეს და პირველი ვაკანსია პეტროგრადში (ახლანდელ ლენინგრადში) და მოსკოვში მიაწოდეს, მაგრამ იგი დიდ ჯამაგირს დახარბდა და სამსახურისათვის ციმბირი აირჩია. ეს არჩევანი კი მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა: პ. დადვაძე ციმბრიში ტიფით გარდაიცვალა.

1905 წლის მოძრაობაში ჩვენი გიმნაზიის ბევრი მოწაფე იღებდა მონაწილეობას: შ. მესხიშვილი, გ. ახვლედიანი, ნ. მიროტაძე, ი. სხირტლაძე, ლ. კანდელაკი, ს. მესხი, ა. წინამძღვრიშვილი, ი. ხომასურიძე, ნ. საღარაძე, ბ. ბერუაშვილი, ვ. რცხილაძე, ვ. ყიფი-

ანი, გ. ბარნაბიშვილი, პ. კურცხალია, ს. კანდელაკი, ი. გელეიშვილი და სხვები.

ამ ხანებში, ერთ საღამოს, შ. ჩიტაძის ბინიდან (გიმნაზიის შენობაში ცხოვრობდა) გამოვიდა შიოს ამხანაგი და მეგობარი იურისტი ვ. თუმანიშვილი და ერმოლოვის ქუჩას დაუყვა. ამ დროს



შიო ჩიტაძე

თუმანიშვილს უცნობმა გადაუჭრა გზა და უთხრა: მალე გაშორდით აქაურობას, ყუმბარას ისვრიანო. თუმანიშვილმა ამ სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია და გზა განაგრძო. ამ დროს ყუმბარა გავარდა (მეფის ნაცვლის დაცვის—„კონვოი-ს—სადგომში გადააგდეს). ყუმბარის ნატეხი თუმანიშვილს ფეხში მოხვდა და წააქცია. ყოველივე ეს დაენახა ჩვენი გიმნაზიის მეკარეს ალექსი ანტონოვს (პოლონელი, მეტად პატიოსანი და ერთგული კაცი). იგი მაშინვე მიეშველა დაჭრილს, აიყვანა გიმნაზიის შენობაში და იქ დამალა.

შემდეგ ალექსიმ სველი ტილო მოიტანა და დაღვრილი სისხლი ყველგან მოწმინდა. პატარა ხანს უკან გაჩნდა პოლიცია და ჟანდარმერია და, რასაკვირველია, მაშინვე გიმნაზიის შენობას ეცნენ და დაუწყეს ჩხრეკა, მაგრამ დაკრილი თუმანიშვილი ალექსის ისე დაემალა, რომ ვერ იპოვნეს. მაგრამ საჭირო იყო თუმანიშვილის შეუმჩნევლად გიმნაზიის შენობიდან გასვლა, რაც უახლოეს კვირა დღეს მოხერხდა როცა პანსიონერები აღმზრდელობის თანხლებით ეკლესიაში წავიდნენ თუმანიშვილიც როგორც აღმზრდელი თან გაიყოლიეს.

V. გიმნაზიის აკლება და შიო ჩიტაძის ვერაგულად მოკვლა

1906 წლის ივნისის ბოლო რიცხვებში, როცა მასწავლებელთა ძირითადმა ჯგუფმა ის იყო მუშაობა დაასრულა და დასასვენებლად წასვლა-წამოსვლას აპირებდა, მე შიოსთან ბინაზე ვიყავი და მასწავლებლების არჩევნებზე ვბაასობდით, როცა ჩვენთან გაფითრებული ალექსი ანტონოვი — მეკარე — შემოვარდა და მოგვახალა: ამა და ამ კლასში ფანჯარაზე ყუმბარები ვნახეო. მაშინვე ჩავედით კლასში და ფანჯარაზე სამი ყუმბარა ვნახეთ. მე და შიომ სასწრაფოდ ქალაქის ქუჩებს მივაშურეთ, რომ ჩვენი გიმნაზიის ახალ კურსდამთავრებულნი, განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილენი გვეპოვნა და მათი დახმარებით გიმნაზიიდან ყუმბარები გაგვეტანა. მართლაც, ვიპოვნეთ ნამოწაფარები და გიმნაზიიდან ყუმბარებიც გატანილ იქნა.

მეგობრები შიოს ხშირად ვეტყოდით ხოლმე: წადი, დაისვენე ცოლშვილში (ქვიშხეთში ჰყავდა, აგარაკზე), მაგრამ შიო ყოველთვის უარზე იყო და ამბობდა: „ჩვენი გიმნაზია ვულკანზეა, ამისთანა დროს მე ზნეობრივად უფლება არა მაქვს გიმნაზია უპატრონოდ დავტოვო“.

ესერებმა რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ მოისყიდეს გიმნაზიის დარაჯი და შენობაში ყუმბარები შემოიტანეს. 4 ივლისს პეტრე დიდის (ახლა ძერჟინსკის ქუჩაზე) მიმავალ მარტინოვს გიმნაზიის შენობიდან ყუმბარა ესროლეს (მარტინოვი ხელში და ფეხში დაიჭრა), რასაც მოჰყვა ორი ოფიცრის მეთაურობით გიმნაზიაში კაზაკთა შემოჭრა და შიოს ვერაგულად მოკვლა. სროლაზე და ხმაურობაზე შიო თურმე თავისი ბინიდან გამოსასვლელისაკენ მიეშურებოდა, რომ ამ დროს ოფიცრები უკვე ბინაში შეიჭრნენ. ოფიცრების შეკითხვაზე — ვინა ხარო, შიომ უპასუხა — გიმნაზიის დირექტორიო. ვერც კი მოასწრო ამის თქმა რომ შიოს პირდაპირ თავში ესროლეს ოფიცრებმა და ისიც უსულოდ დაეცა. ამ ორი

ოფიცრის ვინაობა შიოს ვერაგულად მოკვლის შემდეგ გამოარკვია მაშინდელი პეტროგრადიდან საგანგებოდ ჩამოსულმა შიოს ცოლისძმამ, გვარდიის პოლკოვნიკმა. სხვათა შორის, ხსენებული ოფიცრები მაშინვე, ამ უბედურების შემდეგ, სადღაც შორს გადაიყვანეს სამსახურში.

იმავე საღამოს გიმნაზიაში კრება ჰქონდათ შტატგარეშე დარჩენილ მასწავლებლებს, რომლებმაც დიდი წიოკობა და ცემატყეპა განიცადეს, სოლო ორი მათგანი (ი. აბულაძე და ხ. ღლონტი) დაჭრეს კიდეც... ამასთან გიმნაზიის სასაწავლო ნივთები და ავეჯი სულ ერთიანად გაანადგურეს და გიმნაზიის შენობაში ჯარი ჩააყენეს.

ბნელი ძალების მიერ შიო ჩიტაძის მხეცურად მოკვლას და ქართული გიმნაზიის ბარბაროსულად აკლებას მთელი საქართველო გამოეხმაურა. გაზეთებმა დაწვრილებით აღწერეს ეს შემზარავი და ტრაგიკული ამბავი... გულწრფელად გლოვობდნენ შიოს—ძვირფას ადამიანს, საუცხოო ამხანაგ-მეგობარს, მებრძოლს, დიდ პედაგოგს...

თბილისელმა ქალებმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნეს სახელმწიფო სათათბიროს თავჯდომარესა და ქართველ დეპუტატებს: „ჩვენ თბილისელი ქალები, ეროვნების განურჩევლად, მწარე ცრემლს ვაფრქვევთ მხეცურად მოკლულ საუკეთესო ადამიანს და საზოგადო მოღვაწის შიო ჩიტაძის გვამზე. ღრმა ზიზღს ვაცხადებთ ჩვენი უდანაშაულო ადამიანის მოკვლისა და გიმნაზიის მასწავლებლების დაჭრის გამო. მოვითხოვთ სასტიკ გამოძიებას მკვლელთა და ამწიოკებელთა აღმოჩენას და სამართალში მიცემას“ (გაზეთი „სიმართლე“, 1906 წ., № 5).

მაშინდელმა ბოლშევიკურმა გაზეთმა „ახალმა ცხოვრებამ“ რომელსაც დიდი სტალინი ხელმძღვანელობდა, ასეთი ნეკროლოგი მოათავსა: „ქართულმა გაზეთებმა უკვე გვაუწყეს ამ პატიოსანი ადამიანის უდროოდ სიკვდილი. თვითმპყრობელობის ავკაცობათა დაუსრულებელ რიგს კიდევ ერთი სიმხეცე მიემატა. ჩიტაძე ერთი საუკეთესო წევრი იყო მოწინავე ქართველი ახალგაზრდობისა. სტუდენტობის დროს, თავისი იდეალისტური მისწრაფებით და გაღვიძებული თეორეტიული ინტერესით საყოველთაო პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული როგორც ქართველ, ისე რუს სტუდენტობაში, და განსაკუთრებით თავის თანამემამულეებზე ნაყოფიერ გავლენას ახდენდა. იმავე დროს სერიოზულად სანდო ადამიანის სახელი ჰქონდა დამსახურებული კიევის საზოგადოებაში. უნივერსიტეტის შემდეგ პედაგოგიური სარბიელი აირჩია და ყველგან, დიდსა და პატარაში ღრმა და გულწრფელი სიმპატია ჰქონდა დამ-

სახურებული. ლიტერატურულ სარბიელზე ახლად იყო გამოსული, მუდმივად თანაშრომლობდა „ცნობის ფურცელში“, „შრომაში“ და „ვოზროჟდენიეში“. თავის ლიტერატურულ და პოლიტიკურ თანამოაზრეთა შორის უკანასკნელად არ ითვლებოდა. და თუმცა ის ჩვენი იდეური მოწინააღმდეგე იყო, მაგრამ მისი მოკვლა ჩვენც არა ნაკლებ გვივსებს გულს შურისძიების გრძნობით. დეე, ეს მსხვერპლიც მუდამ განუშორებელი იყოს ჩვენი ხსოვნიდან და სისხლის ასაღებად მოგვიწოდებდეს“[1].

აქ საჭიროდ მიგვაჩნია ამ ყოვლად პატიოსანი, უანგარო, პირდაპირი, იშვიათი ადამიანისა და დიდი პედაგოგის შიოს მოკლე ბიოგრაფია მოვიყვანოთ.

შ. ჩიტაძე დაიბადა 1873 წელს ქ. გორში, სადაც მისი მამა — ალექსი ხელოსნობას ეწეოდა. ღარიბმა მშობლებმა შიო გორის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, რომლის კურსიც ნიჭიერმა ახალგაზრდამ წარმატებით დაამთავრა 1886 წელს. შემდეგ შიო შევიდა თბილისის ვაჟთა მე-2 გიმნაზიაში, რომელიც ოქროს მედლით დაასრულა. მალე ის კიევის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე შედის. უნივერსიტეტში შიო საუკეთესო სტუდენტად ითვლებოდა, ქართველ სტუდენტთა წრის გამგეობის თავჯდომარე იყო. შიომ დაასრულა რუსული სიტყვიერების დარგი. ჯერ კიდევ მეოთხე კურსის სტუდენტმა, მან დაწერა ადამ მიცკევიჩის თხზულებათა გარჩევა, რომელიც, კიევის პროფესორების აზრით, შესანიშნავ განად უნდა ჩაითვალოს პოლონური ლიტერატურის გამოკვლევათა ისტორიაში.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შიო კიევის რამდენსამე სასწავლებელში მიიწვიეს რუსული ენის მასწავლებლად და ყველგან როგორც მოწაფეების, ისე ამხანაგების საერთო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, მოწაფეები და მასწავლებლები შიოს „ჩვენს ქვირფას შიოს“ ეძახდნენ.

როგორც პედაგოგმა, შიომ მთელი კიევის ოლქში გაითქვა სახელი. მასწავლებლობის დროს იგი ყოველ თავისუფალ საათს პროფ. ჩელპანოვის ხელმძღვანელობით ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის საფუძვლიან შესწავლას ანდომებდა. ეს ორი დარგი მეცნიერებისა ისე საფუძვლიანად შეისწავლა, რომ სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოებანი და კერძო ინტელიგენტთა წრეები ცნობილ პროფ. ჩელპანოვის რეკომენდაციით იწვევდნენ ახალგაზრდა ლექტორს ლექ-

[1] გაზეთი „ახალი ცხოვრება“, 1906 წ., ივლისი, № 4.

ციების წასაკითხავად. მისი ყოველი ლექცია, დამსწრეთა სიტყვით, დიდ აღტაცებას იწვევდა მსმენელთა შორის.

კიევში შიო იქაური წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიურ წევრად ითვლებოდა და საზოგადოების მდივნისა და გამგეობის წევრის თანამდებობას ასრულებდა. წერა-კითხვის საქმეებს შიო ნიჭიერად და ნაყოფიერად განაგებდა ექვსი წლის განმავლობაში უსასყიდლოდ. შიო შემდეგ ამ საზოგადოების საპატიო წევრად იქნა არჩეული.

კიევში შიო ხაფხულობით განაგებდა სახალხო სკოლების მასწავლებელთა კრებას და თავის სამაგალითო გაკვეთილების მიცემით არა ერთსა და ორ სახალხო მასწავლებელს უნერგავდა გულში ხკოლისა და ახალთაობის სიყვარულს.

შიო მხურვალე მონაწილეობას იღებდა კიევის პროგრესულ ჟურნალ-გაზეთებში. რუსეთის საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია შიოს წერილმა მ. გორკის თხზულებათა კრიტიკულად განხილვის შესახებ.

1904 წელს თბილისის ქართული გიმნაზიის გამგე კომიტეტმა შიო რუსული ენის მასწავლებლად მოიწვია. კიევის საზოგადოებამ შიოს აქ წამოსვლისას დიდი პატივი სცა. სასწავლებლებისა და სხვადასხვა დაწესებულებებისაგან შიომ მიიღო მრავალი ძვირფასი საჩუქარი რომელზედაც ასეთი წარწერები იყო: „ჩვენს ძვირფას შიოს“. „პატიოსანსა და გულწრფელ მუშაკს“, „ჩვენს სიმამაცეს“, „დაუვიწყარ შიოს“ და სხვ.

თბილისში ჩამოსვლისთანავე შიო ქართული გიმნაზიის გამგედ დანიშნეს და ამ ორი წლის განმავლობაში მან ღირსეულად დაიმსახურა მასწავლებლებისა და მოწაფეების დიდი პატივისცემა და სიყვარული.

შიო თბილისში მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქართულსა და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში; იგი მუდმივი თანამშრომელი იყო „ცნობის ფურცელისა“ და „შრომის“, რომელთა მრავალი მოწინავე წერილი მის კალამს ეკუთვნის. მხურვალე მონაწილეობას იღებდა შიო აგრეთვე რუსულ გაზეთებში — „ეოზროჟდენიეში“, „ვესტნიკ ეოზროჟდენიაში“ და სხვადასხვა პროგრესულ გაზეთებში, სადაც იგი მეტწილად მეთაურებს წერდა... აი ასეთ ადამიანს, ჯანითა და ღონით სავსე, ნიჭიერ, პატიოსან და გულწრფელ მუშაკს მოუსპეს სიცოცხლე ბნელმა ძალებმა.

შიო ჩიტაძეს, თბილისის ქართულ გიმნაზიაში მოსვლისას, რომის შესანიშნავ მხედართმთავარ ცეზარივით შეეძლო ეთქვა: „vevi, vidi, vici“ — მოვედი, დაგინახე, გავიმარჯვე. იგი პირ-

ველი გაცნობისთანავე იზიდავდა ადამიანს და, რომ გავიცანი და დავუახლოვდი, შიო აღმოჩნდა ყოველმხრივ შემკული პიროვნება — ნიჭიერი, პატიოსანი, გულმართალი, პირდაპირი, მებრძოლი. თვითონ გულთბილი მოსიყვარულე ადამიანი, სიყალბეს სრულიად ვერ იტანდა და საშინელი სიმკაცრით ექცეოდა ყველას, ვისაც კი სიყალბეს შეამჩნევდა...

შიო, როგორც მასწავლებელი, პირდაპირ ოსტატი იყო... ვყოფილვარ შიოს რუსული ენის გაკვეთილებზე. გაკვეთილი იყო მძიმებებივით ჩამოსხმული, შეკრული, ვერც მიუმატებდი და ვერც გამოაკლებდი რამეს, ისე იყო ყოველმხრივ გამართული. ამასთან შიო გაკვეთილს ატარებდა თავისუფლად, დინჯად, აუღელვებლად; ამ გაკვეთილებში ჩანდა საგნის ღრმა ცოდნა და თან მტკიცე დისციპლინა სულგანაბული უსმენდნენ მოწაფეები, სიხარულით თვალებგაბრწყინებულნი ადევნებდნენ თვალყურს შიოს ყოველ მიხვრა-მოხვრას.

ხოლო მასწავლებლის საგნის გადაცემის უნარს, კლასში თავის დაჭერას და მის ქცევას დიდი მნიშვნელობა აქვს; ყოველივე ეს ამჟღავნებს მასწავლებლისა და მოწაფეების ურთიერთ დამოკიდებულებას, ამჟღავნებს, თუ რამდენად უყვარს მასწავლებელს თავისი მოწაფეები და, პირიქით, მოწაფეებს—მასწავლებელი... შიოს გაკვეთილი იყო ცოცხალი, მიმზიდველი, რაღაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, თბილი... სწავლების წარმატებისათვის ცოდნის გარდა საჭიროა კიდევ „რაღაც“, რასაც ასე ეძახს ყოველი მოწაფე მასწავლებელში და რომლისთვისაც მოწაფე მასწავლებელს „ჩემს მასწავლებელს“ ეძახის. ჩვენი აზრით, ეს „რაღაც“ ის თვისებაა, რომელსაც ადამიანობას ეძახიან. ადამიანობა კიდევ — სხვა პიროვნებისადმი გულისხმიერი მოპყრობაა... მოკლედ, მხოლოდ კარგ ადამიანს შეუძლია იყოს კარგი მასწავლებელი. შიო კარგი ადამიანი და ამიტომ კარგი მასწავლებელიც იყო...

შიო ჯიუტი იყო. მისმა ჯიუტობამ ჩვენ—მე და შიო—კინაღამ საბედისწერო ხიფათში ჩაგვაგდო. 1905 წლის განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს, ერთხელ, მე და შიომ გაკვეთილების შემდეგ „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში გადაწყვიტეთ წასვლა. დეკემბრის თოვლიანი დღე იყო. ჩავედით ახლანდელ რუსთაველის პროსპექტზე და, სადაც ახლა სასტუმრო „ინტურისტია“, იქ წიგნის მაღაზიის ვიტრინებში ახალი წიგნების თვალიერებას შევუდექით. ამ დროს ყოფილ მუხრანის ბაზრიდან (ახლა კოლმეურნის მოედანი) ბომბის ხმა მოისმა. გავიდა პატარა ხანი და კიდევ გავარდა ბომბი, შემდეგ კი თოფის სროლა ატყდა. ამ ამბით დამფრთხალი ხალხი ქუჩებში გარბოდა და გამორბოდა. სწრაფად დაიკეტა მაღაზიებიც, ასე

რომ პროსპექტზე ხალხის ჰაჰანება აღარ იყო. ჩვენ — მე და შიო — ვდგევართ მაღაზიის წინ და ველოდებით ამ ამბის ასე თუ ისე დაბოლოებას... ვნახოთ, პროსპექტზე ოპერის თეატრის მხრიდან გამოჩნდა პლასტუნების (ქვეითი კაზაკები) დიდი რაზმი. თოფმოღერებულნი, ჩოხა შეკეცილნი გამორბიან პროსპექტზე... შიო მეუბნება: წავიდეთ რედაქციაში! (რედაქცია მოთავსებული იყო მაშინდელ ვანქის, ახლა პრესის ქუჩაზე). როგორ! იქ წავიდეთ, სადაც ბომბებსა და თოფებს ისვრიან? — ვუპასუხებ... ამ დროს პლასტუნები მოგვიახლოვდნენ... მათ, სადაც ახლა კავშირგამბმულობის სახლია, იქ შეამჩნიეს, ჩვენი მხრისკენ მომავალი ვიღაც კაცი, ესროლეს და დაჭრეს. (როგორც შემდეგ გამოირკვა, ის იყო გაზეთ „Возрождение"-ს თანამშრომელ ი. გორდელაძე). დავრჩით მე და შიო მარტოდ მარტო... პლასტუნები ის იყო უკვე მოგვადგნენ მოღერილი თოფებით, რომ ამ დროს ოპერის თეატრის მხრისაკენ მიმავალმა ერთმა ოფიცერმა გამოიარა—აბა, შიო გავყვეთ ამ ოფიცერს უკან,—ვეუბნები,—შიო გამიჯიუტდა, რედაქციისაკენ იწევდა,—რა დროს რედაქციაა!—ვუთხარი, ვტაცე ხელი და ძალით გავიყოლე ოფიცრის უკან... მაგრამ პლასტუნები არ მოერიდნენ ოფიცერს და ძახილით: „Вот они, вот они", ის იყო უნდა ესროლათ, რომ ოფიცერმა ხმამაღლა შესძახა: „Не стреляйте—они со мной идут", და შეაყენა პლასტუნები... ამნაირად გადავრჩით.

შიოს დასაფლავების შემდეგ ერთ კვირას არც კი გაუვლია, რომ მისმა მეუღლემ—უსტინა კირილეს ასულმა შჩერბანმა—თავი მოიკლა... დარჩა სამი შვილი, ორი ვაჟი და ერთი ქალი; ქალი იმავე წელს გარდაიცვალა; ვაჟებს „საზოგადოებამ" ორმოცდაათ — ორმოცდაათი მანეთი დაუნიშნა, ვიდრე სასკოლო ასაკამდე მოიზრდებოდნენ. შემდეგ ობლები — უფროსი ვასილი და უმცროსი სიკო — „საზოგადოების" ხარჯითვე გაიზარდნენ ქართულ გიმნაზიაში.

შიო ჩიტაძის მოკვლის შემდეგ ძირითადმა ჯგუფმა გიმნაზიის გამგედ აირჩია ჯგუფის წევრი მ. ი. თაქთაქიშვილი, რომელმაც ერთი თვე იმუშავა, მაგრამ შემდეგ უარი განაცხადა და ისევ ბაქოში წავიდა. ამის შემდეგ ჯგუფმა გამგედ თბილისის ფომერციული სასწავლებლის მასწავლებელი ალექსანდრე ბესარიონის-ძე მდივანი აირჩია.

გიმნაზიის ბინისა და სასწავლო ნივთების და ავეჯის განადგურებამ, აგრეთვე შენობაში ჯარის ჩადგომამ მეტად ცუდ პირობებში ჩააყენა მთელი სასწავლებელი და პედაგოგიური საბჭო. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, საბჭომ გადწყვიტა სწავლის დაწყება

და შეეცადა შესაფერისი ბინა მოეძებნა. საბჭო შეუდგა ქალაქში კერძო ბინის დაქირავებას, შეჩერდა კიდევაც ერთს ბინაზე და წინადადებით მიმართა გამგე კომიტეტს, რომ ეს ბინა გიმნაზიისათვის დაექირავებინა, მაგრამ კომიტეტმა ამ წინადადებაზე უარი განაცხადა.

ასეთ პირობებში გიმნაზიას მოელოდა, თუ მთელი წლით არა, ნახევარი წლით მაინც სწავლის შეჩერება.

ამიტომ პედსაბჭომ გადაწყვიტა გიმნაზიაში სწავლა საღამოობით მოეწყო, იმ იმედით, რომ იქნებ რომელიმე სასწავლებლის უფროსს სასწავლებლის შენობა საღამოობით დაეთმო. სახელმწიფო სასწავლებლების უფროსებმა ასეთ შუამდგომლობაზე უარი გვითხრეს. პედაგოგიური საბჭოს თხოვნას დიდი თანაგრძნობით მიეგება სამოქალაქო სასწავლებლის გამგე ანა ჩაჩიბაია და შენობის პატრონი, ცნობილი მოღვაწის ვანო მაჩაბლის მეუღლე ანასტასია მაჩაბელისა, რომლებმაც ჩვენს გიმნაზიას საღამოობით დაუთმეს ბინა. ამ ბინაზე მოთავსდა მხოლოდ სამი უფროსი კლასი (მეექვსე, მეშვიდე და მერვე) და 15 სექტემბრიდან სწავლაც დაიწყო. იმავე წლის 26 ნოემბერს პედაგოგიურმა საბჭომ მეცადინეობა დაიწყო ვაკეში აგებულ ახალ სახლში (ახლანდელი ი. ბ. სტალინის სახელობის უნივერსიტეტის შენობა), უკვე ყველა კლასში. მაგრამ ეს შენობა დაუმთავრებელი და მოუწყობელი იყო (კლასებში იატაკი ყველგან არ იყო დაგებული. მინები ბევრგან ჩაუსმელი იყო, არ იყო გათბობა) რაც, რასაკვირველია, აბრკოლებდა სწავლის წესიერად წარმართვას.

თანახმად „საზოგადოების“ კრების გადაწყვეტილებისა, ამ წელს საბჭომ აირჩია შემდეგი მასწავლებლები: გ. ს. ვოლსკი — ქართული ენის მასწავლებელი, გ. ყაზახაშვილი — ქართული ენის მასწავლელი, ა. ს. შირსკი — გერმანული ენის მასწავლებელი, ს. თ. გულისაშვილი—ბუნების მასწავლებელი, ლ. გ. ბოცვაძე —მოსამზადებელი კლასების მასწავლებელი, ა. ნ. მაჩაბლიშვილი—კანონმდებლობის მასწავლებელი, გ. ი. ნათაძე — ისტორიისა და ლათინური ენის მასწავლებელი, ვ. ბ. ლორთქიფანიძე — ისტორიის მასწავლებელი, ქ. გ. ღვინიაშვილი — ფრანგული ენის მასწავლებელი. ნ. მ. ლორთქიფანიძე — გერმანული ენის მასწავლებელი, რ. ი. ლომინაძე — ლათინური ენის მასწავლებელი, ა. ა. ფაღავასი — რუსული ენის მასწავლებელი, პ. გ. მამრაძე — მათემატიკის მასწავლებელი. გ. სიდოროვი — რუსული ენის მასწავლებელი, ევ. ალ. ჭოღოშვილი — მათემატიკის მასწავლებელი, ა .თ. ჯვარიშვილი — ლათინური ენის მასწავლებელი, ა. ი. ბალარჯიშვილი — ექმიმასწავლებელი (ასწავლიდა ჰიგიენას). ამნაირად შევსებულმა პედ-

საბჭომ 1907 წლის 26 ნოემბერს მეცადინეობა დაიწყო ყველა კლასებში ახალ შენობაში ვაკეზე. მაგრამ სწავლის წესიერად წარმოებას აბრკოლებდა შენობის დაუმთავრებლობა გათბობის უქონლობა, ფიზიკური, ბუნებისა და გეოგრაფიის კაბინეტების მოუწყობლობა და სათანადო ბიბლიოთეკების უქონლობა და სხვ.

1905 წლის განმათავისუფლებელმა მოძრაობამ თავისი გავლენა იქონია ყველა სასწავლებლებზე და, რასაკვირველია, ჩვენს გიმნაზიაზეც. მოწაფეები ჩამორჩნენ სხვადასხვა საგანში, ასე რომ, შემოღებული პროგრამების საფუძვლიანად გავლა მოუხერხებელი შეიქნა. მოწაფეების ასეთი ჩამორჩენის თავიდან ასაშორებლად პედსაბჭომ საგნობრივ კომისიებს დაავალა პროგრამების გადასინჯვა, შესაძლებლობის ფარგლებში მათი შემოკლება და სწავლების მეთოდის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. ამას გარდა მასწავლებლებმა იკისრეს კვირა-უქმეებშიც მოწაფეებთან მეცადინეობა და ამნაირად ცდილობდნენ კურსის შევსებას წლის განმავლობაში.

მაგრამ ამავე ხანებში გამძვინვარებული რეაქცია ჩვენს გიმნაზიაშიც შემოიჭრა. გამგე კომიტეტმა იწყო ჩამორთმევა ყველა იმ უფლებისა, რომლებიც პედსაბჭომ „საზოგადოების“ კრებაზე 1905—1906 სასწავლო წელს ბრძოლით მოიპოვა.

1907 წელს ჩვენი გიმნაზიის მასწავლებლების ე. თაყაიშვილის, დ. კარიჭაშვილის, ი. რატიშვილის და ს. გორგაძის თაოსნობით თბილისში დაარსდა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“.

1907 წელს დეკემბერში მე გიმნაზიამ დელეგატად გამგზავნა პეტერბურგში (ახლა ლენინგრადი), შესანიშნავი ქიმიკოსისა და საზოგადო მოღვაწის დ. მენდელეევის სახელობის საბუნებისმეტყველო საზოგადოების პირველ ყრილობაზე, რომელიც ორ კვირას გაგრძელდა. ამ ყრილობის მოკლე ანგარიში მოვახსენე პედაგოგიურ საბჭოს.

1906—1907 სასწავლო წელს გიმნაზიაში ირიცხებოდა 725 მოწაფე, ყველა გარედან მოსიარულე, რადგან პანსიონი გიმნაზიაში 1906 წლის ივლისიდან გაუქმდა, როგორც უკვე გვქონდა მოხსენებული ამ სასწავლებელში განსნისთანავე მოეწყო პანსიონი, რომელიც თანდათან იზრდებოდა და ბოლოს მოწაფეთა რიცხვი პანსიონში 120-მდე აღწევდა. პანსიონს განსაკუთრებული უმაღლესი სწავლა დასრულებული აღმზრდელები ჰყავდა მიჩენილი. პანსიონერებს კარგი მოვლა-პატრონობა და კარგი კვება ჰქონდა, რაც შ. ჩიტაძის დროს კიდევ უფრო გაუმჯობესდა საუზმეზე ზედმეტად კაკაოს შემოღებით.

1906 — 1907 წელს მერვე კლასში იყო 32 მოწაფე, რომელთაგ გამოცდები სიმწიფის მოწმობის მისაღებად იმავე გიმნაზიაში ჩაბარეს თბილისის სახალხო სასწავლებლის დირექტორის პ. ა. ფედოროვსკის თავმჯდომარეობითა და სახაზინო გიმნაზიების მასწავლებლების თანდასწრებით. ამ 32 მოწაფიდან სიმწიფის მოწმობა მიიღო 28 მოწაფემ. 4 მოწაფე მეორე წელიწადს დარჩა მერვე კლასში.

„საზოგადოების“ 1908 წლის საქმიანობის ანგარიშის განხილვის დროს საზოგადოების ერთმა წევრმა განაცხადა: ზოგიერთ მასწავლებელს უქმე დღეებშიც უსწავლებია უსასყიდლოდ მოწაფეებისათვის და მათი ასეთი უანგარო მოქმედება რითიმე უნდა აღინიშნოსო. კრებამ ამ წინადადების თანახმად დაადგინა, ასეთ მასწავლებელს მადლობა გამოეცხადოსო. ეს მასწავლებლები იყვნენ: ალ. მდივანი, ალ. მიქაბერიძე, პ. მამრაძე, გ. ნათაძე, ალ. ფაღავა და სხვ.

„საზოგადოების“ 1907 წლის კრების დადგენილების თანახმად, 1908, 1909 წლების საქმიანობის განსახილველად საზოგადო კრებამ აირჩია კომისია შემდეგი შემადგენლობით: ვ. ვაჩნაძე, დ. ჯორჯაძე, გ. ქურდიანი. მ. გედევანიშვილი, ი. რატიშვილი და მ. ზაალიშვილი.

1908 წელს სექტემბერში თბილისში, ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებასთან, რომელიც 1905 წელს ჩვენი გიმნაზიის მასწავლებლების ზ. ჩხიკვაძის, ან. ყარაშვილის, ზ. ფალიაშვილის და ს. მირიანაშვილის თაოსნობითა და მეცადინეობით დაარსდა, გაიხსნა სამუსიკო სკოლა. ამ სკოლის გამგედ დაინიშნა ზ. ფალიაშვილი.

1907—1908 სასწავლო წელს „საზოგადოების“ ეკონომიური მდგომარეობა მძიმე იყო; მარტო გიმნაზიის შენობის საჭიროებისათვის ნავარაუდევი ხარჯთაღრიცხვა 100.000 მანეთს უღრიდა... ასეთმა უმწეო ეკონომიურმა მდგომარეობამ აიძულა „საზოგადოება“ ამ წლიდან გაედიდებინა სწავლის ფული: 6 და 12 მანეთის ნაცვლად კრებამ სწავლის წლიურ ფასად მოსამზადებელი კლასებისათვის დაწესა სამი თუმანი, გიმნაზიის კლასებისათვის — ოთხი თუმანი და მსურველებისათვის გახსნილი მეორე კლასისათვის — ექვსი თუმანი.

1907—1908 სასწავლო წელს გიმნაზიაში ირიცხებოდა 777 მოწაფე. მერვე კლასში იყო 40 მოწაფე, რომლებმაც გამოცდები ჩაბარეს ჩვენსავე გიმნაზიაში, ქ. შუშის რეალური სასწავლებლის დირექტორის ი. ი. ლეონტიევის თავმჯდომარეობით და სახელმწიფო გიმნაზიების მასწავლებელთა თანდასწრებით. ლეონტიევმა ისე მკაცრად ჩაატარა გამოცდები, რომ ამ 40 მოწაფიდან მხოლოდ 22-მა მიღო სიმწიფის მოწმობა, 18 მოწაფე კი მეორე წელს დარჩა.

ამავე სასწავლო წელს მასწავლებელმა ილ. ლორთქიფანიძემ

გადათარგმნა ცნობილი ავტორის დ. ლინბერგის გეოგრაფიის საგ. ხელმძღვანელო „ევროპა“, ხოლო მასწავლებელმა ს. იაშვილმა — ევროპის გარეშე ქვეყნებისა—„აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია“. ეს სახელმძღვანელოები გამოცემულიც იყო.

1908—1909 სასწავლო წელს გიმნაზიის გამგე კომიტეტის შემადგენლობა ასეთი იყო: თავმჯდომარე—პ. ი. თუმანიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგი — გ. ნ. ყაზბეგი, წევრები — დ. გ. ჯორჯაძე, ს. ი. ბაქრაძე, პ. ი. გეერდწითელი, მ. ქ. ყიფიანი და ი. გ. რატიშვილი.

ამავე სასწავლო წელს, „საზოგადოების“ კრების დადგენილების თანახმად, პედაგოგიურმა საბჭომ აირჩია გიმნაზიის გამგის ორი თანაშემწე—დ. გ. კარიჭაშვილი და ა. ნ. მიქაბერიძე.

1908—1909 სასწავლო წელს გიმნაზიაში 827 მოწაფე ირიცხებოდა, მერვე კლასში იყო 46 მოწაფე, რომლებმაც გამოცდები ჩვენსავე გიმნაზიაში ჩააბარეს თბილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებელთა დირექტორის პ. ა. ფედოროვსკის თავმჯდომარეობით. ამ 46 მოწაფიდან სიმწიფის მოწმობა მიიღო 30 მოწაფემ. 4 მოწაფემ ჩვენი გიმნაზიის მოწმობა მიიღო და წავიდა საზღვარგარეთ, ხოლო 12 მოწაფე მეორე წელს დარჩა.

1909 წლის ოქტომბრის კრებაზე „საზოგადოებამ“ დაადგინა აღძრა შუამდგომლობა კავკასიის მეფისნაცვლის წინაშე, რათა ქართული გიმნაზიისათვის ნება მიეცათ თანდათანობით შემოეღო მოსამზადებელი კლასებით დაწყებული, ქალ-ვაჟთა საერთო სწავლება, ყველა კლასში საღმრთო სჯულის ქართულად სწავლება და ქართულადვე სწავლებით გაემართათ საბავშვო ბაღი, ხოლო თუ საჭიროება მოითხოვდა, განათლების მინისტრის წინაშე შუამდგომლობის დასაცავად პეტერბურგს გაეგზავნათ პ. ი. თუმანიშვილი (გამგე კომიტეტის თავმჯდომარე) და გიმნაზიის გამგე ა. ბ. მდივანი. ეს პირები კიდევაც იყვნენ პეტერბურგში, იშუამდგომლეს სადაც ჯერ არს, მაგრამ ვერას გახდნენ.

ამ სასწავლო წლიდან გიმნაზიამ მოაწყო ფიზიკური აღზრდის მშვენიერი დარბაზი, შეიძინა ფიზიკური აღზრდისა და ვარჯიშობისათვის საჭირო იარაღები და ამ საგნის მასწავლებლად მოიწვია გ. ს. ეგნატაშვილი.

1910—1911 წლის მორიგ საზოგადო კრებაზე „საზოგადოების“ წევრებმა პროტესტი განაცხადეს იმის გამო, რომ გამგე კომიტეტის კრებებზე გიმნაზიის გამგე გადამწყვეტი ხმით სარგებლობს. ამ საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა: მიენდოს კომიტეტს—მომავალ წლიურ კრებას წარმოუდგინოს ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ

როგორი ურთიერთობა უნდა ექნეთ ერთმანეთთან გამგე კომიტეტს, გიმნაზიის გამგეს და მშობელთა წრის წარმომადგენელთ. ამ აზრით გამგე—კომიტეტმა წინადადება მისცა პედაგოგიურ საბჭოს გამოეთ. ქვა თავისი შეხედულება, თუ რამდენად შესაძლებელია პედაგოგიური მოსაზრებით ესეთი საერთო სწავლების განხორციელება ჩვენს გიმნაზიაში. პედაგოგიურმა საბჭომ გამგე—კომიტეტის ეს წინადადება განიხილა თავის კრებაზე და თითქმის ერთხმად ის აზრი გამოთქვა, რომ ქალებისა და ვაჟების ერთად სწავლა ჩვენს სასწავლებელში მეტად სასურველია, ასეთი საერთო სწავლა დიდ ზნეობრივ გავლენას იქონიებს ვაჟებზედ, ეს უკანასკნელები უფრო მართებულად და წესიერად მოიქცევიან კლასებში ქალების ზეგავლენით და ამიტომ სასწავლებელში დისციპლინის დამყარება უფრო სასურველ ნიადაგზე მოეწყობა. შიში, იმისა, რომ ვაჟები ცუდად იმოქმედებენ ქალებზე, რომ ვაჟები არა მართებულად დაიჭერენ თავს მოსწავლე ქალების წინაშე, უსაფუძვლოა. სადაც კი ასეთი შეერთებული სწავლა წარმოებს, მასწავლებლები ერთხმად აღიარებენ, რომ შეუდარებელი დისციპლინა სუფევს ასეთს სასწავლებელში და მოსწავლე ქალებსა და ვაჟებს შორის სრულიად ნორმალური, სასურველი დამოკიდებულება არსებობს. ყველა ამ მოსაზრების მიხედვით პედაგოგიურმა საბჭომ წინააღმდეგ ერთის წევრისა სასურველად მიიჩნია ჩვენს სასწავლებელში ქალებისა და ვაჟების საერთო სწავლების მოწყობა.

ამის შემდეგ განათლების მინისტრის წინაშე შუამდგომლობის დასაცავად გამგე-კომიტეტმა პეტერბურგს გაგზავნა გამგე კომიტეტის თავმჯდომარე პ. თუმანიშვილი და გიმნაზიის გამგე ალ. მდივანი. ეს პირები კიდევაც იყვნენ პეტერბურგში, იშუამდგომლეს განათლების მინისტრის წინაშე, მაგრამ ვერას გახდნენ.

1908—1909 სასწავლო წელს გიმნაზიამ პირველად შეიძინა საქალაქო კაბინეტისათვის სხვადასხვა საქმიმო იარაღი მოწაფეთა ფიზიკურ ჯანმრთელობის დაწვრილებით შესასწავლად მედიკო-სანიტარული მხრივ. მხოლოდ ეს რთული და გიმნაზიისათვის ახალი საქმე მოწაფეთა ჯანმრთელობის შესასწავლად სამოსწავლო წლის პირველ ნახევარში ვერ მოეწყო ორი მიზეზის გამო: ჯერ ამას ხელი შეუშალა გამოწერილი იარაღების დაგვიანებამ, რომელიც მხოლოდ ნოემბრის დამლევს მიიღო გიმნაზიამ, რუსეთიდან იარაღების მიღების შემდეგ კი საქმის დაწყება შეუძლებელი გახადა ნამეტანმა სიცივემ. სითბო ექიმის კაბინეტში მთელი ზამთრის განმავლობაში არ აღემატებოდა 7—8 გრადუსს. ამის მიზეზი ცენტრალური გათბობის საქმის მოუწყობლობა იყო. როდესაც საკმარისად დათბა, დაახლოებით თებერ-

ვლის პირველ რიცხვებიდან დაიწყო სისტემატური კვლევა მოწაფეთა ჯანმრთელობისა. წლის დამლევამდე გამოკვლეულ იქმნენ მხოლოდ მოსამზადებელი და პირველი ოთხი გიმნაზიური კლასის მოწაფენი...

საანგარიშო წლის განმავლობაში ამბულატორიულად მიღებულ იქნა და საჭირო დარიგება მიეცა 610 ავადმყოფ მოწაფეს. სტაციონალურად სწამლობდა ექიმი სახლში სულ 40 ავადმყოფ მოწაფეს. ყველა სტაციონალური ავადმყოფნი ინახულა ექიმმა სულ 156-ჯერ.

წინა სასწავლო წელს მოსწავლეთა შორის არავითარი ეპიდემიური ავადმყოფობანი არ გავრცელებულა. იყო სულ რამოდენიმე შემთხვევა ქუნთრუშისა და ხუნაგისა, რომელთაც მშვიდობიანად გადაიარეს.

ამ წელს ი. კ. მუხრან-ბატონის სტიპენდიატი არის ჩვენი გიმნაზიის მოწაფე ჯორჯაძე, კ. ი. მუხრან-ბატონის — გ. კორინთელი, გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის — ა. ზალდასტანიშვილი და ა. ი. ჯამბაკურიან-ორბელიანის — დ. ეურული. საზოგადო კრების მიერ დამტკიცებულ პროგრამის მიხედვით (იხ. თბილისის ქართული გიმნაზიის სასურველი რეორგანიზაცია) მოსამზადებელი ოთხი განყოფილების მაგიერ ქართულ გიმნაზიაში მოეწყო ორი განყოფილება — უმცროსი და უფროსი. რუსული ენის სწავლება საანგარიშო წლის დამდეგამდე იწყებოდა პირველი გიმნაზიური კლასიდან. მაგრამ სამი წლის გამოცდილებამ პედსაბჭო დარწმუნა, რომ მოწაფეები საკმარისად ვერ ითვისებენ ამ ენას მით უფრო, რომ პირველი კლასიდან ამჟამად ყველა საგნების სწავლება რუსულ ენაზე სწარმოებს. ამიტომ პედსაბჭომ ხმის უმეტესობით რუსული ენის სწავლება შემოიღო უფროს განყოფილებაში და სახელმძღვანელოდ ამ განყოფილებაში აირჩია ი. გოგებაშვილის „Русское слово"-ს მეორე ნაწილი. მაგრამ, რაკი ამ საშუალებამაც ვერ წასწია წინ რუსული ენის სწავლების საქმე, ამიტომ პედსაბჭომ საანგარიშო წელს დაადგინა 1910 სასწავლო წლიდან რუსული ენის სწავლება შემოიღოს სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან უმცროს განყოფილებაში, ხოლო 1910 სასწავლო წლიდან სასწავლებელში მესამე მოსამზადებელი განყოფილებაც გაიხსნა.

1909—1910 სასწავლო წლიდან ქართული გიმნაზიის უფროსი კლასების მოწაფეებმა დაიწყეს ნაბეჭდი ეურნალების გამოცემა; ამ ეურნალების სახელწოდება იყო: „პირველი ნაბიჯი", „მოწაფის ნაბიჯი" და „ჩანგი". ეურნალებში თანამშრომლობდნენ მოწაფეები: ვ. ეგნატაშვილი, ვლ. ცაგარია, ქ. რაჭველიშვილი, ქუთაისის ქარ-

თული გიმნაზიის მოწაფე კ. გამსახურდია „აბაშისპირელის“ ფსევ-დონიმით, „ცვარნამი“ და სხვები. ჟურნალებში იბეჭდებოდა ლექ-სები, მოთხრობები, წერილები და სხვა...

1910 წ. ივნისის 10 „საზოგადოების“ საზოგადო კრებამ მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება საზოგადოების 1908 წ. მოქმედე-ბისა და საერთო გიმნაზიის სწავლა-აღზრდის საქმის მდგომარეო-ბისა 1909 წელშიაც, ამასთან განმარტება გამგე-კომიტეტისა და გიმნაზიის დირექტორის ა. ბ. მდივნისა და დაადგინა:

1. სწავლების პროგრამის შედგენა საავალდებულოა ყოველი სა-გნისათვის, მხოლოდ თვითეული მეხამედის დასასრულს მასწავლე-ბელმა განმარტება უნდა წარმოუდგინოს პედსაბჭოს, თუ რამდენად შესრულა პროგრამა და დარჩა გასავლელი და რა იყო ამისი მი-ზეზი.

2. მასწავლებლენი რევიზიის დროს არ უნდა დასჯერდნენ გავ-ლილის გამოკითხვას და ახალი მასალაც უნდა აუხსნან მოწაფეებს.

3. მასწავლებელმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მომავალში მკაფიო და გარკვეულ კითხვას.

4. მხედველობაში იქმნა მიღებული, რომ ისტორიის, გეოგრაფი-ის, ბუნების, მათემატიკის და გერმანული ენის კარგად სწავლებას მასწავლებელნი ყურადღებას აქცევენ.

5. გიმნაზიაში წერითი მუშაობის ცუდი მდგომარეობის გამო კრებამ მიიღო სარევიზიო კომისიის მოხსენება და სურვილი გამოთ-ქვა, რომ მომავალში მოწაფეთა წერით მუშაობაში დიდი ყურადღე-ბა მიექცეს რვეულის სუფთად შენახვას და სუფთად წერას, ხოლო თვითონ ნაწერი ყოველთვის ბეჭითად იქმნეს გასწორებული მასწავ-ლებლის მიერ.

შემდეგ კრებამ მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომე-ლიც უსამართლოდ ჰპოებდა გიმნაზიის გამგის-დირექტორისა და გიმნაზიის შენობის ამგებელის - ყოფნას გამგე-კომიტეტში გადამ-წყვეტი ხმით. სარევიზიო კომისიის ამ მოხსენებას კრების წევრებ-მაც მხარი დაუჭირეს და ამიტომ კრებამ დაადგინა: მიენდოს კომი-ტეტს შეადგინოს და წარმოადგინოს მომავალ წლიურ საზოგადო კრებას ინსტრუქცია მისი, თუ როგორი ურთიერთობა უნდა ექნეს ერთმანეთ შორის გამგე კომიტეტს, გიმნაზიის გამგეს, გიმნაზიის შე-ნობის ამგებელს და მშობელთა წრის წარმომადგენლებს. ამის შემ-დეგ კრებამ განიხილა საკითხი გიმნაზიის შენობის დავალიანებისა და თანახმად სარევიზიო კომისიის მოხსენებისა დაადგინა, სახლი, რომელიც ეკუთვნის „საზოგადოებას“ და მდებარეობს ახლანდელ

ილია ჭავჭავაძის (ყოფილ ველიამინოვის ქ.) და აკაკი წერეთლის (ყოფილი განოვის ქ.) ქუჩებზე გადაეცეს საკუთრებად თბ. გუბერნიის თავად-აზნაურობას, ხოლო უკანასკნელმა იკისროს ყოველივე გადასახადი, რაც აქვს გიმნაზიის შენობას.

რაკი სარევიზიო კომისია თავის მოხსენებაში ქალთა სკოლასაც შეეხო, ამიტომ ჩვენ აქ საჭიროდ მიგვაჩნია ამ სასწავლებლის მოკლე ისტორია მოვიყვანოთ:

1906—1907 სასწავლო წელს ქალთა სამზრუნველო საბჭოს (თავმჯდომარე მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანისა, წევრები — ე. მ. ერისთავისა, ნ. ე. ქობულაშვილისა, დ. რ. ჭავჭავაძისა და პ. ა. დაფქვიაშვილისა) თაოსნობითა და მეცადინეობით ქართულ ვაჟთა გიმნაზიასთან დაარსდა თბილისის ქართული ქალთა სკოლა. ეს სკოლა შედგებოდა საანბანო, პირველი და მეორე განყოფილებისაგან. 1910 სასწავლო წელს ამ სასწავლებელში გაიხსნა მესამე განყოფილება, ხოლო 1911 სასწავლო წელს გაიხსნა პირველი კლასი, 1912 სასწავლო წელს — მეორე კლასი და ასე ყოველ წელიწადს ემატებოდა თითო კლასი... 1913 წელს ქალთა სამზრუნველო საბჭომ გამგე კომიტეტს წარმოუდგინა ქალთა სასწავლებლის ტიპის პროექტი, რომელსაც აქვე ვთავსებთ.

1. ქართველები უმთავრესად მიწათმფლობელი და მიწათმოქმედი ხალხია. მას ქალაქში ცხოვრება არ უყვარს, გული სოფლისკენა აქვს, თავის მიწას ეტანება. ამჟამად, როდესაც ცხოვრებას ბევრი ახალი მოთხოვნილება აქვს, ხალხი არა კმაყოფილდება სოფლის უბრალო მოუწყობელ ცხოვრებით, რითაც წინად კმაყოფილდებოდა. მას მეტი მყუდრო და ლაზათიანად მოწყობა სჭირდება. სხვა ერის ხალხი ამგვარ ცხოვრებისათვის სარჩოს საშოვრად ზოგი ვაჭრობას ჰკიდებს ხელს, ზოგი ხელოსნობას იწყებს და ა. შ. ქართველი ხალხი კი მარტოოდენ მიწას ეტანება, მითი ირჩენს თავს. მაგრამ ეს მისთვის ძნელია რაციონალურ მიწათმოქმედებისათვის სუსტი მომზადებისა გამო. ამ შემთხვევაში დედაკაცს მშვენივრად შეუძლიან ხელი მოჰკიდოს შინაურ მეურნეობას, მას თამამად ძალუძს მცბოსტნეობის, ხილის მოყვანის, აბრეშუმის და ფუტკრის გაჩენის, ფრინველის მოვლისა და სხვა სასოფლო სამეურნეო დარგების გაძღოლა. რარიგ სარგებლობას მოუტანდა ის ამით თავის ოჯახს, რამდენად გაამრავლებდა საზრდოს, გაუმჯობესებდა თავის ცხოვრებას, წესწყობილებას!

2. მთელი ჩვენი ახალგაზრდობა გონებრივად, ხორციელად და ზნეობრივად იტანჯება-უმეტეს შემთხვევაში იმის გამო, რომ ჩვენში შინაური აღზრდა არ არის შინ ბავშვის წესიერ განვითარებაზე ფიქრი-

სათვის არავის სცალიან. დედას ამ საგნის საჭიროება ან სრულიად არ ესმის, ან თუ ესმის კიდეც, მომზადება აკლია თავის მოვალეობის კეთილსინდისიერად ასასრულებად. და ამ დროს, ჩვენი ხალხის დღევანდელ მდგომარეობაში, რა დიდად საჭირონი არიან მომზადებული დედები, ვის კეთილ გავლენის ქვეშ აღიზრდებოდა ჩვენი ახალთაობა!

რანაირად გვჭირიან ისეთი დედები, რომელსაც შეეძლებოდათ თავის შვილების აღზრდა და გრძნობათა კეთილად წარმართვა. ამიტომ დედაკაცი უნდა იყოს აღმზრდელი ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

3. სხვა განათლებულ ქვეყნებში დედაკაცმა უკვე იჩინა თავი საზოგადო ასპარეზზე, მწერლობაში, მასწავლებლობაში. იდეების ქადაგებაში და მისი გავლენა ამ ასპარეზზე მართლა დიდი არის. ჩვენ უფლება არა გვაქვს ავაცდინოთ ამ გავლენას ჩვენი საზოგადოება, მოუსპოთ ჩვენებურ ქალებს ამ ასპარეზზე მოქმედების საშუალება. დედაკაცს უნდა ესმოდეს საზოგადო საკითხები, საზოგადოებრივ ცხოვრების შეგნებულად ანგარიშის გაწევა უნდა შეეძლოს. სხვა არა იყოს რა საზოგადო საკითხების უცოდინარ დედაკაცს „არ შეუძლიან გონიერი დედა და ქმრის ნამდვილი მეგობარი იყოს“.

4. ქალი, როგორც დედა და როგორც ცოლი, მოვალეა თაოსანი და გონიერი დიასახლისობა გასწიოს. მასზე დამოკიდებული მთელი ოჯახის კვება, მერე ვინ არ იცის რა გავლენა აქვს სმა-ჭამას ბავშვის ფიზიკურ განვითარებაზე, მოზრდილთა ჯანმრთელობაზე. ამიტომ მან მეცნიერულად უნდა იცოდეს მზარეულობა, ე. ი. უნდა იცოდეს, რა და რა საჭმელი რა და რა გავლენას ახდენს სხეულზე, რომელი შემადგენელი ნაწილი საჭმლისა უფრო სასარგებლოა. (ამიტომ მან უნდა შეისწავლოს საჭმლის გავლენა სტომაჭზე, ე. ი. კვების ფიზიოლოგია). დედაკაცს უნდა ესმოდეს წმინდა ჰაერისა და საზოგადო სისუფთავის სხეულზე გავლენა. თავისი ოჯახი სრულ სისუფთავეში უნდა ჰქონდეს. ამისათვის საჭიროა ფიზიკური მუშაობა. ამიტომ უნდა ვეცადნეთ ჩვენი ქალები ფიზიკურ მუშაობას შევაჩვეოთ. გარდა ამისა ქალმა ჭრა-კერვაც უნდა იცოდეს.

5. დედაკაცმა ხელოვნებაც უნდა იცოდეს, მაგალითად: სიმღერა, მუსიკა და სხვა, რადგან ეს საგნები აფაქიზებენ, აკეთილშობილებენ ადამიანის ხასიათს.

ყველა ამ მოსაზრების გამო იმ აზრს დავადექით, რომ ჩვენთვის საჭიროა ისეთი ქალთა სასწავლებელი, რომელსაც შეეძლოს ჩვენთვის ზემოაღნიშნულ ქალთა აღზრდა. განზრახულ სასწავლებლის პროგრამა არსებულ გეგმებით (პროგრამებით) შეზღუდული არ უნდა იყოს, მას თავისებური ხასიათი უნდა ჰქონდეს იმ მოთხოვნი-

ლების და მიხედვით, რასაც ვუდგენთ სასწავლებელს. მთელი გეგმა ხუთ განყოფილებად უნდა განიყოფებოდეს:

1) საზოგადო განმანათლებელი საგნები, 2) აღმზრდელი ქალის მომმზადებელი საგნები, 3) სასოფლო სამეურნეო საგნები, 4) სამეურნეო საგნები, 5) ხელოვნება.

ზ ო გ ა დ ო ა ნ მ ა ნ ა თ ლ ებ ე ლ ი ს ა გ ნ ებ ი: ანგარიში, ფიზიკა, გეოგრაფია. მსოფლიო ისტორია, მსოფლიო მწერლობა, ბუნებისმეტყველება, საღმრთო სჯული, ფრანგული ენა.

ა ღ მ ზ რ დ ე ლ ი ქ ა ლ ის მ ო მ მ ზ ა დ ებ ე ლ ი ს ა გ ნ ებ ი: ფიზიოლოგია, ჰიგიენა, პედაგოგიკა.

ს ა ს ო ფ ლ ო ს ა მ ე უ რ ნ ე ო ს ა გ ნ ებ ი: მერძეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, მეხილეობა, ფრინველთა მოშენება, მებოსტნეობა და სხვ.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო ს ა გ ნ ებ ი: მზარეულობა, ჭრა-კერვა.

ხ ე ლ ო ვ ნ ებ ა: სიმღერა, მუსიკა, ხატვა და სხვა.

ყველა ამას საფუძვლად უნდა ედოს: სამშობლო ენა, სამშობლო მწერლობა და ისტორია.

ეს სასწავლებელი შესდგება სამი განყოფილებისაგან და ექვსი კლასისაგან.

ქალთა სასწავლებლის სამზრუნველოს თავმჯდომარე **მ.** ვ. ჯამბაკურ-ორბელიანისა.

თბილისი, 7 მაისი 1913 წ.

გამგე კომიტეტმა განიხილა ზემოთმოხსენებული პროექტი და დაადგინა წარუდგინოს საზოგადო კრებას როგორც თვით პროექტი, აგრეთვე თავისი ორი ფორნული.

1. თბილისის ქართულ გიმნაზიასთან არსებულს ქალთა სკოლას აზრადა აქვს მისცეს მოსწავლეთ საზოგადო განათლება ექვსი კლასის კურსით, მასთან უნდა მოეწყოს მეცადინეობა ხელსაქმეში.

2. ყველა საგნებისათვის პროგრამების შედგენა მიენდოს ან განსაკუთრებულ კომისიას ან გიმნაზიის და ქალთა სკოლის პედაგოგიურს საბჭოებს. საზოგადო კრებამ გამგე კომიტეტის დადგენილება მიიღო და ეს ქალთა სასწავლებელი შესდგებოდა სამი განყოფილებისაგან და ექვსი კლასისაგან. **ამ** სასწავლებლის **გამგეებად** სხვადასხვა დროს იყვნენ: ალ. ქავთარაძისა, ა. ბ. მდივანი, ე. ე. ერისთავი-ყარანგოზაშვილისა და თ. ი. ჯავახიშვილისა. ხოლო **მასწავლებლებად:** მღვდ. ფ. კარბელაშვილი. ზ. პ. ფალიაშვილი, ნ. დ. მუსხელიშვილი ა. ი. ქუთათელაძე, ა. რ. მრევლიშვილი, ს. ლ. ჩიჯავაძე, ბ. ლ. ჩერქეზიშვილი, ე. ლ. ქარუმიძე, ე. ი. ჯანდიერი გ. ს. ეგნატაშვილი, ე. ა. წულუკიძე, ქ. პრევო, ა. გ. ამირეჯიბი, თ. ვ. კარბელაშვი-

ლი, ა. ნ. ცომაია, მ. ა. ჩუბინაშვილი, ა. ივანიშვილი, ს. თ. გულისაშვილი... ამავე კრებაზე პედაგოგმა ეგ. ხრამელაშვილმა მოხსენება წარმოადგინა იმის შესახებ, რომ ქართულ გიმნაზიასთან კერძო მასწავლებელთა ინსტიტუტი დაარსდეს. კრებამ თანაგრძნობით მოისმინა ეს მოხსენება და გამოთქვა სურვილი, რომ გამგე კომიტეტმა განსახილველად წარმოადგინოს თავისი აზრი, როცა გარემოება ხელს შეუწყობს (იხ. „საზოგადოების" ანგარიში, 1910 წ.).

ამავე სასწავლო წლის მორიგ კრებაზე „საზოგადოებამ", გამგე კომიტეტის მოხსენების თანახმად, შესაძლებლად სცნო ქართულ გიმნაზიასთან მშობელთა წრის დაარსება, მაგრამ ისე კი, რომ გამგე კომიტეტის უფლებები ხელშეუხებელი დარჩეს და კომიტეტს შეეძლოს მშობელთა წრის მიერ განსახილველი საკითხების სიიდან ამოშალოს ესა თუ ის საკითხი და რომ მშობელთა წრის წარმომადგენლებს პედაგოგიურ საბჭოში მხოლოდ სათათბირო ხმა ჰქონდეთ და არა გადამწყვეტი.

მალე გიმნაზიასთან კიდევაც შეიქმნა მშობელთა წრე, რომლის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ვ. ა. ბარნოვი (ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე). წევრებად—ი. ბ. ლორთქიფანიძე, სპ. ბაქრაძე, კ. ჯაფარიძე, ი. ძიძიშვილი, ბ. კილაძე და ი. ბერიტაშვილი, ხოლო საბჭოს მდივნად — ნინო ნაკაშიძე (მწერალი, საზოგადო მოღვაწე). მშობელთა წრის საბჭომ დიდი მუშაობა ჩაატარა ყველა კლასში საკლასო ბიბლიოთეკის მოწყობის, უფასო სასადილოში კვების გაუმჯობესების და ღარიბ მოსწავლეთათვის სწავლის ფულის გადახდის საქმეში.

1909—1910 სასწავლო წელს გიმნაზიაში ირიცხებოდა სულ 784 მოწაფე, მერვე კლასში იყო 41 მოწაფე, რომლებმაც გამოცდები ჩვენსავე გიმნაზიაში ჩააბარეს თბილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების დირექტორის პ. ი. ფედოროვსკის თავმჯდომარეობითა და სახელმწიფო გიმნაზიების მასწავლებელთა თან დასწრებით. ამ 41 მოწაფიდან სიმწიფის მოწმობა მიიღო 33, მეორე წელს კი დარჩა 8 მოწაფე.

1910 — 1911 სასწავლო წელს გიმნაზია შედგებოდა მოსამზადებელი კლასის სამი განყოფილებისაგან და 8 გიმნაზიური კლასისაგან; განყოფილებებსა და გიმნაზიურ კლასებს თითო პარალელური განყოფილება ჰქონდათ, გარდა მერვე კლასისა.

ქვემოდ ვათავსებთ გამგე კომიტეტის მიერ შედგენილ ინსტრუქციას იმის შესახებ, თუ როგორი ურთიერთობა უნდა ექნეთ ერთმანეთში გამგე კომიტეტს, გიმნაზიის გამგესა და მშობელთა წრის წარმომადგენელთ.

VI. თბილისის ქართული გიმნაზიის მართვა—გამგეობლობა

I

„ტფილისის ქერძო ქართული გიმნაზიის სასწავლო და ადმინისტრაციული მართვის (ფესდების 30-14 §)

ინსტრუქცია

თ ა ვ ი I

§ 1. ტფილისის ვაჟთა ქართულ გიმნაზიას აზრად აქვს მოსწავლე ახალგაზრდობას მისცეს საზოგადო ზნეობრივი და მეცნიერული განათლება და ამასთან მოამზადოს იმპერიის უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად.

§ 2. ვაჟთა გიმნაზია შესდგება 8 კლასისაგან და 3 მოსამზადებელის განყოფილებისაგან.

§ 3. ქართული გიმნაზიის სასწავლო-ადმინისტრაციული პერსონალი არიან:

1. დირექტორი.
2. დირექტორის ორი თანაშემწე.
3. ექიმი.
4. საქმის მწარმოებელი (იგივე ბუხჰალტერი).
5. შენობის ზედამხედველი.
6. მასწავლებლები.
7. კლასის დამრიგებელნი და მათი თანაშემწენი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. ამას თან დაერთვის მოსამსახურე პირთა შტატები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. შენობის ზედამხედველად შეიძლება გიმნაზიაში მოსამსახურე პირიც იყოს, მხოლოდ არა მასწავლებელ-აღმზრდელთაგანი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 3. მე-3 §-ში მოხსენებული თანამდებობანი, დირექტორისა და შენობის ზედამხედველის თანამდებობის გარდა, შეიძლება ორივე სქესის პირთ მიენდოს.

§ 4. მე-3 §-ში დასახელებულნი პირნი, გარდა საქმის მწარმოებლისა და შენობის ზედამზედველისა, შეადგენენ გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოს.

თ ა ვ ი II

სწავლების მოცულობა

§ 5. სასწავლო კურსის საგნების სწავლების მოცულობას, აგრეთვე მის კლასებზედ დანაწილებას საზღვრავს საპედაგოგიო საბჭო სახალხო განათლების სამინისტროს სასწავლო გეგმათა მიხედვით. ქართული ენის სწავლება კი, რომელიც ამ გეგმაში არ არის მოხსენებული, სწარმოებს განსაკუთრებულის პროგრამით.

ყველა საგნების პროგრამებს და აგრეთვე გაკვეთილების კვირეულის განაწილებას ადგენს საპედაგოგიო საბჭო და წარუდგენს გასაცნობად კომიტეტს ყოველი წლის დასაწყისში.

§ 6. სწავლა სწარმოებს მთელი წლის განმავლობაში, გარდა კვირა-უქმე დღეებისა და საზაფხულო და საზამთრო კანიკულებისა; პირველს კანიკულისათვის დანიშნულია ორი თვე, ხოლო უკანასკნელისათვის—ორი კვირა. კანიკულების დრო განისაზღვრება გამგე კომიტეტის მიერ თანახმად კავკასიის სახაზინო გიმნაზიებში შემოღებულის წესებისა.

§ 7. კლასიდან კლასში გადასასვლელი ეგზამენები შეიძლება შეიცვალოს რეპეტიციულის შემოწმებით, საპედაგოგიო საბჭოს მიერ დანიშნულს ვადებზედ. ამ საგნების ამორჩევა, რომელზედაც უნდა ეგზამენები მოხდეს, პედაგოგიურს საბჭოს მიენდობა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. გასათავებელი ეგზამენები მე-8 კლასში მოხდება ოლქის წარმომადგენლის თანდასწრებით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. განმეორებითი ეგზამენები კანიკულის შემდეგ ინიშნება მხოლოდ ორ საგანში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 3. ორზედ მეტს საგანში განმეორებითი ეგზამენი შეიძლება გამგე კომიტეტის ნებართვით საპედაგოგიო საბჭოს განსაკუთრებულის შუამდგომლობის თანახმად.

§ 8. მოწაფეთა რიცხვი კლასში 40-ზე მეტი არ უნდა იყოს. ამ ნორმაზე მეტი მიიღება მხოლოდ გამგე კომიტეტის განკარგულებით საპედაგოგიო საბჭოს მოხსენებებისაებრ.

§ 9. გიმნაზიას უნდა ჰქონდეს: 1) ორი ბიბლიოთეკა: ა) მასწავლებელთათვის და ბ) მოსწავლეთათვის; 2) საფიზიკო და 'საბუნებისმეტყველო-საგეოგრაფიო კაბინეტები; 3) საკმაო რიცხვი ნახაზებისა, სურათებისა და მოდელებისა ხატვისათვის; 4) საგიმნასტიკო

იარაღნი და 5) სამუსიკო ნოტები და საკრავები, რომელნიც შეძლების მიხედვით უნდა შეიძინებოდეს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. ბიბლიოთეკები მიენდობიან ბიბლიოთეკების გამგეთ, რომელთაც საპედაგოგიო საბჭო ირჩევს თავის წევრთა შორის. სხვა სასწავლო ნივთები კი ებარებათ პედაგოგიური საბჭოს ამორჩეული საგნების მასწავლებელთ იმის მიხედვით, თუ სასწავლო ნივთი რომელს საგანს ეკუთვნის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. წიგნების შენახვა-გაცემაში უნდა ხელმძღვანელობდნენ საპედაგოგიო საბჭოს მიერ შედგენილის და გამგე კომიტეტის მიერ დამტკიცებულის წესებით.

თ ა ვ ი III

მოსწავლეთა შესახებ

§ 10. გიმნაზიაში მიიღებიან ღარის მოწაფეთა შემწეობისათვის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების წევრთა შვილები, რომელნიც დაწესებულს ეგზამენს დაიჭერენ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თავისუფალს ადგილებზედ სხვა პირთა შვილებიც მიიღებიან.

§ 11. პირველს მოსამზადებელს განყოფილებაში მიიღებიან ბავშვები, რომელთა წლოვანება არ იქნება გადაცილებული 9 წელსა: პირველს კლასში — ისინი, რომელთა წლოვანება არ 'იქნება გადაცილებული 12 წელსა. დანარჩენს კლასებში მიიღებიან ისინი, რომელთაც ექნებათ შესაფერისი ცოდნა და წლოვანება.

§ 12. გიმნაზიაში მისაღებად თხოვნა მიერთმევა დირექტორს; წლოვანების მოწმობასთან ერთად მოწმობა კი მასზედ, რომ გიმნაზიაში შემოსასვლელს არა აქვს რაიმე ფიზიკური ნაკლი და ავადმყოფობა, რაიცა ხელს შეუშლის საზოგადო დაწესებულებაში შესვლას, მიეცემა გიმნაზიის ექიმისაგან.

§ 13. ყველა ახლად შემოსასვლელმა უნდა დაიჭიროს შესაფერი ეგზამენი; ამ წესს ექვემდებარებიან ისინიც, ვინც გიმნაზიიდან გასულა თავის ნებით ან დათხოვნილი ყოფილა ფულის შემოუტანლობისა გამო, თუ გიმნაზიის დატოვების დღიდან ორს თვეზედ მეტი გასულა.

§ 14. მოწაფეთა მიღება სწარმოებს სასწავლო წლის დასაწყისს და ბოლოს ე. ი. მაისში და აგვისტოში. თავისუფალს ვაკანსიებზედ მიღება შეიძლება წლის განმავლობაშიც, თუ შემოსასვლელნი თავისი ცოდნით შეიძლებენ კურსის გაყოლას.

§ 15. გიმნაზიის მოწაფეთათვის არსებობს ფორმა, რომლის ტარება სავალდებულოა.

§ 16. სწავლის ფულის რაოდენობას აწესებს გამგე კომიტეტი საზოგადო კრების მოწონებით; ყოველი ცვლილება ცხადდება სასწავლო წლის დაწყებამდის.

§ 17. სწავლის ფული წინდაწინ უნდა იქნეს შეტანილი: სასწავლო წლის I ნახევრისა — 1 ნოემბრამდის, მეორისა — 1 მარტამდის.

§ 18. სწავლის ფულის გადახდისაგან თავისუფლდებიან საპედაგოგიო საბჭოს დადგენილებით გიმნაზიის ის უღარიბესი მოწაფენი, რომელნიც ამ შეღავათს დაიმსახურებენ თავის ყოფაქცევითა და ბეჯითობით.

შენიშვნა: გადასახადისაგან განთავისუფლებულთა საერთო რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ყველა მოსწავლეთა 25%-ს. ამ ოცდახუთი პროცენტის გარდა განთავისუფლდებიან: 1) მე-3 §-ში მოხსენებულ მასწავლებელთა და გიმნაზიაში მოსამსახურე პირთა შვილები. 2) გიმნაზიიდან გასულ მასწავლებელთა შვილები, თუ მათ უმსახურიათ გიმნაზიაში არა ნაკლებ ათის წლისა და 3) გიმნაზიის იმ დაბალ მსახურთა შვილები, რომელნიც გიმნაზიაში ათს წელიწადზე ნაკლებს ხანს არ მსახურობენ.

§ 19. ერთდროული დახმარება და სტიპენდიები დანიშნული განსაკუთრებული თანხებიდან ეძლევათ გამგე კომიტეტის მიერ დამტკიცებულის საპედაგოგიო საბჭოს დადგენილებით იმ შემთხვევაში, თუ შემომწირველი პირდაპირ ჩვენებას არ იძლევა, თუ ვის უნიშნავს დახმარებას, ან სტიპენდიას.

§ 20. მოწაფეთა ყველა ეგზამენები მოხდება გამოსაცდელს კომისიებში, რომელიც შესდგებიან საგნის მასწავლებლის და პედაგოგიური საბჭოს მიერ ამორჩეულის ორის ასისტენტისაგან. კომისიას თავმჯდომარეობს დირექტორი ანუ მისი თანაშემწე, ან დირექტორის მიერ დანიშნული ერთი ასისტენტი.

შენიშვნა: გასათავებელი ეგზამენები გიმნაზიაში ხდება დირექტორის თანდასწრებით.

§ 21. ის მოწაფენი, რომელნიც კლასში ორ წელიწადს დაჰყოფენ და საკმარისს წარმატებას ვერ გამოიჩენენ, გიმნაზიიდან დაითხოვებიან.

§ 22. მოწაფენი დანაშაულისათვის ისჯებიან თანახმად წესებისა, რომელსაც საპედაგოგიო საბჭო შეიმუშავებს სახაზინო გიმნაზიებში არსებული წესების მიხედვით და გამგე კომიტეტი დაამტკიცებს.

§ 23. მოწაფეთ, რომელნიც ოლქის სასწავლო მთავრობის წარ-

მომადგენლის თანდასწრებით გასათავებელს ეგზამენებს დაიჭერენ, მიეცემათ მისგან ჯეროვანი მოწიფულობის მოწმობები: გიმნაზიიდგან გასული მოწაფეები კი მიიღებენ დირექტორისაგან მოწმობებს, საცა აღნიშნული იქნება სწავლაში წარმატება, ყოფაქცევა და კლასი, რომელშიაც იგინი სწავლობდნენ.

თ ა ვ ი IV

თანამდებობის პირნი

§ 24. ა) გიმნაზიის დირექტორს ირჩევს გამგე-კომიტეტი იმ პირთა შორის, რომელთაც უმაღლესი სწავლა მიუღიათ და პედაგოგიური გამოცდილება აქვთ. მისგან თანამდებობის ასრულებისათვის თანხმობა ეთხოვება სასწავლო ოლქის მზრუნველს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ დირექტორს მცირე ხნით არ შეუძლია თანამდებობის ასრულება, თავის მოვალეობას აკისრებს თანაშემწეს და ამის შესახებ გამგე კომიტეტის თავმჯდომარეს აცნობებს.

§ 25. დ ი რ ე ქ ტ ო რ ი გიმნაზიის უფროსია. იგი პასუხისმგებელია გიმნაზიის კეთილმდგომარეობის ყოველ დარგში და ამის გამო მას ექვემდებარებიან გიმნაზიის ყველა მოსამსახურენი.

§ 26. უმთავრესი მოვალეობა დირექტორისა იმაში მდგომარეობს, რომ თვალყური ადევნოს როგორც სწავლა-აღზრდის სვლას, აგრეთვე გარეგან წესიერებას და ნივთიერ კეთილმდგომარეობას მისდამი რწმუნებულს დაწესებულებაში, საზოგადოდ ყველა იმ დადგენილებათა რიგიანად ასრულებას, რაც გიმნაზიას შეეხება.

§ 27. დირექტორს არ უნდა ჰქონდეს ექვს გაკეთილზედ მეტი, რის სასყიდელიც მის ჯამაგირში შედის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ წესის გადახვევა შესაძლებელია გამგე კომიტეტის დადგენილებით.

§ 28. დირექტორის მოვალეობას შეადგენს: 1) თავმჯდომარეობდეს საპედაგოგიო საბჭოს სხდომებზედ; 2) იწვევდეს გამგე კომიტეტის თანხმობით სამსახურში საზოგადოდ მე-3 §-ში მოხსენებულთ ყველა თანამდებობის პირთ; 3) მასწავლებლების ამორჩევის დროს მათ კანდიდატურაზე მსჯელობას მართავდეს პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზედ და მოწონებულს საბჭოს მიერ კანდიდატს გამგე კომიტეტს წარმოუდგენდეს დასამტკიცებლად; 4) წარმოუდგენდეს გამგე კომიტეტის მოსამსახურე პირთ დასათხოვნად; 5) განსაკუთრებით პატივსადების მიზეზებისა გამო მომსახურეთ ითხოვდეს ვადით, არა უმეტეს შვიდი დღისა; 6) შენობათა ზედამხედველის წარდგენით ნიშნავდეს და ითხოვდეს დაქირავებულს მსახურებს; 7) ავან-

სის თანხიდან ახდენდეს თავის ნებით მიმდინარე ხარჯებს; 8) იმ შემთხვევაში, როდესაც ის საპედაგოგიო საბჭოს უმეტესობის აზრს არ ეთანხმება, მოახსენებდეს ამას გამგე კომიტეტს გადასაწყვეტად; 9) მოახსენებდეს გამგე კომიტეტს გიმნაზიის ნივთიერ საჭიროებათა შესახებ; 10) აძლევდეს თავის თანაშემწეებს სპეციალურ დავალებებს.

§ 29. ბ) დ ი რ ე ქ ტ ო რ ი ს თ ა ნ ა შ ე მ წ ე ნ ი მახლობელნი თანამშრომელნი არიან დირექტორისა გიმნაზიის მართვა-გამგეობაში; დირექტორის სხვაგან ყოფნის ან ავადმყოფობის დროს მის თანამდებობას ასრულებენ და ღებულობენ ყველა მის უფლებასა და მოვალეობას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. დირექტორის თანაშემწეთ არ უნდა ჰქონდეთ კვირაში 12 გაკვეთილზე მეტი, რომელთა სასყიდელი ჯამაგირში შედის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. ამ წესის გადასვლა შეიძლება გამგე კომიტეტის დადგენილებით.

გ. მასწავლებელნი და კლასის დამრიგებელნი

§ 30. გიმნაზიურს კლასებში და მოსამზადებელ განყოფილებებში გაკვეთილები განაწილდებიან შტატის მასწავლებელთა შორის (დირექტორსა და მის თანაშემწეთა მათ შორის ჩათვლით) და იმ პირთა შორის, რომელნიც დაქირავებით ასწავლიან.

§ 31. ყველა მოსამსახურენი სწავლა-აღზრდის დარგში ინიშნებიან გამგე კომიტეტის მიერ დირექტორის წარდგენით. შემდეგ პირთაგან: საღმრთო სჯულის მასწავლებელნი — სასულიერო აკადემიაში კურსდამთავრებულთაგან, საგნების და ენების მასწავლებელნი გიმნაზიურ კლასებში — იმ პირთაგან, რომელთაც იმპერიის უმაღლესი სასწავლებლების გათავების ატესტატები აქვთ; მოსამზადებელ კლასებში კი — იმ პირთაგან, რომელთაც საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელთა წოდება აქვთ; აღმზრდელნი — აგრეთვე იმ პირთაგან, რომელთაც საქალაქო მასწავლებელთა წოდება აქვთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1) განსაკუთრებულს შემთხვევებში ზედამე კლასმდის შეიძლება მეცნიერებათა და ენების სწავლება მიენდოს იმ პირთ, ვისაც სწავლა დაესრულებია სამოსწავლო ინსტიტუტში, ან მის თანაბარ სასწავლებლებში (რომელიც საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის წოდებას იძლევიან), თუ იგინი ცნობილი არიან თავის გამოცდილებით და იმ საგნის ცოდნით, რასაც ასწავლიან;

2) ახალ ენების მასწავლებლად შეიძლება ინიშნებოდნენ ისეთნი პირნიც, რომელთაც უნივერსიტეტი არ გაუთავებიათ,

მაგრამ განსაკუთრებით ეგზამენი დაუკერიათ ამ ენების მასწავლებლის წოდების მისაღებად;

3) ხელოვნებათა მასწავლებლებად ინიშნებიან ისეთი პირნი, რომელთაც აქვთ ატესტატები ამ საგნის სწავლების უფლებისა.

§ 32. დ) ყველა კლასს, როგორც ძირითადს, ისე პარალელს, ყავს თითო კ ლ ა ს ი ს დ ა მ რ ი გ ე ბ ე ლ ი, ჯამაგირით შტატის მიხედვით. კლასის დამრიგებელნი ინიშნებიან § 28 მე-2 მუხ. თანახმად, დირექტორის მიერ, გამგე კომიტეტის დამტკიცებით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: დირექტორი და მისი თანაშემწენი კლასის დამრიგებლობაში განსაკუთრებულს სასყიდელს არ იღებენ.

§ 33. კლასის დამრიგებელნი ყურს უგდებენ მოწაფეთა ცხოვრებას როგორც გიმნაზიის შენობაში, ისე მის გარეთ; თვალყურს ადევნებენ რწმუნებულის კლასების მოწაფეთა სწავლას და ზნეობას და ღებულობენ ყოველს ზომას მათ წარმატებისთვის და ცდილობენ აშორონ მათ ყველაფერი, რაც სწავლაში უშლის მათ და ასუსტებს თვითვითარების მისწრაფებას. იგინი ურთიერთობას ჰმართავენ მოწაფეთა მშობლებთან და ნათესავებთან, ვისთანაც ისინი ცხოვრობენ; ეცნობიან შინაურს მდგომარეობას; თვალს ადევნებენ, რომ გაკვეთილები და საწერი სამუშაოები თანაბრად იყვნენ კვირეულად განაწილებულნი და რომ საზოგადოდ ერთის საგნის სწავლება მეორის სწავლებას ხელს არ უშლიდეს.

§ 34. დ) კლასის დამრიგებელთა თანაშემწენი (აღმზრდელნი) თვალყურს ადევნებენ მოწაფეთ და ყველაფერს აკეთებენ დირექტორის, მისი თანაშემწეების და კლასის დამრიგებლების დავალებისამებრ.

§ 35. ავადმყოფთა საექიმოდ და დაწესებულების სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე თვალყურის დასაჭერად ინიშნება ექიმი, რომელსაც დირექტორი საჭირო ინსტრუქციას აძლევს.

§ 36. გიმნაზიასთან არსებობს კანცელარია, რომელსაც საქმის მწარმოებელი განაგებს (იგივე ბუხჰალტერი).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: კანცელარიაში საქმის წარმოების წესი, ფულისა და ნივთიერის მხრის ანგარიშის წარმოების რიგი, აგრეთვე ბიბლიოთეკებისა და სასწავლო კაბინეტების ორგანიზაციები განისაზღვრება დირექტორის განსაკუთრებულის ინსტრუქციით.

თ ა ვ ი V

საპედაგოგიო საბჭო

§ 38. საპედაგოგიო საბჭოს (§ 4) დირექტორის თავჯდომარეობით შეადგენენ გიმნაზიის ყველა თანამდებობის პირნი, გარდა საქმის მწარმოებლისა და შენობის ზედამხედველისა.

§ 39. საპედაგოგიო საბჭოს მდივნის თანამდებობას ასრულებს საბჭოსაგან ამორჩეული 1 წლის ვადით ერთ-ერთი მასწავლებელი.

§ 40. გამგე კომიტეტის წევრებს ეცნობება საპედაგოგიო საბჭოს სხდომების შესახებ და სურვილისამებრ შეუძლიათ დაესწრონ სხდომებს გადამწყვეტის ხმის უქონლად.

§ 41. საპედაგოგიო საბჭო იკრიბება იმ საქმეების განსახილველად, რომელნიც მთელს გიმნაზიას შეეხება. ის საქმეები კი, რომელნიც ცალკე კლასებს ან რომელიმე საგნის სწავლებას შეეხება, განირჩევიან საპედაგოგიო საბჭოს კომისიებში. კომისიების დადგენილებანი წარედგინება დასამტკიცებლად საპედაგოგიო საბჭოს.

§ 42. საპედაგოგიო საბჭოში საქმე წყდება ხმის უმეტესობით, ამასთან საჭიროა თავმჯდომარის გარდა ათი წევრი მაინც დაესწროს. ხმების თანაბრობის დროს სძლევს თავმჯდომარის ხმა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ საპედაგოგიო საბჭოს 3 წევრი მაინც ისურვებს, კითხვები ფარულის კენჭით გადაწყდება.

§ 43. პედაგოგიური საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილებას ექვემდებარებიან: 1) მოწაფეთა მიღება და დათხოვნა და კლასიდან კლასში გადაყვანა. 2) სწავლის ფულის გადახდისაგან ღარიბ მოწაფეთა განთავისუფლება — გიმნაზიის მოწაფეთა რიცხვის 25% არა მეტისა; 3) ერთდროულის დახმარებისა და სტიპენდიების დანიშვნა საუკეთესო მოწაფეთათვის ხარჯთაღრიცხვით გადიდებულის თანხებიდან; 4) კურსის გათავებამდის გიმნაზიიდან გასული მოწაფეთათვის მოწმობების მიცემა (§ 24); 5) საჯარო აქტისათვის წასაკითხი სიტყვების მოწონება; 6) მდივნისა და ბიბლიოთეკების გამგეთა ამორჩევა; 7) ამორჩევა ნივთებისა კაბინეტების შესავსებად და წიგნებისა ბიბლიოთეკებისათვის; 8) სასწავლო საგნების განაწილება დღეებზე და საათებზე თანახმად კვირეული გაკვეთილების განაწილებისა; 9) მასწავლებელთა შორის გაკვეთილების განაწილება და საგნების დაწვრილებითი. პროგრამების განხილვა; 10) სწავლა-აღზრდის წლიური ანგარიშების განხილვა; 11) შინაგანი წესიერების გარიგება გიმნაზიაში და საზოგადოთ ყველა იმ ზომათა გამოძებნა

და აწონ-დაწონა; რაიცა გიმნაზიის სწავლაღზრდის გაუკეთესებას ხელს შეუწყობს.

§ 44. პედაგოგიური საბჭოს დადგენილებანი ზემოთ §-ში მოხსენებულ საკითხებზე სისრულეში მოჰყავს დირექტორს, მაგრამ მას შეუძლიან შეაჩეროს ასრულება, თუ უმრავლესობის დადგენილების განსაჩივრება მოისურვა. ამ შემთხვევაში დირექტორი მოვალეა თავისი აზრი წარუდგინოს სამი დღის განმავლობაში გამგე კომიტეტს საბოლოო გადასწყვეტად.

§ 45. დირექტორი საპედაგოგო საბჭოს სხდომების ოქმებს გამგე კომიტეტს მოახსენებს მახლობელს კრებებზე".

2

1911 — 1912 სასწავლო წელს გიმნაზიაში ირიცხებოდა 819 მოწაფე. მერვე კლასში იყო 40 მოწაფე, რომელთაც გამოცდები ჩააბარეს ჩვენსავე გიმნაზიაში თბილისის მეექვსე ვაჟთა გიმნაზიის დირექტორის რ. გერცის თავმჯდომარეობითა და სახელმწიფო გიმნაზიის მასწავლებელთა თანდასწრებით. მერვე კლასის 40 მოწაფიდან სიმწიფის მოწმობა მიეცა 30, 10 მოწაფე კი მეორე წელს დარჩა. ამ წელს რუსულ ენაში თხზულება მთელ ოლქში ყველაზე უკეთესად ჩვენი გიმნაზიის მოწაფემ ბიძინა დავითაშვილმა დაწერა (იხ. ოლქის ოფიციალური ანგარიში).

ამ სასწავლო წელს მასწავლებლების ხელმძღვანელობით იმართებოდა სალიტერატურო და სამუსიკო დილები (საქართველოს გამოჩენილი მწერლების ხსოვნის აღსანიშნავად), აგრეთვე ექსკურსიები მუზეუმებისა და თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილების გასაცნობად.

ამავე სასწავლო წელს მოეწყო ექსკურსია მოსკოვში, ბათუმსა და ქუთაისში (მოწამეთა, გელათი) ა. მიქაბერიძისა და ს. იაშვილის ხელმძღვანელობით.

ქუთაისში მეტად გულთბილად მიგვიღო ქართულმა გიმნაზიამ, რომლის გამგე იმ ხანებში იყო ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იოსებ ოცხელი.

1913 წლის 16 ივნისს თბილისში მოეწყო ბუნებისმეტყველთა და ექიმთა მე-13 ყრილობა, რომლის საზეიმო პირობებში გახსნა მოხდა მაშინდელ სახაზინო (ახლა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის) თეატრში. ყრილობას მიესალმნენ ორგანიზაციების წარმომადგენლები. ყრილობის სექციები მუშაობდნენ თბილისის მაშინდელ სახაზინო სასწავლებლებში და ქართულ გიმნაზი-

აშიც. ჩვენი გიმნაზიის შენობაში მოთავსებული იყო კავკასიის სასწავლო ოლქის პედაგოგიური გამოფენა, სადაც ოლქის 106 სასწავლებლის პედაგოგიური კაბინეტი იყო წარმოდგენილი. 22 ივნისს, საღამოს 7 საათზე ჩვენს გიმნაზიაში გაიმართა აგრეთვე გეოგრაფიის ქვესექციისა და პედაგოგიური სექციის გაერთიანებული სხდომა. ყრილობის წევრებს ძალიან მოეწონათ ჩვენი გიმნაზიის შესანიშნავი შენობა — მისი დიდი და ნათელი საკლასო ოთახები, დერეფნები და დარბაზები....

1913—1914 სასწავლო წელს „საზოგადოების" ნივთიერი მდგომარეობა მძიმე იყო, რაც ჩანს იმ სიტყვიდან, რომლითაც საზოგადო კრებას კომიტეტის თავმჯდომარე გ. ნ. ყაზბეგი მიმართავს: „დღევანდელს კითხვებში უმთავრეს ყურადღებას ვაქცევ კითხვას ჩვენი გიმნაზიის და „საზოგადოების" ცხოვრების გადარჩენაზე იმ საფრთხისაგან, რომელიც მას მოელის. საქმე იმაშია, რომ „საზოგადოებას" აქვს დიდი ვალი, რაიცა არა თუ სუნთქვას გვიშლის, არამედ თვით არსებობასაც ემუქრება..." შემდეგ თავმჯდომარემ კრებას წარუდგინა ის ზომები, რომლებიც, გამგე კომიტეტის აზრით, საზოგადოების კრებამ აუცილებლად უნდა მიიღოს საქმის გაუმჯობესებისათვის.

გამგე კომიტეტის მოხსენება შეიცავს შემდეგ მუხლებს:

1) ინვერსია საზოგადოების დაგირავებული ქალალდებისა;

2) ქალთა კომიტეტის ფონდის გაუქმება;

3) ველიამინოვის ქუჩაზე მდებარე სახლის გაყიდვა;

4) გიმნაზიის შენობის გადაგირავება;

5) სწავლის ფულის მომატება საზოგადოების ყველა სასწავლებელში — ნაცვლად 30—40 მანეთისა 75 მანეთი; განთავისუფლებულთა პროცენტი —15;

6) საპენსიო ფონდის სასარგებლოდ 20% გადასახადის დაკლება;

7) 5%-ის გამოკლება სპეციალური ფონდების ბოგებიდან საბარჯოდ;

8) გუბერნიის მარშლის არჩევა გამგე კომიტეტის თავჯდომარედ;

9) თავად-აზნაურობისათვის მეორე გირავნობის მიცემა.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ყველა ეს მუხლი გამგე კომიტეტისა მიღებულ იქნა.

1913 წლის იანვარში გამგე კომიტეტმა კომიტეტის წევრის ს. ბაქრაძის წინადადების საფუძველზე დაადგინა—სახელოვანი მოღვაწის დ. ი. ყიფიანის ხსოვნის აღსანიშნავად 25%-ის გარეშე განთავისუფლდეს სწავლის ფულისაგან დ. ი. ყიფიანის შვილიშვილის შვილი, მე-3 კლასის მოწაფე დიმიტრი სულხანიშვილი.

გამგე კომიტეტმა იანვრის კრებაზე იქონია მსჯელობა რომანოვების გვარეულობის 300 წლის დღესასწაულის შესახებ და დაადგინა ამ სამეფო ტახტის დღესასწაულის აღსანიშნავად აპატიოს ყოფილ და ახლანდელ მოწაფეებს დარჩენილი ვალის (სწავლის ფული, ყოფილ პენსიონერებზე დარჩენილი გადასახადი და სხვა) ეს გადასახადი უდრის 15.245 მანეთს. „საზოგადოების“ კრებამ კომიტეტის ეს დადგენილება დაამტკიცა.

ამავე სასწავლო წელს შედგა მოწაფეთა რამდენიმე ექსკურსია მასწავლებლების ს. გულისაშვილისა და დ. პარკაძის ხელმძღვანელობით. მოწაფეებმა თბილისში დათვალიერეს პედაგოგიური, საეკლესიო, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და ეთნოგრაფიული მუზეუმები, ბოტანიკური ბაღი და კრწანისი.

შემდეგ კრებას მოხსენდა, რომ ჩვენი თვალსაჩინო კომერსანტისა და მეცენატის დ. ბ. სარაჯიშვილის (1848—1911 წწ.) ფირმის მოსამსახურეებს, ხელოსნებსა და მუშებს დაუდგენიათ თბილისის ქართულ გიმნაზიაში მოაწყონ ფიზიკის კაბინეტი, რისთვისაც გადაუდვიათ 5.000 მანეთი. ეს დადგენილება ეცნობა გამგე კომიტეტს 1913 წ. 10 აპრილს წერილით.

მოისმინა რა ზემოაღნიშნული, გამგე კომიტეტმა თავის სხდომაზე 1913 წ. 20 აპრილს დაადგინა: მიიღოს უხვი საჩუქარი; გამოუცხადოს მოსამსახურეებს, ხელოსნებსა და მუშებს გამგე კომიტეტის გულითადი მადლობა; კაბინეტს დაერქვას დ. ს. სარაჯიშვილის სახელი და იქვე დაიკიდოს მისი სურათი. ყველა ეს მოხსენდეს საზოგადო კრებას (იხ. „საზოგადოების“ 1914 წ. ანგარიში).

1913—1914 სასწავლო წელს გიმნაზიაში ირიცხებოდა სულ 843 მოწაფე; მერვე კლასში იყო 30 მოწაფე, რომლებმაც გამოცდები ჩვენსავე გიმნაზიაში ჩაბარეს სასწავლო ოლქის მზრუნველი თანაშემწის ვ. ლარიონოვის თავმჯდომარეობით. ლარიონოვმა დიდი სიმკაცრით ჩაატარა გამოცდები. 30 მოწაფიდან სიმწიფის მოწმობა მიეცა 13, ხოლო 17 მოწაფე მეორე წელს დარჩა მე-8 კლასში.

უფრო ადრეც და განსაკუთრებით ამ სასწავლო წელს ჩვენი გიმნაზიის პირველ მოსამზადებელ კლასში შემოსვლის მსურველი ძალიან ბევრი აღმოჩნდა, ასე რომ პედსაბჭო იძულებული იყო მკაცრი კონკურსით მიეღო მოწაფეები. კონკურსში გაიმარჯვა და პირველ მოსამზადებელ კლასში მიღებულ იქნა ი. ბ. სტალინის ვაჟი იაკობ ჯუღაშვილი. 1917—1918 სასწავლო წელს იგი გავიდა ჩვენი გიმნაზიიდან...

1914 წლის 4 მაისს ნავთლუღში დანიშნული იყო პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობის ასაგები ადგილის კურთხევა, რომელ-

ზეც მიწვეული იყვნენ თბილისის სახელმწიფო გიმნაზიები, მათ შორის ჩვენი გიმნაზიაც. გავედით სადგურზე, საიდანაც ნავთლუღში უნდა წავსულიყავით. ჩავსხედით ვაგონში, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ვაგონი დაგვაცლევინეს,— ეს ვაგონი პირველი სახელმწიფო გიმნაზიის არისო. ახლა მეორე ვაგონში ჩავსხედით, მაგრამ ისიც დაგვაცლევინეს.— ეს ვაგონი მეორე გიმნაზიისათვის არის განკუთვნილიო. ახლა მესამეში, და აქაც იგივე ამბავი მოხდა. ვიღაცა იოხუნჯა: ასე, სადაც არის, კიდევაც ჩავალთ ნავთლუღშიო. ბოლოს, როგორც იქნა სადღაც მიგვიჩინეს ადგილი და ჩავედით ნავთლუღშიო. აქ დიდი ზეიმით ჩატარდა ადგილის კურთხევა...

„საზოგადოების“ 1914 წლის მაისის კრებაზე, დოცენტი ივ. ალ. ჯავახიშვილი უზიარებს კრებას თავის აზრს ჩვენს სტუდენტებზე, რაც ანკეტის შედეგად მიღებია და უმთავრეს ყურადღებას იმ სამწუხარო გარემოებას მიაქცევს, რომ ჩვენმა მომავალმა ახალგაზრდობამ ქართული არ იცის, არ შეუძლია ქართულად აზროვნება, გონებრივად გადაგვარებულიაო. მისი აზრით, ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ როგორც თბილისის, ისე ქუთაისის ქართულმა გიმნაზიებმა; ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ ჩვენი მომავალი ახალგაზრდობა ეროვნულ ელფერს არ კარგავდეს და მომავალ ეროვნული მუშაობისათვის მზად იყოს. აქ ლაპარაკობდნენ,— ამბობდა ი. ჯავახიშვილი,— რუსულს მიექცეს ყურადღებაო, ის კი მივიწყებულია, რომ არც ქართული ისწავლება ისე კარგად, როგორც სასურველია.

ივ. ჯავახიშვილის სიტყვის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „საზოგადო კრება, მოისმინა რა ვრცელი მოხსენება ი. ჯავახიშვილისა, დამყარებული იმ დიდ მასალებზედ, რაც მას მოუგროვებია უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობის მოუმზადებლობის შესახებ სამშობლო ენაში და მეცნიერებისადმი არა საკმარის ცნობის მოყვარეობის შესახებ, და სავსებით ეთანხმება რა პატივცემულ დოცენტის სურვილს — ჩვენს გიმნაზიაში ქართული ენის უკეთესად დაყენების აუცილებლობას,— ერთხმად გამოსთქვამს სურვილს, იმედსა და დარწმუნებულიცაა, რომ გამგე კომიტეტი და პედსაბჭო მიიღებენ სათანადო ზომებს, რათა ი. ჯავახიშვილის სურვილი შესრულდეს, და სთხოვს გამგე კომიტეტს წლიურ მორიგ საზოგადო კრებას მოახსენოს იმ ზომათა შესახებ, რომელნიც მიღებული იქნება ქართული ენის, საქართველოს ისტორიის და გეოგრაფიის უკეთესად დასაყენებლად“. (იხ. „საზოგადოების“ 1915 წლის ანგარიში).

1914 წლის 8 მაისს „საზოგადოების“ კრებამ გამგე კომიტეტის

წევრებად აირჩია: ექ. გ. მაღალაშვილი, პ. ი. გვერდწითელი, ი. ბ. ლორთქიფანიძე, კ. ზ. მაყაშვილი, გ. ი. მაჩაბელი, დ. გ. ჯორჯაძე და სხვ.

ამავე წლის ივნისში ახალმა გამგე კომიტეტმა გიმნაზიის გამგე ა. ბ. მდივანი გაათავისუფლა და გიმნაზიის გამგედ მოიწვია ამავე გიმნაზიის ყოფილი გამგე, 1885—1894 წლებში, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ა. ბ. ჭიჭინაძე. ახალმა გამგემ, ა. ბ. ჭიჭინაძემ, ქართული გიმნაზიის მოსწავლეებს შემდეგი სიტყვით მიმართა 1914 წლის 9 სექტემბერს:

„ყმაწვილებო! მე ვსთხოვე ჩემს თანამშემწეს, რომ შეეკრიბა აქ ყველა უფროსი კლასების მოსწავლეები. ჩემი განზრახვაა ყველას ერთად გაგაცნოთ და გაგაცნოთ ჩემი შეხედულება იმ საქმეზე, რომელსაც ვემსახურებოდი აქ ერთს დროს და რომლის სამსახური ხელ-ახლა ვიტვირთე.

თქვენ სწავლობთ გიმნაზიაში, სადაც გარდა ქართული ენისა, რომელიც აქ ერთი უმთავრეს საგანთაგანია, ყველა საგნები რუსულს ენაზე ისწავლება და ჩვენც, თქვენი ხელმძღვანელნი და აღმზრდელნი, ხშირად უნდა გელაპარაკოთ რუსულს ენაზე, რომ იგიც ერთად ჩვენს ღვიძლს ენასთან საფუძვლიანად შევისწავლოთ და შევიძლოთ შემდგომ სწავლის განგრძობა წარმატებით რუსეთის მაღალ სასწავლებლებში. მაგრამ მიუხედავად ამისა, რადგანაც ეს ქართული გიმნაზიაა და ამას გარდა მინდა გადმოგცეთ ჩემი აზრი ჩვენს საერთო დიდმნიშვნელოვანს საგანზე, არ შემიძლია ამ შემთხვევაში სამშობლო ენაზე არ გამოგელაპარაკოთ. ეს აუცილებელი სულიერი მოთხოვნილება არის ჩემი, როგორც ქართველი კაცისა, მით უმეტეს, რომ პირველი ნახვაა თქვენი. სამშობლო ენა არის წმინდა, მეტად ნაზი ძაფები სულისა, რომელიც მასზე მოლაპარაკეთ ბუნებრივად აკავშირებს ერთმანეთთან, უხილავად აერთებს. სამშობლო ენაზე ნათქვამი ღრმად სწვდება მოსაუბრეთა გულს და იწვევს თანაგრძნობას და აზრთა თანხმობას. მეც დარწმუნებული ვარ ვიპოვი თქვენს გულში კუნჭულს, რომელიც ბანს მეტყვის და დამეხმარება უმთავრესი საკითხის გარკვევაში.

რა საკითხია ეს საკითხი, რა საგანია, რომელსაც დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ და რომლისათვისაც ჩვენ ერთი გრძნობითა და ერთი აზრით უნდა ვიმოქმედოთ?

ეს არის სწავლა-აღზრდა ქართველ ყრმათა, რომელიც სწარმოებს ამ ჩინებულს შენობაში. მე, რომელსაც ბევრი სასწავლებელი მინახავს და უფრო დიდი ძვირფასი შენობანიც, კრძალვით შემოვდგი ფეხი აქ. და, რასაკვირველია, კრძალობა ესე გამოიწვია არა

შენობის სიდიდემ, არამედ იმ დანიშნულებამ, რა დანიშნულებაც აქვს ამ შენობას. ეს არის ტაძარი, სადაც მოზრდილი თაობა ემზადება მეცნიერებისათვის, სადაც იგი იარაღს იხმარს ცხოვრების განკარგებისათვის. ეს არის ერთადერთი დიდი სასწავლებელი აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც უნდა იზრდებოდნენ ქართველნი იმ გრძნობითა და მიმართულებით, რომელიც ეთანხმება ქართველი ერის საჭიროებათა. გიმნაზიები სხვებიც არის საქართველოს მიწა-წყალზე, მაგრამ მათ სულ სხვა წყობილება აქვთ სწავლა-აღზრდისა, რადგან იქ იზრდებიან სხვადასხვა ეროვნებათა შვილნი. იქ ყოველივე საერთო კალაპოტზეა მორგებული; ეროვნულ ინტერესებთან თან შეწონილობას მოსწავლეთა შემადგენელ ნაწილთათვის იმდენი ალაგი არა აქვს: ქართველი, რუსი, სომეხი, თათარი და სხვანი ყველანი ერთს პროგრამას ემორჩილებიან, ყველანი ერთსა და იმავე პედაგოგიურ ზომებს განიცდიან. ამგვარი მდგომარეობა უფრო ხელსაყრელია იმ ნაწილისათვის, რომელიც პატარაობიდანვე თავის სამშობლო ენაზე სწავლობს, სხვებისათვის, კი ძნელია, რადგან ბუნებრივს განვითარებას, სულიერს ზრდას მათსას დაბრკოლება ეღობება წინ და ეკარგება ის სიმახვილე, რომელიც შესაძლებელია, უფრო მაშინ როდესაც მოსწავლე ეროვნულს ინდივიდუალობას მოკლებული არ არის სწავლების დროს. აი ეს იყო მიზეზი, რომ ქართველობამ ორი თავისი საკუთარი გიმნაზია გაიჩინა — ერთი აღმოსავლეთ საქართველოში და მეორე დასავლეთ საქართველოში... აი აქ იწყება თვითმოქმედება ქართველებისა განათლების საქმეში. ამ სასწავლებლებმა უნდა აღგვიზარდონ შთამომავლობა ჯანით საღი, გამობრძმედილი შრომაში, გონებით განვითარებული, საუკეთესო კაცობრიული გრძნობით აღძრულნი, სულითა და გულით ნამდვილი შვილნი ქართველის ერისა, სამშობლოს ერთგულნი თავგანწირულებამდის და სასარგებლო საერთო მამულისათვის, რომლის შემადგენელ ერთა შორის ჩვენში შესაფერი საპატიო ადგილი უნდა გვეჭიროს.

ამ ღირსებით უნდა აღეზრდოს ჩვენმა სკოლამ ქართველი, რომ მან ცხოვრების ასპარეზზე ბრძოლა არ წააგოს და გზა ცხოვრებისა სხვას არ დაუთმოს, არ დაკარგოს თავისი კეკლუცი სამშობლო, რომლის დაცვისათვის ორი ათას წელზე მეტია მუდამ სისხლის ღვრაში და წამებული იყო ქართველი ერი. დიაღ, უნდა აღეზრდოს (სკოლამ) ამ ღირსებით და ამისთვის აუცილებლად საჭიროა სწორი აღზრდა, ნამდვილი განათლება, ჭეშმარიტი გამდიდრება გონებისა მეცნიერულის ცოდნით და გაწვრთნა საქმიანობაში, შრომაში; ოფლით მოპოვება საჭირო ყოველის ცოდნისა და ამასთანავე შეძენილი ცოდნის გამოყენებისა. ერთად ერთი გზა ადამიანის სწორი გან-

ვითარებისათვისო, სთქვა ცნობილმა ევროპიელმა პედაგოგმა ფრებელმა, არის მოქმედება, საქმიანობა, რომლის ნიჭი ბუნებამ თან ჩაქსოვა ადამიანის გონების დროსაო; საქმიანობა კანონია ადამიანის ბუნების განვითარებისაო. ეს ბუნებრივი ნიჭი ჩვენ უნდა ვავარჯიშოთ, ვამუშაოთ, განვავითაროთ. განვითარება ადამიანისა, გვასწავლის მეორე გამოჩენილი ევროპიელი პედაგოგი დისტერვეგი, თვინიერ მისი თვითმოქმედებისა შეუძლებელიაო; რაც უნდა შრომა გასწიოთ მოწაფისათვის, როგორც უნდა აუხსნა და განუმარტო რომელიმე საკითხი, თუ მას თითონ შინაგანი ინტერესი არა აქვს, თუ თვითონაც მონდომებული არ არის და თავის ნდობას არ ახორციელებს საკუთარის თვითმოქმედებით, პირადის შრომით, მისი განვითარება, მისი წინსვლა ყოვლად შეუძლებელიაო.

ნათქვამიდან ცხადია, ყმაწვილებო, რა არის საჭირო, რომ განვითარდეთ, აღიჭურვოთ კულტურული ძალებით და იქნეთ გამოსადეგნი სამშობლოსათვის: პირველია გულითადი ნდომა, ძლიერი წადილი განვითარებისა, ცოდნის შეძენისა და მეორე, ურომლისოდ პირველი უნაყოფოა, თვითმოქმედება არის განხორციელება გულითადის სურვილისა, რისთვისაც საჭიროა დაუზარებელი ყოველდღიური ენერგიული შრომა, შრომა და კიდევ შრომა. სხვით ნურაფრით ნუ ვინუგეშებთ თავს; ამას შევეხვეწები ეს დამიწერს რასმე, იმისა ვთხოვ, რომ დამეხმაროს და სხვა ამგვარი საშუალება ამჯოა, ფუჭია. მაშ სხვისი იმედით ნუ ვიქნებით. საკადრისი არ არის ამ გზით რომელისამე უფლების ხელში ჩაგდება. ეს არ შეეფერება კარგის ზნეობის ადამიანს; ეს მათხოვრობაა. დამცირებაა თავის ღირსებისა. ღმერთს ნიჭი მოუცია ჩვენთვის, ჯანი გვაქვს და სხვას არ უნდა ვეხვეწებოდეთ მიშველეო. რად ვარგა სამშობლოსათვის ის, ვინც თან არ შეიხარდა, არ შეიხორცა შრომა და ოფლით არ მოიპოვა ცოდნა? ის ხომ ცხოვრებაშიაც ვერ გამოიჩენს თვითმოქმედებასა და ენერგიას? რას არგებს ქვეყანას მარტო ქაღალდი, რომელსაც ატესტატსა და დიპლომს ეძახიან? ნუ თუ ისურვებს ვინმე ამისთანა ყალბი იარაღით ემსახუროს სამშობლოს? იმედი მაქვს ყველა თქვენგანი დაჰგმობს ამგვარ იარაღს, როგორც ადამიანის ღირსების დამამცირებელს და საბოლოოდ დამღუპველს.

ვიქონიოთ, ყმაწვილებო, ფაქიზი თავმოყვარეობა! ნუ გვინდა, ნუ ვიგუებთ ნურაფერს, რაც სახელს გაუტეხს ქართული გიმნაზიის მოსწავლეს, რაც ცუდს რამეს ათქმევინებს ვისმე ქართველობაზე! თვალნი ყოველთანი თქვენდამი არიან მოპყრობილნი და ნუ შევრცხვებით! დაე, საღმრთო ვალად ითვლებოდეს ჩვენი გიმნაზიის ყოველი მოწაფისათვის, რომ მისმა უსაქმიანობამ, მისმა რომელიმე

შეუფერებელმა საქციელმა გიმნაზიაში თუ გიმნაზიის გარეშე არ შეარცხვინოს მისი დედა სასწავლებელი, ეს გიმნაზია. „ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო“, თქმულა ქართულად. სრული საფუძველი მაქვს ეს თქმულება გავავრცელო ჩვენს გიმნაზიაზეც და ვსთქვა: „ავი მოსწავლე ქართველი დედ-მამის მაგინებელიც იქნება და სამშობლოს ორგულიც“.

ეცადეთ ძვირფასნო, იხელმძღვანელოთ ჩვენის მამობრივის დარიგებით, ჩვენის რჩევით და გულის ფიცარზე წაუშლელად იქონიეთ, რაც გითხარით. იმედი მაქვს არ შეურაცხყოფთ თქვენს ქართველურს თავმოყვარეობას და სხვა სასწავლებელთა მოწაფეთ არ ჩამორჩებით უკან. მაშინ აღიზრდებით მშრომელთა სანუგეშოდ, სანუგეშოდ ძვირფასის ჩვენის სამშობლოისა და საკარგებლო მოქალაქეებად მამულისათვის“.

ა. ბ. ჭიჭინაძე, თუმცა უკვე ხანშიშესული (66 წ.) იყო, მაინც ენერგიულად შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას, მან აამუშავა პედაგოგიური საბჭოც. ა. ჭიჭინაძის თაოსნობით გიმნაზიის მოსამზადებელ განყოფილებებში შემოღებულ იქნა სწავლების კლასობრივი სისტემა, შემუშავდა კლასის დამრიგებელთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია დისციპლინის გაუმჯობესების მიზნით, გადასინჯულ იქნა სასწავლო გეგმები და პროგრამები, მოეწყო სწავლაში ჩამორჩენილ მოწაფეთათვის დამატებითი გაკვეთილები და ა. შ.

1914—1915 სასწავლო წელს გიმნაზიაში 868 მოწაფე ირიცხებოდა. მერვე კლასში იყო 58 მოწაფე, რომლებმაც გამოცდები სიმწიფის მოწმობის მისაღებად ჩვენსავე გიმნაზიაში ჩააბარეს თბილისის რეალური სასწავლებლის დირექტორის „ა. ვ. ტირიუტინის თავმჯდომარეობითა და სახაზინო გიმნაზიების მასწავლებლების თანდასწრებით. ამ 58 მოწაფიდან სიმწიფის მოწმობა მიიღო 46 მოწაფემ; 12 მოწაფე მეორე წელს დარჩა მერვე კლასში.

აქ საჭიროდ მიმაჩნია რამდენიმე სიტყვით მოვიხსენიო დისციპლინის მდგომარეობა ამ გიმნაზიაში.

ჩვენს გიმნაზიაში არ იყო, რასაკვირველია, ყაზარმული დისციპლინა. აქ თავისუფალი ეროვნული სული ტრიალებდა; აქ მამაშვილური დამოკიდებულება იყო მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის. გიმნაზიის იდეური აღმზრდელ-მასწავლებლების უმრავლესობა მოსწავლეებს უნერგავდა სამშობლოსადმი სამსახურის, მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვის, მშობლიური კულტურის შესწავლის, მჩაგვრელი პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის მისწრაფებას და პროგრესიულ იდეებს. გიმნაზიაში დისციპლი-

ნის დამყარების საქმეში თვითონ მოსწავლეები იღებდნენ შეგნებულ მონაწილეობას.

ცარიზმის ადმინისტრაცია და თვით სასწავლო ოლქი ქართულ გიმნაზიას პირდაპირ სდევნიდა. ქალაქში ვიგინდარებისაგან — ქუჩის ბიჭებისაგან ჩადენილ უმსგავსო საქციელს ჩვენი გიმნაზიის მოწაფეებს აწერდნენ, რაკი მათ განსაკუთრებული ფორმა არ ჰქონდათ. ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, რომ ოლქის მზრუნველს ქუჩის ბიჭები ჩვენი გიმნაზიის მოსწავლეებად მიუღია, დაუჭერინებია და ჩვენს გიმნაზიაში გამოუგზავნია განსაკუთრებული მოწერილობით — საყვედურით და მათი სამაგალითოდ დასჯის მოთხოვნით. რასაკვირველია, ჩვენი გიმნაზიის მოწაფეებიც ირღვევდნენ ზოგჯერ ქალაქში დისციპლინას, მაგრამ ამ დარღვევას არასოდეს ხულიგნური ხასიათი არ ჰქონია. მტრებისაგან გარსშემორტყმულ ქართული გიმნაზის მოწაფეებს მუდამ ახსოვდათ ხალხური ლექსი:

„ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს
მამული, თავის ერია,
არ შედრკეს, თუნდა ბუზივით
ეხვიოს თავზე მტერია.

არ გადიწყვიტოს იმედი
არ შეიცვალოს ფერია
თორემ დაჰგმობს და დასწყევლის
მომმე და მთელი ერია.

ჩვენს გიმნაზიაში, განსაკუთრებით 900 წლებიდან ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა მოწაფეთა ორი ჯგუფი: ერთი ჯგუფი შესდგებოდა მშრომელი ინტელიგენციის, გლეხობის, მუშების და ხელოსნების შვილებისაგან, მეორე კი — უმთავრესად თავადაზნაურების შვილთაგან. პირველი ჯგუფის უმრავლესობა (ამ დროისათვის დიდი ნაწილი) კარგად მუშაობდა, სწავლობდნენ, აწყობდნენ საღამო-დილებს და სხვა. მეორე ჯგუფიდან კი სკოლას იშვიათად ამთავრებდნენ, მრავალი მეხუთე-მეექვსე კლასიდან ანებებდნენ სწავლას თავს.

ამ სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგიურ საბჭოს მრავალჯერ ჰქონდა თათბირი იმის შესახებ, თუ როგორ განეხორციელებინა გიმნაზიაში 1914 წლის 1 ივლისის კანონი, რომელიც უფლებას ანიჭებდა კერძო სასწავლებლებს საგნების სწავლება ეწარმოებინათ დედაენის საშუალებით. ამ საკითხზე საბჭომ დაადგინა, რომ 1915 სასწავლო წლიდან მოსამზადებელ და პირველ კლასებში განეხორციელებინა ქართულ ენაზე საგნების სწავლება და შემდეგ ეს ღონისძიება თანდათან გატარებულიყო მაღალ კლასებში. ეს დადგენილება მოიწონა და დაამტკიცა გამგე კომიტეტმა და საზოგადო კრებამ. ამის შემდეგ პედსაბჭო უკვე შეუდგა საქმეს 1915 წლის 1 სექტემ-

ბრიდან. ამავე დროს ჩვენი გიმნაზიის პედსაბჭო ქუთაისის ქართული გიმნაზიის პედსაბჭოსთან შეთანხმებით შეუდგა ქართულ ენაზე შედგენილი სახელმძღვანელოების დამზადებას.

1915 წლის 17 აპრილს პედსაბჭომ მონაწილეობა მიიღო ჩვენი გიმნაზიის ყოფილი გამგის ნიკო ლომოურის დაკრძალვაში, რისთვისაც წარმომადგენლები (პ. გ. მირიანაშვილი და ს. ლ. იაშვილი) გაგზავნა ქ. გორში.

ამავე წელს მეფისნაცვლის მოადგილემ გიმნაზიის გამგე კომიტეტს წინადადებით მიმართა, რომ გიმნაზიის მე-4 და მე-6 კლასებში გამოცდები ჩატარებულიყო ოლქის მზრუნველის წარმომადგენლის თანდასწრებით. ჩვენი გიმნაზიის პედსაბჭომ და კომიტეტმა, სხვადასხვა პედაგოგიური მოსაზრებით, საჭიროდ არ ცნეს დაევალებინათ ამ კლასებისათვის ხსენებული გამოცდები.

1915—1916 სასწავლო წელს გიმნაზიაში 950 მოწაფე ირიცხებოდა. მერვე კლასებში იყო 60 მოწაფე, რომლებმაც გამოცდები ჩვენსავე გიმნაზიაში ჩააბარეს თბილისის მეოთხე ვაჟთა გიმნაზიის დირექტორს კ. პ. კრამარენკოს თავმჯდომარეობით. 60 მოწაფიდან სიმწიფის მოწმობა მიიღო 50 კაცმა, 10 მოწაფე კი მეორე წელს დარჩა მე-8 კლასში.

1914 წ. ქართული გიმნაზიის მეხუთეკლასელებმა ამავე კლასის მოწაფე ნ. კეცხოველის რედაქტორობით დაიწყეს გამოცემა ხელნაწერი ჟურნალისა „პირველი სხივის“ სახელწოდებით. გამოვიდა 15 ნომერი, თითო ნომერი იწერებოდა 4 ცალად. გადამწერი თვითონ ნ. კეცხოველი იყო.

ჟურნალში მონაწილეობდნენ უფროსი კლასების მოწაფეებიც. მათ შორის მ. ხერხეულიძე, გრ. მეგრელიშვილი (მთის ნიავი), არჩილ მექენარაშვილი, ვიქტორ მირზაშვილი, კ. ბაქრაძე, გ. ბაქრაძე, კ. ლომიძე და სხვ. მეექვსე კლასში კი დ. დუმბაძემ გამოსცა „ჩვენი ხმის“ 2 ნომერი.

ნ. კეცხოველმავე VI კლასში (1915 წ.) გამოსცა ჟურნალი „მზე“; მონაწილენი იგივენი იყვნენ.

1916 წელს კი მოწაფეებმა გამოსცეს ნაბეჭდი ჟურნალი „ცრემლის ღუზა“. ჟურნალში დაიბეჭდა ნ. კეცხოველის, დ. აგლაძის, გ. მერკვილაძის, კ. რატიშვილის, დემნა შენგელაიას, გ. მეგრელიშვილისა და სხვათა მოთხრობები და წერილები.

პირველ ორ ჟურნალს იუმორისტული განყოფილებაც ჰქონდა. 1916 წელს კი მოწაფეებმა გამოსცეს ხელნაწერი იუმორისტული ჟურნალი „სეით ლუარსაბოვიჩის მოგზაურობა საიქიოში“, რომელშიც გიმნაზიის მოღვაწენი იყვნენ გაკილულნი.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოწაფეები გზავნიდნენ ხელნაწერ ჟურნალს, ჩვენები — თავისას უგზავნიდნენ.

3

1915 წლიდან ქართული გიმნაზიის მსახურთათვის შემუშავებულ და მიღებულ იქნა საპენსიო სალაროს ახალი წესდება, რომელსაც ქვემოთ ვათავსებთ:

წ ე ს დ ე ბ ა

თბილისის ქართულ კერძო გიმნაზიის მომსახურე პირთა საპენსიო კასისა.

კ ა ს ი ს მ ი ზ ა ნ ი

§ 1.

თბილისის ქართულ კერძო გიმნაზიასთან არსდება საპენსიო კასა მის მონაწილეთა და მათი ოჯახების პენსიებით და ერთდროული დახმარებით უზრუნველსაყოფად.

§ 2.

კასის მონაწილეებად აუცილებლად ითვლებიან: ა) გიმნაზიის დირექტორი და მისი თანაშემწეები, ბ) გიმნაზიის შტატის მასწავლებლები და კლასის დამრიგებლების თანაშემწეები, გ) კომიტეტის საქმის მწარმოებელი, იგივე მოლარე, დ) გიმნაზიის საქმის მწარმოებელი, იგივე ბუხჰალტერი და ე) გიმნაზიის ექიმი. ამათ გარდა კასის მონაწილეებად ჩათვლებიან ის შტატგარეშე მასწავლებლები, რომელნიც კვირაში აძლევენ არა ნაკლებ თვრამეტ გაკვეთილისა და მოისურვებენ კასაში მონაწილეობის მიღებას.

კ ა ს ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ნ ი

§ 3.

კასის საშუალებას შეადგენენ: ა) ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისაგან ყოველწლიური დახმარება 5.000 მ.; ბ) ყოველთვიური გადასახადი კასის მონაწილეთა, რომლის რაოდენობა განისაზღვრება ჯამაგირის 6%; გ) %% კასის თანხებისა; დ) დაჭერილი ერთი თვის ჯამაგირი, რომელიც გამოერიცხებათ მოსამსახურე პირთ სამი თვის განმავლობაში კასის მონაწილეთ ჩარიცხვის დღიდგან; სამი თვის განმავლობაში დაჭერილი განსხვავება ახალსა და წინანდელ ჯამაგირს შორის შტატის მასწავლებლად ჩარიცხვის გამო; შტატის ჯამაგირის გადიდების

დროს სამი თვის განმავლობაში დაპერილი განსხვავება ახალსა და წინანდელ ჯამაგირს შორის; ე) შემოწირულობა და სხვა შემთხვევითი კასის სასარგებლოდ შემოსული ფული.

§ 4

კასის თანხები გადაქცეულ უნდა იქნეს პროცენტიან ქაღალდებად, ან შეტანილი უნდა იქნეს ქ. თბილისის ერთერთ საკრედიტო დაწესებულებაში ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოების სახელობაზედ. წესი პროცენტიან ქაღალდების და კასის ნაღდი ფულის შენახვისა განმარტებული უნდა იქნეს გამგე კომიტეტის მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციით; უფლება პენსიის და ერთდროული დახმარების მიღებისა, რაოდენობა პენსიისა და ერთდროულ დახმარებისა და ვადები მათი დამსახურებისა.

§ 5.

პენსიის 1/3 იმსახურებს კასის მონაწილე გიმნაზიაში 15 წლის სამსახურით; პენსიის 2/3 — 20 წლის სამსახურით; სრულ პენსიას— 25 წლის სამსახურით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1) თანამდებობის გამოცვლის დროს მოსამსახურე პირი იღებს იმ პენსიას, რომელიც ეკუთვნის ამ უკანასკნელ თანამდებობას, თუ ამ თანამდებობას ასრულებდა არა ნაკლებ სამი წლისა; თუ ნაკლებ დროს მსახურობდა ახალ თანამდებობაში, მაშინ იღებს წინანდელ თანამდებობის შესაფერ პენსიას; 2) ვინც თავს ანებებს სამსახურს ისეთი ავადმყოფობის გამო, რომელიც ნებას, არ აძლევს განაგრძოს პედაგოგიური მოღვაწეობა, ან ვინც დაკარგა შრომის უნარი, იღებს პენსიის 2/3—15 წლის სამსახურისათვის და სრულ პენსიას —20 წლის სამსახურისათვის; 3) ვისაც სურს ისარგებლოს მეხუთე §-ის შენიშვნის მეორე მუხლში განმარტებულ უფლებით, უნდა იქნეს შემოწმებული ექიმთა კომისიის მიერ, რომელსაც ნიშნავს გამგე კომიტეტი.

§ 6.

სრული პენსია ენიშნება: 1) გიმნაზიის დირექტორს 2000 მანეთი; მის თანაშემწეს — 1800 მან., გიმნაზიურ კლასებში მეცნიერებათა და ენათა მასწავლებლებს, რომელთაც უმაღლესი სასწავლებელი დაუმთავრებიათ და ექიმს — 1800 მან., ხოლო იმ მასწავლებელთ, რომელთაც საშუალო სწავლა მიუღიათ — 1100 მან., მოსამზადებელ კლასის მასწავლებელთ — 900 მან.. ხატვისა, გალო-

ბისა, მუსიკის და გიმნასტიკის მასწავლებლებს, კლასის დამრიგებელთა თანაშემწეებსა და გიმნაზიის და გამგე კომიტეტის საქმის მწარმოებლებს — 600 მან. წელიწადში.

§ 7.

არც ერთ კასის მონაწილეს, სანამ იგი სამსახურში ითვლება, პენსია არ ეძლევა.

§ 8.

იმ პირთ, რომელთაც წინათ უმსახურნიათ თბილისის სათავადაზნაურო ქართულ კერძო გიმნაზიაში, და კვლავ ისევ დაჰბრუნებიან სამსახურს გიმნაზიაში, პენსიის დამსახურების ვადის გამოანგარიშების დროს ჩაეთვლებათ გიმნაზიაში წინათ სამსახურის დროც.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ მოსამსახურე პირმა, გიმნაზიაში სამსახურის თავის დანებების დროს, მიიღო კასაში მის მიერ შეტანილი ფული ან დახმარება, გიმნაზიაში ნამსახური წინანდელი დრო ჩაეთვლება მას სამსახურში იმ პირობით, თუ იგი საპენსიო კასას დაუბრუნებს ერთი წლის განმავლობაში გატანილ ფულს ან დახმარებას, მიღებულს თანახმად წესდების მეცხრე §-ისა.

§ 9.

ვინც იმსახურა არა ნაკლებ ათი წლისა და სამსახურიდან წასვლის დროს პენსია ვერ დაიმსახურა და აგრეთვე მათ, ვინც სამსახურს თავი დაანებეს იმ თანამდებობის გაუქმების გამო, რომელიც მათ ეჭირათ, ეძლევათ დახმარების სახით სამსახურის დროს კასაში დაჭერილი ფული. ამასთან უკანასკნელად ეძლევა შეტანილი ფულის სარგებელიც მიუხედავად იმისა, თუ რამდენს წელს მსახურობდნენ იგინი. ესეთივე უფლება ეძლევა ქვრივებს და შვილებს კასის მონაწილეთა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: კასის გამგეობას ნება აქვს არაჩვეულებრივ შემთხვევაში კასის მონაწილეს წასვლის დროს, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი წელი იმსახურა, მისცეს დახმარება, კასის ღონისძიებათა მიხედვით, არა უმეტეს იმ თანხისა, რომელიც მონაწილეს აქვს შეტანილი კასაში.

§ 10.

პენსია ენიშნება პენსიონერთა უფლებების მემკვიდრეებს შემდეგი: ქვრივს — ქმრის პენსიის ნახევარი; შვილებს, თუ იმათი რიცხვი ორს არ აღემატება — 1/5 მამის პენსიისა თვითეულს და თუ შვილების რიცხვი ორს აღემატება — ყველას 2/5 პენსიისა ამ ნაწილის თანასწორად გაყოფით შვილთა შორის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: პენსიის მიღების უფლება არ გადადის იმ პირთა ოჯახებზე, რომელნიც პენსიის დამსახურების შემდეგ დაქორწინდებიან.

§ 11.

თუ ქვრივი, რომელიც პენსიას იღებდა, გარდაიცვალა ან გათხოვდა, სანამ ვაჟიშვილები 21 წლის გახდებოდნენ, ხოლო ქალები 25 წლისა შესრულდებოდნენ, ან გათხოვდებოდნენ, მაშინ კასის მონაწილე ობლები, თუ იმათი რიცხვი ორს არ აღემატება, მამის პენსიის 1/3 იღებს თვითეული; თუ იმათი რიცხვი სამია ან მეტი, მაშინ ყველანი მამის პენსიის 3/4 იღებენ და ეს პენსია მათ შორის თანასწორ ნაწილებად უნდა იყოს გაყოფილი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ შვილები სწავლობენ, იგინი იღებენ პენსიას სწავლის დამთავრებამდე, ყოველ შემთხვევაში პენსიის ძლევა უნდა შეწყდეს არა უგვიანეს იმ დროისა, როცა შვილები 25 წლისა შესრულდებიან.

§ 12.

იმ შემთხვევაში, როცა კვდება პენსია დამსახურებული კასის მონაწილე ქალი, მის ქმარს უფლება არა აქვს ცოლის პენსიის მიღებისა, მხოლოდ შვილებს ეძლევა პენსია, როგორც სრულ ობლებს.

§ 13.

პენსიის მიღების უფლება ესპობათ:

1 როცა კვდება ის პირი, რომელიც პენსიას იღებდა.

2. როცა კასის მონაწილე ბერად ან მონაზონად შედგება.

3. როცა კასის გარდაცვალებულ მონაწილის ქვრივი ან ქალიშვილი გათხოვდება.

4. როცა კასის გარდაცვალებულ მონაწილეს ვაჟიშვილები 21 წლის შესრულდებიან, თუ ეს უკანასკნელნი არა სწავლობენ; როცა

ქალიშვილები 25 წლის შესრულდებიან, თუ ეს უკანასკნელნი ამ დრომდი არ გათხოვილან.

5. როცა კასის მონაწილეს სასამართლოს დადგენილებით ყოველივე უფლებები აეყრება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ცოლსა და შვილებს კასის მონაწილეთა, რომელნიც ჩამოთვლილი არიან ამ პარაგრაფის მეორე და მეხუთე მუხლებში, რჩება უფლება პენსიის და ერთდროულ დახმარების მიღებისა, როგორც ნაჩვენებია წესდების მე-10 და მე-11 §§-ში.

გ ა მ გ ე ო ბ ა

§ 14.

კასის გამგეობა შესდგება ხუთი წევრისაგან, რომლებსაც ირჩევენ ოთხი წლის ვადით თავიანთ შორის კასის მონაწილენი და გამგე კომიტეტის ერთ წევრისაგან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: გამგეობის დადგენილების სისრულეში მოყვანა შეიძლება მხოლოდ გამგე კომიტეტის წევრის თანხმობით; თუ უკანასკნელი თანახმა არ გახდა, მაშინ კითხვის საბოლოოდ გადაწყვეტა გადაეცემა გამგე კომიტეტს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საქმისა და ანგარიშის წარმოებას ასრულებს უსასყიდლოდ გამგეობის ერთ-ერთი წევრი, რომელსაც ირჩევს თვით გამგეობა. საქმის და ანგარიშის წარმოებას რევიზიას უკეთებს გამგე კომიტეტი თავის ერთ-ერთ წევრის საშუალებით.

§ 15.

გამგე კომიტეტის მოვალეობას შეადგენს საზოგადო ხელმძღვანელობა კასის საქმეებისა და წარდგენა ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების საზოგადო კრების წინაშე საპენსიო კასის ყოველწლიური ანგარიშებისა და თავის მოსაზრებისა კასის საშუალებათა გაძლიერებაზედ და შემწეობის შემოკლებაზედ ან მოსპობაზედ, თუ კასის თანხები საკმარისი აღმოჩნდება ყველა პენსიონერების დასაკმაყოფილებლად.

§ 16.

საპენსიო კასის ლიკვიდაცია მოხდება ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების ლიკვიდა-

ციისთანავე. უკანასკნელ შემთხვევაში გამგე კომიტეტი გამოსძებ-ნის საშუალებას საპენსიო კასის თანხების შესანახად და იქიდან ამ წესდების მიხედვით პენსიის მისაცემად.

§ 17.

საპენსიო კასის დანარჩენი თანხა კასის მონაწილეთა და მათი უფლებების მემკვიდრეთა ყოველი პრეტენზიის დაკმაყოფილების შემდეგ გადაეცემა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას სწავ-ლა-განათლების საჭიროებისათვის.

§ 18.

ამ წესების პარაგრაფი შეიძლება შეცვლილ იქნეს საზოგადო კრების დადგენილებით, თანახმად გამგე კომიტეტის მოხსენებისა, რომელიც მიღებული უნდა იქნეს საზოგადო კრების 2/3 ხმის უმე-ტესობით".

4

1917 წლის იანვარში გიმნაზიის გამგე ა. ბ. ჭიჭინაძე გარდა-იცვალა. 1917—1918 სასწავლო წელს გიმნაზიას განაგებდა სამი პირისაგან (ა. მიქაბერიძე, დ. კარიჭაშვილი, ს. იაშვილი) შემდგარი კოლეგია. ამავე წელს გამგე კომიტეტის დავალებით პედაგოგიური საბჭოს მიერ არჩეულმა კომისიამ (ა. ნ. მიქაბერიძე, ს. იაშვილი, დეკ. კ. ცინცაძე და დ. პარკაძე) ჩაატარა გიმნაზიის მასწავლე-ბელთა შემადგენლობის გადარჩევა, რის შედეგად რამდენიმე მას-წავლებელი მოხსნილ იქნა სამუშაოდან.

1916 — 1917 და 1917 — 1918 სასწავლო წლებში, ქართული გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფეებს პედაგოგიურმა საბჭომ სიმწი-ფის მოწმობები წლიური ნიშნების მიხედვით მისცა. მერვე კლასე-ბის 140 მოწაფიდან სიმწიფის მოწმობა 130 მოწაფემ მიიღო. 10 მე-ორე წელს დარჩა.

1918 წელს ქართული გიმნაზიის შენობა გადაეცა ახალდაარსე-ბულ თბილისის უნივერსიტეტს და ამ წლიდან ვიდრე 1921 წლამდე ქართული გიმნაზია არსებობდა მე-7 ეაჟთა გიმნაზიის სახელწოდე-ბით (ინსპექტორი ს. იაშვილი). ბინად გიმნაზიას მიეცა ყოფილი კა-დეტთა კორპუსის შენობა (რუსთაველის პროსპექტი, № 34) მთელი თავისი უამრავი ნაირნაირი ქონებით, მაგრამ, როგორც ნათქვამია — თხის პატრონს თხის კუდიც აღარ ერგოვო, — ისე დაემართა ჩვენს გიმნაზიასაც. კადეტთა კორპუსის ქონება მენშევიკების მთავ-რობის დროს ისე განიავდა, რომ გიმნაზიას არა რგებია რა...

1920 წელს ქართულ გიმნაზიას მენშევიკების მთავრობამ შეუერთა თბილისის სასულიერო სემინარიის უფროსი კლასები და გიმნაზია მოათავსა ყოფილ ქალთა ინსტიტუტის შენობაში (ერმოლოვის, ახლა შ. ჩიტაძის ქუჩა). აქ ჩვენი გიმნაზია მთავრობის მე-6 ვაჟთა გიმნაზიათ იწოდებოდა. ყოფილი ქალთა ინსტიტუტის დიდი ქონებაც სახელით გიმნაზიის იყო, ხოლო სახრავად სხვების აღმოჩნდა...

1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ქართულ გიმნაზიას ჩამოაშორეს მოსამზადებელი და პროგიმნაზიული კლასები. ამ ჩამოშორებულ ნაწილს მე-14 შრომის სკოლა დაერქვა... შრომის სკოლის გამგედ იყო ნ. მამინაშვილი.

1921 წლიდან ქართული გიმნაზიის უფროსი კლასები — მეხუთედან მერვემდე — იწოდება მესამე ტექნიკუმად (გამგე ს. იაშვილი მოადგილე პ. კვირკველია). ტექნიკუმი მოთავსებული იყო ყოფილ სახელოსნო სასწავლებელში (ბებუთოვის, ახლა ენგელსის ქ. № 50). 1923 წლის 1 სექტემბერს ეს ტექნიკუმი დაიხურა.

5

ქართული გიმნაზიის ადგილსამყოფელი თბილისში

ახალგახსნილი (1879 წლის 6 თებერვალს) სათავადაზნაურო სკოლა მოთავსებული იყო კუკიაში (ახლა მოლოტოვის რაიონი), თუმანიშვილის ქუჩაზე, თაქთაქიშვილის სახლში. მეორე სასწავლო წელს სკოლა გადაიტანეს ახლანდელ მახარაძის ქუჩაზე. აქედან სკოლა გადატანილ იქნა ახლანდელ კალინინის ქუჩაზე, ჩითაზოვის სახლში 1892 წლიდან, ახლა უკვე ქართული პროგიმნაზია, მოთავსებული იყო ახლანდელ შ. ჩიტაძის ქუჩაზე, სელიკოვის სახლში, ხოლო 1906 წლის ნოემბრიდან ქართული გიმნაზია გადავიდა ვაკეში თავის საკუთარ შენობაში, სადაც ამჟამად ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია მოთავსებული.

თბილისის ქართულ გიმნაზიის შენობაში (ვაკეში), მოთავსებული იყო კიდევ თბილისის ქალთა ქართული გიმნაზია, რომელიც დაარსდა 1906 წელს, აგრეთვე საქართველოს საეთნოგრაფიო და საისტორიო საზოგადოება, ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი, ხოლო 1915 წლიდან ვიდრე 1918 წლამდე — სამხედრო ლაზარეთი.

6

მოწაფეთა წოდებრივი შემადგენლობა თბილისის ქართულ გიმნაზიაში

წესდების თანახმად, გიმნაზიის მოწაფეთა შემადგენლობა თავად-აზნაურთა შვილებით განისაზღვრებოდა, ხოლო თავისუფალი

ვაკანსიების დაკერა სხვა წოდების შვილებსაც შეეძლოთ. პირველ ხანებში თავად-აზნაურთა შვილები 80 — 85%-ს შეადგენდნენ, ხოლო შემდეგ წლებში სხვა წოდებათა შვილების პროცენტმა იმატა. სწავლის ფულის მომატებასთან დაკავშირებით გიმნაზია თანდათან ჰკარგავს წოდებრივ ხასიათს. მოწაფეთა წოდებრივი შემადგენლობა ქართულ გიმნაზიაში ასეთი ყოფილა:

1898 წელს: თავად-აზნაური — 278, გლეხი და მოქალაქე — 184, სასულიერო წოდება — 29;

1906 წელს: თავად-აზნაური — 218, გლეხი — 276, მოქალაქე — 48, სასულიერო წოდება — 38, მოხელის შვილი — 29;

1915 წელს: თავად-აზნაური — 224, გლეხი — 344. მოქალაქე — 165, მოხელის შვილი — 53, სასულიერო წოდება — 65;

1918 წელს: თავად-აზნაური — 201, გლეხი — 392, მოქალაქე — 175, მოხელის შვილი — 93, სასულიერო წოდება — 56.

7

რევიზიები გიმნაზიაში

რევიზია თბილისის ქართულ გიმნაზიაში სწავლა-აღზრდის მდგომარეობის გამოკვლევის მიზნით ხშირად წარმოებდა. რევიზიას ახდენდა თვით „საზოგადოება“ გამგე კომიტეტის წევრების მეშვეობით და სასწავლო უწყება ოლქის მზრუნველისა და სახალხო სკოლების დირექტორ-ინსპექტორების სახით. სასწავლებლის რევიზია სხვადასხვა დროს მოუხდენიათ გამგე კომიტეტის თავმჯდომარეს კ. მამაცაშვილს, თავმჯდომარის ამხანაგს ი. გოგებაშვილს, კომიტეტის წევრს ნ. ცხვედაძეს, თავად-აზნაურთა წინამძღოლებს და სხვებს.

ცარიზმის სასწავლო უწყების წარმომადგენლებს — მზრუნველს და სხვებს — რევიზიის დროს ჩვეულებად ჰქონდათ სასწავლებლის უფროსის დაუკითხავად შეპარვა კლასებში. მზრუნველი კ. პ. იანოვსკი 1887 წელს შეუმჩნევლად შეპარულა ქართული პროგიმნაზიის მეოთხე კლასში საქართველოს ისტორიის გაკვეთილზე: ერთი მოწაფისათვის ხელიდან გამოუგლეჯია მოსე ჯანაშვილის ისტორიის სახელმძღვანელო და უკითხავს, რა წიგნიაო. მოწაფეს უპასუხია. ამ დროს კლასში შესულან მასწავლებელი ნ. მთვარელიშვილი და გამგე ა. ბ. ჭიჭინაძე. იანოვსკიმ უთხრა, თურმე, გამგეს:—რა საჭიროა საქართველოს ისტორიის ქართულად სწავლება, თარგმნეთ რუსულად და რუსულად ასწავლეთ. მაგალითად, აფთიაქში ერთ წამალს შეურევენ მეორეში და გამოვა ის წამალი, რომელიც ავადმყოფისათვის

არის საჭიროო. აღელვებულმა ალ. ჭიჭინაძემ უპასუხა: — თქვენო აღმატებულებავ, ჩვენ ამ კლასში მშობლიურ ენის შესწავლას მხოლოდ ორ საათს ვანდომებთ კვირაში და ისიც რომ თარგმანს მოვანდომოთ, სამშობლო ენა როდის-ღა ვისწავლოთო? (გადმოცემული ამ გიმნაზიის ყოფილი მოწაფის ვლ. რატიშვილის მიერ).

1904 წელს, რუსეთ-იაპონიის ომის დროს, ჩვენი სასწავლებელი სასწავლო უწყების წინაშე ვიღაცას დაებეზღებინა: ქართული გიმნაზია იაპონიას უჭერს მხარს; მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც იაპონელების გამარჯვება ახარებსო... ერთ დღეს უეცრად ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე შეიპარა სახალხო განათლების დირექტორი ვ. ნ. შულგინი. ჯერ პატარა ხანს გაკვეთილის მიმდინარეობა მოისმინა; შემდეგ მოწაფეებს უბრძანა — ადექითო. მოწაფეებიც ადგნენ, და რევიზორმა მათ დაახლოვებით შემდეგი სიტყვებით მიმართა: თქვენ, რასაკვირველია, იცით, რა ხდება შორეულ აღმოსავლეთში — ვიცით — იქ ომია ჩვენსა და იაპონიას შორისო. — ეს ომი,— განაგრძო რევიზორმა, — ჩვენ არ გამოგვიწვევია, იგი თავს მოგვახვია იაპონიამ — თქვენ ისიც იცით, რომ ჯერ გამარჯვება ჩვენს მხარეზე არ არის, მაგრამ ღმერთი მოწყალეა, მალე გამარჯვება ჩვენს მხარეზე იქნებაო. — რასაკვირველიაო, — წამოიძახა ერთმა მოწაფემ, პ. ჟორდანიამ.— „бог правду видит да нескоро скажет“ —ასეთი პასუხი რევიზორს მოეწონა, იკითხა მოწაფის გვარი, შეაქო, შემდეგ მასწავლებელს მადლობა გადაუხადა როგორც მოწაფეების მიერ საგნის მასალის შეთვისების, ისე მათი პატრიოტიზმის გამო... ხოლო, როცა რევიზორი წავიდა, მოწაფეებმა, მიმართეს მასწავლებელს და უთხრეს:— ძალიან არ გავაცურეთ რევიზორი...

თბილისის ქართული გიმნაზიის მოწაფეთათვის განსაკუთრებული ფორმა არ ყოფილა შემოღებული; მათი ფორმა იყო ხალათ-შარვალი და მრგვალი თუშური ნაბდის ქუდი. 1907 წლიდან ქართული ქუდი შეიცვალა კლასიკური გიმნაზიის ფორმით, მაგრამ 1910 წლის ერთ მშვენიერ დღეს მოწაფეებს იჭერდნენ გოროდოვოები, ხდიდნენ ქუდებს, შავი საღებავით სავსე ვედროში აწყობდნენ ფუნჯებს და ქუდის თეთრ კანტებს ღებავდნენ. „ქართული გიმნაზიის მოწაფენი არ უნდა ჰგავდნენ სახაზინო სკოლების მოწაფეებსო“,— გაეცა განკარგულება ოლქის მზრუნველ რუდოლფს. 1911 წელს სასწავლო ოლქის მზრუნველის მკაცრი მოთხოვნის შემდეგ, გიმნაზიის ადმინისტრაცია იძულებული იყო მოწაფეთათვის შემოეღო მეტად უშნო ფორმა — შავი მაუდის კურტაკი („ტუეურკა“), შარვალი, და

ქუდი წითელი კანტებით აჭრელებული. ეს ფორმა მოწაფეებს სძულ-დათ და კიდევაც მალე მოიშორეს.

თბილისის ქართული გიმნაზია, ქართული კულტურის სხვა დარ-გებთან ერთად, ქართული მუსიკალური კულტურის კერაც იყო. ზ. ჩხიკვაძის, ზ. ფალიაშვილისა და ან. ყარაშვილის შრომით და მეცადინეობით გიმნაზიაში მოწყობილი იყო მომღერალთა კარგი გუნდი და დიდი სიმებიანი ორკესტრი. 1903—1904 სასწავლო წელს გიმნაზიაში მოწაფეთა კვარტეტიც კი ჩამოყალიბდა (პირველი ვიოლინი ვლ. ორჯონიკიძე, მეორე — ირ. მიქელაძე, ალტი — ყ. სულხანიშვილი და გ. ციციშვილი) ერთმანეთს ეცვლებოდნენ (და ვიოლონჩელი — ი. აბაშიძე). ყოველი სასწავლო წლის ბოლოს გიმ-ნაზიაში იმართებოდა მუსიკალურ-ლიტერატურული დილები, რომ-ლებსაც დიდძალი ხალხი ესწრებოდა. თვით ჩვენი დიდებული ოპერა „აბესალომ და ეთერი“ ამ გიმნაზიაში იქმნებოდა... 1909—1910 სას-წავლო წლიდან ამ ოპერის ლიბრეტოს ავტორი პ. მირიანაშვილი ყო-ველდღე ზაქარია ფალიაშვილს მოსვენებას არ აძლევდა, ჩასჩიჩინებ-და — დაიწყე, დაიწყე ოპერის წერაო, — და კიდევაც შემდეგ წლებ-ში გიმნაზიის გუნდი და ორკესტრი მუსიკალურ-ლიტერატურულ დილებზე უკვე ასრულებდნენ „აბესალომ და ეთერის“ ნაწყვეტებს.

ქართულ გიმნაზიაში დიდი ყურადღება ექცეოდა აგრეთვე ფ ი ზ ი კ ურ ვ ა რ ჯ ი შ ო ბ ა ს, რომლის დახელოვნებული მასწავლე-ბელი იყო გ. ს. ეგნატაშვილი, ამჟამად სპორტის დამსახურებული ოსტატი, ორდენოსანი. გიმნაზიის ეზოში თითქმის ყოველწლივ იმარ-თებოდა ფიზკულტურული დღესასწაული, რომელშიც გიმნაზიის მრავალი მოსწავლე იღებდა მონაწილეობას. განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მოსწავლეთა მასობრივი ფიზკულტურუ-ლი ვარჯიშობა. ამ დღესასწაულებს აუარებელი ხალხი ესწრებოდა...

თბილისის ქართულ გიმნაზიას ჰქონდა კაბინეტები: ფ ი ზ ი კ ი ს, ბ უ ნ ე ბ ი ს ა დ ა გ ე ო გ რ ა ფ ი ი ს: ა) ფიზიკის კაბინეტში 1917 წლის 1 იანვრისათვის ითვლებოდა 362 ცალი ხელსაწყო-იარაღი. 1918 და 1920 წლებში ამ კაბინეტს შეუერთდა კადეტთა კორპუსისა და ქალთა ინსტიტუტის ფიზიკური კაბინეტები; ბ) ბუნებისა და გეო-გრაფიის კაბინეტში 1917 წლის 1 იანვრისათვის იყო სხვადასხვა კოლექციები, თვალსაჩინო სახელმძღვანელოები, რუკები და სხვ., ღირებული 3027 მანეთად (იხ. „საზოგადოების“ 1916 წ. ანგარიში); 1918 და 1920 წლებში ამ კაბინეტს შეემატა კადეტთა კორპუსისა და ქალთა ინსტიტუტის ბუნებისა და გეოგრაფიის კაბინეტები.

თბილისის ქართულ გიმნაზიას ჰქონდა ორი ბიბლიოთეკა: ერთი — ფუნდამენტალური, სამასწავლებლო, ხოლო მეორე — მოსწავლეებისათვის. სამასწავლებლო ბიბლიოთეკა შედგებოდა ორი განყოფილებისაგან: პირველი განყოფილება შეიცავდა რუსულსა და უცხო ენებზე დაბეჭდილ წიგნებს, რომლებიც გიმნაზიისათვის შემოუწირავთ პლ. იოსელიანს და ი. გ. შაშიევს. პლ. იოსელიანის მიერ შემოწირული ბიბლიოთეკა 1918 წელს გადაეცა ახალდაარსებულ თბილისის უნივერსიტეტს. მეორე განყოფილება მხოლოდ ქართულ წიგნებს შეიცავდა. პირველ განყოფილებაში 1917 წლის 1 იანვრისათვის ითვლებოდა რუსულ და უცხო ენებზე დაბეჭდილი 6.620 ცალი წიგნი, ხოლო მეორე განყოფილებაში — 1.298 წიგნი.

მოსწავლეთა ბიბლიოთეკა შედგებოდა სამი განყოფილებისაგან. პირველი განყოფილება შეიცავდა რუსულ წიგნებს უმცროსი მოწაფეებისათვის. მეორე — რუსულსავე წიგნებს უფროსი მოწაფეებისათვის და მესამე განყოფილება — ქართულ წიგნებს. 1917 წლის 1 იანვრისათვის პირველ განყოფილებაში ითვლებოდა 1.081 წიგნი, მეორეში — 2.662 და მესამეში — 2.261 წიგნი (იხ. 1916 წლის „ანგარიში"). 1918 და 1920 წლებში აგ ბიბლიოთეკებს მიემატა კადეტთა კორპუსისა და ქალთა ინსტიტუტის ბიბლიოთეკები.

8

თბილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობა. სხვა თანაბარი ტიპის სკოლებთან შედარებით, თბილისის ქართულ გიმნაზიაში მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი ვერ იყო. მაგალითად, 1895 სასწავლო წელს ქართული პროგიმნაზიის მასწავლებელთა უზრუნველყოფა ასეთი ყოფილა.

პროგიმნაზიული კლასის მასწავლებელი ჩვენს გიმნაზიაში იღებდა:

1. 12 გაკვეთილში (გაკვეთილი — 75 მ.) 900 მანეთს, ხოლო 12 გაკვეთილის ზემოთ თითო გაკვეთილში — 60 მანეთს წელიწადში;

2. ხუთი წლის სამსახურის შემდეგ პირველ ორ ხუთწლეულში — 150 მ. თითოეულში;

3. კლასის დამრიგებლობაში — 60 მან. წელიწადში;

ხოლო ასეთივე მასწავლებელი სახაზინო სასწავლებელში იღებდა:

1. გაკვეთილებში — იმდენსავე, რასაც ჩვენს სასწავლებლებში;

2. ხუთწლეულში 150 მანეთის მაგივრად — 180 მანეთს;

3. კლასის დამრიგებლობაში 60 მანეთის მაგივრად — 160 მანეთს;

4. რვეულების გასწორებისათვის — 100 მან. წელიწადში;
5. ბინის ფულს — 240 მან. წელიწადში.

ზემოთ ნათქვამიდან ირკვევა, რომ თბილისის ქართული გიმნაზიის პროგიმნაზიული კლასების მასწავლებელი ხუთი წლის ნამსახურობის შემდეგ იღებდა სულ 1, 110 მანეთს; ასეთივე მასწავლებელი სახაზინო პროგიმნაზიაში კი იმავე შრომაში იღებდა 1.580 მანეთს.

ჩვენი გიმნაზიის მასწავლებლების მატერიალური უზრუნველყოფა სახაზინო გიმნაზიის მასწავლებლებთან შედარებით, შემდგომშიც მუდამ ჩამორჩებოდა, სრული გათანასწორება არასოდეს არ მომხდარა. (ან კი როგორ შეიძლებოდა გათანასწორება, როცა ჩვენი გიმნაზიის მასწავლებლები საპენსიო სალაროს გაძლიერების მიზნით თვეში ჯამაგირის 5—6% იხდიდნენ). პირიქით, ხშირად ჩვენი გიმნაზიის მასწავლებლები ჯამაგირს თავის დროზე ვერც იღებდნენ. ამის მიზეზი, სხვათა შორის, ისიც იყო, რომ გამგე კომიტეტი გიმნაზიისათვის განკუთვნილ თანხას: შენობის საჭიროებისათვის ხარჯავდა. ამ გარემოებას საზოგადო კრება ყურადღებას აქცევდა და ადგენდა — ეკრძალოს კომიტეტს გიმნაზიის თანხის შენობაზე დახარჯვაო, მაგრამ ზოგჯერ ასეთ დადგენილებას კომიტეტი გვერდს უვლიდა....

„საზოგადოების“ შემოსავალს შეადგენდა: თბილისის სათავადაზნაურო ბანკის წმინდა მოგებიდან ყოველწლიურად გადმოცემული თანხა (30—85 ათასამდე); ყოველ წელიწადს 6 იანვარს გამართული სათავადაზნაურო ბალიდან შემოსული ფული: მომგებიანი ბილეთების შემოსავალი; პანსიონერებისაგან შემოსული ფული და სწავლის ქირა; უძრავი ქონებიდან: სახლი ყოფილ განოვის ქუჩაზე (ახლა აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის ქუჩების კუთხეში). „სკრის“ მამულის შემოსავალი და შემოწირულებანი (მარტო სკოლის შენობისათვის სხვადასხვა პირებს შემოეწირავთ 151.293 მან. 88 კაპ.).

9.

„საზოგადოების“ გამგე კომიტეტის **თავმჯდომარეებად** სხვადასხვა დროს იყვნენ: გ. რ. ერისთავი—1879—1880 წლამდე; გენერალი კ. მამაცაშვილი—1880—1888 წლამდე; ექიმი გ. გ. მაღალაშვილი— 1888—1894 წლამდე; კ. ი. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი— 1894—1903 წლამდე; ვ. ვ. ჯაბადაურ-ორბელიანისა—1903—1907 წლამდე; პ. ი. თუმანიშვილი—1907—1913 წლამდე; გენერალი გ. ნ. ყაზბეგი—1913—

1914 წლამდე; ექიმი გ. გ. მაღალაშვილი—1915—1918 წლამდე და სხვ.

ზემოთ დასახელებულ პირთაგან ჩვენ მოკლედ შევეხებით მარიამ ვახტანგის ასულ ჯამბაკურ-ორბელიანის (1850—1941) ნაყოფიერ მოღვაწეობას თბილისის ქართულ გიმნაზიაში.

მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანისა (მეფე ერეკლეს შვილის შვილის შვილი) 1882 წელს საზოგადო კრებაზე გამგე კომიტეტის თავ-

მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანი

მჯდომარის ამხანაგად აირჩიეს და მას შემდეგ, ვიდრე 1917 წლამდე, კომიტეტის თავმჯდომარედ ან თავმჯდომარის ამხანაგად იყო. მისი თაოსნობით გაიხსნა ქართულ გიმნაზიაში უფასო სასადილო რომელიც 1889-დან 1917 წლამდე არსებობდა. აგრეთვე თბილისის ქალთა ქართული გიმნაზია 1906 წელს.

1913 წელს სოფ. ატენში მ. ვ. ორბელიანმა გახსნა სკოლა, რომლის ხარჯს ნახევარს თვითონ იხდიდა, ნახევარს კი — ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება.

მ. ვ. ორბელიანი სამწერლო ასპარეზზეც მუშაობდა — მას უთარგმნია შექსპირიდან — „ვინძორის ცელქი ქალიშვილები", ვ. ჰიუგოდან — „ანჯელო", „მარიამ ტიუდორი" და სხვ... შექსპირის „ვინძორის ცელქი ქალიშვილები" მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანის თარგმანით პირველად წარმოდგენილ იქნა რუსთაველის სახელობის თეატრში 1924 წ. 20 ნოემბერს კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით.

1906 წელს თბილისის ქართული გიმნაზიის აკლებისა და შ. ჩიტაძის ვერაგულად მოკვლის შესახებ მ. ვ. ორბელიანმა ქ. ჟენევაში გაგზავნა კორესპოდენცია, რომელიც კიდევაც დაიბეჭდა. მან პარიზის გაზეთებშიც მოათავსა რამდენიმე წერილი ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე...

10

გამგე კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგად ხშირად იყო აგრეთვე ვასილ როსტომის-ძე ყიფიანი (1855—1936), რომლის მოკლე ბიოგრაფიას აქვე ვათავსებთ.

ვასილ ყიფიანი — ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, დაიბადა ზემო ქართლში, სოფ. ყიფიანთაკარში, სოგრამის მახლობლად, 1855 წლის 15 მარტს.

1863 წელს ვასილი მშობლებმა მიაბარეს ქუთაისის სახაზინო გიმნაზიაში, რომელიც მან 1873 წელს დაამთავრა. იმავე წელს ვასილი შევიდა ოდესის უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1877 წელს ვასილმა უნივერსიტეტი ისე წარჩინებულად დაამთავრა, რომ უნივერსიტეტის გამგეობამ მას წინადადება მისცა დარჩენილიყო უნივერსიტეტში სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, მაგრამ სამშობლოს სიყვარულით გატაცებულმა ვასილმა ისევ თავის ქვეყანას მიაშურა.

1877 წელს ვ. ყიფიანი დანიშნეს თემირხანშურის (ბუინაქსის) რეალურ სასწავლებელში მათემატიკის მასწავლებლად, საიდანაც იგი მალე გადაიყვანეს კავკავის (ქ. ორჯონიკიძე) პროგიმნაზიაში.

1882 წელს ვ. რ. ყიფიანი „საზოგადოების" გამგე კომიტეტმა სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორად — გამგედ მოიწვია. 1884 წელს ვასილი დაინიშნა ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორად, სადაც დაჰყო 1894 წლამდე. 1894 წელს ვასილმა ავადმყოფობის გამო ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში სამსახურს თავი დაანება და იგი არჩეულ იქნა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკის დირექტორად.

თბილისისა და ქუთაისის ქართულ გიმნაზიების ყოფილი მოწაფეები დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იგონებდნენ და იგონებენ ვასილ როსტომის-ძე ყიფიანს, როგორც სამაგალითო პედაგოგსა და ადმინისტრატორს.

1893 წელს ვასილ ყიფიანმა შეადგინა და თავისი ხარჯით გა-



ვასილ ყიფიანი

მოსცა 676-გვერდიანი სახელმძღვანელო — „დაწყებითი ალგებრა". ამ სახელმძღვანელოს შედგენის ამბავი ასე გადმოცა თვით ავტორმა. ერთხელ ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში რევიზორი მოვიდა, დაესწრო გაკვეთილებს და შემდეგ ჩემთან საუბარში თქვა: აი, თქვენ, ქართველები, ქართულ ენაზე საგნების სწავლების ნებართვას თხოულობთ, არ ვიცი კი, რა საბუთით, როცა თქვენ არც ერთი საგნის სახელმძღვანელო არ მოგეპოვებათო. — მე გავცეცხლდი და გუპასუხე: — არა გვაქვს, მაგრამ მალე, ძალიან მალე გვექნება-

მეთქი. რევიზორის სიტყვებმა დამაფიქრა და იმავე დღეს გადავწყვიტე შემედგინა ალგებრის სახელმძღვანელო. მეორე დღეს კიდევაც დავიწყე მუშაობა.

ჩემი თხოვნით, ცნობილმა პედაგოგმა და დამსახურებულმა მასწავლებელმა ვ. გ. აბდუშელიშვილმა გაარჩია ვ. ყიფიანის „დაწყებითი ალგებრის" სახელმძღვანელო და თავისი რეცენზია წერილობით მაცნობა. მომყავს შემოკლებით ვ. აბდუშელიშვილის რეცენზია სახელმძღვანელოს შესახებ:

„წიგნი შეიცავს 676 გვერდს. დამუშავებულია თეორიული მასალა და მოცემულია სათანადო სავარჯიშოები. ამრიგად, წიგნი წარმოადგენს ელემენტარული ალგებრის სახელმძღვანელოსაცა და კრებულსაც.

უნდა ითქვას განსვენებული ავტორის სასახელოდ, რომ ნაკისრი საქმე მას მშვენიერად შეუსრულებია.

თეორიული ნაწილი წარმოადგენს ელემენტარული ალგებრის სისტემატურ კურსს. ყოველი საკითხი მოფიქრებულად და ამომწურავადაა დამუშავებული. დაწყებითი თავები გაშუქებულია კონკრეტულ მაგალითებზე და შემდეგ მოცემულია სათანადო წესები და დასკვნები, რაც პედაგოგიურად სავსებით გამართლებულია. შემდეგ თავებში ლოგიკური მსჯელობა თანდათან ძლიერდება და სათანადო წესები და ფორმულები დამტკიცებულია ჯეროვანი სიმკაცრით. არც ერთი საჭირო დეტალი და კერძო შემთხვევა ავტორს უყურადღებოდ არ დაუტოვებია.

სავარჯიშო მასალაში უხვადაა აღებული როგორც „რიცხვითი ზაგალითები, აგრეთვე პირობიანი ამოცანები. ეს ნაწილი რომ ცალკე გამოიცეს, როგორც მიღებულია, იგი არ ჩამოუვარდება არც ერთ კრებულს არც მასალის რაოდენობით, არც მეთოდური დალაგებით და არც თავისი მათემატიკური შინაარსით.

ენის მხრივ წიგნი სავსებით გამართულია და მოსწავლისათვის მისაწვდომი.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ ავტორს წიგნი თავის ხარჯზე გამოუცია კარგ ქაღალდზე და კარგი შრიფტით. ამრიგად, ავტორი არ მორიდებია არც დიდი ენერგიის უანგაროდ დახარჯვას არც საგრძნობი ხარჯის გაწევას და სასახელოდ გაუკაფავს ის ეკლიანი გზა შემდგომი თაობისათვის, რის გამო, ჩვენი ღრმა რწმენით მას საპატიო ადგილი ეკუთვნის ქართული სახელმძღვანელოების ავტორთა შორის".

ვასილ ყიფიანი მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყველა ჩვენს საზოგადოებრივ საქმეში. 1897 წელს იგი არჩეული იყო ქალაქ

თბილისის საბჭოს ხმოსნად. მაგრამ მმართველი ბურჟუაზიული პირების მიერ, საბჭოთა ისეთი აუტანელი ატმოსფერო იყო შექმნილი, რომ ვასილი იძულებული გახდა ილია ჭავჭავაძესა, ნ. ნიკოლაძესა და სხვებთან ერთად თავი დაენებებინა ხმოსნობისათვის.

1894 წელს თბილისში დაარსდა „ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკი". როდესაც ბანკის წევრები შეუდგნენ გამგეობის წევრების გამონახვას, მათ გამგეობის თავმჯდომარედ ერთხმად დაასახელეს ვასილ ყიფიანი, როგორც ყოვლად პატიოსანი და დიდი ენერგიითა და ცოდნით აღჭურვილი პიროვნება. მაგრამ ვასილმა უარი განაცხადა იმ მოსაზრებით, რომ თავმჯდომარე უთუოდ ბანკის წრეებში ცნობილი და კრედიტის მქონე უნდა იყოსო და მხოლოდ დირექტორობაზე დათანხმდა. ვასილი ამ თანამდებობაზე იჩენდა წინდახედულებას, ჩვენი მეურნეობის ცოდნას და სესხის გაცემაში სიფრთხილეს, რათა ახალგაზრდა ბანკს თავშივე საძირკველი არ გამოცლოდა. კიდევაც ამიტომ იგი უცვლელ დირექტორად დარჩა 1917 წლამდე, როცა ავადმყოფობის გამო იძულებული შეიქნა სამსახურისათვის თავი დაენებებინა. ბანკის წევრების საზოგადო კრებაზე ერთხმად დაადგინეს, რომ ვასილისათვის პენსიად 300 მანეთი დაენიშნათ, რაზედაც ვასილმა კატეგორიულად უარი განაცხადა:— ბანკს მაგოდენა ფულის გადახდა გაუჭირდება, მე კი ას მანეთს ვიკმაყოფილებ... დიდი თხოვნით შემდეგ ვასილი 150 მანეთს დათანხმდა...

ვასილ ყიფიანი დრამატურგიც იყო. მას ეკუთვნის ისტორიული დრამა სამეგრელოს ცხოვრებიდან—„სამეგრელოს მთავარი ლევან", დაბეჭდილი და მრავალჯერ წარმოდგენილი როგორც თბილისში ისე რაიონებში, ვ. ყიფიანს ხელნაწერის სახით დარჩა პიესა „ზილოტი"— დრამა ოთხ მოქმედებად და „სისხლის ძიება"— დრამა 5 მოქმედებად მთიულების ცხოვრებიდან.

საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა ვასილ ყიფიანის ნაყოფიერი მოღვაწეობა პედაგოგიურ და სამწერლო ასპარეზზე და დაუნიშნა მას პერსონალური პენსია.

აქ მოკლედ უნდა მოვიხსენიო ჩვენს გიმნაზიაში მასწავლებლის **არისტო ქუთათელაძის** ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამსახური.

სამწუხაროდ, არისტო ქუთათელაძის ბიოგრაფიისათვის უფრო ვრცელი მასალა ვერსად შევკრიბე და ამიტომ იძულებული ვარ დავკმაყოფილდე ქვემოთ მოყვანილი ძალიან მცირე ცნობებით. არისტო ქუთათელაძე დაიბადა დაბა ხონში 1850 წელს. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი შევიდა პეტერბურგის (ახლანდელი ლენინგრადი) უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე, რომელიც 1878 წელს დაამთავრა. 1879 წელს იგი უკვე ხონის სოსტატი

სემინარიის ქართული ენის მასწავლებელია, ხოლო 1884 წელს არისტო ქუთათელაძე ოლქის მზრუნველის განკარგულებით, როგორც „ქართველი ხალხის თვითარსებობისა და დამოუკიდებლობის მქადაგებელი", დათხოვნილ იქნა სამსახურიდან. 1885 წლიდან ვიდრე 1906 წლამდე არისტო თბილისის ქართულ კერძო გიმნაზიაში მსახურობდა, სადაც ასწავლიდა ქართულ ენას და სამშობლოს გეოგრაფიას. 1898—1899 და 1900—1901 სასწავლო წლებში იგი გიმნაზიის გამგის

არისტო ქუთათელაძე

თანამშემწე იყო. 1906 წელს ავადმყოფობის გამო მან სამსახურს თავი დაანება, ხოლო 1912 წლის ნოემბერში გარდაიცვალა.

არისტო ქუთათელაძე უკვე ხანში შესული სახელმოხვეჭილი მასწავლებელი იყო, როცა მე 1902 წელს მასწავლებლობა დაიწყე თბილისის ქართულ გიმნაზიაში. ეს გაუხდი მოწმე მისი იშვიათი პოპულარობისა მოწაფეებში. არისტოს ყოველ თავისუფალ დროს გარს ეხვეოდნენ მოწაფეები და ისიც ყოველთვის ნახელობდა თემას საქართველოს წარსული ან თანამედროვე ცხოვრებიდან და ეოცხალი ფერადოვნად სავსე სიტყვებით ელაპარაკებოდა ხოლმე მოწაფეებს. დავსწრებივარ არისტოს გაკვეთილებს, და უნდა ვთქვა, რომ იგი ნამდვილი ხელოვანი მასწავლებელი იყო. მისი გაკვეთილები შეთოდურად გაშართული და შინაარსით

მდიდარი, გარეგნულადაც შეტად ცოცხალი და მიმზიდველი იყო. მოწაფეები არისტოს თვალებგაბრწყინებული აღტაცებით უსმენდნენ. არისტოს ყოველმხრივ გამართული გაკვეთილები იზიდავდა გარედან მოსულ მასწავლებლებსაც და ამიტომ ისინიც ხშირად ესწრებოდნენ მის გაკვეთილებს.

არისტო ქუთათელაძის ხონის საოსტატო სემინარიაში სამსახურის შესახებ ტრ. ხუნდაძე[1] სწერს: „ხონის საოსტატო სემინარიის შავბნელ ცხოვრებაში 80-იანი წლების პირველ ნახევარში ნათელ სხივს წარმოადგენდა მასწავლებელი არისტო ქუთათელაძე, რომელიც თავისი ყოველდღიური მეშაობით სთესდა ნორჩი ახალგაზრდობის გულში კეთილშობილურ გრძნობებს და უხეში რუსიფიკაციის პირობებში აღვივებდა მოწაფეთა გულში სიყვარულს სამშობლოსადმი, საქართველოს წარსულისადმი და ქართული ლიტერატურისადმი“.

არისტო ქუთათელაძის სამსახურიდან მოხსნის შემდეგ სემინარიის დირექტორის ქართული ენის გაკვეთილები ვინმე ლომმაძისათვის გადაუცია, მაგრამ ლომმაძეს დილას ამ საგანზე დათანხმებულს, საღამოს უარი განუცხადებია მოწაფეთა მეფელვარე განწყობილების გამო, რომელნიც გაიძახოდნენ: ქუთათელაძის მსგავსი მასწავლებელი არ გაგვიგონია და არც შეიძლება იყოსო...

1897 წელს არისტო ქუთათელაძეს შეუდგენია და გამოუცია სახელმძღვანელო „წყარო“, რომელიც სასწავლო ოლქის მიერ მოწონებული იყო. გაზეთ „ივერიაში“ ამ სახელმძღვანელის შესახებ დაბეჭდილი ყოფილა „მე გახლავარ“-ის რეცენზია, რომელიც სახელმძღვანელის იწონებს.

არ. ქუთათელაძის „არქეოლოგიური მოგზაურობა ატენში“ დაბეჭდა ჟურნალ „ცვალში“ (№ 15), ხოლო „ნიკორწმინდის ეკლესიის სიძველენი“ დაბეჭდა „მოამბეში“.

არისტო ქუთათელაძეს შედგენილი და გამოცემული ჰქონდა კიდევ სახელმძღვანელო — „ენციკლოპედია საქართველოს ისტორიიდან“.

არისტო, როგორც კარგი მცოდნე ჩვენი სიძველეებისა, გამრჩევი ნუმერომებისა და კარგი წამკითხველი ძველი წარწერებისა, დახმარებას უწევდა ცნობილ მკვლევარს ეკ. თაყაიშვილს მის არქეოლოგიურ მოგზაურობებში.

არისტო მშვენიერი მცოდნე იყო ძველი საეკლესიო გალობისა, შეგროვილი და ნოტებზე გადაღებული ჰქონდა მრავალი ძველი საეკლესიო გალობა. რამდენადაც მახსოვს, ყველა ეს მასალა არისტომ ჩვენი გიმნაზიის გალობის მაშინდელ მასწავლებელს ზ. ფალიაშვილს გადასცა.

არისტო ქუთათელაძეს დიდი მეხსიერება ჰქონდა, და ეს იყო მიზეზი, რომ მას აუარებელი ამბების მარაგი მოეპოვებოდა. ახლა, როგორი თხრობა იცოდა ამბებისა — ხალისიანი, ენაწყლიანი და იუმორით სავსე! აი, არისტოს მიერ გადმოცემული და ჩემს მეხსიერებაში ჩარჩენილი ამბები.

ჩვენს საზოგადოებაში, ამბობდა არისტო, „კანტიკენტად, მაგრამ მაინც ლამარაკობენ, თითქოს შექსპირის ცნობილი ტრაგედია „მეფე ლირი“ მარტოდმარტო ივ. მაჩაბლის თარგმანი იყოს და ილიას ამ თარგმანში მონაწილეობა არ მიეღოს. მე კი მოწმე ვიყავი, რომ 1873 წელს ილია მხერვალე მონაწილეობას იღებდა მაჩაბელთან ერთად „მეფე ლირის“ თარგმნაში. იმ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი და ვიცი, როგორ და რა პირობებში ითარგმნებოდა „მეფე ლირი“. სასტუმროს ერთ ოთახში, სადაც ილია და ვანო მეშაობდნენ, ერთი კუთხე თეკრინი იყო გამოყოფილი და თან ჩაბნელებული. თარგმნის დროს,

[1] ტრ. ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში.

როცა ძნელსა და რთულ ადგილს შეხვდებოდნენ ტექსტში, ილია შეაჩერებდა ხოლმე ვანოს, წავიდოდა ბნელ კუთხეში და კარგა ხნის დუმილის შემდეგ იქიდან დაუწყებდა ძნელი ადგილის კარნახს და ვანოც დაიწყებდა წერას ილიას ნაკარნახევის მიხედვით.

* * *

ერთ დროს თბილისის ქართულ გიმნაზიაში მასწავლებლად მსახურობდა ა. ციმაკურიძე — კაცი ცოტა ფიცხი, ამპარტავანი, ხოლო აღმზრდელად მსახურობდა ნ. თარხნიშვილი — საშინელი იხტინი, ენამახვილი. ერთხელ, — მიამბობს **არისტო**, — თარხნიშვილმა ციმაკურიძეს შემდეგი სიტყვებით მიმართა: შენ ამბობ აზნაური ვარო, სწორე გითხრა მეეჭვება. სხვათაშორის, ციმაკურიძის გვარი „ქართლის ცხოვრებაში“ არსად არ შემხვედრიაო. — გაფხუკიანდა. გაკვირდა ციმაკურიძე, მაგრამ არსებითად თარხნიშვილს ვერა უპასუხა რა... მეორე დღეს სახეგაბრწყინებული ციმაკურიძე მედიდურად მიმართავს თარხნიშვილს: შენ გუშინ სულ ტყუილები დაფქვი... მე „ქართლის ცხოვრება“ გულდასმით გადავიკითხე და აი რა აღმოჩნდა: ჩემი გვარი — ციმაკურიძე — მეხუთე საუკუნეში არის მოხსენებული, შენი კი — თარხნიშვილისა — მხოლოდ მეჩვიდმეტე საუკუნეშია... მაგრამ თარხნიშვილმა მოულოდნელად უცბად მოუჭრა — მერე რა ეუფთო, შე სულელო, მაგდენი არ იცი — ღმერთმა ჯერ ცხოველები გააჩინა და მერე ადამიანი...

* * *

ციმაკურიძე ერთხელ გიმნაზიაში ახალი ქუდით მოვიდა. თარხნიშვილი ეკითხება — რა მიეცი ქუდში? — ოთხი მანეთი — უპასუხა ციმაკურიძემ. — საშინლად მეჯავრება, როცა ქუდი თავზე უფრო ძვირი ღირს, — მიახალა თარხნიშვილმა, რამაცა ციმაკურიძე ძალიან გაბრაზა.

* * *

ჩვენი დიდი მსახიობის ვასო აბაშიძის შესახებ არისტომ მიამბო: ვასო სხირტლაძის რესტორანში კარგა ხნის განმავლობაში ნისიად სადილობდა... ბოლოს სხირტლაძეს მობეზრდა ამდენი ნისია და თავისი ოფიციანტები გაფრთხილა: ვასო აბაშიძეს ნისიად ნუღარ ასადილებთ, როდემდის უნდა ვწერო მაგისი ნისიაო. ერთხელ ვასომ ისადილა და ოფიციანტს უთხრა, ჩაწერეთო. ოფიციანტმა უპასუხა: სხირტლაძე წინააღმდეგია ჩაწერისო. ვასომ ამაზე მიუგო: — თუ არ ჩაწერ, ზეპირად დაიმახსოვროსო და გზას გაუდგა.

* * *

ცნობილი ადვოკატი ი. გუნცაძე მარტოხელა კაცი იყო და ვასო აბაშიძეს შესთავაზა, ჩემთან ისადილე ხოლმეო. ვასომ, რასაკვირველია, სიამოვნებით მიიღო გუნცაძის წინადადება და დაიწყო მასთან სადილობა. ერთი თუ ორი თვის შემდეგ ვასო თავის მეგობარს ზოილი (ზოილი ნიჭიერი ჰუმორისტია ფ. ლეზელის ფსევდონიმია) შესჩივლებს—ავად ვარ, გუნცაძის სადილებმა კუჭი ამიშალეთ... ზოილი იცინის და თან ვასოს ურჩევს: — მოდი, ვასო, უჩივლე გუნცაძეს, განცხადებას მე დაგიწერ... ვასომ თავისებურად ჩაიცინა და თქვა: ჰო, ჰო, კარგი იქნებაო. ზოილმაც დაწერა: ამა და ამ ქუჩაზე ი. გუნცაძის მიერ გახსნილ სასადილოში ვსადილობდი. ცუდმა სადილებმა კუჭი დამიავადმყოფა. ამიტომ გთხოვთ გუნცაძეს ზარალი აანაზღაურებინოთ... დაახლოებით ასეთი შინაარსის, მაგრამ

მეტად იუმორისტული განცხადება დაუწერა ზოილმა ვასოს და გაატანა უბნის მოსამართლე ალ. ჯაკჯავაძესთან. ალ. ჯაკჯავაძე სამივეს კარგად იცნობდა; განცხადების წაკითხვისას ბევრი იცინა და, რასაკვირველია, საქმეს მსჯელობა არ მისცა. მაგრამ ეს სასაცილო ამბავი გახმაურდა, შეიტყო გუნცაძემაც და ნაწყენი კარგა ხანს ეუბრებოდა ვასოს.

პოლკოვნიკ კოტე ორბელიანს, — მიამბო არისტომ, — ბიძაშვილები ორბელიანები, მოუვიდნენ ახალი წლის მისალოცად. შემოუსხდნენ გაშლილ სუფრას კარგა ხანს იმასლაათეს და შემდეგ ერთ-ერთმა ორბელიანმა კოტეს მიმართა:—„გაიგე, კოტე, დარვინი ამტკიცებს ადამიანი მაიმუნისაგან გაჩნდაო. კოტემ გადაავლო თვალი თავის ბიძაშვილებს. შემდეგ კედელზე ჩამოკიდებულ ორბელიანის წინაპრების სურათებს შეხედა და თქვა: მე კი ახლა გაჩვენებთ პირიქით — როგორ წარმოიშვა მაიმუნი ადამიანისაგანო, და მიუთითა დამსწრეთ ერთ-ერთ თავის ბიძაშვილზე, ალ. ორბელიანზე — პატარა, ჩია, ულამაზო კაცზე და კედელზე ჩამოკიდებულ ალ. ორბელიანის მამა-პაპის სურათებზე, რასაც დიდი სიცილ-ხარხარი მოჰყვა...

* * *

დაავადებული არისტო ქუთათელაძე 1912 წ. 12 ნოემბერს გარდაიცვალა; იგი წაასვენეს დ. ხონში და იქ დასაფლავეს 18 ნოემბერს. თბილისის ქართული გიმნაზიის პედსაბჭომ დასაფლავებაზე თავის წარმომადგენლად გაგზავნა არისტოს ყოფილი მოწაფე და თბილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელი დ. პარკაძე, რომელმაც არისტოს საფლავზე გრძნობით სავსე სიტყვა წარმოთქვა. ამ სიტყვიდან ჩვენ ამ მარტო ერთს ვიტს ადგილს მოვიყვანთ: „მრავალი ქართველი აგიზრდია სათნოებით და სიყვარულით სავსე არისტო და, მაგრი, უკეთეს ძეგლსაც ვერ ინატრიდი, როგორიც შენ დიდგი მთის გულში. დღეს ეს შენი აღზრდილნი, გაფანტულნი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, იგონებენ შენ სპეტაკ და კეთილ სახეს და ფიცს სდებენ შენს წინაშე, ემსახურონ მედგრად შენგნით დატოვებულ წმინდა ანდერძს — მამულისა და ერის აღორძინებას“.

1912 წლის 29 ნოემბერს „სახალხო გაზეთში“ დაიბეჭდა თბილისის ქართული გიმნაზიის ყოფილი მოწაფის პაველ დადეაძის წერილი „არისტო ქუთათელაძის გარდაცვალების გამო“. მოგვყავს ამ წერილიდან ორი ადგილი. „გული მომაჭედა საყვარელი მასწავლებლის, მამის არ. ქუთათელაძის სიკვდილმა. ალარ ძგერს სიყვარულითა და სიეოცხლით სავსე გული ბავშვების მოყვარულის მასწავლებლისა და პატიოსანი, პირუთვნელი ადამიან-მოჭალაკისა“...

„ძვირფასი შიო, ვლადიმერ ლორთქიფანიძე, იოსებ მგალობლიშვილი, ეცხორმის საყვარელი პერიკლე კორხანიდი და ალა, არისტოც გამოსალმა სოფელს ულმობელმა სიკვდილმა. ხელიდან გვეცლებიან ხელმძღვანელნი, რომელთაც პირველად შეახეს თავისი მადლიანი ხელი ჩვენს ბავშვურს გულს, გადახსნეს იგი და მთელი თავისი უმწიკვლო განძი შიგ შთაგვინერგეს. არისტო ამ ხელმძღვანელთა რიცხვს ეკუთნოდა და გულიც ამიტომ მიკვდება, სასოიხდილი გულიც ამიტომ მეკუმშება.“

არისტო ქუთათელაძის გარდაცვალების გამო გაზ. „ცნობის ფურცელში“ მაშინდელ პეტროგრადიდან მოსული სამძიმრის დეპეშა იყო დაბეჭდილი: „ვგლოვობთ გულწრფელ მამულიშვილს, საყვარელ მასწავლებელს არისტოს, რომელმაც მთელი სიცოცხლე ახალგაზრდობის აღზრდას შესწირა და თავისი ტკბილი ქართულით ჩაგვინერგა სიყვარული მამულისადმი.

თბილისის ქართული გიმნაზიის ყოფილი მოსწავლეები, პეტროგრადის სტუდენტები: ვ. აბდუშელიშვილი, აგლაძე, ავალიშვილი, ალიბეგაშვილი, ბეშკენაძე, ბერიძე, გაბაშვილი".

მოგვყავს იმავე გაზეთში დაბეჭდილი დეპეშა:

„უკანასკნელი სალამი არ. ქუთათელაძეს.

მუდამ პირმეინარე მეგობრული პირდაპირობით მოგვითხრობდა სამშობლოს აღწერასა და ბუნებისმეტყველებას.

ჩემო საყვარელო მასწავლებელო, გვიან-ღა არის, მაგრამ მაინც მინდა დავაწოო შენს ჯერ კიდევ თბილ გვამს ჩემი უკანასკნელი გამოშვიდობება და ბოდიში მოვიხადო შენს წინაშე, რომ სიცოცხლეში ვერ გადაგიხადე მადლობა შენი კეთილშობილური ადამიანობისათვის.

ალ. ჯავახიშვილი"

თბილისის ქართული გიმნაზიის იდეური საზოგადო მოღვაწე-პედაგოგები თითქმის მთელი ასი პროცენტით იყვნენ ჩაბმულნი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კულტურულ და საზოგადოებრივ მეშაობაში: საკვირაო სკოლა, სახალხო სახლი, სახალხო უნივერსიტეტი, კ. შ. წ. კ. გ. საზოგადოება, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, დრამატიული საზოგადოება, ფილარმონია, ჟურნალ-გაზეთების რედაქტორ-გამომცემლობა, ტერმინოლოგიის დამუშავება სახელმძღვანელოების შედგენა და სხვ. ტერმინოლოგიის დამუშავებელ კომისიაში გიმნაზიის მასწავლებლებს გარდა მონაწილეობდნენ კიდევ ი. ალხაზიშვილი — ავტორი პოპულარული წერილებისა ბუნებისმეტყველებიდან, ექიმები დ. ახვლედიანი და ალ. ბალარჯიშვილი; აგრონომები—ს.ხუნდაძე და ვ. რცხილაძე; ამ კომისიის მიერ დამუშავებული ტერმინოლოგია დაიბეჭდა კიდეც ცალკე ნარკვევად 1914 წელს.

დ ა მ ა ტ ე ბ ა

ზოგიერთი ცნობა თბილისის ქართული გიმნაზიის პედაგოგიური შემადგენლობისა და მოსწავლეების შესახებ

ა) თბილისის ქართული გიმნაზიის გაშლებად — დირექტორებად სხვადასხვა დროს იყვნენ:

1. შ ი ო შ ი ფ ა ბ ა ნ ი ლ ი — 1879 წ. თებერვლიდან 1879 წ. მაისამდე;
2. ი. გ. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი — (1879 — 1880 წწ.) — ცნობილი საზოგადო მოღვაწე; შეკსპირის პიესების მთარგმნელი;*
3. ნ. ლ ო მ ო ვ ი (1880—1882) — პედაგოგი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე (1852—1915);
4. ვ. რ. ყ ი ფ ი ა ნ ი (1882—1885) — პედაგოგი, ავტორი ალგებრის სახელმძღვანელოსი, დრამატერგი, საზოგადო მოღვაწე (1855—1935);
5. ალ. ბ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე (1885—1894) — ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე;
6. ე. ს. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი (1894—1904) — პედაგოგი, ჩვენი სიძველეთა მკვლევარი, საზოგადო მოღვაწე;
7. შ. ა. ჩ ი ტ ა ძ ე (1904—1906) — ჯამოჩენილი პედაგოგი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ტრაგიკულად დაღუპული 1906 წ. (1873—1906);

---

* ფრჩხილებში ჩასმული თარიღები აღნიშნავენ თბილისის ქართულ გიმნაზიაში დასახელებულ პირთა მოღვაწეობის პერიოდს.

8. ა. ბ. მ დ ი ვ ა ნ ი (1906—1914)—ცნობილი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე;

9. ა ლ. ბ. ჯ ი ჯ ი ნ ა ძ ე (1914—1917);

10. კოლეგია (ა. ნ. მიქაბერიძე, დ. გ. კარიჭაშვილი, ს. ლ. იაშვილი)—(1917—1918 წ.);

11. ს. ლ. ი ა შ ვ ი ლ ი (1921—1923).

ბ) თბილისის ქართულ გიმნაზიაში სხვადასხვა დროს მასწავლებლებად იყვნენ:

1. რ. ს. ჯ ა ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი (1880—1899)—ავტორი არითმეტიკული ამოცანებისა;

2. ს. ნ. ყ ი ფ ი ა ნ ი (1882—1883)—ცნობილი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, მწერალი;

3. ლ. ი. ა ღ ნ ი ა შ ვ ი ლ ი (1881 — 1885) — საზოგადო მოღვაწე. მან 1885 წელს შეადგინა მომდერალთა პირველი ქართული გუნდი. ლ. აღნიაშვილმა პირველმა იმოგზაურა ფერეიდანში. 1894 წ. დაიბეჭდა მისი წიგნი „სპარსეთი და იქაური ქართველები" (1860—1904 წწ.);

4. ა. მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი (1882—1885)—პედაგოგი, საბავშვო, ოგაკ-არაკების ავტორი;

5. გ. დ. ა გ ლ ა ძ ე (1883—1906) — პედაგოგი რუსული ენის მასწავლებელი.

6. ა. ნ. ბ ა ი რ ა მ ა შ ვ ი ლ ი (1884—1887)—ქართული ენის მასწავლებელი.

7. ნ. ვ. მ თ ვ ა რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი (1884—1902)—ქართული ენის მასწავლებელი.

8. არ. ვ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე (1885 — 1906) — ცნობილი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ქართული ენის მასწავლებელი, ავტორი ქართული ენის სახელმძღვანელოს „წყაროსი" და „საქართველოს ისტორიის კონსპექტისა".

9. ლ. მ. გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი (1888—1890) — მათემატიკის მასწავლებელი.

10. ა. ნ. კ ლ ე ი ჩ ა რ ე ვ ი (1886—1887) — ფრანგული ენის მასწავლებელი.

11. ივ. ეგ. გ ა ბ ა ყ რ ე ლ ი ძ ე (1884—1887) — მათემატიკის მასწავლებელი, შემდეგ დირექტორი თბილისის 1-ლი სახელმწიფო გიმნაზიისა.

12. ა. ი. ნ ა თ ი ა ძ ე (1884—1906)—ქართული ენის სახელმძღვანელო „ბავშვის მოკეთეს" ავტორი, საზოგადო მოღვაწე (1864—1916).

13. ა. ი. ს ლ ო ვ ი ნ ს კ ი (1886—1888) — რუსული ენის მასწავლებელი.

14. გ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი (1886—1900) —ცნობილი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე.

15. ა. ა. ნ ა ტ ა ტ ო შ ვ ი ლ ი (1886—1888)—რუსული ენის მასწავლებელი.

16. ბ. მ. ბ ა ლ ა ნ ჩ ი ვ ა ძ ე (1887—1888) — სიმღერის მასწავლებელი, შემდეგ ცნობილი კომპოზიტორი.

17. ზ. ნ. ჩ ხ ე ი ძ ვ ა ძ ე (1890—1906)—გალობის მასწავლებელი, ცნობილი მუსიკისმცოდნე, საზოგადო მოღვაწე (1858—1930).

18. ბ. ხ რ ა ბ ჯ ო (1886—1888)—ბერძნული ენის მასწავლებელი.

19. დ. ა. გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი (1889—1906)—ეკონომი.

20. ნ. გ. გ ო გ ი ტ ი ძ ე (1893—1912)—მათემატიკის მასწავლებელი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე (1863—1929).

21. ი. გ. რ ა ტ ი შ ვ ი ლ ი (1894—1906)—რუსულის, ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელი, საზოგადო მოღვაწე.

22. დ. გ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი (1895—1915) — ქართული და ფრანგული ენების მასწავლებელი, საისტორიო მონოგრაფიების ავტორი, საზოგადო მოღვაწე.

23. ი. ბ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი (1895—1906) — ლათინური და ბერძნული ენების მასწავლებელი.

24. ი. გ. მონადირიშვილი (1895—1912)—გალობის მასწავლებელი ლოტბარი.

25. ა. ა. პირხდოვი (1895—1900)—ხატვის მასწავლებელი.

26. ვ. მ. კორხანიდი (1896—1906) — რუსული ენის მასწავლებელი.

27. ან. ნ. ყარაშვილი (1897—1923) — ცნობილი კომპოზიტორი.

28. ა. თ. ჯვარიშვილი (1897—1900)—ბერძნული ენის მასწავლებელი.

29. ა. ი. ხეცურიანი (1897—1901)—მათემათიკისა და ფიზიკის მასწავლებელი.

30. ა. ვ. მამულაიშვილი (ლალიონი) (1897—1900)—ქართული ენის მასწავლებელი, მწერალი.

31. ალ. მ. გარსეგანიშვილი (1897—1899)—რუსული ენის მასწავლებელი.

32. ვ. დ. ცვეტნიცკი (1897—1906)—რუსული ენისა და ისტორიის მასწავლებელი, პოლიტიკური ემიგრანტი.

33. ა. მ. ციმაკურიძე (1898—1906)—ქართული ენის მასწავლებელი, მთარგმნელი პაინეს ლექსებისა; ფსევდონიმი „სა“.

34. ვ. ბ. ლორთქიფანიძე (1898—1901) — (1906—1909) — ისტორიისა და ლათინური ენის მასწავლებელი. ვ. ლორთქიფანიძემ ფრანგულიდან თარგმნა: „სიბერძნეთის ძველი ისტორია“ (დაიბეჭდა თბილისში, 1903 წ.), „რომის ისტორია“ და „საფრანგეთის დიდი რევოლუცია“ (დაიბეჭდა თბილისში 1906 წ.); საზოგადო მოღვაწე (1872—1909).

35. თ. დ. ავალოვი (1899—1904)—ფრანგული ენის მასწავლებელი.

36. ვ. ნ. პოკროვსკი (1899—1900)—ლათინური ენის მასწავლებელი.

37. ა. ვ. ბუში (1899—1901)—მუსიკის მასწავლებელი.

38. ა. ნ. ჩხეიძე (1899—1906)—ტანვარჯიშის მასწავლებელი.

39. ლ. ა. გალაჯევი—ვაჩნაძე (1900—1905)— ისტორიისა და ლათინური ენის მასწავლებელი.

40. ალ. ნ. მიქაბერიძე (1900—1918)— ლათინური ენის მასწავლებელი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე (1868—1943 წწ.).

41. ს. ი. ოცხელი (1900—1902)— ფიზიკის მასწავლებელი, მათემატიკის სახელმძღვანელოს ავტორი.

42. ა. ი. პალიკა (1900—1904 წ.)— მუსიკის მასწავლებელი.

43. ვ. ი. კოლენკო (1900—1904)— არითმეტიკის მასწავლებელი.

44. დ. ვ. ათაბაგი (1900—1906)— ქართული ენის მასწავლებელი.

45. ვ. ნ. დობროხოტოვი (1901—1902)— მუსიკის მასწავლებელი.

46. ალ. რ. მრეველიშვილი (1901—1914)— ხატვის მასწავლებელი, ცნობილი მხატვარი.

47. ს. ლ. იაშვილი (1902—1923)— ბუნებისმეტყველების გეოგრაფიისა და ფიზიკის მასწავლებელი.

48. ვ. ო. ურუშაძე (1902—1906) — ქართული ენის მასწავლებელი.

49. ხ. პ. ღლონტი (1903—1906)— ფიზიკის მასწავლებელი.

50. ს. რ. გორგაძე (1903—1906)— ქართული ენის მასწავლებელი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე.

51. ზ. პ. ფალიაშვილი (1903—1918)— გალობის მასწავლებელი, გიმნაზიაში დიდი გუნდისა და ორკესტრის მომწყობი, მონუმენტური ნაციონალური

ოპერების „აბესალომ და ეთერის“ და „დათისის“ შემოქმედი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1871—1933).

52. მ. ფ. ქორიძე (1904—1910)— რუსული ენის მასწავლებელი, რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

53. იესტინე აბულაძე (1904—1906) — ქართული ენის მასწავლებელი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

54. ნ. გ. ახმეტელაშვილი (1904—1915)— რუსული ენის მასწავლებელი.

55. ლ. გ. ბოცვაძე (1906—1919)— ქართული ენის მასწავლებელი, ცნობილი პედაგოგი, ეურნალ „განათლების“ რედაქტორი, საზოგადო მოღვაწე.

56. ალ. ა. მაჩაბლიშვილი (1906—1917)— კანონმდებლობის მასწავლებელი.

57. ს. თ. გელისაშვილი (1907—1923)— ბუნებისმეტყველებისა და გეოგრაფიის მასწავლებელი.

58. კ. გ. ღვინიაშვილი (1907—1923)—ფრანგული ენის მასწავლებელი.

59. ბ. ი. ლომინაძე (1907—1918)— ლათინური ენის მასწავლებელი.

60. გ. ა. ყაზახიშვილი (1907—1909)— ქართული ენის მასწავლებელი. გარდაიცვალა 1909 წელს (1875—1909 წ.).

61. გ. ა. ლემლეანი (1908—1914)— ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებელი.

62. პ. გ. მაჭარაძე (1907—1910)— მათემატიკის მასწავლებელი.

63. ა. ი. ბალარჯიშვილი (1907—1919)— ექიმი-პედაგოგი.

64. ნ. მ. ლორთქიფანიძე (1907—1912)— გერმანული ენის მასწავლებელი, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე (1880—1944 წწ.).

65. გ. გ. ვოლსკი (1907—1909)— ქართული ენის მასწავლებელი, მწერალი „უმწიფარიძის“ ფსევდონიმით, ცნობილი საზოგადო მოღვაწე (1860—1909).

66. ალ. ფაღავა (1907—1912)—რუსული ენის მასწავლებელი.

67. ბ. მირიანაშვილი (1909—1923)— ქართული ენის მასწავლებელი, ავტორი ოპერა „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტოსი, საზოგადო მოღვაწე.

68. მ. სიდოროვი (1908—1912)— რუსული ენის მასწავლებელი.

69. დ. დ. კილოსანიძე (1908—1913)— რუსული ენის მასწავლებელი.

70. ევ. ა. პოლოშვილი (1908—1910)—მათემატიკის მასწავლებელი, დამსახურებული პედაგოგი.

71. თ. ნ. ლომოური (1910—1923)— რუსული ენისა და ისტორიის მასწავლებელი, უნივერსიტეტის დოცენტი.

72. ნ. ი. ბაკრაძე-ბოცვაძისა (1910—1920)—ქართული ენის მასწავლებელი, დამსახურებული პედაგოგი, ორდენოსანი.

73. გ. ს. ეგნატაშვილი (1910—1923)— ფიზკულტურის მასწავლებელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

74. ნ. პაიკაძე (1910—1913)— რუსული ენის მასწავლებელი.

75. გ. ნათაძე, რუსული ენისა და ისტორიის მასწავლებელი (1909—1918); უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

76. პ. იოსელიანი (1910—1912)—ისტორიის მასწავლებელი, უნივერსიტეტის დოცენტი.

77. გ. გვერდწითელი (1910—1912)— მათემატიკის მასწავლებელი.

78. დ. ბ. პარკაძე, მათემატიკის მასწავლებელი, (1911—1923); დამსახურებული პედაგოგი, ორდენოსანი, გარდაიცვალა 1951 წ.

79. ალ. ხუციშვილი (1911—1917)— მათემატიკისა და ფიზიკის მასწავლებელი.

80. მ. დიმიტრიევი (1911—1913)— ლათინური ენის მასწავლებელი.

81. ა. დუბროვსკი (1912—1914)— რუსული ენის მასწავლებელი, უნივერსიტეტის პროფესორი.

82. ვ. გ. აბდუშელიშვილი, მათემატიკის მასწავლებელი (1910—1923); ცნობილი პედაგოგი, ორდენოსანი გარდაიცვალა 1948 წელს.

83. ლ. დეგენი (1912—1914)— რუსული ენის მასწავლებელი.

84. ი. პ. ვართაგავა (1912—1913)— ფსიქოლოგიისა და ლოგიკის მასწავლებელი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე.

85. ა. გ. ამირაჯიბი (1912—1914)— ხატვის მასწავლებელი.

86. ს. ნ. კაკაბაძე (1913—1914)—ისტორიის მასწავლებელი, პროფესორი.

87. ს. დ. ფურცელაძე (1914—1923)— რუსული ენის მასწავლებელი. დოცენტი, რუსული ენის სახელმძღვანელოების ავტორი.

88. ელ. დ. ღოღობერიძე (1914—1921)— ისტორიის მასწავლებელი.

89. ვ. დ. ბარათაშვილი (1914—1916)— ხატვის მასწავლებელი.

90. ლ. პ. რუდნიკი (1914—1916)— ლათინური ენის მასწავლებელი.

91. ბ. პ. უფიანი (1914—1917)— ფრანგული ენის მასწავლებელი.

92. პლ. ქ. აბულაძე (1915—1923)— ლათინური ენის მასწავლებელი. დამსახურებული პედაგოგი, ლათინური ენის სახელმძღვანელოს ავტორი.

93. მ. ზ. ზანდუკელი, რუსული ენის მასწავლებელი (1915—1917); უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი.

94. გ. პ. კრასოვსკი (1915—1918)—ლათინური ენის მასწავლებელი.

95. იაკობ ნიკოლაძე (1915—1917)—ხატვის მასწავლებელი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი, ცნობილი მოქანდაკე.

96. კ. გამსახურდია (1916 — 1918) — გერმანული ენის მასწავლებელი, მწერალი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

97. ლ. შენგელაია (ქეაჩელი) (1916 — 1918) — ქართული ენის მასწავლებელი, მწერალი.

98. შ. გ. შარაშიძე (1916 — 1918) — ქართული ენის მასწავლებელი.

99. დ. კასრაძე (1916 — 1918) — საქართველოს ისტორიის მასწავლებელი, მწერალი.

100. ქ. კ. ხარაძე (1916—1923)—ქართული ენის მასწავლებელი.

101. დ. ჩიხლაძე (1916 — 1923) — ქართული ენის მასწავლებელი, დამსახურებული პედაგოგი.

102. ს. ი. ქარცივაძე (1916 — 1918) — ქართული ენის მასწავლებელი.

103. აკაკი შანიძე (1917—1918)—ქართული ენის მასწავლებელი. პროფესორი, დოქტორი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

104. ა. გ. ნაბორაძე, ისტორიის მასწავლებელი (1918 — 1923); თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი.

105. გ. ა. მოსეშვილი (1918 — 1923) — ისტორიის მასწავლებელი.

106. დ. ა. დეკანოზიშვილი, მათემატიკის მასწავლებელი (1917—1919); დამსახურებული პედაგოგი.

107. ტ. ი. ბუნდაძე (1919 — 1920) — ისტორიის მასწავლებელი, პროფესორი, ისტორიის მეცნიერების დოქტორი.

108. თ. სახოკია (1920 — 1923) — ფრანგული ენის მასწავლებელი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე.

109. ა. ბ. სვანაძე (1919—1923)—ფიზიკის მასწავლებელი, დამსახურებული პედაგოგი, ორდენოსანი.

110. ა. გ. სამსონია (1917 — 1923) — რუსული ენის მასწავლებელი, დოცენტი.

111. ა. ი. ჯანელიძე (1919 — 1923) — ფიზიკის მასწავლებელი, პროფესორი, დოქტორი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

112. კლ. შარაშენიძე (1920 — 1923)—მათემატიკის მასწავლებელი, დოცენტი.

113. ალ. დევიძე (1921 — 1923) — მათემატიკის მასწავლებელი.

114. ნ. მამინაიშვილი (1920—1922)—არითმეტიკის მასწავლებელი.

115. თ. ა. ყაზახაშვილი (1920 — 1923) — მათემატიკის მასწავლებელი, დამსახურებული პედაგოგი, ორდენოსანი.

116. ს. ი. ბერეჟიანი (1919 — 1923) — ბუნებისმეტყველების მასწავლებელი, დამსახურებული პედაგოგი.

117. ბ. დ. მამინაშვილი (1918—1923)—გერმანული ენის მასწავლებელი.

118. ერ. დ. ტატიშვილი (1921 — 1923) — გერმანული ენის მასწავლებელი, დოცენტი (1884—1946 წწ).

119. ბ. ი. გადახაბაძე (1920 — 1923) — ფიზიკის მასწავლებელი.

120. ს. დ. მამალაძე (1916 — 1919) — რუსული ენის მასწავლებელი, დამსახურებული პედაგოგი შრომის გმირი.

121. ლ. ნ. ჩიმაკაძე (1915 — 1919) — არითმეტიკის მასწავლებელი, დამსახურებული პედაგოგი.

122. კ. ს. ზაბეგნა (1898 — 1901) — რუსული ენის მასწავლებელი.

123. ზ. ა. ნიკიტასა (1897 — 1903) — რუსული ენის მასწავლებელი.

124. ბ. ბარსოვი (1900 — 1904) — რუსული ენის მასწავლებელი.

125. გ. სვანიძე (1916 — 1919) — გალობის მასწავლებელი და სხვ.

ბ) აღმზრდელები პანსიონში

1. ი. ბ. ზედგინიძე — შემდეგ ცნობილი პედაგოგი; 2. ნ. ლ. თარხნიშვილი; 3. ალ. ნ. მიქაბერიძე; 4. ი. თ. ნიკარაძე — დამსახურებული მასწავლებელი, დოცენტი; 5. კ. ზ. მაკაშვილი — პოეტი, საზოგადო მოღვაწე; 6. კ. ი. ჯაფარიძე — ადვოკატი; 7. ნ. კ. აღნიაშვილი (საფრანგეთში ჰქონდა გათავებული აგრონომიული ფაკულტეტი); 8. ს. პ. ფედოროვსკი; 9. ზ. ცხვედაძე (ახლა ექიმი); 10. ნინო გიორგის ასული ჯავახიშვილი; 11. მარიამ გრიგოლის ასული მელიქიშვილი — პროფესორ პეტრე მელიქიშვილის და; 12. ელენა სულხანიშვილისა.

დ) კლასის დამრიგებლის თანაშემწენი:

1. ნ. ა. ცერცვაძე; 2. ზ. ი. კანდელაკი; 3. ნ. დ. ჯავახიშვილი; 4. თ. ნ. ბერიშვილი; 6. ი. კ. მირიანაშვილი; 6. ბ. ვ. შიშნიაშვილი; 7. გ. ზ. ბსრათაშვილი; 8. ს. ა. გრძელიშვილი; 9. ი. გომელაური — ზრომის გმირი, დამსახურებული მასწავლებელი, ორდენოსანი; 10. ვ. ი. კობახიძე; 11. ი. ვ. ვაჩეხიძე; 12. არ. ნ. ავალიშვილი; 13. ი. ვ. სამადაშვილი; 14. ვ. დ. ჩახნაშვილი; 15. ა. წერეთელი; 16. ნ. ბ. ჯიფარიძე.

ე) საქმის მწარმოებლები:

1. დ. ბ. ეპიტაშვილი; 2. ბ. ვ. მირიანაშვილი; 3. ვ. ბ. ბაჭავარიანი; 4. ვ. წ. ბერძენიშვილი; 5. ა. ნ. ავალიშვილი; 6. ც. ბ. ახვლედიანი; 7. ს. ნ. მამაცაშვილი; 8. თ. ვ. წერეთელი—შემდეგში ცნობილი მოძღვარი; 9. ბ. ნ. ფავლენიშვილი; 10. ზ. ვ. ნამორაძე;—ამავე გიმნაზიის ყოფილი მოწაფე, შემდეგში დოცენტი, რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა 1937 წ.

ვ) ეკონომები პანსიონში:

1. ე. ლ. ჭაბადარი (1887—1904 წწ); 2. დ. დუმბაძე (1904—1906 წწ.), შეთავსებით — შენობის გამგე; 3. ა. ი. ცალკალამანიძე (1906—1907 წწ.); 4. ირ. რამიშვილი (1914—1918 წწ.)—შენობის გამგე.

ზ) თბილისის ქართული გიმნაზიის კურსდამთავრებულები:

თბილისის ქართულმა გიმნაზიამ, არსებობის 44 წლის მანძილზე თავის წელილი შეიტანა ქართველი ერის გონებრივი წარმატების საქმეში. ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის პირობებში ეს გიმნაზია საგანმანათლებლო-კულტურული ცენტრი იყო საქართველოში.

საკმაოა აღვნიშნოთ, რომ სასწავლებლის დაარსებიდან (1879 წ.) ვიდრე 1923 წლის 1 სექტემბრამდე დაახლოებით 14.770 მოწაფე სწავლობდა გიმნაზიაში. მას შემდეგ, რაც ქართულ გიმნაზიაში მერვე კლასი გაიხსნა 1899 წლიდან, ვიდრე 1923 წლამდე, დაახლოებით 747 მოწაფემ დაასრულა ამ გიმნაზიაში კურსი.

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა დაწესებულებებში თბილისის ქართული გიმნაზიის ბევრი ნამოწაფარი მუშაობს.

ჩვენს უნივერსიტეტსა და ინსტიტუტებში ამ გიმნაზიის 100-მდე ნამოწაფარი ეწევა მეცნიერულ მუშაობას. მათ შორის 40-ზე მეტი პროფესორია, ხოლო ალ. ნ. ჯავახიშვილი, გ. ს. ახვლედიანი, ნ. ნ. კეკელიელი, დ. ა. ყანჩაველი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები არიან, გ. მუსაძე, გ. გედევანიშვილი და ე. კ. ხარაძე — აკადემიის წევრ-კორესპონდენტები, გ. ნ. ნათაძე—სსრ კავშირის სამეცნიერო აკადემიის წევრ-კორესპონდენტია.

პროფესორები და დოცენტები: [illegible] ნ. ჯავახიშვილი, გ. გედევანიშვილი, დ. ჯავახიშვილი, გ. ი. ნათაძე, ა. ზ. ზარინიშვილი, გ. ს. ახვლედიანი, ნ. ნ. კეკელიელი, გ. მ. მუსაძე, ლ. ბ. ხიზანიშვილი, ა. ფალავა, არ. ა. გულისაშვილი, მიხ. ზ. ზანდუკელი, ალ. გ. ნამორაძე, ივ. გველესიანი, ან. ბეგიაშვილი; ირ. დ. ბითაშვილი, დ. ქ. იაშვილი, დ. ვ. აგლაძე, ლ. მ. ყანჩაველი, ს. ნ. ქარუმიძე, კ. სპ. ბაქრაძე,

ე. კ. ხარაძე, გ. მ. ნათაძე, მ. ნ. შალამბერიძე, ზ. ნ. მაისურაძე, გ. ა. დიდებელიძე, გ. ბ. კიკალეიშვილი, ი. ტუსკია, გ. ზ. ჩხიკვაძე, შ. ასლანიშვილი, ა. ბეშკენაძე, ელ. დონაძე, ირ. მ. მენთეშაშვილი, ლ. დ. ცისკარიშვილი, ი. ტატიშვილი, ან. ზაალიშვილი ვ. მირზაშვილი, დ. ო. ლორთქიფანიძე, გ. ხუნდაძე, ს. ნარიკაშვილი, ნ. ი. ძიძიშვილი, ნ. ალექსიძე, ლ. ს. ფაშვილი, გ. რატიშვილი, ვ. გველესიანი, ვ. ბაკრაძე, ლ. გველესიანი, დ. ჯანელიძე, ირ. აბაშიძე, მ. გაბრიჩიძე, და სხვები. **დამსახურებული მსწავლებლები:** ს. ლორთქიფანიძე, გ. კვაჭაძე, დ. ნაჭყუპია და სხვები. **სპორტის დამსახურებული ოსტატები:** არ. ბაკრაძე, ირ. ჩხიკვაძე, გ. მერკვილაძე, დ. გელაძე, მ. მაჭავარიანი. ზ. კეცხოველი — გემოკვების მინისტრი. **ინჟინრები:** ვ. ეპიტაშვილი.—თბილისის საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ელ. შარაშენიძე — თბილისს წყალსადენი ტრესტის უფროსი, შ. ახალკაცი — წყალთა მეურნეობის სამინისტროს წამყვანი სპეციალისტი, ირ. ლორთქიფანიძე — ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის უფროსი ინჟინერი, ლ. თოთაძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სატრანსპორტო განყოფილების უფროსი.

ხელოვნების სხვადასხვა დარგში მომუშავეთაგან არიან შემდეგი ნამოწაფარნი: საქართველოს სსრ სახალხო არტისტები: ვ. გოძიაშვილი, გ. სარჩიმელიძე, პ. კობაბიძე, ნ. გვარაძე; საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები კ ო მ პ ო ზ ი ტ ო რ ე ბ ი: გ. კილაძე, ი. ტუსკია, ლ. პ. ფალიაშვილი, ალ. ანდრიაშვილი; რ ე ჟ ი ს ო რ ე ბ ი: შ. აღსაბაძე, არ. ჩხარტიშვილი, შ. წერეთელი, გ. ყიფშიძე ლ. ციცაგი; მ უ ს ი კ ის მ ც ო დ ნ ე ე ბ ი და პ ე დ ა გ ო გ ე ბ ი: დ. სულხანიშვილი, შ. ასლანიშვილი, გ. ჩხიკვაძე, ლ. დონაძე; ქ ო რ ე ო გ რ ა ფ ი: დ. ჯავრიშვილი; დ ი რ ი ჟ ო რ ე ბ ი: მ. ბორჩხაძე, ირ. კანდელაკი, ვ. ნეიმანი. მ. ძიძიშვილი; მ ხ ა ტ ვ რ ე ბ ი: ირ. თოიძე, ს. ჯორსლაძე, შ. მაყაშვილი, ი. მაისაშვილი, ი. გაბაშვილი, გ. ჩხიკვაძე, შ. ბერიტაშვილი, ს. ნ. კეცხოველი; დ. გელეანიშვილი; მ ო მ ღ ე რ ლ ე ბ ი: ვ. სარაჯიშვილი, ნ. ელიოზიშვილი, გ. სიხარულიძე, ა. ბერიშვილი; მ წ ე რ ლ ე ბ ი: ს. შანშიაშვილი, ი. ჯრიშაშვილი, ი. ტატიშვილი, დ. თურდოსპირელი, მ. მრეველიშვილი, გ. ქუჩიშვილი, დ. დუმბაძე, დ. შენგელაია, ს. მთვარაძე ალ. ბურთიკაშვილი, ე. ზედგინიძე და სხვ.

რედაქტორი ვ. ქაჯაია
ტექრედაქტორი ხ. ლორთქიფანიძე
კორექტორი ლ. ჯაჯანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/III-56 წ., ანაწყობის ზომა 6X10, ქაღალდის ზომა 60X92. სსტამბო ფორმათა რაოდენობა 9,2, საალრიცხვო-საგამომცემლო—8,39. საავტორო—8,18.

ფასი 4 მან.

შეკვ. № 2122. ტირაჟი 2.000. უე 02221.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 2. თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

Типография № 2 Главного управления издательств и полиграфической промышленности Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.

№2/12

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

С. ЯШВИЛИ

МАТЕРИАЛЫ К ИСТОРИИ ТБИЛИССКОЙ ГРУЗИНСКОЙ ГИМНАЗИИ (1879—1923 г.г.)

(На грузинском языке)

Издательство научно-исследовательского института педагогических наук Министерства просвещения Грузинской ССР

Тбилиси—1956